

საქართველო


& მსოფლიო

www.geworld.net

გამოდის თბილისში

ფასი | ლარი.

ელ.ფოსტა: info@geworld.net



**როგორ ჩაუბარა FBI-მ
ექსპერტიზა ქაზი კალაძის ძმის
ქვედა ყბის არასრულ ძვალს**

16-18

**ვაზისუბანში აღმოჩენილი გვამი
შესაძლოა, ლევან კალაძის არ იყო**



სოსო რობაქიძე:

**სააკაშვილის გარემოცვიდან
ზოგს მტკვარში ნახვით
დამხრჩვალს, ზოგს კოჯრის
ტყეში – მოკლულს...**

6-7

ჩისტოვის
შეხველა ბრანიზა
ილია გეორგიანი?

2

ჩეხილდინის
დაბრუნება

3

როდის ნახვ
სააკაშვილი?

4

მარინა ბალიაშვილი:
დავით

გაგუჩილიძეს
გადაეწყვიტა

ნუთუგუნი

გაგუჩილიძეს
დალაშქრებს

14

„ვაშინგტონ
პოსტმა“

ქართული
პროფესორის

განცხადება
დაგლოკა

15

რუსეთს

სარეზერვო

ფონდი 2,5

ნელი გეორგიანი

24

რისთვის უნდა სინამდვილეში მეთიუ ბრაიზა იღიან მეორეს?

ამერიკის სახელმწიფო მდივნის მეოთხე, მეხუთე თუ „ჭ“ კლასის მოადგილე — მეთიუ ბრაიზა 9 აპრილის წინ ქართულ ოპოზიციას მკითხავერით გამოეცხადა, რამაც ნებსით თუ უნებლიედ ყველას 6 წლის წინანდელი მოვლენები გაგვახსენა, როცა 2003 წლის აგვისტოში, „ვარდების რევოლუციამდე“ ორი-სამი თვით ადრე, შევარდნაძეს ძველი მეგობარი — ჯეიმს ბეიკერი ესტუმრა; მაშინ ბეიკერმა შევარდნაძეს საპარლამენტო არჩევნების უკუღმართად ჩატარება არ ურჩია და მსოფლიო კლასის ვაშინგტონელმა ავანტიურისტმა „თეთრი მელა“ მკაცრად გააფრთხილა, რომ თუ 2 ნოემბერს საპარლამენტო არჩევნები გაყალბდებოდა, საქართველოში აუცილებლად დაინწყებოდა მღელვარება...

როგორც შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა დაადასტურა, შევარდნაძე არჩევნების შედეგების „გაუპატიურების“ ცდუნებას ვერც 2003 წელს გაექცა, რასაც ის შედეგი მოჰყვა, რომ ეროსი კინმარიშვილმა „რუსთა-ვი-2“ დაქოქა, ხოლო მიშა მერიის სახურავიდან ხუთჯვრიანი დროშით ხელში ძირს ჩამოხტა და დაინყო ის ბაქანალია, რასაც მოგვიანებით „ვარდების რევოლუცია“ დაერქვა...

ავგისტოს ომის შემდეგ მეთიუ ბრაიზა საქართველოდან ისე გაქრა, როგორც თვითმფრინვიდან გადმოსროლილი ფეკალური მასის ნაჭერი, სამაგიეროდ ახლა, როცა მიხეილ სააკაშვილს ოპოზიციამ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა, ბრაი-

ზა სასწრაფოდ თბილისში გაჩნდა და განცხადებაც გააკეთა, — საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნები 2013 წელს ჩატარდებოდა!.. როგორც სააკაშვილს, ისე ბრაიზასაც არ სჯერათ, რომ ეს ასე იქნება, მაგრამ მამლის ყივილისა და გათენებისა არ იყოს, მიშაც და მეთიუც თავისას ამბობენ და სინამდვილეში რა იქნება, ეს უკვე ქართველმა ხალხმა იკითხოს...

ცნობილია, რომ მეთიუ ბრაიზასა და მის თურქ მეუღლეს — ზეინო ბარანს თურქეთში არნახული და ენითაუწერელი ქორნილი მიხეილ სააკაშვილმა გადაუხადა; აქედან გამომდინარე, ბრაიზა არა მარტო სააკაშვილის ამერიკელი უფროსია, არამედ მიშას ბიზნეს-პარტნიორიც...

ჩამოვიდა ბრაიზა, ჩამოიტანა ამერიკიდან კეისრის წითელი წაღები და მთელი ოპოზიციის მტრედის გუნდით აედევნა მეთიუს...

ყველას უნდა კეისრის წითელი წაღების ფეხზე მორგება... ოპოზიციის ძირითადი ნაწილი სასტუმრო „მერიოტში“ ისე ეახლა ბრაიზას, როგორც XIX საუკუნის პარიზში გუვერნანტ ქალებს უნიშნავდნენ საიდუმლო პაემნებს სახლის მეპატრონეები. იჭიკჭიკეს, ილაპარაკეს, ერთმანეთს ნაკბინეს იმის ფიქრსა და ოცნებაში, თუ ვის ჩამოუტანა ბრაიზამ კეისრის წითელი წაღები, მაგრამ, როცა მიხვდნენ, რომ ვერც ბრაიზას მოაქცევდა ოპოზიციის და ვერც ოპოზიციას — ბრაიზა, ერთმანეთს დროებით დაშორდნენ და წავიდნენ-წამოვიდნენ; მაგრამ ისინი აუცილებლად შეხვდებიან ერთერთს...

კეისრის წითელი წაღები პატრონს დღემდე ელის... წაღების ფეხზე წამოსაცმელად ყველაზე მეტად წინო ბურჯანაძეა მონადინებული, მაგრამ პარლამენტის ყოფილ სპიკერს, ისევე როგორც კონკიას ბო-

როტ და ღვარძლიან დებს „ბროლის ქოშში“ ფეხი არ ჩასდის... წაღებს ვერც ირაკლი ალასანია ირგებს, — ძალიან დიდი აქვს... რაც შეეხება შალვა ნათელაშვილს, აშკარად ჩანს, რომ ვაშინგტონში კეისრის წითელი წაღები ნათელაშვილისთვის არ შეუყვრიათ და არც ნათელაშვილი ხლებია ბრაიზას სასტუმროში წაღების მოსაზომებლად...

კეისრის წითელი წაღები ერთია, მაგრამ წაღების ფეხზე თუ თავზე წამოცმის მსურველი — ძალიან ბევრი, რაც ბრაიზას მისიას ძალიან ართულებს... თუმცა, მეთიუს ამოცანა ისედაც გართულებულია, რადგან სააკაშვილის ამერიკელ კურატორს ახლა მხოლოდ პოლიტიკოსებთან კი არა, ვაშინგტონის დავალებით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთანაც უნევს დალაპარაკება...

იანვრის მიწურულსა და თებერვალში ილია მეორე სიკვდილს სასწაულებრივად გადაურჩა, რასაც „ნაცმოძრაობის“ ჯურღმულებში თავიანთი მომავლისა და ბიზნესის გადასარჩენად შეკრებილი ჭინკები დამ-

წუსრებულები და გულშემოყრილები შეხვდნენ...

დღეს ხალხის გამჩერებელი და შემკავებელია ერთადერთი ძალა — პატრიარქი და საქართველოს სამოციქულო ეკლესია!.. ამდენად, გასაკვირი კი არა, ძალიან ლოგიკური იქნება, თუ ვიტყვი და ვივარაუდებთ, რომ მეთიუ ბრაიზა პატრიარქთან ორიდან ერთ-ერთი მისიის აღსასრულებლად მივიდა: ბრაიზას ან მისი უწმინდესობის ფიზიკური ლიკვიდაცა აქვს ბნელი ძალებისგან დავალებული, ანდა მეთიუ პატრიარქს თავისი ინიციატივით დაედრიჯა, — ხალხს 9 აპრილის მიტინგზე არმისვლისკენ მოუწოდებო!

როგორც არ უნდა განვითარდეს პროცესები, რასაც პუტინი სააკაშვილს გაგანია ომის დროს დაპირდა, ის ამბავი, ალბათ, მეთიუ ბრაიზას არ აცდება, — მას ან ქართველი ხალხი ჩამოკიდებს ერთი ადგილით, ანდა ამერიკის ახალი ადმინისტრაცია!..

წითელი წაღები კი... კეისრის წითელი წაღები მხოლოდ კეისრებს ეცვათ.

ლევან ჭარბაძე

თბილისს, უსაკლოა, გაზი შეუნყდას

ქვეყანაში კრიზისი — გინდა პოლიტიკური, გინდა ეკონომიკური, გინდაც ჰუმანიტარული! არჩევანი მართლაც მრავალფეროვანი და გულის გასახეობია.

ახლახან საქართველოს პრეზიდენტმა ფოთის ინდუსტრიული ზონის პრეზენტაციაზე დამსწრე საზოგადოებას აუხსნა, თუ როდის დგება ფართომასშტაბიანი კრიზისი: ეს ხდება მაშინ, როდესაც არ გაიცემა ხელფასები და პენსიები, მოქალაქეებს ფული ვერ შეაქვთ ბანკებში, არ ხორციელდება მშენებლობა და ქალაქი ჩაბნელებულია...

ამას კრიზისი კი არა, მგონი სხვა რაღაც ჰქვია — სადაც არც ფულია, არც სახლები, არც საჭმელი და ირგვლივ სიბნელე დასადგურებული!.. ალბათ, ამას გულისხმობდა ბატონი მიხეილი, როდესაც გაღიმებული სახით „გვანათლებდა“: „ვისაც ჰგონია, რომ ქვეყანა ახლა სერიოზულ ეკონომიკურ კრიზისშია, ცდება“-ო.

ასე ყველა ერთად როგორ „შევიცილოთ“? თუმცა, სადაც აგვისტოში რუსეთთან ომი „მოვიგეთ“, იქ ეკონომიკური კრიზისის „მოლანდება“ რა მოსატანია?!

ყოველი ახალი კვირა ქართულ ბიზნესბაზარზე არასასიამოვნო ამბით იწყება: „მეორადი მობილურების რეალიზაცია 70%-ით შემცირდა“, „პანასონიკი მესამე თვეა მომხმარებელს კარგავს“, „ნატატარის ლიმონათი გაძვირდა“, „კომპაქტ და აუდიო დისკებზე მოთხოვნა 20%-ით შემცირდა“, „პუმას რეალიზაციის მაჩვენებელი 25%-ით შემცირდა“ — ეს, ალბათ, კრიზისის კი არ გულისხმობს, არამედ რაღაც ახალს და დიადს, რომლის შინაარსსაც ჩვენ, უბრალოდ მოკვდავი, ჯერ კიდევ ვერ ჩავწვდით!


კიდევ — „ომექსმა“ საქართველოს საფონდო ბირჟის შესყიდვაზე უარი განაცხადა! რაში სჭირდება „ომექსს“ საქართვე-

ლოს გაძვალტყავებული საფონდო ბირჟა მაშინ, როდესაც ყველა სერიოზული გარიგება ბირჟის გარეთ მიმდინარეობს და თანაც ძალიან საეჭვო და სარფიან ვითარებაში?!

მაგალითისთვის იანვარში მომხდარ გარესაბიჯო ფიქსაციებს მოგიყვანთ: 13-24 იანვარს მოხდა სწორედაც სს „სახალხო ბანკის“ აქციების დიდი რაოდენობის — 69%-ის გასხვისება, სადაც თითო აქციის ღირებულებამ შეადგინა 0,01 ლარი, ნაწილმა კი 0,05 ლარი (ასე იაფად თუ ყიდიდნენ, ნეტავ გვცოდნოდა — ბევრს თუ არა, ათიოდე აქციას მაინც ხომ გავწვდებოდით?!).

ამავე კვირას სს „ბიზნესცენტრი სოფმენის“ აქციების 5,787% 102,228 ლარად გასხვისდა. აქ საუბარია მეტრო „გოცირიძისთან“ მდებარე 16-სართულიანი შენობის ნაწილზე. აქციების ღირებულების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მთლიანად შენობის ფასი 1 766 500 ლარი ყოფილია, რაც, მიუხედავად ყველანაირი კრიზისისა, სრული აბსურდია!

გარესაბიჯო ვაქშანალია ამით არ დამთავრებულა და იანვრის ბოლოს დაიდო გარიგება ფიქსინგი, რომლის მიხედვითაც, სს „საქტრანსპროექტი მწვანე



ოფისის“ აქციების ღირებულების მიხედვით, თურმე თამარ მეფის გამზირზე მდებარე თვრამეტ სართულიანი შენობის და მიმდებარე მიწის ფართობის ფასი 2.575.862 ლარი (შენობის 4,06% „ღირს“ 104,580 ლარი) ყოფილა!

ახლა კი, ალბათ, ყველას გვესმის „ომექსის“! ...მაგრამ არ გვესმის ჩვენი ხელისუფლების, რომელიც ინვესტორების მხრიდან ჩვენი ქვეყნისადმი ინტერესის დაკარგვას აგვისტოს ომით ხსნის!

ისევ სააკაშვილს და მის „ფრთიან“ გამონათქვამებს მინდა მივუბრუნდე. „საქართველომ ეკონომიკური კრიზისის პირობებშიც უნდა მოახერხოს აღმასვლა. მთავრობა ამისთვის არაფერზე დაიხვეს უკანო“, — ბრძანებს პრეზიდენტი. ამაზე მთავრობას ხუთიოდე წლის წინ რომ ეფიქრა, ახლა პატარა საქართველოს დიდი ეკონომიკა ექნებოდა და არც საფრთხის წინაშე აღმოვჩნდებოდით.

ამჯერად კი, ვიდრე „აღმასვლას“ მიჩვეული ხელისუფლება თავის კონცეფციას ჩამოაყალი-

ბებს და სამომავლო გეგმებში გაერკვევა, დასრულდება ეს ეკონომიკურად კრიზისული შოკი და ჩვენც გვემელება!

მანამდე? მანამდე ჩვენი დიდი მეზობელი მსოფლიოს „ზენაციონალური ვალუტის“ შემოღებას სთავაზობს. ეს ისე, უბრალოდ, რეზერვებში რომ შეინახო და აუცილებლობის შემთხვევაში გამოიყენო (მსოფლიომ, რა თქმა უნდა!).

ისე, მსოფლიოზე გამახსენდა: უამრავმა უმდიდრესმა ადამიანმა მილიარდები დაკარგა (ეს „ფორბსმა“ გამოიკვლია და დაადგინა კიდევაც!), მაგრამ მე ის მაინტერესებს, სად წავიდა ეს მილიარდები? აორთქლდა? არადა, ჯერ არც ახალი და უცნობი მილიარდები გამოჩენილან არენაზე.

რა დროს მსოფლიოს მილიარდებია? ისევ ჩვენს საქართველოს და ვარდისფერი სათვალთ მომხიარულ პრეზიდენტს დაუბრუნდეთ, რომელიც სამყაროს, როგორც უმნიკვლო ბავშვი, კვლავაც წითელ-ყვითელი ფერებით აღიქვამს.

სახლობანას მოყვარულმა თბილისიდან სიღნაღში, სიღნაღიდან კი ქუთაისში გადაინაცვლა... ამჯერად იქ ვაშენებთ და ვხსნით ახალ შენობებსაც და დაწესებულებებსაც.

ვინმეს თუ მოგივიდოდათ აზრად, რომ საქართველო მზადაა, „იყოს მაგალითი და ასწავლოს დანარჩენ ევროპას, როგორ განავითაროს თავისი ენერგეტიკა“, — სწორედ ასე განაცხადა ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის შენობის გახსნაზე ბატონმა სააკაშვილმა. აბა, თქვენ რა გგონიათ? სააკაშვილი ასწავლის ევროპას, როგორ უნდა განავითაროს ენერგეტიკა!

ალბათ, სწავლებაში შევა ის ფაქტიც, თუ როგორ დაუნძნა იგივე მარეგულირებელმა კომისიამ „ყაზტრანსგაზს“ სპეციალური მმართველი, რომელიც მანამდე დარჩება თავის ახალ თანამდებობაზე, ვიდრე კომპანია დავალიანებას, 80 მილიონ ლარს არ დაფარავს!

აქედან 68 მილიონი ლარი კომპანიას „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ მართებს. ამან კი, ადვილად შესაძლებელია სულ მალე ქალაქის გაზით მომარაგების შეფერხება გამოიწვიოს.

ევროპელებს ნამდვილად უნდა ვასწავლოთ, თუ როგორ მოახერხებს „ყაზტრანსგაზი“ ასეთი „სუბარული სიტუაციიდან“ მშრალად თავის დაქვრენას — ასეთები ხომ მხოლოდ საქართველოში გვეხერხება?!

ირმა პარსიანაშვილი

რეზიდენტის დაბრუნება

ყოველთვის, როცა საქართველოში ვითარება იძაბება, ამერიკის შეერთებული შტატებიდან ერთი არცთუ მაღალი რანგის სტუმარი ჩამოდის და ინტენსიურ შეხვედრებს მართავს ხელისუფლების და ოპოზიციის წარმომადგენლებთან. ეს მუდამ პირმოხვეული სტუმარი აშშ სახელმწიფოს მდივნის მეორე მოადგილის თანაშემწე მეთიუ ბრაიზაა. ამერიკაში პრეზიდენტთან ერთად შეიცვალა სახელმწიფო მდივანიც, არ შეცვლილა მხოლოდ საქართველოს „ზედამხედველი“ თუ, როგორც ზოგიერთი აცხადებს, ლენგლიდან მოჩენილი რეზიდენტი მეთიუ ბრაიზა.



ვიყვან, ოღონდ შენს ტერიტორიაზე სხვა ქვეყნების ბაზები არ განათავსო. ჩვენ ფეხები გავფშკეტო, — შენ ვინ გეკითხება, ვისი ჯარები იქნება ჩემთან, რასაც მინდა, იმას ვიზამო. ასე მივიღეთ რუსული ტანკები იგოეთში. ახლა პატრიარქის ამ ინიციატივას აშშ-ს სრულიად ეთანხმება, მაგრამ ბრაიზა ისევ რუსეთზე მიგვიანებებს, მისი ფაქტორიც გასათვალისწინებელიაო.

რუსეთის ფაქტორი გასათვალისწინებელი კი არა, გადამწყვეტილია. რომ გვეგონა, ჩვენს ტერიტორიაზე პრობლემებს დასავლეთი მოგვიგვარებდა და ჩვენის არმცოდნეთ, სხვისიც არ გვესმოდა, სწორედ ამიტომ მივიღეთ „აფხაზეთის სახელმწიფო“ და „სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო“.

ქართველებმა რომ ჭკუა ჯერ კიდევ ვერ ვისწავლეთ, ამის ნათელი მაგალითია გრიგოლ ვაშაძის — რუსეთის მოქალაქე ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრის და მეთიუ ბრაიზას შეხვედრაზე გამოთქმული მოსაზრება. ეს აზრი მინისტრ ვაშაძეს რეზიდენტ ბრაიზას საამებლად დასცდა. დღევანდელ ვითარებაში მინისტრი იმაზე უნდა ფიქრობდეს, ამერიკული სამხედრო ბაზები სად განათავსონ? ამგვარი უაზრობის მოსმენის შემდეგ ბრაიზამ ყველა კბილი უჩვენა გულუბნე მინისტრს და სწორედ ასეთი შეფასება მისცა რეალობასამონყვეტილი მინისტრის წინადადებას — „გულუბნი“.

უფრო მეტიც, ბრაიზა ამ დამციხავი შეფასების მერე აცხადებს, რომ

აგვისტოს შემდეგ აუცილებელი გახდება, ქვეყანამ თავდაცვის ახალი დოქტრინით იმუშაოს. და ამერიკა მზად არის, ამის ხელახლა გააზრებაში დაგვეხმაროს. გამდლობთ. არ გვინდა, ისედაც ყელამდე ვართ თქვენი პატივისცემით. რაც თქვენმა ერთხელ დახმარებამ და თავდაცვის დოქტრინის გააზრებამ გვიჩვენა, ჯერ ის არ მოგვიწოდებია და ხელახლა რომ გავგაზრებინებო, ის რას მოგვიწვევს, ერთმა ღმერთმა იცის.

მაგრამ, ვის უნდა დაეხმაროს ამერიკელები თავდაცვის ახალი დოქტრინის შემუშავებასა და გააზრებაში?

როგორც იქნა, აშშ-შიც მიხვდნენ, რომ რეპუტაციამეზობელ ხელისუფლებასთან საუბარს აზრი არა აქვს, ყველაფერზე ნამსვლელი ოპოზიცია ისედაც ჯიბეში უზით და ერთადერთი პიროვნება, ვისი ავტორიტეტიც ამ რთულ ვითარებაში მათი პოლიტიკის განვითარებას ნაადგვება, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქია. პირმოხვეული რეზიდენტიც ეახლა ილია მეორეს და ცდილობს მისი მოსაზრებით ისევე უკლიანტოს. ისე, დიპლომატია ცოტა სპეკულაციაც არის თერთი ხელთათმანებით, პოლიტიკური ინტერესების სპეკულაციაც.

ზედამხედველ-რეზიდენტიც პატრიარქთან შეხვედრას და საუბრის თემას ოსტატურად იყენებს რუსეთისა და, თქვენ წარმოიდგინეთ, მიხეილ სააკაშვილის სანინალმდეგოდაც.

აი, მოუსმინეთ: „გასათვალისწინებელია, როგორ შევძლებთ მშვიდობიანი ზონის შექმნას, თუ რუსეთს არ სურს სააკაშვილის, როგორც სრულუფლებიანი პრეზიდენტის აღიარება... სააკაშვილი საქართველოს პრეზიდენტიცაა. თუ როგორ აფასებს პრეზიდენტს ქართველი ხალხი, ეს რუსეთის საქმე არ არის. თუ რუსეთს მშვიდობის ჩამოყალიბების პროცესში პარტნიორად დარჩენა სურს, მისი მხრიდან შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა საჭირო“.

ეს ბრაიზას სიტყვებია, უფრო სწორად, — მესიჯები მიშასთვის, ჩვენთვის, რუსეთისთვის!

„9 აპრილის მოლოდინი აჩვენებს, რომ მსწრაფი ტემპით ცვლი-

ლებების სურვილია. თითოეული ქართველის უფლებათა, საკუთარი მოსაზრება კანონის ფარგლებში გამოხატოს. ეს არის დემოკრატია, რომ მთავრობის მიმართ გამოხატონ კრიტიკული აზრი. ძალადობა დემოკრატიის მტერია“, — და მოძღვრა ამერიკის რეზიდენტმა ხელისუფლებაში თუ ოპოზიციაში ჩანერგილი აგენტურა, ანუ მოკლედ და გასაგებად გვითხრა: ჩვენ ვეთანხმებით კავკასიაში მშვიდობიანი ზონის შექმნას, ჩვენ არ მოგვწონს, რომ რუსეთი სააკაშვილს პრეზიდენტად არ ცნობს, მაგრამ ჩვენ უფრო მეტად ის არ მოგვწონს, რომ რუსეთის მიერ სააკაშვილის პრეზიდენტად არცნობა ხელს უშლის კავკასიაში მშვიდობიანი ზონის შექმნას და ამ პროცესში გასათვალისწინებელია რუსეთის ფაქტორი. „ერთი პიროვნების“ მომენტური ხაზგასმით აღინიშნა და ისიც, რომ „ძალადობა დემოკრატიის მტერია“.

მეტი არც არის საჭირო დასკვნის გასაკეთებლად: აშშ-ს ახალმა ადმინისტრაციამ ხელი დაიბანა ბუმის პროექტზე „დემოკრატიის შექმნა“ და საგანგებოდ ჩამოსულმა რეზიდენტმა ნაცნობი „ლამპიონები“ დაიბარა „პოლიტიკურ დეფილზე“.

ვის შეარჩევს რეზიდენტი? ამას სულ მალე გავიგებთ. მაგრამ ერთი რამ ახლავე შეიძლება ითქვას დარწმუნებით: ვისაც „მიუმხრობელი“ აშშ მხარს დაუჭერს, იმისი კანდიდატურა შეთანხმებული იქნება ჩვენს შეზობელთან, რომლის ფაქტორიც ამ შემთხვევაში უცილობლად გასათვალისწინებელია.

ამის შემდეგ ახლადარჩეულ ხელისუფალს რუსეთიც ცნობს სრულუფლებიანი პრეზიდენტად და პატრიარქის ინიციატივასაც, — კავკასიაში მშვიდობიანი ზონის შექმნას, — ნინ აღარაფერი დაუდგება.

იქნებ, ამის შემდეგ მაინც დაგვადგეს საშუალება.

ბრაიზა, ანუ რეზიდენტი კი ცნობილი კინოტეატროლოგისა არ იყოს, საკუთარ სამშობლოში დაბრუნდება. ჰოდა, — თან წაიღოს!..

ბონდო მკინაარაუპილი

ეს ტერმინი სადაო რომ არ გახდეს, აქვე გეტყვი: რეზიდენტი დაზვერვის საიდუმლო რწმუნებულება, რომელიც მოქმედებს რომელიმე სახელმწიფოში ან მის ცალკეულ რეგიონში და მართავს აგენტურული ქსელის მუშაობას. ფაქტია, რომ ჩვენზე მომაგრებული მეთიუ ბრაიზა ან ძალიან ჭკვიანია და საქმეს ზედმინივით კარგად ართმევს თავს, ანდა მასზე ჭკვიანი ვერავინ მონახეს და ისიც ახალი ადმინისტრაციის დავალებით, კვლავაც ამარაგებს ინსტრუქციებით ქართველ „მეგობრებს“ თუ ხელქვეითებს.

ნუ მიაქცევთ ყურადღებას ბრაიზას დაბად რანგს, თვით ლეგენდარულ ალ კაპონესაც კი საეიზიტო ბარათზე მითითებული ჰქონდა, რომ უძრავი ქონების აგენტად მუშაობდა. რამდენი მოძრავი აქცია უძრავად ალ კაპონემ, ყველამ ვიცით. რამდენად იყოჩაღებს „პოლიტიკური გეგმების“ გაცოცხლების და ამოძრავების მიმართულებით, „ზედამხედველი“ ბრაიზა, ამასაც მალე შევიტყობთ.

ჩამოსვლისთანავე მეთიუ ბრაიზას სასტუმროს კარზე ეახლა „ხელქვეით ოპოზიციონერთა“ მთელი ამაღა. უსმენდა კოორდინატორ-ზედამხედველი ხელქვეითთა მოთქმანულენს, — ჩვენი რიგი როდისღა მოვა, მიშა არსად წასვლას არ აპირებს და ჩვენ ასე ქუჩა-ქუჩა ვინანწალოთ? — უსმენდა და გარეგნულად არ იმჩნევდა, მაგრამ გულში ფიქრობდა, — ვაი, თქვენს პატრონს, თქვენ რომ რამის გამკეთებლები იყოთ ამერიკის ჩაურევლად, ქართველი ხალხის გადასახვევტი რომ იყოს არჩევნების ჩატარების თარიღი, მაშ, ჩემთან რას მორბოდით, მიღით და ჩაატარეთო.

მიხვდა ზედამხედველი, რომ უფრო გასაგებად უნდა აეხსნა მათთვისაც და ქართველი ხალხისთვისაც

საც, რასაც გულისხმობდა. ამიტომაც, მოკლედ მოჭრა: „საპრეზიდენტო არჩევნები 2013 წლისთვის არის დაგეგმილი და აშშ-ს ამაში არანაირი წვლილი არ შეუტანია. ჩვენ არ გვაქვს უფლება, განვსაზღვროთ თარიღი. რაც ჩვენ გვაღელვებს, ეს არის დემოკრატიული ინსტიტუტების სიძლიერე საქართველოში. პოლიტიკური მომავალი კი არჩევნების გზით უნდა განისაზღვროს“, — და ყველას მიანიშნა, რომ აშშ-ს ჯერ არ გადაუწყვეტია მიხეილ სააკაშვილის ბედი.

ოპოზიცია კი ბრაიზას შესვლინებს მავედრებელი თვალებით — უფრო გასაგებად გვითხარი, შენი ზეინოს შვიი თვალების კენესამე, თორემ ძალიან დავიბნენი ამ შენი დიპლომატიური აბდაუბლითო.

„ამერიკის შეერთებული შტატები კავკასიაში მშვიდობიანი ზონის შექმნას უჭერს მხარს“, — განაცხადა ბრაიზამ და იქვე დასძინა, რომ ეს იდეა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქთან შეხვედრისას მოისმინა.

„პატრიარქმა ჩემთან შეხვედრაზე გამოთქვა მოსაზრება რუსეთს, სომხეთს, აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის თანამშრომლობით კავკასიაში მშვიდობის ზონის შექმნის თაობაზე. ჩვენ ამ იდეას სრულად ვიზიარებთ. ეს წინადადება სხვაგვარი სულისკვეთების არის. ეს არის სულისკვეთება, რომ ადამიანებმა კავკასიაში იცხოვრონ მშვიდობიანად. ამ მისწრაფებას სრულიად ვეთანხმებით“, — განაცხადა მეთიუ ბრაიზამ და აღნიშნა, რომ ამ პროცესში გასათვალისწინებელია რუსეთის ფაქტორი.

კარგია, თუ ამერიკის რეზიდენტი ოფიციალური ვაშინგტონის პოზიციას ახმოვანებს. რუსეთი თავის დროზე მეტს კი არაფერს ითხოვდა საქართველოსგან. ჩემს ბაზებს გა-

როგორ ავიცილოთ თავიდან ქვეყნის ტოტალური დანაწევრება

ბოლო ხანებში საქართველოში ბევრს ლაპარაკობენ რუსეთის მხრიდან ახალი მოსალოდნელი აგრესიისა და მისი სავარაუდო შედეგების თაობაზე. ნათქვამის დასტურად არცთუ იშვიათად ექსპერტთა შეფასებები მოჰყავთ და სულ უფრო ხშირად ახსენებენ პაველ ფელგენგაუერს, რომელიც მედიის მეშვეობით რუსეთის მზაკვრულ გეგმებს უმხელს საქართველოს. პოლიტოლოგ ალექსანდრე ჭაჭიას თქმით, უმჯობესია, საქართველოს ხელისუფლებამ დრო ფუჭად არ დაკარგოს და რუსეთის აგრესიაზე ლაპარაკის ნაცვლად მის წინაშე წამოჭრილ რეალურ პრობლემებს მიხედოს.

ეს პრობლემები კი მართლაც არსებობს და ჩვენი ქვეყნის შემდგომი დაქუცმაცების სერიოზულ საფრთხეს შეიცავს.

თუმცა, სანამ ამ საკითხის განხილვაზე გადავიდოდეთ, ურიგო არ იქნებოდა, ყურადღება გავგვამახვილებინა იმ გარემოებაზე, რომ უახლოეს ხანებში რუსეთი კუბასა და ნიკარაგუაში სამხედრო-საჰაერო ბაზების განთავსებას აპირებს, რის მეშვეობითაც ჩრდილო ამერიკის სანაპიროების კონტროლებას შეძლებს და ერთგვარად თავის ძალას უჩვენებს აშშ-ის ადმინისტრაციას მდევდევისა და ობამას შეხვედრის

წინ. საგულისხმოა, რომ სამხედრო კონტინგენტი, რომლის განთავსებასაც რუსეთი ნიკარაგუაში აპირებს, თავისი რიცხოვნობით არნახულია საბჭოთა კავშირის დაშლისა და „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ. ეს კი ამერიკისთვის, ალბათ, სერიოზული არგუმენტი იქნება რუსეთთან მოლაპარაკებების წარმოებისას...

ასევე იზრდება სამხედრო კონტინგენტი სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში (ამ დროისათვის იქ ათასამდე ჯარისკაცია), რაც რუსი პოლიტოლოგების აზრით, ერთადერთი საშუალებაა ამ რესპუბლიკების დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად.

ამგვარად, განსაკუთრებით ყურადღებას ალექსანდრე ჭაჭიას განცხადებები იმის თაობაზე, რომ აუცილებელია საქართველოს ხელისუფლების კონსტრუქციული დიალოგი რუსეთის ხელმძღვანელობასთან, რათა თავიდან ავიცილოთ ქვეყნის ტოტალური დანაწევრება. საიდუმლოს აღარ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ თურქეთს თვალის უჭირავს აჭარაზე, სომხეთს — ჯავახეთზე, ხოლო აზერბაიჯანელები საქართველოს კონფედერაციის შექმნასა და აზერბაიჯანული ენის მეორე სახელმწიფო ენად გამოცხადებას მოითხოვენ. საგარეოდ, — მიანიშნა პოლიტოლოგ ალექსანდრე ჭაჭიას, — თუკი თურქეთი შეძლებს თავისი პროტექტორატის ქვეშ აჭარის მოქცევას, ის მხარს დაუჭერს აზერბაიჯანის მოთხოვნებსაც, რაც საქართველოსთვის ერთობ ცუდი შედეგით დასრულდება. ამერიკას კი ბევრად უფრო მნიშვნელოვანი საკითხები აქვს რუსეთთან მოსაგვარებელი, ვიდ-

რე ეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემაა.

რაც შეეხება საქართველოს ხელისუფლების რუსოფობიულ ისტერიას, ალექსანდრე ჭაჭია არ გამოირიცხავს, რომ ეს პიარკამპანია ემსახურებოდეს ერთადერთ მიზანს — ამ ხელისუფლებამ მოიპოვოს, რუსული ჯარების და არა საკუთარი მოსახლეობის მიერ, ქვეყნიდან ძალად გადებულისა და წამებულის სტატუსი. ოღონდ როგორ წაადგება ეს სტატუსი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასა თუ დაცვას, ფრიად ბუნდოვანია.

დღეს ამერიკას არ სცხელა საქართველოსთვის. მას ირანისა და ავღანეთის პრობლემები აქვს გადასაჭრელი. შესაბამისად, რუსეთთან გაცხარებულ ვაჭრობას გამართავს და შესაძლოა, საქართველოს ფაქტორი ამ ალბ-მიცემობაში ერთგვარ არგუმენტად გამოიყენოს.

საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ პოლიტოლოგმა ალექსანდრე ჭაჭიამ უწინაც სანდო პროგნოზები

გააკეთა რუსეთთან მიმართებაში. მაგალითად, ის აფრთხილებდა საქართველოს ხელისუფლებას, რომ არ შეიძლებოდა სამხედრო ძალის შეყვანა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, რადგან შედეგად ამ ტერიტორიებს დაეკარგავდით, ასაბუთებდა, რომ, აუცილებელი იყო რუსეთთან სასწრაფოდ მოლაპარაკების გამართვა, რათა მას არ ელიარებინა ამ რესპუბლიკების დამოუკიდებლობა. სამწუხაროდ, მისი ხმა უდაბნოს შინა მლაღადების ხმად დარჩა!

ახლა ჩვენ ისევ ვკარგავთ ტერიტორიებს და ეს მით უფრო რეალურია, რომ საქართველოს ხელისუფლება სირაქლემას პოზაში გარინდულა და საკუთარი იმიჯისა და ძალაუფლების შენარჩუნების გარდა არაფერი ადარდებს!

იმიტომ, რომ ეს ეროვნული ხელისუფლება არ არის!

იმიტომ, რომ ეს ომნაგებული ხელისუფლებაა!

იმიტომ, რომ...
გიორგი გივიზარია

სარკინი ბალაუნისათვის მოსკოვი ყველა კარი ღიაა

მოსკოვში ვიზიტისას სერგეი ბალაუნამ განაცხადა, რომ რუსეთ-აფხაზეთის ყველა გათვალისწინებული პროექტი ძალაში რჩება. მაგალითად, აფხაზეთში, როგორც ადრე იყო გამოცხადებული, იქნება ერთი სამხედრო ბაზა გუდაუთაში სერიოზული საავიაციო კომპონენტით. განსაკუთრებული დანახარჯები არ არის მოსალოდნელი, ვინაიდან საბჭოთა პერიოდშიდან არსებობს საჭირო ინფრასტრუქტურა, საჭიროა მისი მხოლოდ შერემონტება.

რაც შეეხება სამხედრო-საზღვაო ბაზას ოჩამჩირეში, იგი ფუნქციონირებადა საბჭოთა პერიოდში, და ყველა საჭირო სათავსო, მათ შორის, საცხოვრებელიც მოსამსახურეებისათვის, ითხოვს მხოლოდ მცირეხარჯიან რემონტს. „და მაინც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ ამ ბაზაზე არ არის გათვალისწინებული ორმოცდაათი გემის დისლოკაცია. საქმე ეხება რამდენიმე საბრძოლო ერთეულს, რომლებმაც უნდა იმოქმედონ აფხაზეთის საქართველოსთან საზღვრის აკვადრირებაში“, – განაცხადა სერგეი ბალაუნამ. მისი სიტყვებით, მოსკოვთან ხელი მოეწერა შეთანხმებას იმის შესახებ, რომ რუსეთის ბაზები აფხაზეთში იქნება 49 წლის განმავლობაში, სამხედრო მოსამსახურეთა საერთო რაოდენობა კი – 3800.

სამხედრო თანამშრომლობაში ცალკეა „სასაზღვრო მუხლი“. როგორც აფხაზეთის პრეზიდენტმა თქვა, საზღვრების დაცვა, უშიშროებასა და იკულისხმება საქართველო-აფხაზეთის საზღვარი, განხორციელდება ერთობლივი ძალისხმევით და გათვალისწინებულია, რომ სოხუმი ამ მიზნებისათვის გამოყოფს დაახლოებით 300 სამხედრო მოსამსახურეს. რუსეთის მხრიდან ციფრი დაზუსტდება. ამჟამად კი საქართველო-აფხაზეთის მიმართულია დინარეობს გამაგრებითი სამუშაოები, რომელთა დიდი ნაწილი პრაქტიკულად დამთავრებულია.

სოხუმი დარწმუნებულია, რომ თბილისი დიდი ხნით დარჩება მთავარ თავისტიკვილად. „ფეიქრობ, რომ სანამ საქართველოში არის სააკაშვილის რეჟიმი, პრობლემები კვლავ იქნება. ამჟამად იქ გააქტიურდა ოპოზიცია, რომელიც მზადაა, გადააყენოს სააკაშვილი, მაგრამ ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული მოლოდინიც არაა. როგორ შემოიღო ვენდო ნინო ბურჯანაძეს, თუ იგი, როცა სპიკერი იყო, გვპირდებოდა, ერთი თავისი შვილი გაეგზავნა ომში სამხრეთ ოსეთში, მეორე კი – აფხაზეთში?“ – განუცხადა ბალაუნამ ჩვენს გაზეთს. აფხაზეთის ლიდერის სიტყვებით, იმისათვის, რომ საქართველოში მოხდეს აზროვნების კარდინალური ცვლილებები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით, საჭიროა დრო და „ჩვენ არ გვინდა ამ პროცესის ფორსირება, ვინაიდან ძალიან ბევრი დაგროვდა ტყვილი და მწუხარება ომადეც და ომის შემდეგაც, და დაუსრულებელი პროვოკაციები, რომლებიც გრძელდება“, – განაცხადა სერგეი ბალაუნამ.

სერგეი ბალაუნის აზრით, სიტუაცია რესპუბლიკაში იქნებოდა გაცილებით უკეთესი, რომ არა საერთაშორისო გაერთიანების მკაცრი ირაციონალური პოზიცია, რომელსაც „სხვა გამოსავალი, უბრალოდ, არ აქვს, თუ არა – ალიაროს აფხაზეთი“.

ბალაუნამ რუსეთთან პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობის სხვა მომენტებთან ერთად ისაუბრა ერთ საინტერესო პროექტზეც, რომელთან დაკავშირებითაც „მან მიმართა რუსეთის უმაღლეს პოლიტიკურ ხელმძღვანელებს“. საკითხი შეეხება საავტომობილო გზას კავკასიის ქედის გავლით.

ნეხაპისიმაია გაზაბატი

როდის ნაპა მიხეილ სააკაშვილი?

საკაშვილი უნდა გადადგეს. პოლიტიკური პარტიები და საზოგადოების დიდი ნაწილი ამაზე შეთანხმდა და მიიჩნევს, რომ ეს არა მხოლოდ საუკეთესო, არამედ ერთადერთი გამოსავალია შექმნილი კრიზისული მდგომარეობიდან. მიჩნეულია, რომ პოლიტიკური კრიზისი 9 აპრილის გრანდიოზული აქციით და კონფლიქტის საბოლოო გადაწყვეტით უნდა დაგვირგვინდეს. ამ მოსაზრების დამკვიდრებაში მნიშვნელოვანი წვლილი თავად ხელისუფლებას მიუძღვის. ის და მისი მედიასაშუალებები წარმოაჩინენ მომავალ 9 აპრილს, როგორც დიდი პროვოკაციის დღეს, ყოფნა-არყოფნის მიჯნას, ერთგვარ ეროვნულ აპოკალიფსს. საიდან ამდენი დრამატიზმი? ისე, თუ თავს გადავავლებთ მოვლენებს 2007 წლის შემოდგომიდან დღემდე, დავინახავთ, რომ მათ წარმართვას არასასურველი სცენარით ხელი შეუწყო პანიკამ ხელისუფლების შიგნით.

შივი შივის ნილ

ძალიან მძიმეა, უყურო პანიკაში ჩავარდნილ ახალგაზრდა მამაკაცებს, ხელისუფლებაში იქნებიან თუ საფეხბურთო მოედანზე. კოლექტიური პანიკა სოციალურ ფსიქოლოგიაში კარგად შესწავლილი ფენომენია. მის დაწყებას ორი ფაქტორი განაპირობებს: ა) ნინმსწრები მოვლენა, რომელიც აღიქმება, როგორც სასიკვდილო საფრთხე; ბ) ხანგრძლივი შფოთვა მოლოდინის და გაურკვეველი მდგომარეობის პირობებში, რომელსაც მოაქვს ნერვული გამოფიტვა და ყურადღების ფიქსირება ერთ ნერვულზე (ამ შემთხვევაში, 9 აპრილზე). კოლექტიური პანიკის დასაწყებად ერთი ფაქტორიც კმარა, თუმცა დროის მონაკვეთი 2008 წლის აგვისტოდან 2009 წლის აპრილამდე ორივეს შეიცავს.

რა ემართება პანიკით შეპყრობილ ადამიანთა ჯგუფს?

1) შიში აიძულებს, აღიქვან სიტუაცია როგორც გამოუვალა;

2) ისინი იბნევიან და ქოტურად ცდილობენ, ახსნა მოუქებნონ მათ გარშემო მიმდინარე მოვლენებს. ამ ეტაპზე ჩნდება პირადი დაუცველობის მძაფრი განცდა, შესტები და საუბარი უცნაურად იცვლება;

3) შიში სულ უფრო მძლავრი ხდება ცირკულარული რეაქციის გამო, როდესაც ჯგუფში მყოფი ადამიანები შიშს ერთგვარად ერთმანეთს ვადასცემენ. ეს მზარდი შიში კი სწრაფად აქვეითებს იმის რწმენას, რომ კოლექტიური ძალისხმევით შეიძლება საფრთხე აირიდო. იწყება ხელმოსაჭიდი ხავსის ძიება. ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია, ადამიანი თუნდაც ილუზორულად გამოსავალს ხედავდეს, რადგან კუთხეში მიმწყვედული (კუთხე მხოლოდ მის წარმოსახვაში არსებობს) ფრიალ აგრესიული ხდება;

4) იწყება სიტუაციიდან თავის დაღწევის, გაქცევის ეტაპი, როდესაც ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად მოქმედებენ. ეს პანიკის აპოთეოზია;

5) პანიკა სრულდება ამა თუ იმ ინდივიდისთვის მაშინ, როდესაც რწმუნდება, რომ პირადად მას საფრთხე აღარ ემუქრება.

ყოველივე ჩამოთვლილის გამოვლინება ჩვენ უკვე უხვად


ენახეთ და ახლაც ვხედავთ. ისე, გადაწყვეტ მომენტში დაწყებულმა პანიკამ, მცდარ გადაწყვეტილებამდე მიიყვანა და დაღუპა არაერთი ადგილობრივზე გაცილებით ძლიერი და ჭკვიანი რეჟიმი. სინამდვილეში გარკვეული საფრთხე, ისიც არასასიკვდილო, ხელისუფლებაში მყოფ მხოლოდ რამდენიმე ადამიანს ემუქრება. ერთადერთი შემთხვევა კი, რომელიც ცალკე განხილვას საჭიროებს, მიხეილ სააკაშვილს ეხება. თუმცა საფრთხე მას, სავარაუდოდ, ემუქრება არა იმ ადამიანებისაგან, ვინც 9 აპრილს ქუჩაში გამოვა, არამედ მათგან, ვინც დღეს თითქოსდა მის მხარეზეა და აი, ამ ნუთს, შესაძლოა, მასთან ერთად მაგიდას უსხედან.

შენც, ბრუტუს?!

მიხეილ სააკაშვილი ყველაფერთან ერთად საკმაოდ ინფორმირებული ადამიანია, „მონმე №1“. მთავარი ის არაა, რომ მან იცის ხელისუფლებაში ვინ რამდენი მოიპარა, სად წაიდა და კიდევ რა ჩაიდინა. ადამიანები, რომელთაც ამის გახმაურების ეშინიათ, ამჟამად ზემოთაღწერილ პანიკაში რომც არ იმყოფებოდნენ, თვითორგანიზება რაიმე სერიოზულის განსახორციელებლად არ შეუძლიათ (ერთი-ორის გამოკლებით). გაცილებით საშიშია მეორე ჯგუფი, რომელშიც სავარაუდოდ, ქვეყნის გარეთ მყოფი გავლენიანი პირები შედიან, ისინი, ვისაც ბოლო წლებში განმავლობაში საქმე ჰქონდათ სააკაშვილთან ამა თუ იმ ორაზროვანი (მოდიოთ, ასე ვთქვათ) პროექტის ფარგლებში, რომელთა გამომხუტრება დიდ რეზონანსს გამოიწვევს.

მძიმე სიტუაციაში ჩავარდნილი მიხეილ სააკაშვილი რომ ალაპარაკდეს, შეიძლება გამჟღავნდეს ბევრი უსიამოვნო ფაქტი იმ პირებისთვის, რომლებიც, ასე თუ ისე, დღესაც იკავებენ სერიოზულ პოზიციებს უცხო ქვეყნების ისტებლიშმენტში. მნიშვნელობა არ ექნება იმას, სააკაშვილი სიმართლეს ილაპარაკებს თუ არა. თავად მისი სტატუსი ბოლო ხუთწლებში ნონას შესძენს მის ჩვენებას. ხოლო მყარი განრწმობა იმისა, რომ გადაყენების შემდეგ იგი არ ალაპარაკდება, არ არსებობს, სააკაშვილი შევარდნაძე არ არის.

ამგვარად, არსებობს ადამი-



იმპერატორი მარკუს აურელიუს ანტონინუსი პელიოგაბალუსი კი ერთობოდა: მაღალ თანამდებობებზე ნიშნავდა მსახიობებს, მსახურებს და ყოფილ მონებს, ღრეობდა...

ანთა ორი ჯგუფი, რომელთაც ურჩევნიათ, რომ სააკაშვილი თანამდებობიდან წასვლის შემდეგ გარანტირებულად დადუმდეს. იდეალური სიტუაცია ამისათვის სასახლის (თუ სადაც იქნება) შტურმია, რომელიც შეიძლება მოჰყვეს დემონსტრანტების წინააღმდეგ ძალის პროვოკაციულ გამოყენებას და შემდგომ აჯანყებას. ამგვარად, მეორე ჯგუფი უკვე თავს, პირველი უზრუნველყოფს, ხოლო ასრულდეს... ისე, რა მნიშვნელობა აქვს, კონკრეტულად ვინ შეასრულდეს?

ბუნებრივია, ერთი ადამიანის გამო მსგავს ფეიერვერკს არავინ მოაწყობს, მაგრამ ამ საბედისწერო სცენარს, რომლის განხორციელება არანაირად არ აწყობს არც სააკაშვილს, არც ოპოზიციას, მეორე მხარეც აქვს. თუ იგი განხორციელდა, ოპოზიციის, აიკიდებს შეწყვეტილი ლეგიტიმურობის (თუ ხელისუფლების გადაცემას ამჟამინდელი პარლამენტიც არ უზრუნველყოფს) და სისხლიანი გადატრიალების ტვირთს. ამგვარად, ახალი ხელისუფლება იძულებული გახდება, აიღოს სერიოზული ვალდებულებები იმ ძალების წინაშე, რომელთაც შეეძლება საერთაშორისო არენაზე მისი მდგომარეობის გაუმჯობესება, კრედიტების გამოყოფისთვის ხელის შეწყობა და ა.შ. მეცამე სამყაროში არა ერთგზის აპრობირებული სცენარია.

ალბათ, მიხეილ სააკაშვილი უნდა შევიდეს მოლაპარაკებებში ოპოზიციასთან და რეალური დათმობების სანაცვლოდ რეალური გარანტიები მიიღოს; რაც მთავარია, ნაკლებად მოუშინოს იმ ადამიანებს, რომლებიც ურჩევენ ძალის გამოყენებას მშვიდობიანი დემონსტრანტების დასამლეულად, რადგან განხილული სავარაუდო სცენარი ნებისმიერ შემთხვევაში მის წინააღმდეგ ამუშავდება.

ხელისუფლების ერთგულმა ძალებმა (მათ რიგებში დაუდასტურებელი ინფორმაციით ჩუმი და უხილავი, მაგრამ ძალიან სწრაფი რღვევა მომდინარეობს) რომც შეძლონ დედაქალაქის გაკონტროლება და მიტინგის დარბევის შედეგად აჯანყებულთა დახვეწა-დაპატიმრება, ეს მხოლოდ განელავს აგონიას, თუმცა საქართველოს ძალიან ძვირი დაუჯდება. თეთრ სახლს ბოლო ორი წელია, ისე-

დაც უმძიმს საქრთველოს ხელისუფლების მხარდაჭერა და მისი დემოკრატიულად წარმოჩენა. თუ 9 აპრილს მშვიდობიანი მომიტინგეების წინააღმდეგ ძალას გამოიყენებენ, მდგომარეობა უკიდურესად გართულდება.

დედაქალაქის ძალისმიერ გაკონტროლებას ხელისუფლებას მხრიდან ძალიან დიდი ალბათობით მოჰყვება პარტიზანული მოძრაობის დაწყება, რადგან ბევრი ადამიანისთვის სხვა არჩევანი აღარ დარჩება. იდეალურ ბუნებრივ პირობებს შეგვიძლია მივამატოთ ე.წ. შეიარაღებისაგან თავისუფალი, პრაქტიკულად უკონტროლო ზონები კონფლიქტურ რეგიონებთან ახლოს, სადაც იოლად გადაიკარგებიან პარტიზანები, ხოლო ხელისუფლების ძალებს იქ შესვლა არ შეეძლება. ეს ზონები ცენტრალური ტრასის, რკინიგზის და ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი ობიექტების ახლოს მდებარეობს, შესაბამისად, ამ ობიექტებზე წარმატებული რეიდებისთვის წინაპირობებიც არსებობს. შეტაკებების დაწყებას საქართველოს რიგ რეგიონებში, ალბათ, მოჰყვება ექსტრემისტების გააქტიურება ჯავახეთში და ახლომდებარე რაიონებში, აქ შეიარაღებული რაზმების რეიდები შეიძლება მილსადენებს დაესაყუროს. მოკლედ, ლიბანი და სალვადორი ერთ შეფუთვაში. რაში სჭირდება ეს ვაშინგტონს? ამ პირობებში იგი აღარ უზრუნველყოფს რეჟიმს თბილისში და მალევე დაეშობა.

შვიდი მომავლინებაი შეცდომა

როგორ მივედით ასეთ მდგომარეობამდე? მიზანშეწონილი იქნება, ყველა ის ბრალდება, რომელსაც ხელისუფლებას უყენებენ რამდენიმე პუნქტში გავეართიანოთ:

- 1) ქვეყნის ფაქტობრივი დესუვერენიზაცია, გარემოებისთვის ისეთი გავლენის მინიჭება საქართველოს საშინაო ცხოვრებაზე, რომელიც დაუშვებელია დამოუკიდებელი (თუნდაც მცირე) სახელმწიფოსთვის;
- 2) სახელმწიფოს ნორმალიური, უსაფრთხო ფუნქციონირებისათვის აუცილებელი სისტემების სრული ან ნაწილობრივი მოშლა;

სოსო რობაქიძე:

დაიბახსოვრეთ, სააკაშვილის გარემოსვიდან ზოგს მტკვარში ნახვით დამხრჩვალს, ზოგს კი კოჯრის და წყნეთის ტყეებში – მოკლულს...

ბოლო დღეებში საზოგადოების აღშფოთება სააკაშვილის მორიგე დადამტკიცებელი უპასუხისმგებლო ქმედებამ გამოიწვია. ცნობილი გახდა, რომ პრეზიდენტმა სააკაშვილმა სანდრო გირგვლიანის მკვლელები შეიწყალა და ამ ადამიანებს სასტიკი მკვლელობისთვის მისჯილი ექვსწლიანი პატიმრობის ვადა გაუნახვევრა... ამ ადამიანებმა ანამეს და მოკლეს არა მარტო სანდრო, არამედ ირინა, ჯიმშერი, ეთერი და ლია — მთელი ოჯახი... დიას, დედა, ბაბუა, ბებია და დეიდა სანდროს ტრაგიკულმა სიკვდილმა შეინირა. ასე რომ, როდესაც გირგვლიანის მკვლელებზე ვსაუბრობთ, არ უნდა დავგავიწყდეს, რომ მათ დანაშაულს სანდროს გარდა კიდევ ოთხი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა... ისიც ითქვას, შესაძლოა, ბუტა რობაქიძის მკვლელის შეწყალებასაც მოანეროსო პრეზიდენტმა ხელი... როდესაც სოსო რობაქიძის ინტერვიუს ჩანერაზე შესათანხმებლად დავურეკეთ, გვითხრა, ცოტა ხანში ბუტას საფლავზე ვიქნები და, იქ შევხვედეთ... ეს საუბარი 14 მარტს, დღის სამ საათზე შედგა, შეხვედრა ოთხი საათისათვის დავგეგმეთ...

შეხვედრის ადგილი — ვერის სასაფლაო...

— ბატონო სოსო, ყოველდღე დადიხართ ვაჟის საფლავზე?

— ყოველდღე? ორჯერ და სამჯერაც, მაგრამ ძირითადად ღამით, მარტო ამოვდივარ... ვესაუბრები ხოლმე და, თუ ვინმე მახლავს, მერიდება... ღამის სამოთხე საათამდე ვრჩები... მე და ბუტა კარგი მეგობრები ვიყავით. იმ ავადსახსენებელ ღამეს რომ არ დამირეკა, მივხვდი, რომ რაღაც უბედურება ხდებოდა ჩემს თავს. სხვათაშორის, ბუტას მობილურიც დამეკარგა, ძენკვიც და ჯვარიც...

როდის დაკარგეთ?

— რომ მოკლეს, იმ საღამოს... ან პოლიციამ გამიძარცვა დახვრეტილი შვილი, ან მორგში დაიკარგებოდა. მერე ისეთივე ჯვარი და ძენკვი ვიყიდე და ჩავატანე. ხედავთ, პატარა ჯვარი გავაკეთებინე საფლავზე დასადებად და ერთი საფლავზე გავაკეთეთ, ჩემმა დამაც უყვიდა ჯვარი და ისიც ჩავატანეთ... ორმოცი რომ გავიდა, დამეხიზმრა და ვკითხე, როგორ ხარ-მეთქი? მიპასუხა, ოთხი ჯვარი მიფარავს და ცუდად როგორ ვიქნებიო?

ხშირად გესიზმრებთ?

— ხშირად არა, მაგრამ ყოველთვის პატარა ბუტა მესიზმრება. სამი დღის წინაც მესიზმრა, სამიწლიად მოწყენილი იყო... ვიცოდი, რომ გარდაცვლილი იყო, მაგრამ იმდენად ცხადად ვხედავდი, ვიფიქრე, ეს ამდენი უბედურება სიზმარში ხომ არ დამემართა და ცოცხალი ხომ არ არის-მეთქი?! ადრე რომ მესიზმრებოდა, ახლოს არ მიშვებდა, მაგრამ იმ საღამოს მოფერების უფლებაც კი მომცა... ზუსტად იმ ადგილას მოვკიდე ხელი, სადაც ტყვიან აქვს მოხვედრილი. პერანგი რომ გადავუწიე, დაღურჯებული ჰქონდა ის ადგილი, ვკითხე, გტკივა-მეთქი და მოწყენილმა მიპასუხა, მტკიავო... მერე გავცინა... მივხვდი, რომ მცილდებოდა, ვუთხარი, არ ნახვიდე, ერთხელ დაგკარგე და მეორედ შენს დაკარგვას ველარ გადავიტან, ნუ გარბიხარ, ძალიან გთხოვ-მეთქი... მაინც მიდიოდა...

თურმე მეც მივხვდი, ავმდგარვარ ლოგინიდან და, კარს რომ დავეჯახე, მერე მოვედი აზრზე... ერთი კი მივაძახე, მალე გნახავ-მეთქი და მიპასუხა, კი, მალე მნახავო... ეს უსუსტად სამი დღის წინ მოხდა...

„სანდრო რომ არ მოკლათ, დღეს არც დონაძე, არც მიქაძე ცოცხალი აღარ იქნებოდნენ“

— თქვენი აზრით, რისთვის მოკლეს ბუტა?

— ბუტა ამ ხელისუფლების პირველი მსხვერპლია, მერე იყო სანდრო, ვაზაგაშვილი, ფხაკაძე, გამცემლიძე... 70 კაცი ჰყავთ ანალოგიურ ვითარებაში დახვრეტილი, მაგრამ ყველამ ვერ შეძლო თავისი ტყვიანი საზოგადოებამდე მიეტანა. ბუტა რომ მოკლეს, ცხრა თვე საერთოდ არავის არ ვეკონტაქტებოდი. „იმედი“ სამჯერ იყო ჩემთან მოსული და სამივეჯერ უარით გავისტუმრე... მერე სანდრო მოკლეს, მივედი ირინასთან და მივუსამძიმრე... სხვათაშორის, სანდრო და ბუტა მეზობლები იყვნენ, კეკელიძის 19 ნომერში სანდრო ცხოვრობდა, 21 ნომერში — ბუტა. ირინამ მითხრა, ხმა ამოვიღო, იქნებ სხვისი შვილები მაინც გადავარჩინოთო, თორემ მე სულ სხვა ვანწყობა მქონდა.

შურისძიებაზე ფიქრობდით?

— დიას, შურისძიებაზე ფიქრობდი! სანდრო რომ არ მოეკლათ და ირინას სურვილი არ ყოფილიყო, რომ ჯერ სამართლებრივად გვებრძოლა, დღეს არც დონაძე, არც მიქაძე და კიდევ სამი-ოთხი კაცი ცოცხალი აღარ იქნებოდნენ! მე, ალბათ, ცინებში ვიქნებოდი, მაგრამ ეს ადამიანებიც ცოცხლები აღარ იქნებოდნენ! ეს საკითხი დღის წესრიგიდან არც ახლავს მოხსნილი, თუმცა ამ ეტაპზე ამის გაკეთება არ შეიძლება. მინდა გითხრა, რომ გურამ გირგვლიანიც ამ აზრზეა... ოთხი წელი მისცეს ბუტას მკვლელს, არც მიკითხავს, იქნებ გარეთაც არის და დარწმუნებული ვარ, ასეც იქნება, ან რამდენიმე თვეში გამოვა. მასაც შეეხ-



დაამეშქრნენ, შენი შვილის საფლავზე დაგაკლავთო...

... თაყაის ქვითინმა საოცრად შესძრა გიორგის გული, ახლა იგიც დააღონა ჭიანჭერის სიკვდილმა...
...ცხედრის წინ იჯდა უსინათლო მამამძუძე და გოდებდა, იგონებდა ჭიანჭერის ბავშვობას, სიყრმეს და სიჩაუქეს. აქებდა მის ტანკენარობას, ცისფერ თვალებს და ლომგულოვნებას.
„ვაჰვუ მესერბუნ, ვაჰვუ მესერბუნ!“
შენ ხარჯიხვი იყავიო, სულო, და ტურებმა როგორ შეგბედესო, შენ მთის მგელი იყავიო და მელიებს რა ხელი ჰქონდათო შენთან? შენ შევარდენი იყავიო და ნუნკალა ყორნებმა როგორ გაბედესო შენი ხელყოფა?
„ვაჰვუ მესერბუნ, ვაჰვუ მესერბუნ!“

კონსტანტინე გამსახურდია
„დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“

ბოლო რაღაც, მაგრამ მე ეს არ მაინტერესებს.

— ბაშალიევილის მიმართ ზედმეტად ლოიალური ხომ არა ხართ?

— თავიდანვე ვუთხარი მოსამართლეს, გაუღეთ კარები და გაუშვიტეთ-მეთქი... რა მნიშვნელობა აქვს სამ წელს მისცემდნენ თუ ოთხს?! ბაშალიევილის დასჯა იმდენად არ მაინტერესებდა, რამდენადაც დონაძის, მიქაძის, ოქრუაშვილის და სხვების... ბანდიტად რომ გამოაცხადეს ბუტა, ამით მეორედ მომიკლეს შვილი! შესაძლოა, ჩემს ნათესავეებსაც კი არ სჯეროდათ, რომ ბანდიტი არ იყო და, არ გამოვრიცხავ, დღესაც არ სჯერა ეს ბევრს. სხვათაშორის, „მეცტრომ“ აჩვენა ბუტაზე ფილმი, სადაც საზოგადოებამ გარკვევით მოისმინა, როგორ ყვირის პატრულის ერთი თანამშრომელი, „სუფთები არიანო“... მერე ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ ყველას დახოცვა უნდოდათ, მაგრამ ბედად მომხდარს ტაქსი შეესწრო. ტაქსის მძღოლი და მგზავრები მანქანიდან გადმოვიდნენ და ამ ბანდიტებს საშუალება აღარ მიეცათ, ჩანაფიქრი ბოლომდე მიეყვა-

წათ... უნდოდათ ეთქვათ, რომ ხუთკაციანი ბანდა გაანადგურეს.

საათნახევარი ბავშვები ასფალტზე ეყარნენ, მერე ჩაუდეს მასკები, იარაღი, ლიმონკები... მაშინ პატრული ახალი შექმნილი იყო და ყველანი არაპროფესიონალები იყვნენ. მაგალითად, გია ჭანტურია, ვინც ამათი მანქანა გააჩერა რესტორან „ელიტა პლიუსში“ მედოლე იყო. მისი ტყუპისცალი დღესაც იქ მუშაობს...

ქილარაპი და ნულოვანი ტოლერანტობა

— იქნებ ეს დანაშაულიც პატრულის არაპროფესიონალიზმის ბრალია?

— გასაგებია, რომ არაპროფესიონალები იყვნენ, მაგრამ ქუჩაში ხალხის დახვრეტას ვერაფერს გაბედავდა, სააკაშვილის ნულოვანი ტოლერანტობა რომ არ გამოეცხადებინა. ხელისუფლებამ დაიწყო რეპრესიები და მათთვის მთავარი იყო, შიში დაენერგათ საზოგადოებაში და, რაც უფრო მეტი უდანაშაულო ადამიანი მოეკვებოდა რეპრესიების ტალღაში, მით მეტად დაინერგებოდა შიში. რისთვის მოკლეს სანდრო გირგვლიანი?! ერთი



სიტყვა არ აპატივს და ეს უნდა გამხდარიყო მაგალითი იმისა, რომ ვერასდროს ვერავის ვერ შეებრუნებინა სიტყვა თანამდებობის პირისათვის. XXI საუკუნეში ამ ავადმყოფი კაცის სულელურ რეპრესიებს შეენივნენ ეს პატარა ბიჭები და ამ დროს, დასაჭერთა მთელი არმია გვერდით ჰყავს. მერნმუნეთ, ისინიც ძალიან მალე აგებენ პასუხს ყველა ბოროტებისთვის. მიშა პრეზიდენტია და შეიძლება ვილაცამ ხელშეუხებლობის გარანტია მისცეს, მაგრამ ახალგაზრდა კაცია და რამდენი ხანი ექნება მას ხელშეუხებლობის გარანტია?! ძალიან დიდი დრო აქვს იმისთვის, რომ ამდენი ბოროტება არ შერჩეს. დაიმახსოვრეთ, სააკაშვილის გარემოცვიდან ზოგს მტკვარში ნახვით დამხრჩვალს, ზოგს კი კოჯრის და წყნეთის ტყეებში — მოკლულს. სამი წლის განმავლობაში მინიმუმ 50-60 კაცის ამგვარი სიკვდილის შესახებ შეიტყობს საზოგადოება.
— სანდრო გირგვლიანის მკვლელების შეწყალების შესახებ რომ შეიტყვეთ, როგორი რეაქცია გქონდათ?
— ღამის გავიგე... სხვათაშორის, ამ ამბავს ცოტა ადრე მოვკარი ყური და ვუთხარი კიდევ არასამთავრობო ორგანიზაციებს და პოლიტიკურ პარტიებს, მაგრამ მაშინ ეს არ მტკიც-

საქართველო

ბსშრთ, გაზვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვიკავშირეთ: #2-#7-58, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

დებოდა. ბუტას გეფიცებით, ვიცოდი, რომ ეს დოკუმენტი გამზადებული იყო და უნდა შეეტანათ სააკაშვილისთვის ხელის მოსაწერად. ტყუილია, რომ, თურმე სააკაშვილმა არ იცოდა, ვის შეწყალებას ანერდა ხელს. მე ისიც ვიცი, რომ სააკაშვილმა ძალიან დიდხანს იფიქრა, მოენერა თუ არა ამ სისისთვის ხელი და მან ეს შეგნებულად გააკეთა. სააკაშვილმა სანდრო გირგვლიანის მკვლელები შეგნებულად შეიწყალა და დარწმუნებული ვარ, 9 აპრილამდე გამოუშვებს კიდევ ყველა მათგანს.

— 9 აპრილამდე რატომ?

— ახლა ქილაკები და ზონდარკაპანდები სჭირდება. მივა თუ დარწმუნდება, რომ მისი ნასვლა გარდაუვალია, ნახვით, რამდენი კასის სიკვდილის განაჩენს მოაწერს ხელს. თუ მიხვდა, რომ ილუპავა, სხვასაც გავრცავს დაღუპვას.

არ გამოვრიცხავ, რომ ჩემნაირი ადამიანებიც წაიყოლოს, ვინც ძალიან ეჩხირება ყელში... დარწმუნებული ვარ, არც ირინა ენუქიძე მოკვდა თავისი სიკვდილით!.. ირინა ამ ხელისუფლებამ მოკლა!

„მე, სოსო რობაქიძე ვაცხადებ...“

— ჩემი კითხვა უპასუხოდ დატოვებ. თქვენი აზრით, რატომ მოკლეს ეს ახლგაზრდა ბიჭები, მათ ხომ პოლიტიკასთან საერთო არაფერი ჰქონდათ?

— რისთვის ანამეს სანდრო, იმის გამო, რომ დონაძეზე „რადაც“ სიტყვა თქვა?! რაც არის, ის სახელი უნოდა სანდრომ...

— ამ განცხადებას საზოგადოება დონაძისადმი პირად გალიზიანებაში ჩავითვლით...


— პირადი გალიზიანების გამო ნამდვილად არ ვამბობ ამას, თორემ სხვაზეც ბევრზე ვარ გამონათქვამი და სხვაზეც ვიტყობი იგივეს. მე, სოსო რობაქიძე ვაცხადებ და გთხოვთ დაბეჭდოთ: გურამ დონაძე მსუბუქი ყოფაქცევის მამაკაცია! ასეთი ადამიანები, როგორც წესი, ლაჩრები არიან... სხვათაშორის, არანაკლები ლაჩარია სააკაშვილი, აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ის სამხედრო დამნაშავეცაა! დავით აღმაშენებლის საფლავზე რომ დადებ საპრეზიდენტო ფიცს და მერე ორ რეგიონს დაკარგავ, ნამუსი თუ გაქვს, უნდა გადადგე თანამდებობიდან! როგორ შეიძლება პრეზიდენტი და მთავარსარდალი ვუნოდოთ ადამიანს, რომელმაც მუცლით იხობა გორში?! იქ დასრულდა მისი, როგორც უშიშარი პიროვნების, მითი.

— ერთხელ მითხარით, ირინას პირობა მივეცი, სანდროს და ბუტას საქმეზე ერთნაირად ვიბრძოლებო. ახლა, როდესაც სანდროს მკვლელებს სასჯელი გაუნახვერეს, რას აპირებთ?

— მე არც გაეჩერებულვარ და არც გაეჩერდები! რომ ვთქვა, იარაღს ავიღებ ხელში-მეთქი, დღეს ეს არ იქნება სწორი გადაწყვეტილება, თუმცა უკან არაფერზე დავიხებ და ბოლომდე ვიბრძოლებ! ახლა არასამთავრობო ორგანიზაციას ვქმნით მე და იურა ვაზაგაშვილი, გურამ გირგვლიანიც ჩვენთან იქნება,

შედეგ ბუკჯანაძე რომ თქვა, ეს ჩვენი ერთობლივად გადაწყვეტილია.

ეს სიტყვები ან თავად მას რატომ ავინყებდა? როგორ შეიძლება ბურჯანაძე გახდეს პრეზიდენტი?! თუ ეს მინც მოხდება, მე ამას დავარქმევ მეორედ მოსვლას! მაშინ გამოდის, რომ ეს საზოგადოება ყველაფერს ღირსია. ნინო ბურჯანაძე, ყოფილი პრემიერ-მინისტრი ნოლაიდელი — დაღლილი ვირი, ეროსი კინმა-



ყველა რომ გაჩერდეს და შეეგუოს ამ რეჟიმს, ჩვენ არ გავჩერდებით! არ გავჩერდებით, სანამ ხელისუფლებაში იქნება სააკაშვილი და ჩვენი შვილების მკვლელები არ დაისჯებიან! რაიონ-რაიონ, სოფელ-სოფელ ვიარეთ და გავარკვიეთ, რომ 72 ადამიანი ჰყავს პოლიციას მოკლული... გავადრო და ირინასაირ ადამიანებზე ეკლესიაც თავის სიტყვას იტყვის და ისტორიაც... მან ბევრი ოჯახის შვილი გადაარჩინა...

ბურჯანაძის, ოქრუაშვილის, დაღლილი პირისა და მეორედ მოსვლის შესახებ

— 9 აპრილის აქციაში, ალბათ, მიიღებთ მონაწილეობას...

— რა თქმა უნდა, თუმცა არავის გულისთვის არ გავდივარ ქუჩაში, იმ ხალხის გვერდით მინდა ვიდგე, ვინც ჩემსავით გააუბედურა ამ ხელისუფლებამ. ჯერ-ჯერობით არავინ მეგულება ისეთი, ვინც სააკაშვილს გააგდებს.

— ასეც რომ მოხდეს და ოპოზიციამ სააკაშვილის გადაყენება შეძლოს, თქვენთვის მისაღებაა ბურჯანაძის ან ალასანიას კანდიდატურები? ამ ორ პიროვნებაზე იმიტომ გეკითხებით, რომ სწორედ ისინი მოიაზრებიან საპრეზიდენტო კანდიდატებად...

— ალასანიასზე ვერაფერს ვიტყვი. რაც შეეხება ბურჯანაძეს, 9 აპრილს აქციაზე ვიქნები და ვეცდები ნინო ბურჯანაძე მიტინგზე არ მივუშვა!

არს ხალხმა და არს ოპოზიციამ არ უნდა დაუშვას, რომ ეს ქალბატონი მიტინგზე მოგკანდავს. რატომ ავიწყდება ამ ხალხს, 7 ნოემბერის

რიშვილი და მაგისტრები საზოგადოებამ არ უნდა მიიღოს. ამ ლოგიკით ვაპატიოთ ბურჯანაძეს, ნოლაიდელს, კინმარიშვილს, ოქრუაშვილს, ვაპატიოთ, სააკაშვილსაც, ადგიშვილსაც, მერაბიშვილსაც და სხვებსაც. ოპოზიციის ძლიერი რომ ყოფილიყო, დაახლოებით ერთი წლის წინ გამოვედი და ვთქვი, რომ კაცურად ვაპატიე ოქრუაშვილს ყველაფერი-მეთქი, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავდა, მის გაბელადებას და საპრეზიდენტო არჩევნებში მისი მონაწილეობისათვის ტაშის დაკვრას. ორდღიან წნეხს რომ ვერ გაუძლო, ამაზე აღარაფერს ვამბობ. მერე კიდევ ტელეფონით ელაპარაკებოდა მაგათ, პრემიერ-მინისტრად თუ დამნიშნავთ, მიტინგს დავშლი. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც მე ჩემი ოჯახის წინაშე ჩადენილი დანაშაული ვაპატიე. ამით ოქრუაშვილმა ჩემნაირ ადამიანებს სულში ჩააფურთხა.

— როგორ გეგონიათ, 9 აპრილის შემდეგ ქვეყანაში ვითარება შეიცვლება?

— ჩემი აზრით, ესენი ჯერ კიდევ არ არიან მზად და მოდით, ნუ შევექმნით ილუზიას, რომ რადაც სასწაულს უნდა ველოდოთ... 9 აპრილს მივალ და ყველაზე მეტს მე ვიყვირებ „მიშა ნადის“, მაგრამ... თუ 7 ნოემბერი კვლავ განმეორდება, მაშინ მიშა იქნება 2013 წლამდე და მერეც კარგა ხანს გვეყოლებიან „ახალი მიშები“. როგორ ფიქრობთ, 100 ათასი კაცი ერთი თვე გაძლებს ქუჩაში?! მიშა კი სწორედ ამაზე იმუშავებს. დღეს რომ მკითხვით, თუ ვინ უნდა იყოს პრეზიდენტი, ვერ გიპასუხებთ.

„გონია, კიდეც რომ მაქოლოს შვილი, კიდეც მომიკლავინ“

— ბატონო სოსო, რატომაც ხელისუფლების პოლიტიკა ასეთი აგრესიულია?

— კონტრშეკითხვას დავისვამთ: ბუტას, სანდროს, ვაზაგაშვილის მკვლელები განსაკუთრებულად რომ დასჯილიყვნენ, ასეთ თავგასულობას გაბედვად კიდევ ვინმე?!

ვინც მკვლელები განსაკუთრებულად რომ დასჯილიყვნენ, ასეთ თავგასულობას გაბედვად კიდევ ვინმე?!

ლიტატორია სააკაშვილი და იმიტომაც არის მისი ხელისუფლების პოლიტიკა ასეთი აგრესიული.

იმდენად შეურაცხადი ადამიანია, ამას წინათ წამოროშა, არჩევნები მილიარდნახევარი ჯდებაო. გამოდის, რომ ქვეყნის ბიუჯეტის ნახევარი დაიხარჯა არჩევნებზე, თუმცა ოფიციალურად ეს არსად დაფიქსირებულია. საიდან მოიტანეს ეს ფული?! იქიდან, რომ ბიზნესი ჰყავთ დატერორებული და მერაბიშვილს ნარკოტრასა აქვს გახსნილი! ძალაუფლებურად ალიარა მიშამ, რომ ის არჩეული კი არა, ნაყიდი პრეზიდენტი!

— გურამ გირგვლიანთან ხომ არ გისაუბრიათ მას შემდეგ, რაც სანდროს მკვლელები შეიწყალეს?

— ამ ამბების შემდეგ — არა, რადგან იგი ქალაქში არ იმყოფება, თუმცა ეჭვის დონეზე გურამმა ეს ამბავი იცოდა. ნასვლის წინ ვნახე და ლამის ორ საათამდე ვისაუბრეთ...

— როგორც ვიცი, ავადმყოფობდით. ამჟამად თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობა როგორია?

— ყველა ჯიბეში წამალი მიდევს... როგორც ირინას, პანკრეასის მეც მანუხებს, გული, წნეგები... ამ დროს, არასდროს არაფრის ტკივილს არ შევუწუხებივარ. ჩემი სახლიდან კუს ტბაზე ყოველ დილას აღმართზე ფეხით ავდიოდი, დაღლა, არ ვიცოდი, რა იყო, მაგრამ მე ისეთი ტრაგედია გადავიტანე... ეს იმხელა სტრესია, როცა ერთადერთ შვილს მკვდარს მოგისვენებენ სახლში, რომ იმ დროს ვერც აცნობიერებ მომხდარს... ამაზე საუბარიც არ მინდა... ხალხი ჩემს ასაკში იწყებენ ცხოვრებას, მე კი შავებში გამომანყვეს... 40 წლის ასაკში დამიმთავრეს ცხოვრება. მე ახლა შვილიშვილი უნდა მყავდეს... იმის სურვილიც არ მაქვს, რომ ცხოვრება თავიდან დაიწყო, ვიცი რომ ვერ მოვესწრები... თანაც შიში გამიჩნდა, მგონია, კიდევ რომ მეყოლოს შვილი, კიდევ მომიკლავინ... საშინელი შიშები მაქვს...

— საუბარი რომ დაიწყებთ, მითხარით, საღამომით ამოვდივარ მარტო და ბუტას ვესაუბრები, რას უყვებით?

— ყველაფერს ვუყვები. მაგალითად, ნუხელ მოვუყევი, რომ სანდროს მკვლელები შეიწყალეს. რაც ახალი ხდება ქვეყანაში, ჩვენს ოჯახში, ახლობლებში, მის მეგობრებში, ბუტამ ყველაფერი იცის... სალაპარაკო ძალიან ბევრი გვაქვს და მეც ყოველთვის ვესაუბრები... სხვათაშორის, ღამით ამ სურათებზე მისი სახე ყოველთვის გაბრწყინებული მეჩვენება, თუმცა ეს ფოტოები არც ისეთი

ხარისხიანი გამოვიდა და მინდა გამოვცვალო (ჯიბიდან, ბუტას სტუდბილეთს იღებს და გვაჩვენებს). ხედავთ, აქ რა სხვანაირია?! ასეთი იყო ჩემი ბუტა...

მონოლოგი წინასწარ მოუგონილ საფლავთან...

— ბუტას სტუდბილეთს სულ თან ატარებთ?..

— (დუმს) სხვა რა დამრჩენია... ახლაც ბუტას მისიური მაცვია. ხან ჯემპრს ვიცემე, ხან — შერანგს, ბუტას ტანსაცმელი რომ არ ჩავიცვა, ისე სახლიდან არ გამოვდივარ... აქ ერთი სასწაული მოხდა. ერთ საღამოს მე, ჩემი ძმა და ჩემი მეგობარი ვიყავით ამოსულები, დაახლოებით 4 თვის მომხდარი იყო ჩვენი უბედურება. ღამის ორი საათი იქნებოდა, ჩემი ძმა ეკლესიაში გავიდა, სანთლები დაანთო, როდესაც დაბრუნდა, საფლავზე დაემხო და ბუტას სთხოვა, რაღაც ნიშანი მომეცო, ზუსტად სამ წუთში, მის თავს ვფიცავარ, ორჯერ ნითელი სხივი გამოისახა ცაზე... ახლა ბუტას გვერდზე საფლავი ავიღე... სასაფლაოებად გადამიქცია ამ ხელისუფლებამ ცხოვრება მაშინ, როდესაც ამაზე ფიქრი ჩემთვისაც და ჩემი ოჯახის წევრებისთვისაც ძალიან ნაადრევია. ამას ვფიქრებდი?! ახლა საგვარეულო საფლავი უკვე წინასწარ მაქვს მოზომილი... დარწმუნებული ვარ, ამ საქმეების ხელახალი გამოძიება აუცილებლად მოხდება და დაისჯება ყველა, პროკურორიც, მოსამართლეც და ყველა, ვისაც მონაწილეობა აქვს მიღებული ამ საქმეების გაყალბებაში... როდესაც ადამიანს ფიზიკურად შორდები, ეს, რა თქმა უნდა, ტრაგედიაა, მაგრამ სულაგრად ისე ახლოს არასდროს ვყოფილვარ ბუტასთან, როგორც ახლა... მე ეს ერთი სანთელი მენთო და ასე უმოწყალოდ ჩამიქრეს...

თუ განგება არ ნამიყვანს იმპეყნად, არაპინ არ დარჩება დაუსჯელი არს უფლისგან, არს კანონის ქალით და არს ჩივბან...

ეს იცის ბუტამ და ცოცხალი რომ ვარ, ალბათ, ისევ მისი „დამსახურებაა“, რადგან „რადაც“ მაქვს გასაკეთებელი და ის საქმე უნდა მივიყვანო ბოლომდე, მერე კი ჩემს ცხოვრებას აზრი აღარ ექნება და არც გული არ დამწყდება არაფერზე... გასულ წელს სახლთან დამხვდნენ, ამის შესახებ პოლიციასაც მივმართე, მაგრამ ამას ვინ გამოიძიებდა... მერე ირინას სახლიდან გექონდა ჩართვა „იმედში“. დამირეკეს დაფარული ნომრით და დამემუქრნენ, შენი შვილის საფლავზე დაგაკლავთო... შვილთან პირნათლად უნდა წავიდე, თორემ ჩემთვის სიკვდილი სანატრელია...

ესაუბრა ანანას ჩხიძე

9 აპრილს აქციაზე ვიქნები და ვეცდები ნინო ბურჯანაძე მიტინგზე არ მოვუშვა!

დემურ გიორგენიძე:

ღარიბ-ღატაკ ადამიანებს სახელმწიფოს შენარჩუნება არ შეუძლიათ!

საქართველოში პოლიტიკური კრიზისი ღრმავდება, თუმცა ხელისუფლება კვლავაც ვირტუალური კეთილდღეობის სურათის შექმნით არის დაკავებული. პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მტკიცებით, ყველაზე ცუდი ქვეყანამ უკან მოიტოვა, თუმცა საკითხავია, ამ ოპტიმიზმის გაზიარება შეუძლია კი ქვეყნის მილიონამდე მოქალაქეს, ოფიციალური მონაცემებით, სიღარიბის ზღვარს მიღმა რომ ცხოვრობს. ექსპერტები ქვეყნის ეკონომიკაში მიმდინარე არაჯანსაღ პროცესებზე 2008 წლის აგვისტოს მოვლენებამდე ბევრს ლაპარაკობდნენ, თითქმის მინასთან გასწორებული ეროვნული წარმოება, ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ბიზნესი, ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო პროგრამის არარსებობა, ყველაფერი ეს ქმნიდა ეკონომიკური კრიზისის წინაპირობას, თუმცა ამის დაბალანსება პრივატიზაციის პროცესით და უცხოური ინვესტიციებით ხერხდებოდა. ომბა და მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა საქართველოში ინვესტიციების შემოსვლა უკიდურესად შეამცირა. ვითარება დღითი დღე მძიმდება. ამ საკითხებზე ვსაუბრეთ ექსპერტს ეკონომიკურ საკითხებში, ბატონ ღამბურ გიორგენიძეს:



განსაზღვრავს. ეს ინტერესები სახელმწიფოს შორის ურთიერთხელსაყრელი ურთიერთობებით ხორციელდება. ადრე თუ გვიან ჩვენ აუცილებლად დაგვრუნდებათ ამ ბაზარზე, თუმცა ფაქტია, რომ დაკარგეთ ბევრი დრო და გარკვეულწილად — უკვე დაკავებული ნიშაც.

— საქართველოს ხელისუფლება, ერთი მხრივ, რუსეთს პერმანენტულად აძაგებს, თუმცა ამავე დროულად სწორედ რუსულ კაპიტალზე ყიდის ქვეყნისთვის მნიშვნელოვან ობიექტებს. დღეს ლაპარაკია, რომ „ბორჯომის“ მოპოვების ლიცენზია შესაძლოა, რუსულ კომპანიას გადასცენ. არსებობს მოსაზრება, რომ ამით ქართული ბრენდის რუსულ ბაზარზე დაბრუნებას შეეწყოს ხელი.

— რუსეთი და საქართველო ისტორიულად მეზობელი ქვეყნებია. ამას ვერაფერს შეცვლის, ვერც საქართველო და ვერც რუსეთი ადგილმდებარეობას ვერ შეიცვლიან, ამიტომ მომავალშიც განხორციელდება ვართ მეზობლებისთვის. ის, რომ მეზობელი ქვეყანას მეზობელთან უფრო მეტი ინტერესი აქვს, ვიდრე ქვეყანას ოკეანის გაღმიდან, ეს თავისთავად ნათელია. პრობლემა არ არის, თუ რუსული კაპიტალი შემოდის საქართველოში. ეს კაპიტალი დიდი მასშტაბით სწორედ ამ ხელისუფლებამ შემოუშვა, აბა, რა უნდა ექნათ? ამაში მე უბედურებას ვერ ვხედავ. აქ საკითხი სხვაგვარად დგას, ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა რომელიმე ქვეყნის კაპიტალს არ ჩაუგდოს ხელში მთლიანად სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი სტრატეგიული დარგები. არა აქვს მნიშვნელობა, ეს კაპიტალი რუსული იქნება, ამერიკული თუ ჩინური. იმას, თუ ვინ, სადა რა პროპორციით იქნება წარმოდგენილი, უნდა განსაზღვრავდეს მთავრობა და ხელისუფლება. ამას სჭირდება პროცესების სწორი მართვა და არა ანტირუსული ისტერიის გაჩაღება. ვერაფერი ცვლის ურთიერთსარგებლობის პრინციპზე აგებულ ურთიერთობებს, ამიტომ ის პრიმიტიული ანტირუსული ისტერია, რომელიც საქართველოშია, პირველ რიგში ვნებს ქართულ სახელმწიფოს. რა მოხდა მერე, თუკი „ბორჯომის“ მოპოვების ლიცენზიას რუსულ კომპანიას გადავცემთ? რა, ეს „ბორჯომი“ სადმე სხვაგან ამოხეტიქვს თუ რა? თუ კანონიერი იქნება ამ ბიზნესსტრუქტურის სახელმწიფოსთან ურთიერთობა, თუ გადასახადებს გადაიხდის და ყველაფერთან ერთად „ბორჯომს“ რუსულ ბაზარზეც დააბრუნებს, რა არის ამაში ცუდი?! ხელისუფლებას

ყოველთვის აქვს იმის ბერკეტი, რომ საბოტაჟის შემთხვევაში ნებისმიერი ქვეყნის ბიზნესსტრუქტურის საქმიანობა გააჩეროს. რუსეთს ინტერესები საქართველოს ეკონომიკაში ყოველთვის ექნება, განსაკუთრებით კი — ენერგეტიკაში. ეს ინტერესები შეიძლება სასარგებლოდ აქტივობაში გამოვიყენოთ. ანტიამერიკული, ანტისემიტური თუ ანტირუსული კომპანიები ნორმალური ქვეყნის ნორმებში არ შედის. ჩვენ არ ვართ მოძულე ხალხი. როდესაც ხელისუფლება სპეციალურად აღვივებს ანტირუსულ განწყობებს, ეს ყოველთვის ცუდად უბრუნდება იმ ადამიანებს, როლებიც ცხოვრობენ რუსეთში, არადა, თითქმის ერთი მილიონი ქართველი ცხოვრობს, ამას რატომღაც არ ვითვალისწინებთ. ამ გართულეული ურთიერთობების გამო მოხდა ის, რაც აგვისტოში იყო. შედეგად კი წავაგეთ ჩვენ: დაკარგეთ ტერიტორიები, უზარმაზარი ეკონომიკური ბაზარი, გავიფიქრეთ სახელი მთელ მსოფლიოში. თუ ვინმე ფიქრობს, რომ მოგებული დავრჩით იმით, რაც ბოლო 5 წლის განმავლობაში რუსულ-ქართულ ურთიერთობებში მოხდა, ძალიან ცდება.

— რუსეთმა აღიარა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დამოუკიდებლობა, ამ ქვეყანასთან ურთიერთობების დარეგულირების პერსპექტივა ამ გადასახედთან საკმაოდ შორეულია...

— ეს შეუძლებელია დღეს. ამ დაძაბულ ვითარებაში სააკაშვილის ხელისუფლებას რაიმე რესურსი რუსეთთან ურთიერთობების მოგვარების არ აქვს. რა თქმა უნდა, ასე ვერ გაგრძელდება. ხელისუფლებების ცვლილებასთან ერთად ჩვენი სტრატეგიული პარტნიორებისა და მეგობარი ქვეყნების შუამავლობით ნელ-ნელა დავიწყებთ ურთიერთობების აღდგენას. არ არის აუცილებელი, ჩახუტებულ მეგობრებად ვიქცეთ, მაგრამ ის, რომ მეზობელ ქვეყანასთან ნორმალური და საქმიანი ურთიერთობა უნდა გვქონდეს, პერსპექტივაში გარდაუვალი აუცილებლობაა. ხუთი წლის განმავლობაში საქართველოს ხელისუფლებამ ყველაფერს აკეთებდა გარდა ერთისა — მას არ ჰქონდა სამეზობლო პოლიტიკა არა მარტო რუსეთთან მიმართებაში. ჩვენ არ გვქონდა ნორმალური ურთიერთობები აზერბაიჯანთან, სომხეთთან და თურქეთთანაც. ისე ვიქცეოდით, თითქოს ჯორჯიის შტატი ვართ და არა დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელიც სამხრეთ კავკასიაში მდებარეობს. ამ პოლიტიკის გაგრძელება ქვეყნისთვის დამღუპველია. დამღუპველია იმიტომ, რომ შეუძლებელია, სამეზობლო პოლიტიკა ქვეყნისთვის პრიორიტეტული არ იყოს. ჩვენ რაღაცებისკენ მივისწრაფვით, მაგრამ არა მებრუნებთან ნორმალური ურთიერთობისკენ. ჩვენ დიდი მიზნები გვაქვს, მაგრამ კოსმოპოლიტურ, უაზრო, ირეალურ საკითხებს მოიცავს. არადა, მსოფლიოში იმგვარი ტრადიცია მკვიდრდება, რომ ერთ-ერთი მხარე დაპირისპირებული ქვეყნების თანამშრომლობას იწყებენ. ავიღოთ თუნდაც ამერიკისა და რუსეთის ურთიერთობების ნორმალიზების მცდელობა, საერთო ენა

გამონახეს თურქებმა და სომხებმაც და ა.შ. ჩვენ ვხედავთ ერთ რამეს, გეოპოლიტიკურ რთულ გარემოში ცალმხრივი სახელმწიფო პოლიტიკის წარმოება ყოველთვის ნამგებიანია. როდესაც სახელმწიფოს თავისი მთავარი პრიორიტეტები არჩეული აქვს, არ შეიძლება ამ პრიორიტეტების გარდა სხვა არაფერი გავანტერესებდეს. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მთავარია, ჩვენი მისწრაფებებით საფრთხე არ შევეუქმნათ მეზობელ სახელმწიფოს.

— გულისხმობთ, რომ ნატოსკენ საქართველოს სწრაფვა რუსეთისთვის საფრთხეს წარმოადგენს?

— ნატოში შესვლაზე ჩვენი ხელისუფლება მხოლოდ ლაპარაკობდა. თუ ვინმე მეტყვის, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ყველაფერი გააკეთა, რათა ეს ქვეყანა ნატოს სტანდარტების შესაბამისი ყოფილიყო, მაშინ გავწმენდები. მარტო მიმიღე-მიმიღეს ძახილით არავის უშვებენ ნატოში. ჩვენ ნატოში შესვლა გვინდოდა მხოლოდ და მხოლოდ ბუშის ადმინისტრაციის დახმარებით, რომლის საქმიანობის შეფასება უკვე საყოველთაოდ არის ცნობილი. ამ ადმინისტრაციამ საკუთარ სახელმწიფოს რომ ავნო, იმდენი ზიანი არავის მიუყენებია ამერიკისთვის. ჩვენ რატომ ვამოვიდოდით აქედან მოგებული და რატომ მივიღებთ ბუშის ავანტიურისტული პოლიტიკის შედეგად რაიმე სარგებელს, სრულიად გაუგებარია. ჩვენ გვაქვს უზარმაზარი პრობლემები, დაკარგეთ ტერიტორიები, დავანგრეთ ეკონომიკა, პოლიტიკური თვალსაზრისით არავინ იცის, მოვლენები როგორ განვითარდება. ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლა ასეთი ზედაპირული მოქმედებებით არ ხდება, ამას ღრმა და ფუნდამენტური გარდაქმნები, სისტემური მიდგომა სჭირდება. ყველაზე დიდი ტრაგედია და საშიშროება ის არის, რომ რეალური მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის 90% ღარიბია. მხოლოდ 9%-ს შეადგენენ შეძლებული მოქალაქეები, 5%-ს კი — მდიდარი. ასეთი კატასტროფული მდგომარეობა დიდ საფრთხეს ქმნის. გრადაცია მიდის სიღარიბის ზონაში. გვყავს ღარიბები, ლატაკები, უპოვარები და ა.შ. ამის დაძლევა მხოლოდ პიარკამპანები და ხმამაღალი განცხადებები არ ჰყოფნის. ეს არის ყველაზე დიდი საფრთხე, რაც ქართულ სახელმწიფოს ემუქრება იმიტომ, რომ ლატაკ და ღარიბ ადამიანებს გრძელვადიან პერსპექტივაში სახელმწიფოს შენარჩუნება არ შეუძლიათ. ისინი თანდათანობით იფიტებიან ინტელექტუალურად, მატერიალურად და მხოლოდ გადარჩენაზე ფიქრობენ. როდესაც კაცი მხოლოდ საარსებო მინიმუმის მოპოვებაზე ფიქრობს, მას არ შეუძლია ისეთი დიდი ტვირთის აწევა, როგორც სახელმწიფოს მოვლაა. აი, ესაა ტრაგედია. ხელისუფლება ამაზე ლაპარაკს შეგნებულად გაუარებს. ყველა პოლიტიკური ძალა, რომელსაც პასუხისმგებლობა გააჩნია, ამაზე უნდა ფიქრობდეს და ეძებდეს გამოსავალს.

ჩრდილოეთ კორეა ბარაკ ობამა თავდასხმისთვის მზადებაში დაადანაშაულა



ჩრდილოეთ კორეამ ბარაკ ობამა თავდასხმისთვის მზადებაში დაადანაშაულა. ჩრდილოეთ კორეის საგარეო საქმეთა სამინისტრომ აშშ თავდასხმისთვის მზადებაში ოფიციალურად დაადანაშაულა და განაცხადა, რომ სამხრეთ კორეასთან ერთობლივი სამხედრო წვრთნები სწორედ ამისთვის ტარდება.

„როიტერის“ ცნობით, ეს არის პირველი შემთხვევა, როცა ჩრდილოეთ კორეამ აშშ-ის ახალი პრეზიდენტი მკაცრად გააკრიტიკა.

„აშშ-ის ახალი ადმინისტრაცია სამხრეთ კორეელი მარიონეტების საშუალებით აპირებს, ჩრდილოეთ კორეის სახალხო რესპუბლიკაზე შეიარაღებული თავდასხმა განახორციელოს“, — ნათქვამია ჩრდილოეთ კორეის საგარეო უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაში. აქვე აღნიშნულია, რომ ჩრდილოეთ კორეა თავდაცვისთვის მზად არის.

ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეას შორის ბოლო დროს მდგომარეობა იმდენად დაიძაბა, რომ შეიარაღებული კონფლიქტი შესაძლოა, ნებისმიერ წუთს დაიწყოს. რამდენიმე დღის წინ ფხენიანმა ყველა სამხედრო შეთანხმება გააუქმა, რასაც სეულთან მიალა და თავისი არმია სრულ სამხედრო მზადყოფნაზე გადაიყვანა.

გარდა ამისა, ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლებამ გააკეთა არაორაზროვანი განცხადება იმის შესახებ, რომ მზად არის, სამხრეთ კორეის სამოქალაქო თვითმფრინავები ჩამოაგდოს, თუკი თვითმფრინავები ჩრდილოეთ კორეის საჰაერო სივრცის ახლოს გაივლიან. აქვე საგულისხმოა, რომ ახალ რაკეტშიზიდს, რომლის გაშვებაც კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა ორბიტაზე აპირებს, სამიზნის განადგურება 7-8 ათასი კილომეტრის რადიუსში შეუძლია და ის საფრთხეს აშშ-ს ალასკას შტატს უქმნის.

ამ ინფორმაციას სეულის გაზეთი „ჩოსონ ილბო“ აშშ-ს და სამხრეთ კორეის სადაზვერუო სამსახურებზე დაყრდნობით ავრცელებს.

ჩრდილოეთ კორეამ რაკეტშიზიდს გაშვებასთან დაკავშირებით გაეროს იმ ტერიტორიების ჩამონათვალი მიანოდა, რომლებიც საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტისთვის დახურულია. იაპონიამ კი, 4-იდან 8 აპრილამდე იმ ტერიტორიებზე განგამი გამოაცხადა, სადაც, შესაძლოა, რაკეტშიზიდის პირველი და მეორე საფეხური ჩამოვარდეს.

პირველი რაიონი აკიტას პრეფექტურიდან 130 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს, რომლის სიგრძე 250 კილომეტრია, სიგანე კი — 20 კილომეტრი. მეორე მონაკვეთი ნახევარკუნძულ ბოსოდან 2150-ე კილომეტრზე მდებარეობს. მისი სიგრძე 800, სიგანე კი — 160 კილომეტრია.

სპეციალისტების გათვლებით, რაკეტშიზიდის გაშვებისას მისი პირველი საფეხური სტარტის ადგილიდან 650, მეორე საფეხური კი — 3,6 ათას კილომეტრზე ჩამოვარდება.

ჩრდილო კორეული რაკეტშიზიდს გაშვება, „ჩოსონ ილბოს“ მტკიცებით, აშშ-ს და სამხრეთ კორეის მხრიდან საპასუხო ნაბიჯებს გამოიწვევს.

არნო ხიდირბეგიშვილი:

ვაგონსაშუაგაქთაგლო მნიშვნელოვან ყაი

2009 წლის 5 მარტს, როცა საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი თბილისის ვაგონშემკვებელ ქარხანას ეწვია, სერიოზულად გაბრაზდა: პრეზიდენტის რისხვა გამოიწვია დიდმა წითელმა ლილაკმა ვაგონის მძღოლის კაბინაში წარწერით „TOPMO3“ რუსულ ენაზე. „რატომ არის მართვის პულტზე წარწერა რუსულ ენაზე?!“ — მრისხანედ წამოიძახა პრეზიდენტმა, თუმცა ეს შეკითხვა ჩეხ მომწოდებლებს უფრო შეეხებოდა...

2009 წლის 6 მარტს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა პილარი კლინტონმა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს სერგეი ლავროვს უბოძა დიდი წითელი ლილაკი, რომელსაც ინგლისურ ენაზე ჰქონდა წარწერა — „RESET“, ქართულად — „გადატვირთვა“ — როგორც ამერიკის ადმინისტრაციის სურვილის სიმბოლო, „გადატვირთვა“ ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის ურთიერთობა, რაც საკმაოდ დაზიანდა თეთრ სახლში ჯორჯ ბუში-უმცროსის რეანლიანი მმართველობის პერიოდში. მერე მათ ერთად დააჭირეს თითი ამ ლილაკს. ის კი, ვინც ახლაც ვერაფერი გაიგო — ნამდვილი „ტორმოზია“...

მარტო გაუთვითცნობიერებლისათვის შეიძლება არ იყოს ცხადი, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და ევროპა დღეს დაინტერესებული არიან რუსეთის არა დაშლით, არამედ განვითარებით — იგი ერთადერთია ჩინეთის საპირსწინედ და მისი დაშლა — კოსმოსური კატასტროფის ტოლფასია, ეს კი დიდ ზიანს მიაყენებს უკლებლივ ყველას! ისეთი პრობლემების გადაწყვეტა, როგორცაა: ირანის ბირთვული პროგრამა, სიტუაცია ავღანეთში, სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების გაუფრცხვლებლობა და შეზღუდვა, საერთაშორისო ტერორიზმი, ნარკოტრაფიკი, რომ აღარაფერი ვთქვათ ევროპის ენერგომომარაგებაზე, ურუსეთოდ შეუძლებელია.

მაგრამ საუბარი ამჟამად სხვა „ტორმოზებზეა“. ადამიანმაქციებზე, რომლებსაც ეს ყველაფერი შესანიშნავად ესმით, მაგრამ შეგნებულად „ამაყურეჭებენ“ რუსეთ-საქართველოს დიალოგს, ვინაიდან ეს მათთვის ხელსაყრელია: სინფორმაციო ვაკუუმის პირობებში მათზე — მოთხოვნილება და შეუძლიათ დაუსჯელად ილაქლაქონ მოსკოვში თბილისის აზრის შესახებ, თბილისში კი — მოსკოვის სახელში (თუმცა არც იქ, არც აქ მათთვის არავის მიუნიჭებია ასეთი ფართო უფლებამოსილება!). ფულის კეთებაც გაურკვევლობის პირობებში უფრო იოლია — მათი ერთადერთი ნამდვილი მიზანი და „სპეციალობა“...

ვაგონსაშუაგაქთაგლო კაცობა, რომელიც ეძღვნება რუსულენოვან სივრცის მწვევე პრობლემებს, საქართველოში რუსული ენის არსებობას, მაიძულა, ამ მტკივნეულ თემას შეეხებოდე: „მხოლოდ რედაქტორებმა და უფალმა თუ იციან, რასასწავლით ახერხებს არსებობას (საქართველოში — არნო ხიდირბეგიშვილი) ორი ქართული გაზეთი რუსულ ენაზე!“ — წერს ავტორი და ძნელია, არ დაეთანხმო ამ სტრიქონებს (სხვათა შორის, როგორც ყველა სხვა დანარჩენს) ზემოაღნიშნული პუბლიკაციიდან, მით უმეტეს, მე, რომელმაც იცის ეს საქმე არა ყურმოკრულად.

თუმცა ეს ისტორია დღეს არ დანკებულა: საქმე ისაა, ძვირფასო მკითხველო, რომ „ვარდისფერველოციური ხელისუფლების“ მოსვლამდე ჩვენმა ახალმა მეგობრებმა — ამერიკელებმა,

უფრო ზუსტად — მათმა კარგად მომუშავე სპეცსამსახურებმა (რის მიმართაც, როგორც თავისი საქმის პროფესიონალებსა და ამერიკის შეერთებული შტატების პატრიოტებთან, პრეტენზიები არ არსებობს!) უკვე დაინწყეს თვალყურის დევნება, თუ „რა დევს ცუდად“... „ცუდად“ კი (ესე იგი, უპატრონოდ!) მაშინ „იღო“ ყოფილი სსრ კავშირის თითქმის ყველა რესპუბლიკა, მათ შორის — საქართველოც...

და დაინწყეს ამ ბატონებმა დოლარების უხვად ხარჯვა სხვადასხვა მიმართულებით:

— საკუთარი პოლიტიკის გამოსაზრდელად — სწავლისთვის;

— მოსახლეობის „საშუალო ფენის“ კარგ ცხოვრებასთან შესაჩვევად, სოროსის ფონდის მეშვეობით წარმოუდგენელი ოდენობის ახლადგამომცხვარი არასამთავრობო ორგანიზაციების პროექტების დასაფინანსებლად;

— რუსული ენის გამოდენისთვისაც საქართველოდან, ინგლისურით მისი თანდათანობითი ჩანაცვლების გზით, რისთვისაც გადაჭედეს მედია-ბაზარი თავიანთი გამოცემებითა და ტელეპროექტებით...

და სანამ ამერიკელები ამაზე იხარჯებოდნენ, მოსკოვში ინერციით, უდარდელად მღეროდნენ სიმღერას „БРОНЯ КРЕПКА И ТАНКИ НАШИ БЫСТРЫ!“... რატომ მოხდა, რომ მოსკოვში მუშაობდნენ ძველებურად და იმედი ჰქონდათ რკინის (ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით) არგუმენტისა — ჩემთვის საიდუმლოებას წარმოადგენს, მაგრამ ეს მეტოდი რომ საბოლოო ჯამში აღმოჩნდა უფრო ძვირიც, უფრო მკაცრიც და ამიტომ მტკივნეულიც (ქართველებისთვისაც და რუსებისთვისაც!), გავიგეთ მაშინ, როცა ეს ტანკები მართლაც ამოქმედეს.

მოსკოვში, როგორც ჩანს, დაავინყდათ, რომ ტელევიზია ჩვენთან უმეტეს შემთხვევაში — ეს „წმინდა“ პროპაგანდა მოქმედი ხელისუფლების ინტერესების დასაცავად, ხოლო საზოგადოებრივი აზრის ფორმირება, სერიოზული და მიუკერძოებელი ანალიზი მომხდარი მოვლენებისა კეთდება პრესის მეშვეობით. უკიდურეს შემთხვევაში ასე უნდა ხსნობოძეს, როგორც რუსული ენის პოპულარიზაცია საქართველოში. მაგრამ „სეობოდნაია გრუზია“ — საქართველოს ერთადერთი სა-



ერთოერთი გაზეთი, რომელიც რუსულ ენაზე გამოდის, ზუსტად ისევე, როგორც საქალაქო „ვეჩერნი თბილისი“, უკვე მერამდენე წელია, არსებობს კოლექტივისა და რედაქტორის ნახევრადმათხოვრული ცხოვრებისათვის განწირული სახსრებით, ნომრიდან ნომრამდე...

ამ დროს კი რუს ჩინოვნიკებს — ბიუროკრატებს, დიპლომატებს, საზოგადო მოღვაწეებს, ბიზნესმენებს თითო თითზეც არ დაუკარებიათ, დახმარებოდნენ მათ, თუმცა ევალბოდათ! უფრო მეტიც — ზოგიერთი მათგანი მოუთმენლად ელის, როდის „ჩაკვდება“ ეს გამოცემები, რომ „პანამეიდის“ დროს დამტკბარი ხმით ურცხვად განაცხადონ: „როგორც არასდროს, სწორედ ახლაა ამ გაზეთებზე ყველაზე დიდი მოთხოვნა!“ და საჩუქრად მიიღონ „ჯერ კიდევ თბილი“ ცნობილი ბრენდები, რათა მერე თავად გამოცეცნ ისინი (ეფიქრობ, ისედაც გასაგებია — ვისზეა აქ საუბარი, ამიტომ სახელებსა და გვარებს არ დავასახელებ)...

არც ერთი მათგანი (თუნდაც ზრდილობის გამო!) არ შეგვხმინებია თუნდაც ტელეფონით, როდესაც 2007 წლის 10 აგვისტოს, დილის 5 საათზე, ხელისუფლებამ — ასობით შეიარაღებული პოლიციელის, საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსა და თბილისის მერიის მალაჩინოსანთა ხელმძღვანელობის სახით — გარეთ გამოყარა ამ გაზეთების რედაქციები სხვა მრავალ ქართულ გამოცემასთან ერთად გამოცემლობა „სამშობლოს“ შენობიდან! საინტერესოა, რა სინდისით შედიოდნენ ისინი მეორე დღეს თავიანთ კაბინეტებსა და ოფისებში, როდესაც „სეობოდნაია გრუზია“ ცნობილმა მედიკოსმა ანზორ მელიამ თავის კლინიკა „გულში“ შეიფარა, სადაც გაზეთი სამი თვის განმავლობაში განაგრძობდა გამოცემა (ცნობისათვის: 2006 წლიდან „სეობოდნაია გრუზია“ ოთხჯერ გა-

მოდვენეს და დღეს 1922 წელს დაარსებულ გაზეთს დაქირავებული აქვს სათავსო საბაზრო ფასად?)!

და ეს ხდება იმ დროს, როდესაც რუსული ენის მხარდაჭერის ფედერალური პროგრამისათვის საზღვარგარეთ რუსეთის მთავრობამ მრავალი მილიარდი რუბლი გამოყო, მათ კი, ვინც უცხოეთში ინახავს რუსულენოვან ფონდს და ვისაც ხალხში გააქვს რუსული სიტყვა, რუსეთის პრეზიდენტმა გმირები უწოდა და განკარგულება გასცა მათი ყოველმხრივი მხარდაჭერისათვის!

ვის აძლევს ხელს რუსეთ-საქართველოს ინფორმაციული სივრცის მთლიანობის უქონლობა? ვინ არის დაინტერესებული ჩვენი მედიის „დერუსიფიკაციით“ (ზემოაღნიშნული პუბლიკაციის ავტორის შენიშვნით) და ახალი პროამერიკული „კულტურული რევოლუციით“ საქართველოში? ვისთვისაა ხელსაყრელი აქ „ძველი“ საგაზეთო ბრენდებისა (ჩვენთან სულ რამდენიმეა დარჩა) და იმ პროფესიული კადრების — გამოცდილი ჟურნალისტების განადგურება, ვისაც ასოვს რუსეთ-საქართველოს კულტურულ-ისტორიული ტრადიციები, ვინც ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ჩვენს ხალხებს შორის მეგობრობაში? თავადვე გამოცადით...

და ამ ბატონებს ეხმარებიან ზემოხსენებული ამხანაგები, რომლებიც შეჩვეული არიან, იცხოვრონ ეულად, „ირბინონ ბაგირებზე“ მოსკოვიდან თბილისამდე და პირიქით, იფიქრონ მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე. ამიტომ ჰუმანიტარული ხიდის მშენებლობა „ორ ნაპირს“ — რუსეთსა და საქართველოს შორის, სადაც ტანკების მოძრაობა იქნება აკრძალული და რომელიც უსარგებლოდ აქცევს „ბაგირებს“ — არაფრით არ შედის მათ გეგმებში! და სწორედ ასეთ ხიდად უნდა გადაიქცნენ საქართველოს რუსულენოვანი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები.

P.S. ამბობენ, რომ პრეზიდენტ სააკაშვილის წასვლის შემდეგ თბილისის ვაგონშემკვებელი ქარხნის დამფრთხალი დირექტორი თავად ეცა რუსულ წარწერებს, რათა წაეშალა არა მხოლოდ მატარებლების მართვის პულტებზე, არამედ თითოეულ რელსზეც კი მეტროში! რაც მან ვერ შეძლო... ტექნიკური მიზეზების გამო...

ხოლო წითელ ლილაკზე ჩეხი მომწოდებლები, ქართველი დამკვეთების დაჟინებული თხოვნით, რუსულენოვანი „TOPMO3“-ის ნაცვლად, ამიერიდან დაანერენ „STOP RUSSIAN“...

პარლით ხელში და ყულფით კისარზე

პუბლიკაცია, რომელსაც დღეს გთავაზობთ, კომპილაციური ხასიათისაა, სხვათა თვლით დანახული საქართველოს ერთგვარი აპოლიტიკური სურათი — ნაცნობი ფაქტების ერთობლიობით წარმოდგენილი ჩვენი დღევანდელი. ობიექტურად წარმოდგენილი, სამწუხაროდ, — ნეგატიური აქცენტებით. უარყოფითი მხარე საგანგებოდ არ არის შერჩეული და პედალირებული: ასეთია რეალობა, ასეთად დაინახეს და, მიუხედავად ხელისუფლებისადმი სიმპათია-ანტიპათიისა, წარმოგვიდინეს ის, რაც არის. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის დემოკრატიის, ადამიანის უფლებათა და შრომის ბიურომ ახლახან გაავრცელა ანგარიში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში 2008 წლისთვის ადამიანის უფლებათა დაცვის მხრივ არსებული ვითარების შესახებ.



მიმართულად აწვდიდა ჩვენს ქვეყანაში გაპარპაშებული მეტი უბრალო — აშშ-ის სახელმწიფო მდივნის რომელიმე მოადგილის თანაშემწე თუ მისი ქვეშევრდომი.

ერთი, საკმაოდ ვრცელი ქვეთავი, საქართველოს, კერძოდ, ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების პრაქტიკულად ყველა მხარეს ეძღვნება. სფეროებისა და თემების მხოლოდ ჩამონათვალს, რაც შესავალ ნაწილშია თავმოყრილი, თითქმის ორი სრული გვერდი უკავია.

დებით ხელში და რწმენით შეიარაღებულებმა მოიყარეთ თავი“, ამიტომ ხართ „თავისუფლების შუქურა“, საქართველოს ხელისუფლებამ და, უწინარეს ყოვლისა, თვით აშშ-ის ადმინისტრაციამ დაიჯერა, რომ მართლაც თავისუფლების უნიკალურ მაგალითთან ჰქონდა საქმე, ერთობლივად აიტაცეს ეს შედარება და მთელ მსოფლიოს მოსდეს.

ობიექტურია თუ არა ეს ანგარიში, თითქოს ეჭვს არ უნდა იწვევდეს: წლების მანძილზე სახდეს დრომად ჰქონდა აფრიკალებული სააკაშვილი და მისი რევოლუციური გარდაქმნები, რომლებიც ბოლოს და ბოლოს მხოლოდ ფასადური ღონისძიებები აღმოჩნდა — XXI-ე საუკუნის „პოტიომკინის სოფლის“ ბუტაფორიული პროგრესი.

ვერა და ვერ ხედავდნენ, ან არ სურდათ, დაენახათ, რომ „ვარდის ყვავილობა“ დროებითი მოვლენა იყო, რომ ავტორიტარული მმართველობის ზამთარმა დააზრო და ჩამოყარა მისი ფურცლები.

აშშ-ის ამ სტრუქტურამ შეძლო, დაერღვია მისი ხელმძღვანელების მიერ შექმნილი სტერეოტიპი და მიუყვებოდა შეეფასებინა საქართველოში განვითარებული პროცესები.

ასეთი სიბეცე კი, ჩვეულებრივ, ემართებათ მაშინ, როცა ობიექტურ ხედვას სუბიექტური სიმპათიებით ჩაანაცვლებენ. აშშ-ის საზოგადოებრივი მეცნიერების პატრონსანმა წარმომადგენლებმა კი იმთავითვე შენიშნეს, რომ ასეთი დამოკიდებულება საზოგადოებრიობის დეზორიენტაციას იწვევდა, რადგან შეცდომა იყო, სააკაშვილის მხარდაჭერა საქართველოს დემოკრატიის მხარდაჭერასთან გაეგივივებინათ, მაგრამ მათ ყური არავინ ათხოვა: საერთო სიყრუე ეიფორიული სიტუაციის პირდაპირპროპორციულია.

მთავარი დასკვნა, რომელიც მსოფლიო თანამეგობრობას განსაჯელად წარედგინა, შემდეგია: საქართველო არც „დემოკრატიის შუქურაა“, მით უფრო, არც ალექსანდრიის შუქურა და არც არავითარი სასწაული არ გახლავთ. იგი „ავტორიტარული ქვეყანაა კი არ არის, როგორც ოდესღაც იყო და არც — დემოკრატიული, ისეთი, როგორც დასახლდნენ აპირებდა“.

ლინკოლნი მით ჩელი, კოლუმბიის უნივერსიტეტის მეცნიერთანამშრომელი, რომელიც ერთი პერიოდი თბილისში ეროვნული დემოკრატიის ინსტიტუტის განყოფილების უფროსად მუშაობდა, ამასთან დაკავშირებით შენიშნავს: „უთრთიერთობებმა პირადული ხასიათი შეიძინა... იდეა ის იყო, რომ რეგიონში ყველაზე მტკიცე მოკავშირისათვის, ინგლისურენოვანი ლიდერისათვის პრობლემა არ შეგვექმნა“.

ჯერ მილიარდერი ჯორჯ სოროსი იფიცებოდა, „ვარდების რევოლუცია“ ჩემი პროექტიაო, მერე აშშ-ის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ამტკიცებდა — ჩემიო. არც ერთის გამოდგა, არც — მეორესი. საერთოდ არ გამოდგა წარმატებული. როგორი უხეირო პრეზიდენტიც იყო ჯორჯ ბუში უმცროსი, ისეთივე უხეირო სატელიტი გამოდგა მიხეილ სააკაშვილი.

საინტერესო გულახდილობაა, ნიშანდობლივიც: პირველი — შუქურასთან შედარება, ანუ სააკაშვილის სიკაშკაშე სიცრუე, ტყუილი იყო, რომელიც იმიტომ გააჟღერეს, ყველაზე მტკიცე მოკავშირისთვის გზა გაენმინდათ, ხელოვნურად შეექმნათ ავტორიტეტი.

იციმციმა ამ ჩვენმა შუქურამ, როგორც მთანმინდის ანძამ და ჩაქრა. გამუდვანდა ბუშის ყალბი პათეტიკა, ორიოდ წელიწადში დამტკიცდა, რომ აშშ-ს პრეზიდენტი ხედავდა იმას, რისი დანახვაც სურდა და არა — რეალობას. 2005 წლის 10 მაისს, როცა თბილისში, თავისუფლების მოედანზე ბუშთან შესახვედრად მოქალაქეთა, ძირითადად ახალგაზრდობის (მათ შორის, ლტოლვილების) მასა შეიკრიბა, მაღალმა სტუმარმა განაცხადა: „თქვენ აქ ვარდებით ხელში და თქვენი რწმენით შეიარაღებულებმა მოიყარეთ თავი და თქვენს თავისუფლებას მიესალმებით, სწორედ ამიტომაც საქართველო დღეს თავისუფლების შუქურა ამ რეგიონისა და მთელი მსოფლიოსათვის“.

მეორე — აშშ-ის ადმინისტრაციას, პირადად პრეზიდენტს, რომელსაც პრობლემა პრობლემად ემატებოდა თავისი საგარეო პოლიტიკის გამო (ერაყი, კოსოვო, ირანი და სხვ.), აუცილებლად სჭირდებოდა წარმატებული პროექტი და შეიქმნეს ასეთი პროექტი მიხეილ სააკაშვილის სახით.

მიუხედავად ამ ციტატის კოჭლი ლოგიკისა (რახან „ვარ-

და მესამე — არანაკლებ მნიშვნელოვანი მომენტი: საქართველოს ლიდერი ინგლისურენოვანი გახლდათ, რაც ამერიკელი პროტექტორებისათვის მეორეხარისხოვანი ფაქტი არ იყო: მათი პროტეჟე სულით, ხორციით, აზროვნებით უნდა ყოფილიყო დაცლილი ყველაფერი ეროვნულსაგან, უწინარეს ყოვლისა, ენის თვალსაზრისით. მით ჩელის გულახდილობა ინგლისურენოვანი ლიდერის მხარდაჭერის შესახებ სწორედ ამას უნდა ნიშნავდეს.

მაგრამ მხარდაჭერა მხოლოდ ოდების დონეზე არ რჩებოდა. სწორედ აშშ-ის მხარდაჭერის შედეგად საქართველოს მთავრობამ უამრავი უცხოური დახმარება მიიღო. მართალია, ხალხს ამ დახმარების სიკეთე უშუალოდ არ უგრძნობია, მაგრამ ვინ მიაქცევდა ყურადღებას ამ „უმნიშვნელო“ მომენტს?

სამაგიეროდ, ფრიადი შენუხება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ შეწყდა იმ უფლებადაცვითი ჯგუფების დაფინანსება, რომლებიც „ვარდების რევოლუციის“ მამოძრავებელი ძალა იყო. ეს ორგანიზაციები იძულებული შეიქნა, შეენწყვიტა ის პროგრამები, რომლებიც სააკაშვილის გადარჩევისთვის მომხმარებელი უნდა განხორციელებულიყო.

ეს, ცხადია, არ ნიშნავს, რომ სააკაშვილის ხელისუფლებამ უყურადღებოდ მიატოვა თავისი აქტივისტები. პირიქით, ისინი ხელისუფლებაში მიიწვია და დღეს სწორედ ეს უბიჯი რეალობა საქართველოს „დემოკრატიული“ ხელისუფლების საფუძველი და დასაყრდენია.

ესენი კი კარგად მოეწყვენ, მაგრამ იზარალა სამოქალაქო საზოგადოებამ — დემოკრატიის პრინციპების დარღვევის გამო ხმის ამომღები და პროტესტის გამომხატველი პრაქტიკულად არავინ დარჩა. ავტოკრატიისკენ სააკაშვილის სვლა დასავლეთის მაღალჩინოსნებს ან ყურადღებიდან გამორჩათ, ან მნიშვნელობა არ მიანიჭეს. რეფორმატორულად მოაზროვნე ქართველებსაც ხმა არ ამოეღებოდათ, რადგან სწორედ მათმა აქტივობამ მოყ-

ვნა სააკაშვილი ხელისუფლების სათავეში. მათ დასჭირდათ დრო, სიმართლისთვის თვალში რომ შეეხედათ. როცა შეხედეს, ფაქტის წინაშე დადგნენ, დრო დაკარგული იყო, სააკაშვილის ავტოკრატია — ფეხგადგმული.

ახლა ეს ფენა ოპოზიციამ გაადავიდა. სააკაშვილს ასეთი გადაბარება დიდად არ ანაღვლებს — მისი რესურსები პარლამენტით დაწყებული და ძალოვანი სტრუქტურებით დამთავრებული, იმდენად გაძლიერებულია და ხელისუფლების სათავეში დარჩენა მიხეილს ისე ძლიერ სურს, რომ საზოგადოება დარწმუნებულია, საკუთარი სკამის შესანარჩუნებლად პრეზიდენტი ყველაფერზე წავა, მათ შორის, დემონსტრაციების დარბევაც (მეტი რომ არა ვთქვამთ).

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა ელიტარული კორუფციის სისტემის შექმნით დაგვირგვინდა.

დემოკრატიისთვის ბრძოლა ავტოკრატია შვა.

ამომრჩეველთა ხმების დაცვამ — „კარუსელები“, გაყალბების პრაქტიკა დახვეწა, განავრცო და დაამკვიდრა.

უნიჭო, დილტანტურმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ, რომლის ავტორები (ბენდუქიძე და სხვები) ამტკიცებდნენ, რომ „ბაზარი ყველაფერს დაარეგულირებს“, საქართველოს მეურნეობა სრული კოლაფსის წინაშე დააყენა, ხოლო პროტექციონიზმმა პრაქტიკულად მოსპო საშუალო ფენა, ანტიმონოპოლისტური სისტემის მოშლამ და ა.შ. და ა.შ., რასაც მსოფლიო ფინანსური და ეკონომიკური კრიზისი დაერთო, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა საქართველოს თავისუფალი ბაზარი.

მართალია, საქართველოს პრეზიდენტი თავის ყოველდღიურ სააგიტაციო-პროპაგანდისტულ გამოსვლებში გვარწმუნებს, რომ ყველაფერი კარგადაა, რომ საქართველო ის განსაკუთრებული გამორჩეული ქვეყანაა, რომელსაც კრიზისის ტორნადო გვერდს აუვლის, მაგრამ ამ ყველაფერს იმდენად ხშირად იმეორებს და ისე ლამაზად გვიხატავს 2013 წლის აყვავებული საქართველოს სურათს, იმდენად დაიშტამპა, რომ, ეტყობა, თვითონაც ეჭვი ეპარება თავისი არგუმენტების სიმყარეში, თავის მტკიცებულებათა სიმართლეში.

დაიშტამპა პატივცემული მიხეილ სააკაშვილი.

საქმე კი ძალიან სერიოზულადაა. ექსპერტებს მთელ მსოფლიოში მიაჩნიათ, რომ ცივილიზებული სამყარო ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის დაძლევის

სტადიაში კი არ იმყოფება, არამედ დგას დილემის წინაშე — სახელმწიფო თუ ანარქია?

მათი აზრით, სახელმწიფო, როგორც ადამიანების თანაცხოვრების ორგანიზებული სტრუქტურა, ბოლოს და ბოლოს, გაიმარჯვებს, რადგან, ჯერ ერთი, ანარქია სრული ქოხია, და, მეორე, კაცობრიობის ისტორიამ არაერთხელ დაამტკიცა, რომ სახელმწიფოს შენარჩუნების გარდა სხვა გზა კაცობრიობას არ გააჩნია.

მაგრამ როგორი სახელმწიფოა? „საკითხავი, აი ეს არის“.

აი, ამ კითხვაზე პასუხის გაცემის პროცესში რომელიმე ქვეყნები გაკოტრდება, რომელიმე — გადარჩება. ლაპარაკია არა განვითარებად, ჩამორჩენილ სახელმწიფოებზე, არამედ ევროპის ზონის ქვეყნებზე, რომელთაც უზარმაზარი ვალი დაუგროვდათ.

ასეთ სიტუაციაში სახელმწიფოს მნიშვნელობა და პასუხისმგებლობა მრავალგზის იზრდება, რადგან მისი მოვლეობაა, დადგინოს „თამაშის წესები“. დადგენს, ამოქმედებს? — გადარჩება. თუ ვერ მოქმედებს ამის გაკეთებას, კრახი გარდაუვალია.

გულზე ხელი დაიდეთ, პატივცემულო ექსპერტებო, და ბრძანეთ, აქვს კი უნარი საქართველოს ხელისუფლებაში თავშეყრილ ადამიანებს, ეკონომიკურ გუნებს, დადგინონ თამაშის ისეთი წესები, რომლებიც გადარჩენს ქვეყანასა და ხალხს? შეუძლიათ, გაურკვევლობის ფაზა (რა ვქნათ?) შეცვალონ გარკვეული, კონკრეტული სამოქმედო გეგმით და მის სარეალიზაციოდ წარმართული საქმიანობით?

ფრიალ საეჭვოა, მოინახოს ჩვენს ქვეყანაში თუნდაც რამდენიმე სპეციალისტი, ვინც ამ შეკითხვას დადებითად უპასუხებს.

ყველანი ხელისუფლების შეცვლაზე ალაპარაკებდნენ, მაგრამ შეძლევს რა? რას გააკეთებს ეს შეცვლილი ხელისუფლება? მოხდება ქონების ნაციონალიზაცია? სრული თუ ნაწილობრივი, როცა სახელმწიფო, ვთქვათ, ბანკების მენილე გახდება და ვითარების შეცვლის შემდეგ დათმობს თავის წილს?

ჩვენი რედაქცია შეეცდება, სთხოვოს საქმეში ჩახედულ პროფესიონალებს, გვიპასუხონ ამ კითხვებზე: ეგებ, რაღაც ორიენტირი გამოისახოს...

მანამდე კი ჩვენს ქვეყანაში მოვლენების უსწრაფესი განვითარება დღის წესრიგში უმთავრეს საკითხს აყენებს: მოხდება კი რაიმე ცვლილება საქართველოს მმართველ ფენაში?

გასული საუკუნის 80-იანი წლების დასასრულისა და 90-იანის დასაწყისის მიჯნაზე საბჭოთა კავშირი ფინანსურად გაკოტრებული აღმოჩნდა. გორბაჩოვმა შევარდნაძის მეშვეობით ჰელმუტ კოლს რამდენიმე მილიარდი დოლარი სთხოვა ხელფასების დასარიგებლად...

უფულობის გამო საბჭოთა ხელმძღვანელობამ ვერ შეინარჩუნა ერთ დროს უძლიერესი იმპერია.

ამავე მიზეზით (უფულობა) ედუარდ შევარდნაძემ ვერ შეინარჩუნა პრეზიდენტობა საქართველოში. ქვეყნის სათავეში დასავლეთის მიერ უხვად დაფინანსებული „ახალგაზრდა დემოკრატები“ მოვიდნენ.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ დღეს საქართველოში კოლოსალური რაოდენობით გროვდება ფული. საკმარისი იქნება ეს თანხა მიხეილ სააკაშვილის „ეპოქის“ გასახანგრძლივებლად?

ეს გაზაფხული ამ მთავარ შეკითხვაზე პასუხის გაცემისთვისაა მოწოდებული.

პოლიტიკური ფანტასმაგორია საზარდულისა და მრჩეველების შესახებ

დღესაც უხასიათოდ გაეღვიძა. ყოველთვის ბავშვივით ნებიერი ძილი იცოდა და გვიანდელი გართობით გადაღლილს შუადღემდე არ აღვიძებდნენ. ბოლო რამდენიმე თვეა, უძილობა დასჩემდა. ველარც დოქტორ დოტის სექსუალური მასაჟები შევლოდა და რუსლანას გადმოყრილი მკერდის გახსენებაზეც აზიდებდა. მცირე ხნით ჩაძინებულს ერთი და იგივე სიზმარი აღვიძებდა — თავდაყირა ეკიდა და სისხლი თავში აწვეებოდა. დაფეთებული იღვიძებდა და ხელი უნებლიეთ საზარდულისკენ გაუზრბოდა. „ყველაფერი ადგილზეა“, — მშვიდდებოდა, მაგრამ მაინც არ ასვენებდა რუსთ ხელმწიფის მუქარა, ფრანგთა ხელმწიფესთან შეხვედრისას ემოციურად თქმული, და ამიტომ შფოთავდა. „ალბათ, იხუმრა“, — თავს იმშვიდებდა, მაგრამ KTB-ს ჯარების ყოფილ ეფრეთორს არც ბიძამისის — KTB-ს ოფიცრის სიტყვები ავინყვებოდა: „დაიმახსოვრე, ყოფილი „კაგებეშნიკი“ არ არსებობს. ყოფილი „კაგებეშნიკი“ მკვდარი „კაგებეშნიკია“. ჩვენთან არ ხუმრობენ და დანაპირებს აუცილებლად ასრულებენ“!

„რა უნდა, რას მერჩის, როგორც კი ქვეყნის სათავეში მოვექცევი, პირველად მას ვეახელი, მისვლამდე ეკლესიაშიც შევიარე და ვილოცე. ისედაც შეიტყობდა და პირისპირ საუბრის დანებებამდე ეს ამბავი უამრავი ტელეკამერის წინაშე პირადად ვუთხარი. მთელმა ქვეყანამ გაიგო, რომ მასთან შეხვედრის ცეცხლივით მეშინოდა. ბიძია თემურისგან ვიცოდი, რომ დანაპირებს აუცილებლად შემახსენებდა. მეც კაი პრიყვი ვარ, რომ ჩამოვარიგე და პირებში, მის ასრულებას, ადრე თუ გვიან, მომთხოვდნენ, აბა, რა? მაგრამ რა მექნა, ბავშვობის ოცნების ასრულებაში ხელს რაც შემინყობდა, ყველაფერს ვიყენებდი...“

ეჰ, ეს ბებერი მელა სავარძელს ისე იყო ჩაფრენილი, ძლივს ავგალიჯეთ. უძალლო ქვეყანაში კატებს რო აყეფებენ, ისე იყო საქართველოს საქმე, თორემ ჩემი პრეზიდენტობა იქნებოდა? თანაც, უფანია როგორი რევრანსებით ეუზნებოდა — „სიტუაციიდან ყველაზე კარგი გამოსავალი თქვენი გადადგომაა, მაგრამ ყველანი თქვენი გაზრდილები ვართ და ამას როგორ გეტყვიო“. თან გვერდი გამკრა, მანინა, შენც ასე თქვიო. ვთქვი, აბა, რა მექნა?! იმან კიდევ, — ჰოდა, ნულარ ინერვიულებით, მე ნუხელ მივიღე გადაწყვეტილება გადადგომის შესახებო. ჰო, აბა, დავიჯერე. ეგ თავისი ნებით არსად წამსვლელი არ იყო, მაგრამ ბოლომდე იბრძოდა გარანტიების მისაღებად. აკი მივეცი კიდევ. ზის ახლა სახლში და ქვეყანას ჭკუას არიგებს. თან როგორ მომიხსენიებს — „ჩვენი პრეზიდენტი“! მე კი ვიცი, ვისი პრეზიდენტიც ვარ, მაგრამ ხმა-მადლა ხომ არ ვიტყვი?

ოჰ, როგორ მეფხანება... რა უნდა, რას ვადამეკიდა, ბუშმა ჰუსეინს საბელი კისერზე მოარგო და ისე ჩამოაზრჩო. ეს კიდევ... მე-მუქრება, რატო ერთით, ორივეთი ჩამოვკიდებო... ისტორიაში როგორ შევალ, საზარდულით ჩამოკიდებული პრეზიდენტი! ისე, მეც კარგად ვუპასუხე — მანამდე არ აუდგა გვერდები, სანამ ჩამოკიდებულ-მეთქი. არა, ეს არ უნდა მეთქვა, გვერდების არადგომაზე

ფანტასმაგორია — ბერძ. phantasma მოჩვენება და agoreeo ვლაპარაკობ - ფანტასტიკური წარმოდგენა რისამე შესახებ; პოლიტიკური ჩვენება; არარეალური, მოჩვენებითი რამ.

ჩემი წინამორბედი საუბრობდა და გვერდებიც აგვიდგა და... ეჰ, თუ მართლა ჩამოკიდა, მერე რა-ლა მეშველება. ისე, ამ ბოლო დროს სულ იმ ბებერი მელას ლექსიკა შემომეჩვია. რას მარტყამდა მხარზე ხელს და რას ეუზნებოდა ხალხს — „ეს იქნება თქვენი მომავალი პრეზიდენტიო“, მე კიდევ ვაგვიუბა მინდოდა?

ეჰ, ავდგე თორემ... ეს ვანო უკვე მერამდენედ რეკავს. მაგას ერჩივნა, ნუხელ რიყეზე „უცნობის“ თუ „ნაცნობის“ ყვირილისთვის მიეხება. „თან წაიღეო“, — ისე მეძახდა, ყურები ახლაც მიბჟუსის. ამას რაღა უნდა... მას და მის ძმას რასაც შევპირდი, არ ავუსრულე? ანდა, მაგის თქმა რად მინდა, ეგ მასწავლის, რა წავილო და რა დავტოვო? ერთი ნახატი მოვატანინე ბიჭებს და კინაღამ გადამაყოლეს. ტყეშელაშვილს ველარ ვიმორებ კაბინეტიდან და მაგის ყურებას ხანდახან ფიროსმანის ნახატს რომ შევხედო, არ შეიძლება? მუხუშუში უნდა ეკიდოს, ჩვენც გვინდა მაგ ნახატის — „გიორგობა ბოლნისში“ — ნახვაო. მახლას, გინდათ, კარგია, სულ მუხუშუში არ დადიხართ? ხომ მოგიწყვეთ ერთი „გიორგობა თბილისში“, მერე ყოველწლიურად აღვნიშნავდით, მაგრამ არ მოისვენებს და ბოლო ორი წელია, რეკლუციის წლისთავებს აღარ ვზეიმობთ...“

სამზარეულოში გასვლას ვინ აკადრებდა და სასადილო ოთახში შესულს ათასგვარი ნუგბართით დახუნძლული მაგიდა დახვდა. დიეტოლოგის რჩევა გაახსენდა — ნოყიერ საქმელს მოერიდეთო, — მაგრამ როგორ მოერიდები, თუ ყოველთვის წინ გახვედრებენ?


მაგიდას მიუჯდა და მდივანს უხმო.

— ერთი ჩემს მრჩეველებს — ვანს და ნოდარს დამიძახეთო, — უთხრა და მოხარულ თევზს წაეტანა.

მუდამ მუქთმიანი ვანი, ასაკს რომ არ იმჩნევდა, ტანის რხევით შემოვიდა, მის უკან კარგად ჩაკურატებული მრჩევა გაახსენდა — მოდიოდა ხვნეშით.

„ეს ვანი რა მაგარი ვინმეა, სომეხი უძახე შენ და ნახე, რა გამონკეპილი დაღის?“ — გაელიმა ყბაგამოვსებულ პრეზიდენტს და დაახველა. თევზის ფხა გაეჩხირა და სანამ მის ამოღებას მოახერხებდა, ნოდარიც მიესალმა.

— ეჰ, ნოდარ, ნოდარ, ყოველთვის ასე ხდება, როცა შენ



შემოდიხარ, ხომ იცი — რიჟა კაცის სალაში, ასი თუმნის ზარალიო, — მისალმების ნაცვლად უპასუხა პრეზიდენტმა, — მოდი, დასხედით, თან ჭამეთ, თან ვილაპარაკოთ.

ვანი მაგიდას მონინებით მიუჯდა და შედებულ თმაზე ხელი გადაისვა.

— შენ სომხურ „ნამიოკებს“ თავი დაანებე, თორემ ხომ იცი, რაც მოგივა, — პრეზიდენტს გუშინ შედებელი ქოჩორი გაახსენდა.

„ეს იჩნეს, ტო?!“ — გაიფიქრა ვანმა, მაგრამ არაფერი უთქვამს, თორემ კიდევ ერთი ნაოჭი მიემატა დაღარულ სახეზე და ისედაც შავი კიდევ უფრო ჩაუმუქდა.

რიჟა ნოდარას რომ ეგონა, იქნებ მე აღარ გავახსენდებო, სწორედ მაშინ მიუბრუნდა პრეზიდენტი.

— შენ ის კაცი არა ხარ, დეპუტატობის შემდეგ უსაქმოდ დარჩენილი წყენით რომ ამბობდი ინტერვიუებში — ნაციონალების ახალი დევიზია „საქმე ლაპარაკის ნაცვლად“ და მე მარტო ლაპარაკი ვიციო? საქმე ისედაც არც ერთს გამოგდით და იქნებ ლაპარაკი მაინც შეძლოთ, — მიმართა პრეზიდენტმა და გაიფიქრა — „ვანი თქვე უბედურებო, მართლა გგონიათ, რომ თქვენს რჩევებს რამე ფასი აქვს? თქვენ მე რა უნდა მიჩიოთ, თვალი რომ ჩავიკრათ, ერთმანეთს ვირთხებივით დაჭამო“.

არც ნოდარმა იცოდა პრეზიდენტის გულისწინადადები და ვანიც ბაიბურში არ იყო, რისთვის უხმო პრეზიდენტმა. თუმცა, ორივე ხვედებოდა, რომ სადილზე მიპატიჟება რაღაც კარგს ნიშნავდა.

— ჭამეთ, ჭამეთ, რას მომშტრებინხართ! — პრეზიდენტი სადილობას განაგრძობდა. ვანმა და ნოდარმა კრძაღვით გადაიღეს ქათმის თითო-თითო ფრთა.

— ფრთები რად გინდათ, თქვენც სადმე გაფრენას ხომ არ აპირებთ? — უკვე არაერთი თანაგუნდელის გაქცევით დაეჭვებული პრეზიდენტი ხუმრობდა თუ სერიოზულად ამბობდა, ველარ გაეგოთ შემინებულ მრჩეველებს.

„ამ დალოცვილს თუ ჩვენი გაშაყრება უნდოდა, რაღა ჭამისას დაგვიბარა, ისედაც გულის მიმდის შიმშილისგან. ამან ახლა გაიღვიძა და ახლა მე მკითხოს, დილიდან სამსახურში ვარ“, — გაიფიქრა ვანი და პრეზიდენტმა ნოდარამ, ნერწყვი ძლივს გადაყლაპა და ვანს გადახედა, რომელსაც ისედაც ეტყობოდა, რომ დიდი გურმანი არ იყო.

პრეზიდენტმა ჭამა მოამთავრა, „ბორჯომი“ დააყოლა, ერთი კარგად ამოაბოცინა და გოგია კენკიშვილივით შესძახა, — „ჰა, ვერან, როგორია?!“

მრჩეველები მიჩერდნენ. ვერ გაეგოთ, რომელს მიმართავდა.

უცებ პრეზიდენტი დასერიოზულდა, ჩაფიქრდა და თევზის ფხითა და ძვლებით სახე თევზს ჩააშტერდა. მერე თავი ასწია და ჯერ ერთს მიაბჯინა მზერა, მერე — მეორეს.

მრჩეველები დაიზაფრნენ როგორც ბელადი გორილას წინაშე მსხდარი შემინებული გორილები. იცოდნენ, რომ ბელადი მზერის გასწორებას ვერ იტანდა და მისი თვალებიდან გამომკრთალმა რისხვის ნაპერწკლებმა ორივეს თავები დაახრვეინა.

— კარგი, — მძიმედ გაისმა პრეზიდენტის ხმა ახლად აშენებული რეზიდენციის სასადილო დარბაზში, — ახლა საქმეს შევუდგებით.

მრჩეველებმა ბლოკნოტები და კალმები მოიმარჯვეს. ორივე ნარედაქტორალი იყო და დამახსოვრებას ყველაფრის ჩანერა ერიოვნათ.

— სიტყვა უნდა მომიზადოთ, — მიმართა პრეზიდენტმა, — ოღონდ თქვენებურად ნუ გატყლარჭავთ, რაც შეიძლება მოკლე და ყოვლისმომცველი უნდა იყოს.

ვანი და ნოდარი ვერ ხვედებოდნენ, რა სიტყვა უნდა მოემზადებინათ. პრეზიდენტი ყოველთვის ზეპირსიტყვიერებით გამოირჩეოდა და მის გამოსვლებს ხიბლს ესეც სძენდა, ჰაიპარად წამოსროლილი ფრაზებისა და ხშირად შეცდომით მოხმობილი ციტატების მიუხედავად.

— ჰო, სიტყვა უნდა მომიზადოთ, — გაიმეორა პრეზიდენტმა, — თუმცა, ეს ხომ უკვე გითხარით.

რაღაცის თქმა უნდოდა ჩაფიქრებულ პრეზიდენტს, მაგრამ უჭირდა თავისი მრჩეველების თანდასწრებით იმ ორი სიტყვის ხმამალა წარმოთქმა, ამ ბოლო დროს რომ აეკვიცა. სულ ენის წვერზე ედგა, თითქოს თავისით უნდა გამოფრენილიყო ეს ორი სიტყვა, მაგრამ ენას კბილს აჭერდა. უჭირდა პრეზიდენტს, ძალიან უჭირდა. ვერ წარმოედგინა, როგორ უნდა ეცხოვრა ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ. ბოლოს დუმილი გაუსაძლისი გახდა. ან ჩვეულებრივად უნდა დაეცაცხანებინა და გაეყარა ეს უსაქმურები, ანდა გამოსვლის ტექსტისთვის მესივები ეკარნახა.

უცებ სარკოზის პირით შემოთვლილი მუქარა გაახსენდა და საზარდულმაც თავი შეახსენა.

— კარგი, რაც იქნება, იქნება, — ცხვირზე მანერულად ხელი გაისვა, — მთავარი მესივი იქნება ჩემი გადადგომა!

მრჩეველებს ზაფრამ დაუარა. ვერ გაეგოთ, რა ხდებოდა. თუ პრეზიდენტი ხუმრობდა, ეს რა ხუმრობაა? იქნებ გამოცდას უწყობდა, აინტერესებდა, რას ეტყობდნენ?

— ბატონო პრეზიდენტო! — ერთხმად, ოღონდ სხვადასხვა ინტონაციით წარმოთქვეს მრჩეველებმა.

მაგრამ პრეზიდენტმა გაფარჩხული ხელი აღმართა და მრჩეველებს სიტყვა გამშრალ ტუჩებზე შეაცივდა.

— უნდა გადავდგე! — ყრუდ წარმოთქვა პრეზიდენტმა, — სიტყვის ვარიანტები ცალცალკე დაწერეთ. მერე მე ვნახავ. მაგრამ გახსოვდეთ: ამის შესახებ ჯერჯერობით არავინ არაფერი არ უნდა გაიგოს. ახლა წადით და იმუშავეთ. ტექსტი ერთ საათში მაგიდაზე უნდა მქონდეს.

დაზაფრული მრჩეველები უკუსვლით გავიდნენ სასადილო დარბაზიდან და თავიანთი ოთახებისკენ გაემართნენ.

რამდენიმე წუთში საინფორმაციო სივრცე ცინცხალი ახალი ამბით გაიხსნა — პრეზიდენტმა გადადგომა გადაწყვიტა!

მართალია, მისი განცხადება ჯერ არავის მოესმინა, მაგრამ გახარებული ხალხი ქუჩაში გამოვიდა სიმღერით — „თან წაიღე!“

...ელდნაცემს გაეღვიძა, ცივი ოფლი ასხამდა, სპეცნომრის წინ მობილური განუწყვეტლივ რეკავდა. ნომერს დახედა, ვანო იყო.

— ვიქტორის გამოგზავნილი მიტინგის დასაშლელი სპეცტექნიკა უკვე აეროპორტშია, „სპეცნაზი“ სამ საათში მზად იქნება — მოახსენა მინისტრმა.

— მაშ, თან წავილო, არა?! მაშ, გადავდგე, არა?! ნურას უკაცრავად! — გაიბდრა პრეზიდენტი და მდივანს უხმო.

— ვანს და ნოდარს დამიძახე, საგანგებო მდგომარეობა უნდა გამოვაცხადო, სიტყვა მომიზადონ...

სააკაშვილი აღიიშვილს აღარ ენდობა და თანაგუნდელებს სუბიექტურ დაკლასიებით ახანტაუებს

„რა ხდება, რატომ დაგაკავებს, ბატონო მერაბ?!“ — მიკროფონებით მისდევდნენ ტელეჟურნალისტები ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრს მერაბ ადგიშვილს, რომელიც 2004 წელს სახელმწიფო კანცელარიაში დაიბარეს და იქ გენერალური პროკურატურის თანამშრომლები დაახვედრეს. მერაბ ადგიშვილს ვერ გაეგო, რა ხდებოდა და, ჯანაიანი მუტრუკების მარნუხეზივით მკლავებში მოქცეული, შიშისა თუ შეშფოთების გამო დაბნეული, ჟურნალისტებს მიმართავდა: — „იქნებ, თქვენ მაინც გაიგოთ, ბიჭებო!..“

ჟურნალისტებმა კარგად იცოდნენ, რაც ხდებოდა, მაგრამ როგორ გინდა უთხრა თავმომწონე მინისტრ კაცს, რომ მისი დაკავების ბრძანება თვით უავგუსტესმა გასცა და ახლა ღრუბელივით „გამოსანურავად“ მიაცუნცულდნენ.


სხვათა შორის, შევარდნაძის ჩინოვნიკები სააკაშვილის ხელში განსაკუთრებული „წველაღობით“ გამოირჩეოდნენ.

რამ გამახსენა ახლა ღრუბლები და მათი გამოსურვა?!
რომელმაც მმართველმა ვესპასიანემ სისხლიანი სამოქალაქო ომის შედეგად განადგურებული ქვეყანა ჩაიბარა და მის ალდგენას ენერგიულად შეუდგა.

ამისთვის კი, უპირველესად, ხაზინის შევსება იყო საჭირო. ისტორიიდან ცნობილია მისი ფრთიანი გამონათქვამი, რომ „ფულს სუნი არ უდის“, მაგრამ ცოტამ თუ იცის, რომ უავგუსტესი კეისარი აქტიურად ვაჭრობდა სახელმწიფო თანამდებობებით. ყველაზე ხარბი ჩინოვნიკებს გარკვეული საფასურის გადახდის შემდეგ სპეციალურად ნიშნავდა და საგანგებოდ ანიშნავდა ყველაზე მალალ პოსტებზე, რათა მათ რაც შეიძლება მეტი ქონება მოეხვეჭათ. როდესაც ჩინოვნიკი დიდძალ ქონებას დაგროვებდა, ვესპასიანე მას უკანასკნელ სესტერცამდე გამოიწერავდა.

სააკაშვილმა შევარდნაძის ყველა ან თითქმის ყველა ჩინოვნიკს სეპარატორი (ავტონომიური წველის აპარატი) მიუმარჯვა პროკურატურის სახით და კი გვარიანი ფარაც დაეყაჭვინა. მუდმივად იმაზე ლაპარაკობდნენ, — ეს ფული, განა რამდენ ხანს ეყოფა ამ ხელისუფლებას, როგორც ჩანს, მერე თავისიანებს დაერევო. აკი, ახლა კიდევ ეს ავი თუ სასურველი წინასწარმეტყველება. ღიად არ აღიარებენ, თორემ არცთუ იშვიათად გაიგონებთ, რომ არველადეს მიატანიხეს, ნოლაიდელს მიატანიხეს, თარგამაძეს მიატანიხეს, კეზერაშვილს მიატანიხეს...

ახლა საქართველოში ხელისუფლების ცვლილების ნიავმა დაუბერა და კვირა არ გავა, ხელისუფლებიდან ოპოზიციაში მავანის გადასვლის შესახებ არ შეივტყობ. სააკაშვილიც ხვდება, რომ ეს ნიავი მალე ქარად, შემდეგ კი ქარიშხლად გადაიქცევა და... გაახსენდა 2004 წლის დანაპირები, — ჩემი ხელისუფლების



ყველა ჩინოვნიკის დეკლარაციები მათი მოღვაწეობის მანძილზე მნიშვნელოვნად არ უნდა განსხვავდებოდეს ქონების შექმნის კუთხით, ამას პირადად გავაკონტროლებო. ყველა რომ ფიქრობდა, მიავიწყდაო, სწორედ მაშინ გაახსენდა მიშას თავისი ხელისუფლების ჩინოვნიკების ქონება და ფინანსები.

კონტროლის ყველაზე კარგი მექანიზმი კი ჩინოვნიკების დეკლარაციების თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროში თავმოყრაა. ეს სამსახური აქამდე იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში იყო, სულ მალე კი პირადად პრეზიდენტს დაექვემდებარება, რადგან პარლამენტში უკვე განიხილავენ კანონპროექტს, რომლის თანახმად, ეს ბიურო და პრეზიდენტთან არსებული საჯარო სამსახურის საბჭო გაერთიანდება.

ახლა რა გამოდის: ცვლილება, რომელიც თითქმის დიდი ვერაფერი შვილი ინტრიგის შემცველია, სინამდვილეში სერიოზული რყევების მოლოდინითაა ნაკარნახევი. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროს თავმჯდომარემ ალექსი ბატიაშვილმა პირადი განცხადების საფუძველზე თანამდებობა დატოვა და... როგორ ფიქრობთ, სახლში წავიდა და თვითგვემას მიეცა? არა, ირაკლი ალასანიას გუნდს შეუერთდა.

სწორედ მაგის ჩიტია სააკაშვილი, ვერ ხვდებოდეს, რასაც მოასწავებს ინფორმირებული ადამიანების მის ოპონენტებთან შეერთება. ეს ხალხი მხოლოდ ცხელი გულით კი არ

მიდის ხელისუფლებიდან, არამედ ბლომად ინფორმაციაც თან მიაქვთ „ფლეშკებითა“ თუ „პროცესორებით“.

ხელისუფლების ნავი იძირება. პრეზიდენტმა სააკაშვილმა კარგად იცის, რომ კადრების ოპოზიციაში გადასვლა მალე შეუქცევად ხასიათს შეიძენს და ისიც იცის, როგორ უნდა მოთოკოს გაზულუქებული ჩინოვნიკები. მათი დეკლარაციების მარტივი შედარებაც კი ნათელს ხდის, თუ რა ქონება შეიძინეს ხარბმა და გაუმძღარმა თანამდებობის პირებმა უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე (სხვათა შორის, გიორგი არველაძე დეკლარაციებს არ ავსებდა და ამისთვის გამონერილ ჯარიმებსაც პატიოსნად იხდიდა. ალბათ, ასე ერჩივნა).

როგორც აღვნიშნე, თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიურო აქამდე იუსტიციის სამინისტროს ექვემდებარებოდა. იუსტიციის მინისტრი მიხეილ სააკაშვილის უერთგულესი (და მასზე განათლებულიც, როგორც პრეზიდენტმა განცხადება ზურაბ ადიგოშვილია. რა შეიძლება ვიფიქროთ — მიხეილ სააკაშვილი ზურაბ ადიგოშვილსაც აღარ ენდობა და ამიტომ იქვემდებარებს ამ ბიუროს, რათა პირადად გააკონტროლოს თანამდებობის პირთა ქონება და ფინანსები?

პრეზიდენტმა სააკაშვილმა ისედაც კარგად იცის, რა ქონებისა და ფულის პატრონები გახდნენ ამ ხუთ წელიწადში თანამდებობის პირები, მაგრამ საკუთარი ხელით რომ შეავსებდეს დეკლარაციას და წერილად ჩამოკენჭავ, — რა გაქვს და სად გაქვს, მერე ამას მერაბიშვილი რომ გადაამოწმებს და რაც არ ჩავიწერია, იმასაც ამოგიქეპავს, სააკაშვილს უფრო გაუადვილებდა კარისკენ ჩუმად გაძურწული ჩინოვნიკისთვის კუდში ხელის წავლება და „კუდი“ ქვის სროლინება.

ხოლო სააკაშვილმა როგორი ქიმუნჯი იცის, ჩვენგან არ ესწავლებათ დიდი ცვლილებების მოლოდინში გაყურსულ „ჯიპებიან“ ყურუსაღებს.

უავგუსტესი ვესპასიანეც ასე იქცეოდა და არ გაგიკვირდეთ, უავგუსტესმა მიხეილმაც განკულავების ახალი სერია რომ წამოიწყოს და ალასანიას, ბურჯანაძის თუ ნოლაიდელისკენ თვალეზარებრივი ჩინოვნიკები კუდის რიკამდე გაატყავოს. სადაც შევარდნაძის ჩინოვნიკებს წურავდა, იქ არც თავისი დანიშნულების გამოსურვა გაუჭირდება ჩვენს წამსვლელ პრეზიდენტს.

ჯერ გამოსურავს, მერე კი ნავა და თან წაიღებს!
იცით, რასაც!

ჰაიტაკრაქუენ რისკუბლიკა!

უნიკალური ქვეყანაში ვცხოვრობთ, არაჩვეულებრივ სახელმწიფოში. ამ ჩვენმა უკვე მოძველებულმა თუ მოზერებულმა ხელისუფლებამ ხომ სულ ახალ-ახალი თვისებები აღმოგვაჩინა. აბა, თუ მეტყვიოთ, სხვაგან სადმე გაათავისუფლებდნენ გირაოთი ჯაშუშობის ბრალდებით დაკავებულებს?

უწინ ჩვენთანაც ასე იყო. გეზსომებათ, რუსი ჯაშუშები დავიჭირეთო, რა ვაი-უშველებელი ატყდა ამ რამდენიმე წლის წინათ და რა ცუმა-ცუმით გადასცეს უცხოელებს, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, რუსეთის სამხედრო ბაზის თანამშრომლები. ამ სამხედროებს რუსეთის მაშინდელი პრეზიდენტი პირადად შეხვდა და არაორაზროვნად მიგვანიშნა რომ „შპიონური“ პიარ-აქცია ძვირი დაგვიჯდებოდა. სწორედ ამ აგენტომაზის მოწყვა ყველა ის უბედურება, დღემდე რომ თავს გვატყდება.

ისიც გეზსომებათ, სახელმწიფო კანცელარიაში ჯაშუშობის ბრალდებით პრეზიდენტის პრეს-სამსახურის თანამშრომელი რომ დააკავეს. ტყავისლაბადიანი კაცი ისეთი სახით გამოიყვანეს შენობიდან, თითქოს ლეგენდარული აბელი ან ფილბი გააუვნებელყვეს. ქვეყანა შეძრეს, სახელმწიფო კანცელარიაში აგენტი აღმოვაჩინეთო. იმ კაცს — სიმონ კილაძეს — პრეზიდენტის პრესსამსახურში აკრედიტებული ყველა ჟურნალისტი იცნობდა და იცნობს. რამდენიმე წელი ერთი და იგივე ტყავის ლაბადით დადიოდა, დილიდან საღამომდე ინტერნეტის მასალებს ეცნობოდა და დღეში, სულ მცირე, ორ საინფორმაციო გამოშვებას უზნაბებდა პრეზიდენტს. შესაძლოა, რომელიმე საინფორმაციო სააგენტოს მართლაც აწვდიდა იმ ინფორმაციების კომპილაციას, რომელსაც ინტერნეტით მოიპოვებდა, და შესაძლოა, ის საინფორმაციო სააგენტო მართლაც იყო დაკავშირებული რომელიმე სპეცსამსახურთან, მაგრამ სიმონ კილაძის უცხო ქვეყნის აგენტობა იმთავითვე ტყუილი რომ იყო, ეს არავისთვის ყოფილა ახალი ამბავი. განა, რა ინფორმაციაზე მიუხედავებოდა ხელი, რომ სპეცსამსახურებისთვის გადაეცა? იმ დროისათვის (დღევანდელისგან განსხვავებით!) საქართველოს პრეზიდენტს ქვეყნის გარეთ უფრო ხშირად ხედავდნენ, ვიდრე აქ და კილაძეს რა ინფორმაცია უნდა გაეცა?

არც არაფერი. მაგრამ მაშინ ასე იყო საჭირო და ნუ დაიწყებთ მარჩიელობას. სიმონ კილაძე, თუ არ ვცდები, ერთი წლის შემდეგ გაათავისუფლეს და ახლა ერთ-ერთ გაზეთში ვრცელ ინტერვიუებსა და წერილებსაც აქვეყნებს. ოღონდ, არაფერს ამბობს თავისი კურორული პატიმრობის იმ ერთ წელიწადზე. კიდევ კარგი, თავი მართლა სუპერჯაშუშად არ წარმოიდგინა, რომელიც ჯერ ყოფილ პრეზიდენტზე აგროვებდა ინ-

ფორმაციას და მერე — მის მემკვიდრეზე.

სასაცილო იყო ეს ისტორია, მაგრამ, აბა, სიმონ კილაძეს და მის ოჯახს ჰკითხეთ, — ეცინებოდათ? სამაგიეროდ, ამ ინფორმაციის ნაკითხვის შემდეგ თქვენც გაიციინებთ გრიგორი მინასთან და სერგეი აკობჯანიანთან ერთად. მხიარულ მოძახილს კი მათი ოჯახის წევრებიც გეტყვიან.

და, აი, რატომ: ჯაშუშობის ბრალდებით დაკავებული საქართველოს ეს ორი, წარმოშობით სომეხი მოქალაქე, თბილისის საქალაქო სასამართლომ გირაოს გადახდის შემდეგ გაათავისუფლა. გრიგორი მინასთან ახალციხეში სომხური ახალგაზრდული მოძრაობის თავმჯდომარეა, სერგეი აკობჯანიანი კი ორგანიზაცია „შარლ აზნავურს“ ხელმძღვანელობს. ორივე 2 იანვარს დააპატიმრეს.


მიაქციეთ ყურადღება: ჯერ ჯაშუშობისა და შეიარაღებული ფორმირებების შექმნის ბრალდებით დააკავეს და მერე გაათავისუფლეს. გირაოთი.

თუ ეს ორი პატივცემული ახპერი ჯაშუში არ იყო და არც შეიარაღებული ფორმირებების შექმნა უცდათ, რატომ დააპატიმრეს და მთელი ორი თვე რატომ აყურყურტეს ციხეში? და თუ ორივე ჯაშუშია და შეიარაღებულ ფორმირებებს ქმნიდნენ, რატომ გაუშვეს?

აქ მხოლოდ ორი ვარიანტია: ან ესენი ჯაშუშები არ არიან, ან ჩვენმა სპეცსამსახურებმა მინასთან და აკობჯანიანს გადმოიბირეს, ასე ვთქვათ „პერვერბოვკა“ გაუკეთეს. მერე კი გირაოს ლეგენდით გაათავისუფლეს. თუ-კი ასეა, გამოდის, რომ „გირაოთი გაათავისუფლებით“ ჩვენებურმა შტრილიცებმა გადმოიბირებულ ჯაშუშებს ლეგენდა კი არ შეუქმნეს, არამედ გამოიფრეს...

პრეზიდენტის მრჩევლის ეროვნული უმცირესობის საკითხებში ვან ბაიბურთის თქმით, „მიუხედავად იმისა, რომ გირაოს გადახდის შემდეგ სასამართლომ დაკავებულები გაათავისუფლა, გამოძიება ისევ მიმდინარეობს და მათი ბრალეულობის საკითხი გამოძიების დასრულების შემდეგ გაირკვევა“.

ჩავლენ ახლა ეს გმირადქვეული მინასიანი და აკობჯანიანი ჯავახეთს და, ქართველ შტრილიცებზე რასაც ილაპარაკებენ, ადვილი წარმოსადგენია. სტატისტიკა ნებისმიერ შემთხვევაში შეივსება, ჩვენ ორი ჯაშუშითი მეტი გვეყოლება გამოვლენილი, სომხებს კი ქართველ ჩეკისტებზე ორი ანეკდოტით მეტი ექნებათ მოსაყლო.



დათო, მოგე რაბატკა...

საქართველოს ჰაერსაინააღმდეგო ძალების ძირითადი დამრტყმელი ძალა საბჭოთა წარმოების საზენიტო კომპლექსებია. ავეისტოს მოვლენების დროს რუსული ბომბდამშენი „ტუ-22“ ქართველმა სამხედროებმა საბჭოური „ბუკი“ ჩამოაგდეს. ახლა კი ირკვევა, რომ ამ კომპლექსის დეკოდირება შესაძლებელია. ამის შესახებ ინფორმაცია ფინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა და ისიც აღნიშნა, რომ ფინეთის ჰაერსაინააღმდეგო ძალები სასწრაფო წესით შეიარაღებიდან იღებენ საბჭოთა წარმოების საზენიტო კომპლექსს. უპირველესად კი იმ „ბუკებს“ შეცვლიან, რომლებიც ჰელსინკს იცავს.

როგორ დაიცავდა ჰელსინკის უღრუბლო ცას რუსული შეტევისგან საბჭოთა „ბუკები“, ძნელი მიხსნებელი არ არის, თუ გავითვალისწინებთ, რომ საბჭოთა კავშირის „პირველი რიგის მემკვიდრე“ სწორედ რუსეთია და ფინეთისთვის გადაცემული კომპლექსის კოდების გამოფერა მისთვის სულაც არ იქნებოდა რთული.

გასული საუკუნის 70-იან წლებში სირიის პრეზიდენტს მუამარ კადაფის არმიას ჩამოუგდეს. „ფინელები ჭკვიანი ხალხია. ისიც გასათვალისწინებელია, რომ „ბუკი“ მოძველდა. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ ეს კომპლექსი რუსულ სიხშირეებზე მუშაობს“, — ამბობს კახა კაციტაძე და კვალიფიციური სამხედრო ექსპერტის ამ სიტყვების მოსმენისას უნებურად გახსენდება ჩვენი ხელისუფლების მილიტარისტული ბაქიბუქი.

ბოლო წლებში შეიარაღებაზე იმდენი თანხა დაიხარჯა, რომ შეგ-

ვეძლო, თანამედროვე დასავლური ტიპის ჰაერსაინააღმდეგო კომპლექსები გვეყიდა და „ბუკის“ იმედად არ ვყოფილიყავით, რომლის სიხშირეების ჩახშობა რადიოელექტრონული საშუალებებით ადვილად შეიძლება. თუმცა, ჩვენთან შარშანდელი ომის დროს ჩახშობამდე არც მისულა საქმე — რუსულმა ავიაციამ, მიუხედავად ქართული სამხედროების ნინაღმდეგობისა, „ბუკიც“ გაანადგურა და „ნალარაც“. რაც დაბომბეს, ხომ ერთიანად მოსპეს და, რაც გადარჩა, სამხედრო ალაფად წაიღეს.

ასე დავრჩით გენერალ თევზაძის „რაგატკის“ ამარა. მართალია, პრეზიდენტი სააკაშვილი, რომლის თქმითაც, „ომი ჯერ არ დამთავრებულა“, კვლავ მუშტებზე იყურება, მაგრამ რა „პოლიტიკური კუნთების“ პატრონიც არის, ყველამ კარგად ვნახეთ. ახლა დროა, ბლომად რიყის ქვები მოიმარაგოს და დავით თევზაძეს, რომელმაც რიხიანად ჩააბარა აღლუმში 2004 წლის 25 იანვრის ინაუ-



დროა, თევზაძის „რაგატკაზე“ მოვიმარჯვოთ და... ვილოცოთ, თორემ თბილისში ერთი ბუნკერი და ისიც დაკავებულა — ჩვენ იქ არავინ ჩაგვიშვებს.

გურაციისას, „რაგატკა“ გამოართვას. 2002 წელს საქართველოს საჰაერო სივრცეში შემოჭრილი რუსული ბომბდამშენების ჩამოგდებას თავდაცვის მანინდელი მინისტრი სწორედ „რაგატკით“ აპირებდა და სეხნია და კოლეგა სიხარულიძესაც იმით მოუწევს „დაუთმავრებელ ომში“ ბრძოლა, რადგან, როგორც კახა კაციტაძე აცხადებს, „დღეს ძნელია იმის

თქმა, მიჰყიდის თუ არა რომელიმე ქვეყანა ავანტიურისტ ხელისუფლებას თანამედროვე საზენიტო კომპლექსებს“. ძნელია კი არა, დანამდვილებით შეიძლება თქმა, რომ არ მიჰყიდის. ჰოდა, დროა, თევზაძის „რაგატკები“ მოვიმარჯვოთ და... ვილოცოთ, თორემ თბილისში ერთი ბუნკერი და ისიც დაკავებულა — ჩვენ იქ არავინ ჩაგვიშვებს.

ნატოს საინფორმაციო ცენტრის უფროსის მამამ ეროსი კინემატიური სხვა

რას ამბობ კაცო, ვინა სცემო?! — პირველი გაოცების შემდეგ მხოლოდ ეს შეკითხვა უჩნდებოდა ყველას, ვინც კი ამ ამბის შესახებ იგებდა. მთელი თუ არა, ნახევარი თბილისი ეროსი კინემატიურის ცენტრზე ლაპარაკობდა. კოდუას ხალხმაო, არა, ვილაც სხვას უცემიაო. კარგი უქნია, მარჯვენა დაელოცოსო, — უმრავლესობა ამ აზრზე იყო და პოლიტიკური მოტივი არავის გახსენებია, გარდა... ეროსისა! „ხელისუფლების პოლიტიკური შურისძიება“, — ასე შეაფასა ეროსიმ მასზე „თავდასხმა“ და მეტი დამაჯერებლობისთვის მოაყოლა: „დარწმუნებული ვარ, გუდაურში მომხდარის შემდეგ ავლაბარში, სააკაშვილის კაბინეტში მისი უახლოესი გარემოცვა შეიკრიბებოდა — ასე ხდება ყველა ბინძური ისტორიის შემდეგ — და კმაყოფილებით დატკბებოდნენ“.



ეჰ, ერასტი, ერასტი! შენ რა იცი, „ყველა ბინძური ისტორიის შემდეგ“ რა ხდება სააკაშვილის კაბინეტში, თუ თვითონაც ერთი-ორჯერ მაინც არ დასწრებინარ მისი უახლოესი გარემოცვის შეკრებას და თვითონაც კმაყოფილებით არ დამტკბარხარ? შენი სამეტყულო აპარატს ავტოპოლოტი გაუფუჭდა და აღარ იცი, რა ილაპარაკო?

ახლა იმ კაბინეტთან ფეხი ამოგაკვეთინეს და შენი გასილაქებაც პოლიტიკური სუნელებით გინდა, შეკმაზო? შენ ის კაცი არა ხარ, „რუსთავი 2“-ზე სიბინძურის მლანგი რომ მოიმარჯვე და უდანაშაულოსაც და დამნაშავესაც ერთნაირად წარმატებით ასხამდი ლაფსა და ფეკალიებს? შენ ის კაცი არა ხარ, ვალერი ასათიანი რიტუალური მკვლელობების ჩამდენად რომ გამოაცხადე? მერე, ერთი წუთით თუ იგრძენი სინდისის ქენჯნა (თუ გაქვს, რა თქმა უნდა!) იმ კაცის მიმართ, ყველა სასამართლომ რომ გაამართლა, და თუ მოუხადე ბოდიში? რომ მოსულიყო ის კაცი და რუსთაველის პროსპექტზე სახრის ცემით ცალ მხარეს გაპარსული წინ გაეგდებ, არ იყავი ღირსი? თუ ამასაც „ხელისუფლების პოლიტიკურ შურისძიებას“ დაარქმევდი?

ნანუკა ჟორჟოლიანს ჩემი ვეჩილობა არ სჭირდება. საქმე საქმეზე ნუ მიდგება, თორემ მას არც ადვოკატის შოვნა გაუჭირდება და პატრონიც ისეთი ჰყავს, უფრო გვარინადაც შეეძლოთ „მისიფა-

რომ გინოდებს. პოეტია, თანაც, — უებრო პოეტი და სიტყვაში ვინ გაეჯობდება ანდა ვინ დაუშლის, მაგრამ მე არ მომწონს, რადგან ღმერთმა ასეთი გაგაჩინა და შენი რა ბრალია. მაგრამ იმისთვის, რაც შენი გონებიდან მოდის, პასუხს რომ მოგთხოვენ, ნულარ გაიკვირებ. მაინც არ შეგვეცოდებო.

თავის დროზე, როცა დეპუტატ ვალერი გელაშვილს სასიკვდილოდ სცემეს „დაუდგენელმა პირებმა“, ნაცემი დეპუტატი ყველაზე შეიცოდა, მაგრამ იქვე ყველა ამბობდა, პრეზიდენტის ოჯახს არ უნდა შეხებოდაო. თვითონ გელაშვილმაც თქვა, — მეტისმეტი მომივიდა, მაგრამ ქონებას მართმევდნენ და ჟურნალისტთან საუბრის დროს თავი ვერ შევიკავეო. კობა დავითაშვილი რომ პირდაპირ ეთერში თვალბეჭდვითი ილანძღებოდა და დიდ გულზე იყო, — ახლა მომიგზავნე ხალხი, თუ ვაუკაცი ხარო, — იმ ავადსახსენებელ 7 ნოემბერს გორის სამხედრო ჰოსპიტალში როცა აღმოჩნდა, ალბათ, მაშინ მიხვდა, რომ ძალიან გადაამლაშა.

ეს მაგალითები იმიტომ მოვიყვანე, რომ გაამეჩვიებულ ქართველებს შევახსენო: საქართველოში ადამიანის შეხედულებებს შეიძლება არ იზიარებდე და სასტიკადაც აკრიტიკებდე, საჯარო მოხელეებს რიგით მოქალაქეებთან შედარებით თმენის მეტი ვალდებულება აქვთ და შეგიძლია, გააშარყო კიდევ, არც მწარე სარკაზმი დაიშურო, მაგრამ რაც შეეხება ოჯახს, აქ თუ „ტარმანზოი ჟიდკოსტმა“ გაგისხა, მერე არც ის უნდა გაგვიკვირდეს, თუ ერთს ლაზათიანად „აირტყამ“.

ასე „აირტყა“ დაუკრეფავში გადასულმა „დიდმა“ ეროსი კინემატიკულმა. ახლა კი გასილაქებული მწარედ მოსთქვამს, — „ხელისუფლების პოლიტიკური შურისძიების“ მსხვერპლი ვარო. პოლიტიკური არა... მსხვერპლი არა, ისა... რა ატამი, რი ატამი, ერასტიჯან!

არა მხოლოდ გვარჯილთა ამონიუისა...

მთავრობამ გლენობაზე მორიგი იერიში წამოიწყო და ამ შეტევასაც წარმატებით ართმევს თავს. ხეში წყლის ჩადგომისთანავე სასუქის დარიგება რახანია ყოველწლიურ ვალდებულებად იქცა. ახლაც დაარჩევს და არიგებენ კახეთში, ქვემო და შიდა ქართლში, სამცხე-ჯავახეთსა და მცხეთა-მთიანეთში, გურჯისტანსა და სამეგრელოში. ამ პროცესისთვის სახელმწიფო მნიშვნელობის მინიჭებას ისახავდა მიზნად სოფლის მეურნეობის მინისტრის ბაკურ კვეზერელის პირადი მონაწილეობა ზუგდიდის რკინიგზის სადგურში ამონიუმის გვარჯილთა დატვირთული 4 ვაგონის ჩამოცლაში.



არც ერთი ქართული ოჯახი უგვარჯილოდ! — ამ დევიზით წლეულს ასეულობით ათასი კომლი „განოყიერდება“ და ისეთ მოსავალს მიიღებს, თვალის დაუდგება და, იქნებ ევროპის ბაზრებზე დავიპყროთ. თან ახლა იქ ისეთი კრიზისია, როგორც პრეზიდენტი სააკაშვილი აცხადებს, რომ ხალხი მთელ მსოფლიოში შიმშილის ზღვარზეა და სანამ ჭკუასაც გადასცდებიან, სასწრაფოდ რაღაც უნდა ვუსაშველოთ. ევროპელებს კი არა, აქაურებს, რადგან, როცა პრეზიდენტი მსოფლიო ეკონომიკის დაქვევებაზე გვესაუბრება, უპირველესად, ალბათ, ქართულ ეკონომიკას გულისხმობს, რომელიც თურმე „არ ჩამოშლილა“. შედეგად, ისედაც დაქცეული და განანაგებული ეკონომიკა როგორღა ჩამოიშლება?! აბა, ნაქცეული კაცი ნაიქცაო, ვინმემ რომ თქვას, რას იფიქრებთ ასეთ „მოაზროვნეზე“, მისი „მოტორის“ მდგომარეობით არ შეუნხდებით?

პრეზიდენტი კი ფიქრობს ხალხზე, გლენობაზე და ურიგებს ამონიუმის გვარჯილას, მაგრამ სულაც არ გახლავთ ალტრუიზმით შეპყრობილი. კარგად იცის, ნინასარჩვენოდ რა უნდა გააკეთოს, როგორ „განოყიეროს“ ელექტორატი. მართალია, ეს საქმე ყოველთვის არ გამოსდის, და ამის დასტურია ცხინვალზე „სასუქის შტურმიც“, რომელიც 2004 წელს დაიწყო და წლეულს ვეღარ გაგრძელდება, რადგან ამით რა მოსავალიც მოიპოვა, კარგად ვნახეთ. გუბაზ სანიკიძემ „საქონელი“ უნოდა იმ ხალხს, ვინც შარშან, პარლამენტის არჩევნებისას, ერთი ტო-

მარა სასუქისა და 20 ლიტრი დიზელის სანავის სანაცვლოდ ხმა „ნაც-მოდრობას“ მისცა. რაო? ხალხის ასე შეურაცხყოფა როგორ შეიძლებაო? — აღმოთოდნენ ნაცელიტის კაშკაშა ვარსკვლავები, მაგრამ გუბაზმა უკან არ დაიხია; დაიხ, ვინც თავისი ხმა გაყიდა და ქვეყნის დამატკვერები 20-30 ლარის სანაცვლოდ აირჩია, საქონელიაო. უფრო ადრე სააკაშვილის ნინამორბედმა მოუწოდა ღარიბ ელექტორატს — გამოართოთ, ვინც რამეს მოგიტანთ და ხმა მე მომეცითო. ვისაც მისცა ხალხმა, — ვნახეთ! სააკაშვილს რომ საარჩევნოდ ხმას არავინ მისცემს, ეს თვითონაც კარგად იცის, მაგრამ ნასვლის წინ მაინც არიგებს ამონიუმის გვარჯილას.

დაარიგოს, გლენებმაც აიღონ ეს მცირედი მოწყალეობა კეისრისაგან, მთავარია, საარჩევნო ყუთთან მისულელებს არ დაავინყდეთ, რომ არა მხოლოდ გვარჯილთა ამონიუმისა ცხონდეს ამომრჩეველი!

მარინა ბალიაშვილი:

დავით გაყრალიქას გადაყვებ წუთებში გაგაქლობას ღალატობს

პოლიტიქის რთულ ლაბირინთებში ლიდერზე დამოქიდებული, ქვეყანა განვითარების რა გეზს აიღებს, მის გერგილიანობასა და ალღოიანობაზე, რამდენად უშეცდომოდ მიხვდება — რას ითხოვს უამი: ბრძოლას თუ დიპლომატიურ დათმობას, ჩათრევას თუ ჩაყოლას, რადგან მქიმეა პოლიტიქოსი წინამძღოლის მანტია. მისი ყოველი სიტყვა თუ საქმე საზოგადოებაში ცხოველ ინტერესს უნდა ინვევდეს. რამდენად აქმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს პოლიტიქოსი დავით გამყრელიძე, ამის შესახებ გვესაუბრება დიმიტრი უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი მარინა ბალიაშვილი.

— ქალბატონო მარინა, ფსიქოტიპების რომელ რიგს მიეკუთვნება ბატონი დავით გამყრელიძე?

— თქვენს გაზათში დაგაქილვა ნინო გურჯანაქის უსიქოტიპის გასსნაჲ დიდი აჲოთაჲი გამოიწვია რომორც საზოგადოებაში, ისე პროფესიონალ უსიქოლოგებში. ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია, ვთქვა, რომ დასაც ამა თუ იმ პიროვნების უნარები და ხასიათი საზოგადოების სამსჯავროზე გამომავს, ჩემი მიღმომ სუბიექტისადმი სალი და მიუკარქოვაქია. არსებითად, ეს გასწავთ პროფესიონალის ანალიზი. დავით გამყრელიძე მკვეთრად გამოკვეთილი ფსიქოტიპი არაა. მისი მერყევი კონტურები ერთი ტემპერამენტის ფარგლებში ვერ ეტევა, მაგრამ მინც უმთავრესად ფლეგმატურობისაკენ იხრება. ის ამჟღავნებს მიდრეკილებას საქმიანი სფეროებისადმი და გაურბის გრძნობათა უნაყოფო აღმარენას. დავით გაყრალიქა არაა იღიის კაცი, უფრო პარაგმატისტი, ყოველთვის განონანროგაული ეთიქური ფორმით გამოთქვას შენიშვნებს, რაც მიგვანიშნებს მის თვითცანუარაჲა.

იმეათად ლიზიანდება, უაღრესად მობილიზებული და მოწესრიგებულია, თანაც — მეტიმეტად იმპლომატიური. ქალიან მოსაწყანი ტიპაჲია, რადგან უჭირს რიტიის შეცვლა, ადგილს არ უთმობს ლირიკულ გადახვევებს, უკიდურესი სიფრთხილით არჩევს სათქმელს. ყოველთვის ჩარჩოებში ზის, გამუდმებით იცავს ეთიქურ ნორმებს, საზოგადოებაში მიღებულ ეტიკეტს, დისციპლინასა და სუბორდინაციას. არასოდეს არღვევს დაწესებულ ნორმებს. ამგვარი ფსიქოტიპი საზოგადოების ინტერესის ცენტრში არასოდეს დგას.

სამხრათული ტიპიარაქენტი ვერ იტანს ჩარჩოებს და ხშირად აგვარაი ფორქულირებით აქოგს: — „არს — ღვინო და არს — წყალი“.

გეროვნად ვერც მის სიღარბაისლობას აფასებენ. მას ნამდვილად აქლია ექსტრავაგანტური ტიპაჲის მოულოდნელობით აღ-

სავსე „გამოხტომები“, ღიმილის ხიბლი, სანგვინიქის ენამოსწრებული იუმორი,

რას მის მოსაწყან და უინტექანსო პიროვნებად აჩენს,

ხშირად ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ გრძნობებისა და ემოციებისგან დაშრეტილია და სრულიად განძარცვული ნებელობითი ენერგიისაგან. დიახ, ის არაა დატვირთული განცდათა სიუხვით.

— ქალბატონო მარინა, პოლიტიქოსი ტრიბუნდანი შეიცნობა, როგორი ორატორია ბატონი დავითი, საზოგადოებასთან მის საუბარს თანახლავს საქმის ცოდნა და სიმართლის ძალა?

— მისი ფსიქოტიპის მახასიათებელია თადარიგი, მოქნილი ჭკუა და ელასტიკური მიდგომები. ამიტომ ძნელია, გაარკვიო, სად სიმართლეა და სად — სიყალბე. ამას ემატება მისი შენელებული დიქცია, მონოტონური, დანაწევრებული მეტყველება, რომელიც აუდიტორიას ღლის. ის თავისი საჯარო გამოსვლების სტრატეგიასა და ტექტიკას დიდი პასუხისმგებლობით წინასწარ აყალიბებს, მაგრამ

ოკონენტზე თავდასხმა და მისი მოგარქიაჲა უჭირს, ის ქი ლიდარქისთვის აუსილაქალი თვისეაა.

სახის გამომეტყველება შემწინეველ რეაქციას ამჟღავნებს, მაგრამ შეუძლია, მწარე შეპასუხების ნაცვლად, სკამზე ხანგრძლივად იჯდეს და თავის რიგს დაელოდოს. უზომოდ თავმოყვარეა, ერიდება გახმაურებულ კონფლიქტებს, სკანდალს, სკაბრეზულ გამოთქმებს. მას უსათუოდ შესწევს შეპასუხების უნარი, მაგრამ ემოციურად იმდენად ცივია, ვერასოდეს ახდენს შთაბეჭდილებას.

აგღანი წელიწადია, პოლიტიქურ ტრიბუნაზეა და ქელია, გავიხსენოთ დავით გაყრალიქის მიარ ნათქვამი თუნდაჲ ერთი ფრთიანი ფრაზა.

— ქალბატონო მარინა, იქნებ იმასაც ითვალისწინებს, რომ ოპონენტი მას ბევრ რამეს წამოსძახებს, გნებავთ, „აღდაგის“ მილიონებს...

— შეიძლება... ფლეგმატური კეთილგონიერება ჭარბად აქვს. ბიზნესიდან პოლიტიქაში მოვიდა, გათვლა შეუძლია. რისკის ფაქტორს ერიდება. ის შინაგანად სულიერი წყობით არ არის მეამბოხე, დისიდენტი, რევოლუციონერი. არ შეუძლია, ზედმეტად აქ-

...სიჩქარესა და აურხაურში მისი გონებრივი კომპასი მიმართულაჲს კარგავს და უსასოო გამოხედვით ნაპირზე ამოსულ თევზს ემსგავსება.



ტიური რეაქცია ჰქონდეს. მის სულიერებას აღმარენა და შთაგონება აქლია. ბარიკადები მისი სტილი არაა. ყველაზე მთავარი — ლიდერისთვის აუცილებელი ქარიზმა არ გააჩნია. ფრთხილი, წინდახედული მოქმედების უნარით, უკაცრავად და, კატასავით თვალთ ზომავს გადასახტომ ადგილს. დააკვირდით დავით გამყრელიძის ჩაცმის სტილს. მის კლასიკურად სადა, ელეგანტურ და დახვეწილ ტანსაცმელში ნეიტრალურ ფერთა გამა ჭარბობს. განსაკუთრებული ადგილი ნაცრისფერს უჭირავს. ფერთა შეგრძნება ქი მრავლისმეტყველია. ნაცრისფერი იზოლირებული სიცივის მატარებელია. ჩაცმის კულტურაში მისი ხასიათის ძირითადი შტრიხი — „ზომიერება“ დევს, რითაც ბატონი დავითი ხაზგასმით მიგვანიშნებს — „მე სოლიდური კაცი ვარ, ზედმეტობა არ მიყვარს“. სპონტანურობა მისთვის მიუღებელია, ფსიქიკა უფორიაქებს. აქ გენეტიკაც გარკვეულ როლს თამაშობს. ქაოსურ მოვლენებში დროებით იბნევა, სიჩქარესა და აურხაურში დავით გამყრელიძის გონებრივი კომპასი მიმართულებას კარგავს და უსასოო გამოხედვით ნაპირზე ამოსულ თევზს ემსგავსება. ჭკვიანია და ხვდება, რომ პასიურ მდგომარეობაში დიდხანს არ უნდა დარჩეს. ასე მივიდა 2007 წლის ნოემბრის დღებში მემარჯვენეთა ლიდერი გაერთიანებული ოპოზიციის გვერდით. ამოდ ცდილობდა, მათთვის ფეხი აეწყო, რადგან მისი ამბიციურობა და პატივმოყვარეობა ვერაფრით ეგუება რევოლუციურ რიტმს.

— საოცარია, მისი პოლიტიქური მეტამორფოზა. სულ რაღაც ერთ წელიწადში ბატონ დავითს უკვე სხვა პოლიტიქურ ბანაკში ვხედავთ. როგორ ახსნით მის ამ ცვალბადობას?

— უპირველესად, იმით, რომ ის აღმერთებს სიმშვიდესა და სტაბილურობას. ზომიერება, სიმეტრიულობა მისი ფსიქიქის მახასიათებელია. მისი დაუქმყოფილებელი პატივმოყვარეობა პოლიტიქურ არენაზე იმგვარ მოკავშირეებს ეძებს, რომლებიც თავიანთი ელვარებითა და ძლიერი გავლენიანობით სისუსტეებს შეუვსებს, დასახული მიზნის მიღწევაში დაეხმარება.

ის დგება ძლიერთან, რომელსაც წარმატების გარანტია თუ არა, ყველაზე დიდი შანსი მაინც რომ ექნება. ამისთვის ქი ღირს პოლიტიქური ჭადრაქის დაფაზე ნებისმიერი სვლა. ქართულ პოლიტიქაში თვლიან, რომ ამგვარი გადაჯგუფება არ ეწინააღმდეგება მიღებულ კანონებსა და შიდა პოლიტიქურ ჯგუფებში დაწესებულ ნორმებს. სამუხაროდ, ზნეობრივი კოდექსი პოლიტიქოსებს ნაკლებ ინტერესებთ, ამომრჩეველთა განწყობაზე ქი ნამდვილად უარყოფითად მოქმედებს. პოლიტიქოსები მიიჩნევენ, რომ პოლიტიქური მანევრირება და ლავირება მისაღებია, თანაც, სიტუაციასთან მისადაგების ნიჭია. ხალხი ქი მიიჩნევს, რომ დიდაცობას ესწრაფვის, ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად იბრძვის, ანდამატივით იზიდავს იერარქიის მაღალი საფეხურები და მისკენ დაუოკებელი ლტოლვა აქვს.

ბატონი გამყრელიძე გამუდმებით მალავს საკუთარ ნაკლს — გადამეტებულ პატივმოყვარეობასა და ჩუმ ამბიციურობას პირველკაცობაზე, რის გამოც პოლიტიქურ არენაზე რამდენჯერმე შეცვალა პოზიციის რაკურსი, რითაც თავის პოლიტიქურ იმიჯს საზოგადოების თვალში მნიშვნელოვნად ავნო. მას სურს, ღირსეულ პოლიტიქოსად მიიჩნიონ და ამ მცდელობაში ბევრს კარგავს. თავს იმგვარად აღარბეებს, რომ საზოგადოებაზე შთაბეჭდილებას ვერ ახდენს. პოლიტიქოსი, რომელიც პოლიტიქური თანავარსკვლავედის ხუთეულშია, მაგრამ ვერ ბრწყინავს გამოკვეთილად და ხასიათობრივად, ლიდერი არაა. ის შეიძლება იყოს ჩინებული ჩინოვნიქი.

— რა უშლის ხელს, რომ თვალისმომჭრელი, შთამბეჭდავი პოლიტიქური ფიგურა გამბდარიყო?

— ის ფლეგმაა, არ გააჩნია მოვლენებზე სწრაფი რეაგირების უნარი, მასების აყოლების ნიჭი, ემოციის განფენის შესაძლებლობა, თავისუფალი აზროვნება, თავდაცვის სიძლიერე, რისკის ფაქტორი, კვეთრი ინდივიდუალობა... იღვის კაცი არაა, მით უმეტეს, რეფორმატორული იდეების, შემოქმედებითი მიდგომები არ ახასიათებს. მისი მზერა მაღალ იდეალებს არ დასტრიალებს.

მის უსიქიქაში პიკადი ქითილღლოგა და საქვეყნო საქმეები გადაჯაჭვულია. დავით გაყრალიქას გადაყვებ წუთებში გაგაქლობას ღალატობს...

დაყოვნება ქი დამარცხებაა. მისი ფსიქიქის მქონე ლიდერი მილიონ ადამიანს წარმატების გზაზე საბრძოლველად ვერ გაიყვანს და ვერც ავანტიურაში ჩაებმება. მას არ გააჩნია ენერგიული ცეცხლი ერის მიზიდვის, შემოკრებისა და მონოლითური გაერთიანებისთვის. ეს ქი პირველკაცს აუცილებლად უნდა ჰქონდეს.

დღეს პოლიტიქურ ავანსცენაზე ეპიკონები ჩანან. არენაზე მდგომი ყველა ლიდერი ხალხის მხრიდან მეტ-ნაკლებად უარყოფილია. ხალხი ქი გმირის, ანუ ღირსეული ლიდერის ძიებაშია.

— მაინც, რას მოითხოვს ლიდერისგან ხალხი?

— „ეროვნული ინტიმის“ შინაგან ხმას... ლიდერს, რომელსაც შეუძლია, მთელი ერის წადილს უძლიერესი იმპულსით ჩასწვდეს. ჩვენ, ისტორიის საბედისწერო მიჯნაზე მდგარ ქვეყანას, ლიდერად ასკეტური წყობის ფსიქოტიქი გვჭირდება, რომელიც საქვეყნო საქმისთვის ყველაფერს გაიღებს და ის შეწირული გმირი იქნება. ჩვენ ნათელი, მართალი და პრომეთეული ბუნების ლიდერი გადაგვარჩენს. ამას მოითხოვს ხალხის ეროვნული ინტერესები და ისტორიის ბუნებრივი კანონიქც. ასეთნი ქი ეპოქიდან ეპოქამდე არ იბადებიან.

— ქალბატონო მარინა, არსებობს მოსაზრება, რომ ბატონი დავითი პირველკაცად არაა, მაგრამ შეიძლება პრემიერად მოგვევლინოს. რას უნდა ველოდოთ მისგან?

— ეს მისი თავმოყვარეობისთვის უდიდესი ტვირთი იქნება. კითხვის ნიშნით აღნიშნეთ — აიტანს ამ ვეებერთელა ტვირთს ქვეყნის გოლგოთაზე? ერი და სამშობლო გულისა და სისხლის გაუცემლობას აღარავის აპატიებს.

„ვაშინგტონ პოსტმა“ ქართული პროფესორის განსხვავება დახლოვა

საქართველოს ირგვლივ საინფორმაციო ომი დიდი ხნის დანებებულია. ჩვენი ქვეყანა თავისი გეოგრაფიულ-სტრატეგიული მნიშვნელობით ორი დიდი ქვეყნის — ამერიკისა და რუსეთის დაპირისპირების პოლიგონად იქცა. პატარა ქვეყანა ამ აღნიშნულ ორ ძალას შორის ისე იჭყლიტება, როგორც კოზაკი — აქლემების ჩხუბში. ცნობილი ამერიკული გაზეთის „ვაშინგტონ პოსტის“ 2008 წლის 16 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნდა სტატია სათაურით: — „ერთ ქართულ კაფეში მუშტის დარტყმისა და ხელების შლის თანხლებით დებატების გამართვის საყვარელი რიტუალი“, რომლის ავტორი გახლდათ ირანული წარმოშობის ამერიკელი ჟურნალისტი ტარა ბარამფორი.

წერილი აშკარად ტენდენციურია. ბარამფორმა დააფიქსირა რესპონდენტთა ის გამოხატუებები, რომელიც მას „ანაბრდა“, ხოლო საპირისპირო აზრები გულმოდგინედ დაძაბა. რა თქმა უნდა, ეს უმიზეზოდ არ მომხდარა. დემოკრატიის ბაირახტარისა და ქვეყანაში თავისუფალი სიტყვის ნამყვანმა გაზეთმა თავისი ქვეყნის ინტერესები დაიცვა და გაატარა. ხოლო მისთვის მიუღებელი აზრები დამალა ზუსტად ისევე, როგორც ამას მთელ რიგ ქვეყნებში სატელევიზიო არხები და ბეჭდვითი ორგანოები აკეთებენ. ამ სტატიამ ცხადყო, რომ ამერიკის სახელმწიფო არ ითვალისწინებს საქართველოში ისეთი მოქალაქეების ყოფნასა და არსებობას, რომელთაც პრორუსული ორიენტაცია აქვთ. აქედან კარგად ჩანს, თუ რა განზრახვა აქვს ამერიკას კავკასიის რეგიონსა და თვით საქართველოს მიმართ.

მკითხველის ყურადღებას არ დავღვლი კუს ტბის მიდამოს პოეტური აღწერით, სადაც ამერიკელი ჟურნალისტი ქართველი ინტელიგენტებს შეხვდა. სტატიაში ხაზგასმულია ქართველთა უხერხული მანერები: „დისკუსიების სტილი ერთნაირია: ხმის აწევისას ხანდახან პლასტიკატის მაგიდასაც კი ხვდება მუშტი“. აქვე მოყვანილია გურამ გოგაძის სიტყვები. გთავაზობთ ზუსტ ციტირებას: „ის აცხადებს, რომ 1957 წელს, როდესაც ცივი ომი მიმდინარეობდა, მან შეერთებულ შტატებში არალეგალურად სცადა მოხვედრა, როდესაც გემზე აიპარა, მაშინ დაიჭირეს. „მაშინაც და ახლაც“ — ამბობს ის — „მე მჯერა, რომ ამერიკა საქართველოს მხსნელია“.

კიდევ ერთი ამონარიდი: — „საქართველო ისჯება“ — აცხადებს პროფესორი მერაბ საყვარელიძე, იმიტომ, რომ ორ ძღვევამოსილ სახელმწიფოს შორის მან ამერიკა აირჩია, იქნებ რუსეთი უნდა ავევრჩია“. აქვეა ვინმე სიხარულიძის სიტყვებიც: „მაგალითად, ჩვენ მოველოდით, რომ ამერიკა ისევე დაგვეხმარებოდა, როგორც რუსეთი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს“. ყველაზე მეტად გამაოცა ვინმე გოგაძის ნათქვამის დასკვნითმა ნაწილმა, რომელიც ქართველთა 90%-ის სახელით აცხადებს (არ ვიცი, რა უფლებით): „ჩვენ იმედს ამერიკაზე ვამყარებთ, აქ მოსახლეობის 90% ამერიკას უჭერს მხარს, ხოლო 10% კავებს აფხაზეთს“. რესპონდენტებთან გასაუბრების შემდეგ ბარამფორი ასკვნის: „მიუხედავად ცოტაოდენი ბუზღუნისა, უმეტესობა თანახმაა, ამერი-

კის მოკავშირეობა რომ კარგი აზრია... აფერუმ, ბარამფორ, ეს წინადადება ქვეშევრდომის პატაკს ჰგავს შემკვეთის მიმართ. ალბათ, გასამრჯელოც სოლიდური მიიღეთ. ის თუ იცით, რომ თავისუფალი სიტყვა ზნეობის გარეშე არ არსებობს?! იცით, მაგრამ არ გჭირდებათ.

კუს ტბაზე შეკრებილ რესპონდენტთა შორის იყო ცნობილი ექიმი და დიდი ადამიანი, პროფესორი სულხან ქემოკლიძე. „ვაშინგტონ პოსტის“ ჟურნალისტი ბატონ სულხანს საკმაოდ დიდხანს ესაუბრა. რესპონდენტი ამბობს, რომ არც თუ ძნელი მისახვედრი იყო ტარა ბარამფორის ფარული მიზანი. სურდა, გაეგო ქართველთა აზრი ამერიკასა და რუსეთთან მიმართებაში. მაგრამ ქემოკლიძის არც ერთი სიტყვა გაზეთში არ გამოქვეყნებულა. მხოლოდ მისი სურათის დაბეჭდვით დაკმაყოფილდა. რატომ დამალა ამერიკულმა გაზეთმა რესპონდენტთა ერთ-ერთი მათგანის მოსაზრება და პოზიცია? კორესპონდენტის შეკითხვაზე — როგორი საქართველო სურდა, ბატონმა სულხანმა ქართველთა ნანატრი და საუკუნეებამოტარებული სურვილი განაცხადა: — „მე მსურს, ჩემი ქვეყანა ნეიტრალური იყოს და მის ტერიტორიაზე არც ერთი ქვეყნის შეიარაღებული ფორმირებები არ იდგეს“. ამ პირდაპირობამ ჟურნალისტი ცოტა არ იყოს შეაცხებინა, შემდეგ გაღიზიანებამეპაარული ხმით ჰკითხა: — „განა ეს შესაძლებელია?.. თქვენ არ გაქვთ ნეიტრალიტეტისთვის საჭირო რესურსი: სამხედრო კადრები, თვითმფრინავები, სამხედრო ტექნიკა და სათანადო მომზადება“. ჟურნალისტიც არც თუ სიმართლესმოკლებულმა პასუხმა სულხანს გული ატკინა. მოქალაქეობრივი გაბედულებით შეაგება: — „ამერიკა ან რუსეთი ჭეშმარიტად დემოკრატიული რომ იყოს, მაშინ საქართველოში თავდაცვის საკითხის მოგვარება იოლი იქნებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არაა. მათ პრეზიდენტებს ამის აღიარებისთვის ვაჟაკობა არ ჰყოფნით. როდესაც სტალინს ჰკითხეს: — „რატომ ზღუდავთ დემოკრატიას თქვენს ქვეყანაში“, — მან პირდაპირ და გაბედულად მიუგო: — „განა შეიძლება არარსებულის შეზღუდვა?!“. რაც შეეხება კადრებს, პროფესორს საშუალება მიეცა, უცხოელი ჟურნალისტისთვის პატარა ისტორიული ექსკურსი ჩატარებინა, მოყოლებული მამოუკლებიდან, რომლებიც ასეულობით წლით მართავდნენ ეგვიპტესა და ერაყს, რომ ქართველი ერი მეომარი



ამერიკელ ჟურნალისტს ვაშინგტონის მისაგართით გამოთქმული საყვედური არ მოეწონა.

ერია. განათლებულ ადამიანს არც ის დავინწყებია, რომ ამერიკული „ბონიგის“ გენერალური კონსტრუქტორი ქართველი კაცი — ალექსანდრე ქართველიშვილი გახლდათ, ხოლო გერმანიაში ფირმა „სიმენსის“ წამყვანი სპეციალისტი ცნობილი ქართველი მეცნიერის სიმონ ყაუხჩიშვილის ძმა იყო. არც იმას მორიდებია, ამერიკელი ყოფილი ჟურნალისტი სთავის შეხსენებინა, რომ ერაყში ამერიკის ჯარების სარდალი, ხოლო შემდეგ ამერიკის შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსი ქართველი ჯონ (მალხაზ) შალიკაშვილი იყო. ისიც დაუმატა, რომ საბჭოთა იმპერიის „მართვის პრობლემების ინსტიტუტს“ 30 წლის განმავლობაში სათავეში ედგა ქართველი აკადემიკოსი ივერი ფრანგიშვილი, რომელიც 400 სამეცნიერო შრომისა და 40 გამოგონების ავტორია და გალაქტიკაში არსებულ ბევრ ტაბუდადებულ საკითხზეც მუშაობდა. არა მარტო საბჭოეთში, არამედ საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში პიროვნება საბასუხისმგებლო მაღალ პოსტებზე სწორედ „მართვის პრობლემების ინსტიტუტის“ კვლევის შედეგებით ინიშნებოდა. ასევე წარუდგინა სიტყვიერად პეტრე ბაგრატიონი და ედუარდ შევარდნაძე, რომლებიც დღემდე „დემოკრატიისა და ახალი მსოფლიო წესრიგის“ მამად მიაჩნიათ ამერიკაში.

ისიც აუწყა უცხოელს, რომ ათწლეულების განმავლობაში თბილისში დიდი საავიაციო ქარხანა თვითმფრინავებს ამზადებდა. დღეს ამ ქარხნის ყოფილი ინჟინრები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მუშაობენ, რადგან მათ ნიჭისა და უნარის გამოშლავნების ხელშემწყობი პირობები საკუთარ სამშობლოში აღარ აქვთ. საქართველო მუდმივად მეზობლი ქვეყანაა, რომლის შეილებს არა ერთი დიდი სახელმწიფოსთვის მოუტანიათ სამხედრო დიდება. დღეს კი, საქართველო განწირულია უთანასწორო ძალებთან ბრძოლისათვის, რაც უკიდურესად მძიმე მდგომარეობაა. პროფესორმა ამის დასამტკიცებლად დიდი პოეტის მურმან ლებანიძის სტროფები პერიფრაზით მოიხსენია: — „ტურფა საქართველო ყორ-

ნებს წაუღიათ, რუსეთ-ამერიკას შუაზე გაუყვიათ“... ეს ყველაზე უარესი ვარიანტია... — თქვა და გაჩუმდა... ჟურნალისტი პროფესიული დაჟინებით ენაბჭევრ პროფესორს მანც არ მოეშვა: — „თუკი საქართველოს თავისუფლება არ უწერია, მაშინ საით იხრება თქვენი სიმპათია?“...

არჩევანი ხდება ცუდსა და უარესს შორის, — უპასუხა პროფესორმა ქემოკლიძემ... „შეჩვეული ჭირი სჯობს“, — უთქვამს ბრძენ ქართველს. ჩემი არჩევანი მეზობელი რუსეთია, რომელზედაც, გვინდა თუ არ გვინდა, ტერიტორიულად მიბმული ვართ. მასთან ხანგრძლივი ისტორიული ურთიერთობა გვაკავშირებს. საუკუნოვან კავშირებს თავისი ფესვები აქვს. ერთმორწმუნე ერები ვართ, რწმენა კი დიდი სულიერი კომუნიკაბელობაა. სხვა რომ აღარაფერი ვთქვა, ეს უზარმაზარი რუსეთის იმპერია ქართველი კაცის პოლიტიკურმა გენიამ — სტალინმა შექმნა. დღეს კი ამ კავშირის აღდგენის მცდელობა დენთითაა გააფლენილი.

ფიქრობ, მკითხველისათვის არაა გასაკვირი, რატომ არ დაიბეჭდა რეკონსტრუქციული გაზეთში ქართველი პროფესორის მოსაზრება და პოზიცია. სჭირდებოდა ამერიკას ამ შეხედულებათა აფიშირება მრავალტირაჟიან პოპულარულ გაზეთში? ჩვენ კი, თუ სიმართლე არ ვთქვით, რეალური ყოფა არ შევიცანით, ერთმანეთს თუ არ მოვუხმინეთ, ვერასოდეს გადაწყვეტთ, საით წავიდეთ.

საქართველოს ისტორია სხვა არაფერია, თუ არა განუწყვეტელი ომები თვითმოფადობის შესანარჩუნებლად. იცვლება დრო და ვითარება. მსოფლიოს პოლიტიკურ არენაზე ახალი ძალები გამოდიან. ჭკვიანი მმართველი ამ მდებარეობას ქვეყნის საკეთილდღეოდ გამოიყენებდა, რადგან „მედალს ორი მხარე აქვს“. ჩვენ კი მუდმივად ვრჩებით კავკასიურ ცარცის წრეში გასაგლეჯ ბავშვად. ეს ჩვენი ისტორიული ხვედრია — გუშინ იყო სპარსეთი და ოსმალეთი, დღეს არის ამერიკა და რუსეთი.

ლალი გაშიაზვილი

სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების ხელშეკრულებასთან დაკავშირებით

რუსეთის გენერალური შტაბის მაღალი თანამდებობის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რუსეთს ხელს არ აძლევს ამერიკის წინადადებანი სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შემცირების ხელშეკრულების გაგრძელებისა (რომლის მოქმედების ვადა იწურება 2009 წლის დეკემბერში) და ბირთვული არსენალის არსებითი შემცირების შესახებ.

მან აღნიშნა: „სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების ხელშეკრულება სამხედრო თვალსაზრისით უკიდურესად მიუღებელია რუსეთისათვის: ის არ ითვალისწინებს თანამედროვე რეალობას, პირველ რიგში კი, ამერიკის შეერთებული შტატების გამოსვლას ხელშეკრულებიდან რაკეტსანინააღმდგომ თავდაცვის შესახებ. ეს ხელშეკრულება არ უნდა არსებობდეს“. რუსეთი ძნელად თუ დათანხმდება სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების რადიკალურ შემცირებას, ვინაიდან ამან შეიძლება საფრთხის ქვეშ დააყენოს სახელმწიფოს სამხედრო უშიშროება.

ზომ ჩავესა რუსეთს ვენესუელაში სტრატეგიული მოგზაურობის განლაგება შესთავაზა

სააგენტო „ინტერფაქსის“ ცნობით, ვენესუელას პრეზიდენტი მზად არის, კუნძულ არჩილას აეროდრომი რუსეთის საჰაერო სამხედრო ძალებს სტრატეგიული ბომბდამშენების დროებითი ბაზირებისთვის დაუთმოს.

რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების შორეული ავიაციის შტაბის უფროსის ანატოლი ჟიხარევის ინფორმაციით, უგო ჩავესმა რუსულ მხარეს კუნძულ არჩილაზე საჰაერო ბაზა შესთავაზა.

მისი თქმით, კუნძულზე განლაგებული ასაფრენი ზოლის მცირე რეკონსტრუქციის შემდეგ, ის რუსული სტრატეგიული ბომბდამშენების მიღებისთვის მზად იქნება. ასაფრენი ზოლის სიგრძე 3200 მეტრია.

ჟიხარევა ისიც განაცხადა, რომ ორი ქვეყნის ლიდერების პოლიტიკური ნების შემთხვევაში, რუსულ ბომბდამშენებს ბაზირება კუბაზეც შეუძლია.

2008 წლის სექტემბერში ორმა რუსულმა ტუ-160 ტიპის სტრატეგიულმა ბომბდამშენმა კარიბის ზღვის პატარულირება განახორციელა და რუსეთში დაბრუნდა. ამ ფაქტს ჩავესმა „ამერიკის იმპერიის გაფრთხილება“ უწოდა.

შორეული ავიაციის გენერალ-მაიორის ანატოლი ჟიხარევის განცხადებით, კარაკასი მართლაც მზად არის რუსული ბომბდამშენების ბაზირებისთვის, თუ მოსკოვში ამის პოლიტიკური ნება იქნება. მისივე თქმით, იგი ნამყოფია კუნძულ არჩილას აეროდრომზე და დარწმუნებულია, რომ მცირე რეკონსტრუქციის შემდეგ აეროდრომი მართლაც შეძლებს რუსული ბომბდამშენების მიღებას.

ვაზისუბანში აღმოჩენილი გვამი შესაძლოა, ლევან კალაძის არ იყო

ლევან კალაძის საქმე იყო ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური და ხმაურიანი პიარაქცია, რომელიც „ვარდებით მოსულმა“ ხელისუფლებამ წარმატებულად მიითვალა, თუმცა ქვემოთ მოცემული მასალები ნათლად ჩანს, რომ კალაძის საქმეც, ისევე, როგორც „გაზით გაგუდული“ პრემიერ-მინისტრისა, თეთრი ძაფით არის ნაკერი... საქმეში მრავალი ისეთი ლაფსუსია, რაც გვაფიქრებინებს, რომ ხელისუფლებისთვის მთავარი იყო, საქმე „გაეხსნა“ და არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა, უდანაშაულო ადამიანს გამოკვლავდნენ ამის გამო ციხეში თუ რეალურად გამოიძიებდნენ საქმეს და დამნაშავეებს დასჯიდნენ...

ქსპერტიზის დასკვნით გაოქმადების მიერ კალაძე პირველი გვამი ოკოპოში წლის პაპაქას ეკუთვნოდა

კალაძის საქმე ხელისუფლებამ რომ თავიდანვე პიარის თემად აქცია, ეს ნათლად გამოჩნდა იმ ხმაურიანი სპეცოპერაციით, რაც სვანეთში აფრასიძეების წინააღმდეგ ჩატარდა. საზოგადოებას კარგად ახსოვს ეს სისხლიანი სპეცოპერაცია, რომელსაც მაშინდელი შს მინისტრი გიორგი ბარამიძე ხელმძღვანელობდა, რომელმაც „სამართლდამცავების“ მიერ დახვრეტილ გვამებს გადააბიჯა და ცინიკურად, სისხლში ამოსვრილი ხელებით კუბდარის ქამის სურვილიც კი გაუჩნდა... შემდეგ, აფრასიძეების მუშის მურავიოვის ჩვენების საფუძველზე, საუკუნის წინათ გარდაცვლილი ადამიანების საფლავები ამოთხარეს და ზარ-ზეიმით თბილისს გამოაქანეს — კალაძის გვამი აღმოვაჩინეთ, საქმე გავხსენითო... აფრასიძეების დახვრეტის მოტივი, რბილად რომ ვთქვათ, ბლუფი აღმოჩნდა და განტყვევების ვაცის ძებნაც დიდხანს არ დასჭირვებიათ — შეცდომაში ბათალბი საღინაძემ შეგვიყვანა, გამოძიების კვალი არაიო და ციხეში უკრეს თავი... მოკლედ, ლევან კალაძის გატაცება-მკვლელობის გამოძიების საქმეს არა ერთი უდანაშაულო ადამიანი ემსხვერპლა... შემდეგ ერთხელ „გახსნილი“ საქმე „მეორედაც“ გახსნეს და უცხოეთიდან რიგრიგობით ჩამოიყვანეს კალაძის „გამტაცებლები“ და მკვლელები... მეორედ ნამდვილად „წარმატებულად“ იმუშავეს და ამ შემთხვევაშიც უამრავი კითხვის ნიშანი ჩნდება... გამოძიებასთან ერთ-ერთი უმთავრესი კითხვა ასეთია: გვამს, რომელიც, სავარაუდოდ, ლევან კალაძის იყო, არ ჰქონდა ქვედა ყბა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ „ეფ-ბი-აი“-ში ექსპერტიზისთვის სამართალდამცავება სწორედ ქვედა ყბის ძვალი გააგზავნეს... ალბათ, ალოგოკურად გეჩვენებთ, მაგრამ მერაბიშვილის უწყების ქმედებები ლოგიკაში რომ არ თავსდება, ეს ნათლად დადასტურდა გირგვლიანის, რობაქიძის, ვაზაგაშვილის, ფხაკაძის, გამცემლიძის, შავაძის და სხვა არა ერთი ახალგაზრდის სასტიკი მკვლელობებიდანაც... მივყვით ლევან კალაძის გახსნილად გამოცხადებული საქმის მასალებს...

საქმე №09060001
2006 წელი
წინასწარი გამოძიება
დაიწყო 7 იანვარს
დანაშაულის ჩადენის
თარიღი 2001 წელი,
4 ივლისი

2001 წლის 4 ივლისს ქ. თბილისში, ვაზისუბნის დასახლებაში.

მე-4 მიკრორაიონში, ნაგავსაყრელზე ნანახი იქნა უცხო მამაკაცის გვამი, გახრწნილ მდგომარეობაში, რომელსაც თავი მოცილებული ჰქონდა და იგი აღმოჩენილი იქნა გვამიდან რამდენიმე მეტრში. ფაქტის ირგვლივ მოკვლევა ჩაატარა ისანი-სამგორის რაიონულმა პროკურატურამ და მიღებულ იქნა გადანეყვითლება სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ.

„აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მოხდა შემთხვევის ადგილის დათვალიერება: კერძოდ: ქ. თბილისში, ვაზისუბნის მე-4 მ/რ, მე-3 კვ. მე-7 კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ხევში, რომლის ერთ-ერთი დადაბლება დაფარული იყო მაცვლის ბურქებით, ბურქის ძირში აღმოჩენილი იქნა მამაკაცის გვამი, რომელსაც თავის ქალა მოცილებული ჰქონდა ტანისგან. თავის ქალაზე თმოვანი საფარველი და რბილი ქსოვილები მთლიანად იყო განადგურებული... გვამს ტანთ ემოსა მოშავო ფერის მწვავი სითხით გაჟღენთილი პერანგი, ტანსაცმელს და გვამს მთლიანად ასდობდა ლპობისთვის დამახასიათებელი მეტისმეტად მყრალი სუნი.

მოხდა გვამის დათვალიერება, გვამს თავის ქალა ჰქონდა მთლიანად გაუქონდა მთლიანად გაუქონდა მთლიანად გაუქონდა მთლიანად

(მეტი სიცხადისთვის, 2001 წელს, ვაზისუბანში აღმოჩენილი გვამი, რომელიც მუხათგვერდის უპატრონოთა სასაფლაოზე იქნა დაკრძალული, სა-



მართლდამცავთა განმარტებით, ლევან კალაძის გვამი აღმოჩნდა. ამ საქმის გამოძიება ხელახლა 2006 წელს დაიწყო, მოხდა გვამის ექსპერტიზა. ექსპერტიზა ჩატარდა უკრაინასა და ამერიკაში და დადასტურდა, რომ, თურმე, 2001 წელს ვაზისუბანში აღმოჩენილი უცნობი გვამის ლევან კალაძის ყოფილა... გვამის დათვალიერების ოქმში ცალსახად წერია, რომ ქვედა ყბა ვერ იპოვეს და მუხათგვერდის სასაფლაოზე უცნობი მამაკაცი ნომრით 5502 ქვედა ყბის გარეშე დაიკრძალა, მაგრამ ამერიკაში ექსპერტიზაზე სწორედ ქვედა ყბა გაიგზავნა).

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის 5 ივლისის №391 დასკვნით დადგინდა, რომ უცნობი მამაკაცის გვამისა და შინაგანი ორგანოების შორს ნასული ლპობითი ცვლილებების, რბილი ქსოვილის და ძვლოვანი სისტემის ნაწილობრივი განადგურების გამო სიკვდილის მიზეზის და სიკვდილის დადგომის ხანდაზმულობის დადგენა ექსპერტიზამ ვერ შეძლო.

რაც მთავარია, გვამიდან აღებული მარჯვენა მხრის კვლის ფიზიკო-ტექნიკური შესწავლით კვლავნადა ასაკამ შეადგინა დაახლოებით 40 წელი

(ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, გამოიცხადდა, ეს ლევან კალაძის გვამი ყოფილიყო, რადგან ასაკში სერიოზული ცდომილებაა).

აქვე გააცნობთ ამონარიდს გვამის დათვალიერების შესახებ ოქმიდან:

„2001 წლის 5 ივლისს ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის გამოძიებულმა ვ. უმანკოვილმა დამსწრეთა: როსტომიშვილი თამარ თეიმურაზის ასული და ალაფიშვილი ნინო დავითის ასული თანდასწრებით, ასევე სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის პაატა ჯიბლაძის და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის პროზექტურის სანიტრის არჩილ ჭიკაძის მონაწილეობით მოხდა გვამის დათვალიერება: „ცელოფანში გახვეული აღმოჩნდა მამაკაცის გვამი, რომელსაც თავის ქალა მოცილებული აქვს ტანისგან. თავის ქალაზე, როგორც თმოვანი საფარველი, ასევე სახის რბილი ქსოვილები მთლიანად განადგურებულია (თავის ქალა მთლიანად გაშლილია). ქვედა ყბა მოცილებულია, არ არსებობს (მთელ საქმეში საუბარია იმაზე, რომ გვამს არ ჰქონდა ქვედა ყბა და როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, მერე რატომღაც „ეფ-ბი-აი“-ში ექსპერტიზაზე ქვედა ყბის ძვლის ნატეხი გაიგზავნა)... გვამს ეცვა შავი ფერის ჯინსის შარვალი შეკრულ მდგომარეობაში. მარჯვენა მხარეს შიგნითა ზედაპირზე იკითხება უცხოურ ენაზე წარწერა: „DOLCHE KABANA“ „MADEIN ITALY“ ჯინსის წინა მარჯვენა ჯიბეში ჩადებული არის მოლურჯო ფერის ტრუსი, რომელსაც გვერდზე აქვს

წარწერა ინგლისურ ენაზე „ASKOS“. წინდები მოშავო ფერის, გვერდებზე წარწერით „LEWIS“. ოქმი გამოძიებულმა ნაიკითხა ხმაოდლა. რამე განცხადება ან შენიშვნა არ დაფიქსირებულა. ოქმი დაწერილია სწორად, რასაც მოწმეები ადასტურებენ ოქმზე ხელმოწერით.

გვამის დათვალიერების შემდეგ, წესისამებრ, ინიშნება სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, რაც სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის მორგეობა ჩატარდა ექსპერტ პ. ჯიბლაძის მიერ, რომელსაც 17 წლის მუშაობის სტაჟი აქვს.

ექსპერტიზის დასკვნა №391-ში ასევე ვკითხულობთ: „თავის ქალას რბილი ქსოვილები, როგორც თავის რბილი საფარის, აგრეთვე სახის რბილი ქსოვილები მთლიანად განადგურებულია. ძვლები გაშლილია. ქვედა ყბა განადგურებულია, არ ახლავს გვამს... ზედა ყბაზე მარჯვნივ არ არის კბილბუდეში 1 2 3 კბილები. ალვეოლები გადასწორებული არ არის და ისინი კარგად გამოხატულია. ზედა ყბაზე მარჯვნივ არ არის კბილბუდეში 1 და 3 კბილები. ალვეოლები ასევე არ არის შეხორცებული და კარგად არიან გამოხატულნი... კისრის მალეები და გულ-მკერდის 1 2 3 მალეების დონეზე არ არის, განადგურებულია. გულმკერდის ზემო ნახევარში, კისერი მთლიანად განადგურებულია, როგორც მალეები, ასევე რბილი ქსოვილები... მარცხენა ზემო კიდური, წინამხრის ქვემო მესამედის დონეზე მტევანთან ერთად მოცილებულია /არ არის წარმოდგენილი/ განადგურებულია“.

ექსპერტიზის დასკვნის შედეგად დგინდება, რომ გარდაცვლილის ასაკი უნდა შეადგენდეს დაახლოებით 40 წელს (როგორც უკვე აღვნიშნეთ, ასაკში სერიოზული ცდომილებაა და ეს არ შეიძლება იყოს ლევან კალაძის გვამი). ექსპერტიზამ ვერ დაადგინა ვერც გარდაცვალების მიზეზი და ვერც ხანდაზმულობის ვადა. ამიტომაც გამოიძიებულმა ვ. უმანკოვილმა გადანეყვითა, რომ მომხდარზე სისხლის სამართლის საქმე არ აღძრულიყო და უცნობი მამაკაცი ნომრით №5502 დაკრძალულ იქნა მუხათგვერდის უპატრონოთა სასაფლაოზე, მაგრამ 2006 წელს გენერალური პროკურატორის მოადგილემ გიორგი ლაცაბიძემ მიიჩნია: „... მასალებზე შემოწმება ჩატარებულია უხარისხოდ, ზერელედ და არასრულყოფილად, რის გამოც უნდა გაუქმდეს დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ და ჩატარდეს სრულყოფილი გამოძიება. არსებული ინფორმაციით, 2001 წლის 4 ივლისს ნაპოვნი უცნობი მამაკაცის გვამი შესაძლებელია იყოს 2001 წლის მაისის თვეში გატაცებული ცნობილი ფეხბურთელის კახი კალაძის ძმა ლევან კალაძე“.

საქმეში არსებული მასალების თანახმად, 2006 წლის 8 იანვარს, დილის 08 საათსა და 40 წუთზე, მუხათგვერდის სასაფლაოზე დაიწყო გვამის ექსპერტიზა, რაც დასრულდა 10 საათსა და 45 წუთზე. გვამის ექსპერტიზის შესახებ“

საქართველო

ბსშპ, გაზვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვიკავშირეთ: 92-37-58, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ოქმში წერია, რომ „ამოთხრილი მინის ფენის დაახლოებით მეტრ სიღრმეზე გამოჩნდა ცელოფენის პოლიეთილენის თეთრი, გამჭვირვალე ფენის ნაჭერში შეხვეული მასა, მისი გახსნისას აღმოჩნდა გვამის ჩონჩხის ნაწილები, თავის ქალა ქვედა ყბის გარეშე და სხვა ძვლები“ (2006 წელს მუხათაგვერდის უპატრონოთა სასაფლაოზე ამოთხრილი გვამისად არ ჰქონდა ქვედა ყბა და ეს ცალსახად წერია საქმის მასალებში)... თურმე, ექსპერტთა ჩატარებულა ღრუბლიან ამინდში, დღის სინათლეზე. მესაფლავეები კი იხსენებენ, რომ ექსპერტთა ჩატარება გამოთენისას და მუხათაგვერდის სასაფლაოს განათება ხდებოდა „პროექტორებით“. მათი ნაამბობის თანახმად, ექსპერტის თავდად შს მინისტრი ვანო მერაბიშვილიც ესწრებოდა, რაც საქმის მასალებში არ არის ნაჩვენებია...

გვამი გადასვენებულ იქნა პროექტორში შემდგომი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩასატარებლად და იმავე დღეს უცნობი მამაკაცის გვამიდან, რომელიც ექსპერტის მიერ იქნა № 5502 საფლავიდან, მოხდა ნიმუშების აღება. საქსპერტო გამოკვლევისთვის აღებული იქნა: ქალა სარქველის ფრაგმენტი, მარჯვენა ნეკნი, მარჯვენა ბარძაყის ძვალი, მარჯვენა ხელის მტევნის თითის ძვალი, ოთხი ცალი კბილი. ნიმუშების აღების ოქმს ხელს აწერენ: ციური ალექსანდრეს ასული მიქაბერიძე, ლალი ნიკოლოზის ასული ბრეგაძე და ექსპერტი გ. ცინცაძე.

შს მინისტრის ან უკვე ყოფილი მოადგილე ლევან გვაზავა წერილობით მიმართავს გენერალური პროკურორის მოადგილეს გიორგი ლაცაბიძეს, რათა უშუალოდ გომლის უკრაინასთან და უცნობი მამაკაცის გვამიდან აღებული ნიმუშები კვლევისთვის გადაეგზავნოს უკრაინულ მხარეს. წერილი 2006 წლის 8 იანვრით თარიღდება და გენპროკურორის მოადგილე ლაცაბიძე იმ დღესვე აგვაზავის წერილს უკრაინაში (აშკარად ჩანს, რომ სამართალდამცავები ძალიან ჩქარობენ. აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ გიორგი ლაცაბიძე გახთი გაგუდული პრემიერ-მინისტრის ოჯახის წევრებმა არა ერთხელ დაადანაშაულეს არაობიქტურობაში).

მართალია, საქმის თანახმად, კახი კალაძის მშობლების სისხლის ნიმუშები გავზავნილი და გამოკვლეული იყო უკრაინაში, მაგრამ გამოძიება საჭიროდ თვლის, რომ კარლო კალაძისთვის და მისი მეუღლისთვის კვლავ ჩამოერთვათ სისხლის და ნერწყვის ნიმუშები.

2006 წლის 12 იანვარს საქართველოს შს მინისტრის კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი, პოლიციის პოლკოვნიკი ირაკლი ქადაგიძე მიმართავს საქართველოს გენერალური პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს გ. ხიზანიშვილს, რათა საქმეზე ობიექტური ქვეყნარტების დასადგენად უშუამდგომლონ აშშ-ის შესაბამის სამსახურებთან ექსპერტიზის ჩასატარებლად. ამ წერილზე მკისიერი რეაგირება ხდება და იმავე დღეს გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე, ბატონი ლაცაბიძე წერილს უგზავნის საქართველოში ამერიკის ელჩს ჯონ ტეტსს. 2006 წლის 18 იანვრითაა დათარიღებული ვანო მერაბიშვილის წერილი, რომელსაც იგი უკრაინის შს მინისტრს სწერს.

2006 წლის 15 თებერვალს შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა შეერთებული შტატების იუსტიციის სამინისტროდან წერილი მიიღო, თემით: „ლევან კალაძის საჯაროდ გვამის წინასწარი ანალიზი“. გამოძიების ფედერალური ბიუროს იურიდიული ატაშე ბრაიან პარმანი აღფრთოვანებულია ვანო მერაბიშვილის უწყებასთან თანამშრომლობით და წერილში ასეთ რამესაც ამბობს: „ჩვენთვის დიდი პატივი და პრივილეგიაა თქვენს კომპეტენტურ და პროფესიონალურ სტრუქტურასთან ერთობლივ ძიებაში თანამშრომლობა იმისთვის, რომ მოვანოდოთ გამოძიებასთან დაკავშირებულ საქითებზე პასუხები. გამოძიების ფედერალური ბიურო თქვენი ერთგული პარტნიორი და მოკავშირეა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში და მზად არის, ჰქონდეს თქვენთან კარგი და კოლეგიალური ურთიერთობა“ (საინტერესოა, კერძოდ, რომელი საქმის კომპეტენტური გამოძიებით აღფრთოვანდა ბრაიანი პარმანი? ან როგორ შენიშნა მან მერაბიშვილის უწყების კომპეტენტურობა და მაღალკვალი ფიციურობა?!. დღემდე ალესილი ნაჯახივით რომ აწევს კისერზე სამართალდამცავ სტრუქტურებს პრემიერ-მინისტრის „მოულოდნელი“ გარდაცვალების ამბავი, ამ საქმის გამოძიებას უწოდებს პარმანი კვალიფიციურს? შესაძლოა, მათთვისაც ცნობილია, რომ ზურაბ ჟვანიას საქმე ერთადერთი მიზეზის გამო არ იხურება — არსებობს უამრავი პასუხგაუცემელი შეკითხვა და საქმის დახურვის შემთხვევაში საქმის მასალები ხელისმისაწვდომი გახდება ყველა დაინტერესებული პირისთვის, და რადგან საქმე თეთრი ძაფით არის ნაკერი, გამოძიება მის დახურვას ვერ ბედავს... თუმცა გარკვეული როლი ამ საქმეში სწორედ „ეფ-ბი-აი“-ს დასკვნამ ითამაშა და შეიძლება ითქვას, რომ ამერიკული მხარე გამოძიების ქართული ვერსიის „გაპრავებას“ შეეცადა... იქნებ ამიტომაც გახდნენ ისინი იძულებულნი, ლევან კალაძის საქმეში მერაბიშვილის უწყებისთვის სასურველი დასკვნა დაედოთ? წინააღმდეგ შემთხვევაში, მერაბიშვილს ნამდვილად არ გაუჭირდებოდა, ეთქვა, ჟვანიას საქმეში ჩვენ „ეფ-ბი-აი“-ს დასკვნას დავეყრდენით და, როგორც ჩანს, მათ დადეს არაობიქტური დასკვნა).

გარდა ამისა, აღნიშნულ წერილში ვკითხულობთ: „აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს ლაბორატორიამ შექმნილი ანალიზი დნმ-ის ელემენტები იმ კბილებიდან, რომელიც ეკუთვნის ქართული მხარის მიერ წარმოდგენილ ამოუცნობ გვამს. აღნიშნული გვამიდან ამოღებული დნმ-ის ელემენტები შედარებული იქნა ლევან კალაძის ბიოლოგიური დედის — მედიკო შენგელიას სისხლის ფორმულასთან. ამ შედარებაზე დაყრდნობით, მეცნიერული სიზუსტით შეიძლება ითქვას, რომ კბილები ეკუთვნის იმ ადამიანს, რომელიც დაკავშირებულია მედიკო შენგელიასთან დედობრივი ხაზით. სხვა სიტყვებით, არ შეიძლება გამოირიცხოს, რომ კბილები ეკუთვნის ლევან კალაძეს, რომელიც მეცნიერულად დასაბუთებული გზით წარმოადგენს შენგელიას მემკვიდრეს“ (იმედია, დაგვეთანხმებით, რომ ფრაზები „მეცნიერული სიზუს-

ტით“ და „არ შეიძლება გამოირიცხოს“ ნამდვილად არ გამოხატავს ერთსა და იმავე შინაარსს, უფრო მეტიც, უკანასკნელი ფრაზა გამოირიცხავს პირველს და ვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა, ეს იყოს ლევან კალაძის გვამი, მაგრამ არც ისაა გამოირიცხული, რომ ექსპერტიზამ ეს აპრიორში ვერ დაადგინა... სხვათა შორის, პრემიერ-მინისტრის საქმეშიც, „ეფ-ბი-აი“-ს დასკვნაში არის შემთხვევები, როდესაც ერთი მოსაზრება გამოირიცხავს მეორეს...).

„ბირთვული დნმ-ს გამოყენებით ხანგრძლივი შემონახვა ტარდება იმისთვის, რომ შემდგომ უფრო სრულყოფილი იყოს ჩვენი შემონახვის პასუხი. ამ შემონახვების შედეგები ჯერ ხელმისაწვდომი არ არის, მაგრამ ამ საკითხს დიდი მნიშვნელობა მიენიჭა და დასკვნები შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადაში იქნება მონოდებული“ (როგორც ჩვენთვის ცნობილია, საბოლოო დასკვნები დღემდე ალესილი გახსენებია).

ქვემოთ ჩამოთვლილი პუნქტები თანდართულია 2006 წლის 12 იანვარს მონოდებულ ინფორმაციაში, ლაბორატორიის ნომერი 06 011 30 21, შემონახულია დნმ-ის ანალიზის მე-2 დანაყოფი:

ნეკნი
ნეკვის ძვალი
კარლო კალაძის სისხლის ანალიზი
მედიკო შენგელიას სისხლის ანალიზი
კარლო კალაძის ლოყის ნაცხი
მედიკო შენგელიას ლოყის ნაცხი

ქვემოთ ჩამოთვლილი პუნქტები თანდართულია 2006 წლის 12 იანვარს მონოდებულ ინფორმაციაში, ლაბორატორიის ნომერი 06 011 30 21, შემონახულია დნმ-ის ანალიზის მე-2 დანაყოფი:

ძვალი
ქსოვილის ნაჭერი
ქვედა ყბის ნატეხი
3 (სამი) კბილი



(ზემოთ არა ერთხელ აღვნიშნეთ, რომ 2001 წელს ვაზისუბანში ნაგავსაყრელზე აღმოჩენილი გვამს არ ჰქონდა ქვედა ყბა. არც 2006 წელს მუხათაგვერდის უპატრონოთა სასაფლაოზე ექსპერტიზებულ გვამს ჰქონია ქვედა ყბა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ „ეფ-ბი-აი“-ში ქართველ სამართალდამცავებს ქვედა ყბის ნატეხი გაუგზავნიათ. „მოსხდა გვამის დათვლიერება, გვამს თავის ქალა ჰქონდა მთლიანად გაშიშვლებული, ქვედა ყბა მოცილებული, რომელიც საერთოდ ვერ იქნა ნაპოვნი.“ ეს არის ამონარიდი გვამის დათვლიერების ოქმიდან... აქედან გამომდინარე, მართლაც გოცებას იწვევს, როგორ მოხვდა ამერიკაში გვამის ის ნაწილი, რომელიც არც 2001 და არც 2006 წელს გვამს არ გააჩნდა?! ამ კითხვაზე პასუხი თქვენთვის მოგვიწვია, ძვირფასო მკითხველო.

გვამის დათვლიერების შესახებ ოქმიდან ამონარიდი: „... ქვედა ყბა მოცილებულია, არ არსებობს...“ გამოძიებულმა ოქმი წაიკითხა ხმამაღლა. რამე განცხადება ან შენიშვნა არ დაფიქსირებულა. ოქმი დაწერილია სწორად, რასაც მონმეები ადასტურებენ ოქმზე ხელმოწერით. ექსპერტიზის დასკვნა №391-ში ვკითხულობთ: „ქვედა ყბა განადგურებულია, არ ახლავს გვამს“... ექსპერტიზას 17-

წლიანი სტაჟის მქონე ექსპერტი პ. ჯიბლაძე ატარებს... თუ ლოგიკას მივყევით, გამოდის, რომ უცნობი მამაკაცის გვამი, რომელიც 2001 წელს აღმოაჩინეს ვაზისუბანში ნაგავსაყრელზე და რომლის ექსპერტიზაც 2006 წელს მოხდა, ლევან კალაძეს არ ეკუთვნის და კალაძეების ოჯახს სხვისი გვამი შეაჩვენეს... მთავარია, რომ საქმე გახსნილად გამოცხადდა...).

2006 წლის 15 თებერვალს „ეფ-ბი-აი“-დან ვანო მერაბიშვილის სახელზე წერილის მოსვლის შემდეგ, „რატომლაც“, 16 თებერვალს, ჩნდება ინფორმაცია, რომ 17 თებერვალს სომხეთიდან ყალბი პასპორტის გამოყენებით საქართველოს საზღვრის გადმოკვეთას აპირებს მერაბ ამისულაშვილი, რომელიც მერე კალაძის გატაცებასაც „აღიარებს“. ამავე დღეს შს სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის №09060042 საქმეზე, საქართველოს მოქალაქის მიერ ყალბი პირადობის მოწოდების — პასპორტის გამოყენებით საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთის ფაქტზე. მართლაც, 17 თებერვალს ამისულაშვილი ცდილობს, გადმოკვეთოს საქართველოს საზღვარი, ამ დროს კი მას აკავებენ; აძლევენ ადვოკატთან პირისპირ შეხვედრის საშუალებას, თანაც, განუსაზღვრელი ვადით. მოგვიანებით იწყება ამისულაშვილის დაკითხვა, რაც, თავისთავად, ბევრ კითხვის ნიშანს აჩენს. გამოძიებულის შეკითხვაზე, თუ რატომ გააკეთა ყალბი პასპორტი და რა იყო ამის მიზეზი, ამისულაშვილი პასუხობს: „მიზეზი იყო, რომ ეს ძველი ამბავია. ცოტა ისეთ ფაქტს ეხება. გატაცების ფაქტია. ადამიანის გატაცებას ეხება.“ „ბუნებრივია“, გამოძიებული ინტერესდება ამისულაშვილის პასუხით და ეკითხება მას, თანაც, სხვათაშორის: „კონკრეტულად შეგიძლიათ თქვან?“

ამისულაშვილი პასუხობს: „კი, შემიძლია. კახა კალაძის ძმის. დეტალები მოგვხსენებთ საქმის რაც იყო, იმას ვამბობთ, რაც ვიცო“... და ამისულაშვილი იწყებს მოყოლას, როგორ გაიტაცეს ლევან კალაძე: „ეს იყო არ მახსოვს 2000 თუ 2001 წელს. სადღაც მაისის თვე იყო. 23 რიცხვი. სადღაც 12 საათი იქნებოდა. ჩემი კლასელი ცხოვრობს ვერაზე, მეგობარი ბიჭია დათო ასათიანი, ბაქრაძის ქუჩაზე ცხოვრობს. პანმელაზე ვიყავი. ერთი ორი ჭიქა არაყი დავლიე. უნდა წავიდეთ ერთ ადგილას გლდანში. რაღაცას შევხედავთ და გამოვალთ ერთი ორი საათი. გავდით რა პრობლემაა. ტერიტორიულად იმ კორპუსთან პირველად ვიყავი. გადავედი ცოტა ხანი, ზაფხულია, ცხელა პივას დავლევე მეთქი. პივას ვსვავდი, ჩამოვჯექი, დამიძახეს წავედით წავედითო. ტაქსი იყო არ მახსოვს მარკა 05 თუ არა, შინდისფერი. დათო იჯდა აი იმ მანქანას გავყვეთო, მერე სად წავლენ, როგორც წავლენ ვნახითო. გლდანთან გამოვედით, დიღმის ტრასაზე იქიდან გადავედით რკინიგზის საავადმყოფოსთან. გაჩერდა ერთი 20 მეტრის მოშორებით ჭიქარიდან. ტაქსი წავიდა. უცბად გამობრუნენ ესენიც. ლევანი მიდიოდა მაგრამ ჭიქარამდე იყო 15 მეტრი. ერთი წუთით მეგობარი. ლევანის ჰქონდა წითელი ყდა პოლიციის. მიწვდა გადავსულვყავი. რაღა გადავსლა იყო უკან მოდიოდნენ. ლევანი მოიყვანეს. მე უკნიდან გადავედი რულთან. წავედით მაგ-



რამ სად წავედით. დათომ თქვა ჩემთან სახლში. მაგას ორი შესასვლელი აქვს ერთი გზის მხრიდან მეორე კიბეებიდან. ქვევით ეზოში შევყავნით, რომელი საათი იქნებოდა არ მახსოვს, ალბათ სამისკენ. დათო გადმოვიდა შეხედა არავინ არ იყო ფაქტიურად. ეს ბიჭი ჩვეულბერივად გადმოვიყვანეთ და შევიყვანეთ დათოსთან სახლში... დარეკო შენ ძმასთან დათომ უთხრა. აკრიფა ლევანიმ ტელეფონი. რა ხდებოდა. რეკავდა, მერე მამამისთან დაარეკინა სახლში თუ მოხილურზე არ ვიცი. მერე კი შევედი ლაპარაკი იყო 600 000 აშშ დოლარზე. ბიჭი წავიყვანეთ და უნდა გადახდავო. სალამომდე ვიყავი. სალამოს თემური მოვიდა გაგნიძე... იმ სალამოს მე წავედი სახლში ჩვეულებრივად. მეორე დღეს გავედი ჩვეულებრივ იყვენ, რას აკეთებდნენ არ ვიცი, ჩემთვის არ დაურეკიათ. ერთი 4-5 დღე იყო დათოსთან. თემური მორფინისტია და დათოსაც უყვარს მე გამკეთებელი არ ვარ. მოჰქონდათ წამალი და იყვენ. მერე ეტყობა დაფიქრდნენ მანქანა დათოსი იყო ფაქტიურად საავადმყოფოსთან მათი სახე ხალხს დახსული ჰქონდა. სახლში უკვე აქ გაჩერება აღარ შეიძლებოდა. ლევანამ რომ გაიგო ფულზე 2 000 თუ 8 000 ზუსტად არ მახსოვს — მაქვს და მოსცემთო. ამას ვინ დათანხმდებოდა უარზე იყვენ. მერე არ ვიცი, ამბობდა რაღაცას და მოაფიქრდათ გამოსავალი, მე ვცხოვრობ ვაზისუბანში, დანგრეული ბინა მაქვს კორპუსში. ერთი კვირით წავიყვანათო. ბოლობოლო ამიყოლიეს და თუ სადმე წაყვანა იყო მერჩინა ჩემთან წამოსულიყო, იმიტომ რომ ბიჭი პროცედურებს იკეთებდა საავადმყოფოში — ვადა იყო. და გადავედით ჩემთან. უკვე ბელოდა არავინ არ იყო იმ პერიოდში. ავედით სახლში და ვსიო გავჩერდით ჩემთან. ჩემთან რამდენი ხანიც ვიყავით ძირითადად მე ვიყავი მასთან მარტო. მე ვუყურებდი, რომ კარგი ბუნჩულა ბიჭი იყო...“ (თუ ასე შესტკიოდა გული ამისულაშვილს ლევან კალაძეზე, რატომ მიიღო გატაცებაში მონაწილეობა? ან თუ მარტო იყვენ ხოლმე სახლში, რატომ არ გაუშვა გატაცებული?! ამის შემდეგ ამისულაშვილი კვლავ გაწვრივდა თხრობას: „... წავიგდნენ დილას ადრე სადღაც 4-5 საათი იქნებოდა, და ჩამოვიდნენ სადღაც ღამე 13-14 რიცხვი იქნებოდა, ოთხის ნახევარი იქნებოდა. ცუდად გავხდი, უკვე მივხვდი (საინტერესოა, რას მიხვდა ამისულაშვილი და რატომ გახდა ცუდად?!)... თქვი მეთქი რა მოხდა, მითხრეს ფული არ არიო ძმაო და შენი მოტანილია საქმეო და როგორც ვინდა ისე ქენიო — ჩვენ უკვე დამწვრები ვართო, მანქანაც და სახლიც, ფულიც არ გვაქვს (თუ ამისულაშვილის „მოტანილი“ იყო საქმე, გამოდის, რომ გატაცების ინიციატორიც თავად იყო, აქედან გამომდინარე, რთულია, ვირწმუნოთ

(დასასრული მე-18 გვ.)

პოლიტიკატივიზმის მამა, როგორც ანტიკონსტიტუციონალიზმის საელჩოსთან თავის დანვას აპირებდა, საქუთარ სახლში ააფეთქეს

ხელისუფლებას პოლიტიკური დევნის არა ერთი მექანიზმი აქვს შემუშავებული: პატიმრობა, ქონების ჩამორთმევა, თვალთვალი, დარბევა... თუმცა იუზა კლდიაშვილის გარდაცვალების ფაქტი, თუკი ეს მართლაც ხელისუფლების მხრიდან ანგარიშსწორება იყო, ჩამოთვლილთაგან ყველაზე შემზარავია. ამჟამად პატიმრობაში მყოფი რევაზ კლდიაშვილის მამა, რომელიც ამერიკის საელჩოსთან თავის დანვას აპირებდა, 3 მარტს საქუთარ სახლში ააფეთქეს. ამის თქმის საფუძველს მისი ოჯახის წევრებს იუზა კლდიაშვილის საექვო ვითარებაში გარდაცვალება აძლევს.



— ქალბატონი ნანა, არსებობს ასეთი ვერსია, რომ თქვენმა მეუღლემ, შესაძლოა, პროტესტის ამგვარი ფორმა გამოიყენა და თავი დინვა. გამორიცხავთ ამ ვერსიას?

— ვერ გეტყვით, ფაქტი ერთია, რომ ის გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა. საკმაოდ ფრთხილი იყო, მთელი ცხოვრება პოლიციაში მუშაობდა, გამორიცხულია, ხანძარი გასჩენოდა, ან ასაფეთქებელი საშუალებები იმ საწარმოში შეეხებოდა, რომელზეც ინვა. აფეთქების დროს სახლში მარტო იყო, ბოლოს შვილიშვილმა ნახა, თავს ნორმალურად გრძნობდა, ცოტა ნასვამი იყო. ამის შემდეგ ორ საათში დაგვირგვინდა და გვითხრეს — გარდაიცვალა. შინ რომ მივედით, ექსპერტიზის თანამშრომლები და გამნაღველები მუშაობდნენ. ეჭვობა, განაღვეს ის, რაც ჩანაყვებს. მას შემდეგ სამართალდამცველები ჩვენთან არ მოსულან და არც ჩვენ შევხიანებთ ვართ ვინმეს... რა აზრი აქვს? ამ უსამართლო ქვეყანაში სიმართლეს ანოვი? თუ მათი ხელნით არის მოკლული, გამოძიებას მაინც თავიანთ სასარგებლოდ წარმართავენ.

— ანუ თქვენ ეჭვობთ, რომ ეს მკვლელობა იყო?

— რა თქმა უნდა. ხელს ვერავის დავადებ, რადგან კონკრეტული ფაქტები არ გვაქვს, მაგრამ ეჭვი არსებობს, რადგან ბოლო დროს ჩემმა მეუღლემ საკმაოდ თამამი განცხადებები გააკეთა გადაცემა „საკანში“. განაცხადა, როგორ აიძულდნენ მის შვილს, ოქრუაშვილის ნინალმდეგ ჩვენება მიეცა, ეთქვა რომ ოქრუაშვილი პატარკაციშვილთან შეთანხმებით სახელმწიფო გადატრიალებას აპირებდა და იარაღს ეზიდებოდა. ერთი კვირის შემდეგ ის ასეთ გაურკვეველ ვითარებაში დაღუპული ვიპოვეთ, სხვა რა შეიძლება იფიქრო?

— თვითმკვლელობაზე არასდროს არაფერი უთქვამს თქვენთვის?

— ამერიკის საელჩოს წინ აპირებდა თავის დანვას. ამბობდა: იქნებ ამით შევანერო ეს უკანონობა, იქნებ ჩემს შვილსაც და სხვებსაც ასე მაინც ვუშველო, რადგან ძალიან ბევრია დაპატიმრებული ჩემი შვილების მსგავსად. მაშინ ჟურნალისტმა შეუშალეს ხელი. ჩემთან პირად საუბარში უთქვამს: — თუ ახლაც არ გადადგება ეს ხელისუფლე-

ბა (იგულისხმება 9 აპრილს დაგეგმილი აქციების შედეგად) და ჩემს შვილს არაფერი ეშველება, თავს დავინვა პროტესტის ნიშნად. მაგრამ ჯერ ამას არ გააკეთებდა, ჯერ ის სჭირდებოდა მის შვილს, რადგან სტრასბურგში ვასაჩივრებთ ამ საქმეს. თანაც იმედი ჰქონდა, რომ ხელისუფლება მალე შეიცვლებოდა. გამორიცხულია, მას ახლა თავი მოეკლა. ძალიან საექვო ვითარებაშია გარდაცვლილი, ხანძარი ისეთი მასშტაბის არ ყოფილა, რომ დამწვარიყო. მეზობლებმა მითხრეს, — აფეთქების ხმა გაიგეთო. ექსპერტიზის თანამშრომლებმა ჩემს რძალსა და შვილიშვილს აჩვენეს, რომ მისი ცხედარი აფეთქების შედეგად სარდაფში იყო ჩაფარდნილი... ჩემი მეუღლე ძალიან ფრთხილი იყო, წარმოუდგენელია, რაიმე ასაფეთქებელი საშუალება დაუდევრად შეენახა.

მართლაც საექვოა, რომ იმ სახლში, საიდანაც ცოტა ხნის წინ ოჯახის ერთი წევრი იარაღის უკანონო შენახვის ბრალდებით აიყვანეს, კვლავ ასაფეთქებელი საშუალებები შეენახათ. ეჭვს ისიც იწვევს, რომ გამოძიება ეჭვს, ექსპერტიზის პასუხი კი — რამ შეინირა 62 წლის იუზა კლდიაშვილის სიცოცხლე, დღემდე არ არსებობს... ექსპერტიზა ამ ფაქტსაც ტრადიციისამებრ „უბედური შემთხვევით“ ხსნის, თუმცა თუ პრემიერ ყვანასა და ბიზნესმენ პატარკაციშვილის ესოდენ „ხელსაყრელ“ დროს და თანაც ოფიციალური ვერსიით „უბედური შემთხვევის“ შედეგად გარდაცვალებას გავითვალისწინებთ, ცხადია, რომ არასასურველი სუბიექტების „მოულოდნელი“ სიკვდილი უკვე ტენდენციად იქცა...

მანანა ჭელიძე

მოქალაქე, როგორც გავლენის მქონე პირი გაასამართლეს, სოცხალი აღმოჩნდა

საქართველოში კრიმინოგენური მდგომარეობა მეტისმეტად გართულდა, წერილმან დანაშაულზე რომ აღარაფერი ვთქვით, ყაჩაღობა და მკვლელობა ქალაქის ცენტრალურ უბნებში უკვე ყოველდღიურად ხდება. მიუხედავად იმისა, რომ პატრულთან ერთად განსაკუთრებით საშიშ ადგილებში პოლიციის ჯგუფებიც მორიგეობენ, სიტუაცია უცვლელია. ზოგიერთი ამას პოლო დროს ციხიდან პატიმართა შეწყალებით გათავისუფლებას, ზოგიც კი მძიმე სოციალურ პირობებს მიაწერს. მართალია, სამართალდამცველები ამას არ იმჩნევენ და სტატისტიკურ მაჩვენებლებს შეძლებისდაგვარად ასწორებენ, მაგრამ საზოგადოებისთვის, ამ მაჩვენებლების მიუხედავად, ქვეყანაში არსებული კრიმინოგენური მდგომარეობა ისედაც ნათელია.

ტბასთან მოხდა, სადაც გარდაცვლილი დარაჯად მუშაობდა.

ლაგოდეხის რაიონის სოფელ ლელიანში მცხოვრები 58 წლის ნუგზარ ტყემალაძე მეზობლის ქორწილის შემდეგ ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე მოკლეს.

ეს არასრული ჩამონათვლია იმ საზარელი დანაშაულებისა, რაც ბოლო დროს კახეთში მოხდა. როცა დანაშაული რეგიონში ასეთი კატასტროფული სიჩქარით მატულობს, შს მინისტრს არ აწყენდა დაფიქრება — იქნებ სიტუაციას სამხარეო პოლიციის უნიათო მუშაობა ართულებს? თუ როგორ მუშაობს ამ რეგიონში სამართალდამცავი სტრუქტურა, შესაფასებლად ცოტა ხნის წინათ სახალხო დამცველის მიერ გახმაურებულ ფაქტს შემოგთავაზებთ: გასულ წელს კახეთის სამხარეო მთავარ სამმართველოში დაინიშნა გამოძიება ალექსანდრე ხაბუტოვის მიერ ლაშა ჩოფიკაშვილის გაუფრთხილებლობით მკვლელობის ფაქტზე. გამოძიებისას კი საქვე განზრახ მკვლელობად გადაკლავიციდა. პროკურორმა ჯავახიშვილმა შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს არსებითი განხილვის

გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე, რაც, რა თქმა უნდა, დაკმაყოფილდა და ხაბუტოვს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. გვამის გადაძალისა და ხაბუტოვისთვის დახმარების განვეთის სასამართლომ კიდევ საბი პირი გაასამართლა და პატიმრობიდან საპროცესო შეთანხმების საფუძველზე გაათავისუფლა, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ის ადამიანი, რომლის გვამის გადაძალვასაც გაუარაშვილს, ცოცხალი იყო. როგორც აღმოჩნდა, „ჩვენთან საუბრისას ბრალდებულებმა განმარტეს, რომ, მართალია, დანაშაული მათ არ ჩაუდენიათ, მაგრამ არ აქვთ სამართლიანი სასამართლოს იმედი, ამიტომ იძულებულნი არიან, არჩადენილი დანაშაული აღიარონ. ასხნა-განმარტებებიდან და საქმის ფაქტობრივი გარემოებიდან ირკვევა, რომ ბრალდებულები ნაფარეულის პოლიციის განყოფილებასა და კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ადამიანის პატივისა და ღირსების შემლახავი მეთოდების გამოყენებით აწამეს, რათა ელიარებინათ ჩოფი-

კაშვილის მკვლელობის ფაქტი ან რაიმე სხვა ინფორმაცია ხსენებულ დანაშაულთან დაკავშირებით.“ — განაცხადა სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა.

სახალხო დამცველის წარმომადგენლები პირადად შეხვდნენ ჩოფიკაშვილსაც და მის მკვლელობაში დადანაშაულებულ ხაბუტოვსაც. როგორც გაიკვია, ჩოფიკაშვილი იმ პერიოდში, როდესაც საქმეზე გამოძიება მიმდინარეობდა, ე.წ. განწინდარის ტერიტორიაზე იმყოფებოდა, სადაც იგი მწყემსად მუშაობდა. თელავში დაბრუნებულმა კი შეიტყო, რომ გარდაცვლილი ეგონათ და დაუსაფლავებიათ კიდევ. ასეთი მართლმსაჯულების პირობებში, როცა ადამიანები არჩადენილ დანაშაულს აღიარებენ, ალბათ, ვინმე უნდა დაფიქრდეს — როგორ მოიპოვება ეს ჩვენებები და როგორ მუშაობს ქვეყანაში სამართალდამცავი სტრუქტურა. თუმცა ახლა ამაზე ფიქრისთვის თავს არავინ იწუხებს. მთავარია, დანაშაული გაიხსნას ან სტატისტიკა „გასწორდეს“.

მანანა ჭელიძე

ეს მაშინ, როცა ერთი ბოთლი არყის ქურდობისთვის ადამიანებს ციხეში უშვებენ და პრეზიდენტის ნულოვანი ტოლერანტობა წერილმან დანაშაულზეც კი კვლავ ძალაშია. ფინანსური კრიზისის ფონზე ბრალდებულისთვის გირაოს გადახდევინება სახელმწიფო ბიუჯეტს კარგად ადგება, რადგან, კანონმდებლობით, გირაოს მინიმალური ზღვარი 2000 ლარია. ქვეყანაში სიტუაცია დღითი დღე მძიმდება. საზარელი სისასტიკით ჩადენილმა დანაშაულმა განსაკუთრებით იმატა კახეთში. ამ რეგიონის შს სამმართველოს უფროსი ირაკლი ქადაგიძე, რომელიც ამ პოსტზე თბილისის პოლიციის უფროსობიდან გადაამისამართეს, კახეთის საინფორმაციო ცენტრის

წერილს, რომლითაც მკვლელობების სტატისტიკურ მაჩვენებელს ითხოვენ, უპასუხოდ ტოვებს, რაც კიდევ უფრო მეტად მიუთითებს იმაზე, რომ მკვლელობების რიცხვი მართლაც შემამოფოთებელია. მიმდინარე კვირას კახეთში, სოფელ ბოდბისხევეში, 17 წლის გიორგი სამხარაძემ 69 წლის ლილი ზოზიაშვილი მოკლა. ექვმიტიანილის განცხადებით, ზოზიაშვილი მას მუდმივად წყევლიდა და მკვლელობამდეც დანყევლა, რამაც ის გააღიზიანა. ყვარლის რაიონის სოფელ შილდაში 67 წლის გივი მარკოზაშვილი ნანამები იპოვეს. თავდამსხმელებმა მარკოზაშვილი საწოლზე მიაბეს და სასტიკად აწამეს. შემთხვევა შილდასთან მდებარე

სომხეთი და თურქეთი შეიძლება ან გააფხულს შეიპოვონ

2007 წლის სექტემბრიდან შევიცარი ქალაქ ბერში მიმდინარეობს საიდუმლო მოლაპარაკებანი თურქეთისა და სომხეთის დიპლომატებს შორის ორმხრივი ურთიერთობის ნორმალიზაციასთან დაკავშირებით. მხარეები განიხილეს საკითხსაც, თუ როდის გადასცენ მოლაპარაკებათა შედეგი გამოსაქვეყნებლად, — იტყობინება „რია-ნოვოსტი“.

ამჟამად თურქეთსა და სომხეთს შორის არ არსებობს დიპლომატიური კავშირები, რადგან საზღვარი ორ ქვეყანას შორის 1993 წლიდან დაიკეტა. თურქეთი აყენებს მთელ რიგ წინაპირობებს ორმხრივი ურთიერთობის მონესრულებისათვის, კერძოდ, სომხეთმა უარი თქვას სომხეთა გენოციდის საერთაშორისო აღიარებაზე და მოავადოს მრავალწლიანი კონფლიქტი ყარაბაღთან დაკავშირებით. ერევანში, თავის მხრივ, აცხადებენ, რომ მზად არიან, დაამყარონ დიპლომატიური ურთიერთობა თურქეთთან წინასწარი პირობების გარეშე.

გამოცემის ინფორმაციით, მიზანშეწონილად მიაჩნიათ, ერთობლივი განცხადებით 24 აპრილის შემდეგ გამოვიდნენ, როცა სომხეთში აღინიშნება სომეხთა გენოციდის ხსოვნის დღე.

როგორც „საბახი“ იტყობინება, ბერში მიღწეული შეთანხმება გაითვალისწინებს ოფიციალური მოლაპარაკების დაწყებას ანკარასა და ერევანს შორის დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენისა და საელჩოების გახსნის შესახებ, ორმხრივი კომისიის შექმნის თაობაზე თურქეთ-სომხეთის ურთიერთობის ნორმალიზაციასთან დაკავშირებით და სომხეთის გენოციდის პრობლემების განხილვას ისტორიკოსების მიერ, ყარსის 1921 წლის ხელშეკრულების განხილვას, სომხეთის მიერ თურქეთისადმი ტერიტორიულ პრეტენზიებზე უარის თქმას, აგრეთვე, საზღვრების გახსნასა და საზღვრისპირა ვაჭრობის მონესრულებასთან დაკავშირებით. თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთა საბახის პუბლიკაციას. მაგრამ თურქეთის ხელისუფლება არა ერთგვის აცხადებდა, რომ წლები განდევნილი შეიძლება გახდეს ანკარასა და ერევანს შორის „ურთიერთობათა ნორმალიზაციის“ წელი. ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი ალი ბაბაჯანი იანვარში ერთ-ერთ ტელეინტერვიუში აცხადებდა, რომ თურქეთი და სომხეთი არასოდეს ყოფილან ისე ახლოს ორმხრივი ურთიერთობის საბოლოო ნორმალიზაციის გეგმასთან, როგორც ამჟამად.

ალექსანდრე ელისაშვილი:

ბარბაროსი ხელისუფლება ანგრივს კლდს, საიდანაც განთქმული თურქული წყლები მოედინება

თბილისი ასაკით მსოფლიოს მრავალ დედაქალაქს ბევრად აღემატება. არაერთი მისი ტოლი ქალაქი ჟამთა სვლამ მიწის პირისაგან აღგავა, თბილისმა კი გაუძლო ისტორიულ ქართველებს, შეინარჩუნა განუმეორებელი კოლორიტი და არქიტექტურა, რომლის ნიმუშთა უმრავლესობამ ერის კულტურის ძეგლის სტატუსი მოიპოვა. დღეს კი მრავალბრძოლაგადატანილი დედაქალაქი, ერის ღირსებისა და დიდების სწორუპოვარი გვირგვინი, ახალ ათასწლეულში ათას პრობლემას უმკლავდება. სულ რაღაც ორიოდ დღის წინ თბილისის ისტორიულ უბანს სეიდბაბამ თანამედროვეთა თვალწინ მიძიმე იარა დააჩნდა. მოსახლეობამ ქალაქის იერსახის დამახინჯებას ქუჩის აქციებით დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა. აღნიშნულ პრობლემებზე გვესაუბრება გაერთიანება „თბილისის ამქრის“ უსტაბაში, ტელევიზიების „კავკასიის“, „მეცტროსა“ და რადიო „ნაცნობის“ გადაცემების წამყვანი, ჟურნალისტი ალექსანდრე ელისაშვილი. ბატონი ალექსანდრე ამ საკითხის მოგვარებისა და მოწყობილი აქციების ერთ-ერთი ორგანიზატორია.

— ბატონო ალექსანდრე, რა ხდება სეიდბაბაში, რამ გამოიყვანა ხალხი ქუჩაში?

— იმას, რაც სეიდბაბაში ხდება, რეკონსტრუქციას ნამდვილად ვერ დავარქმევთ. ეს ბარბაროსული აქტია. ქალაქის მერიამ ორ ღამეში ბუღდოზურების შესვლით დაანგრია მირზა შაფის ქუჩა, მოსახლეობის ნაწილი თავშესაფრით დააკმაყოფილეს, ნაწილს კი უბოდიშოდ საცხოვრებელი ნაართვეს და ქუჩაში გამოყარეს. საცხოვრებელ სახლებს თან მიაყოლეს მირზა შაფის №16-ში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე შენობაც, განუმეორებელი არქიტექტურის მქონე, სამუზეუმო ღირებულების მატარებელი ნაგებობა. ქალაქის ხელმძღვანელობას მის დანგრევამდე გრძელი იურიდიული გზა უნდა გაეწეო, ჯერ სტატუსი უნდა მოეხსნათ, დემონტაჟის უფლება აეღოთ. მათ კი ეს სავესებით უკანონოდ, ნაჩქარევად ღამით, მოსახლეობასთან შეუთანხმებლად ჩაიდინეს. ეს დანაშაულია ერისა და ქვეყნის წინაშე. ამის მოქმედი აუცილებლად უნდა დაისაჯოს.

ბარბაროსი ხელისუფლება ანგრევს კლდეს, საიდანაც თბილის-ქალაქის განთქმული თურქული წყლები მოედინება. ამ ცხელ წყლებთანა დაკავშირებული თბილისის დაარსების ლეგენდაც. კლდე საუკუნეების განმავლობაში უნიკალურ სამკურნალო თვისებას სძენდა განთქმულ გოგირდიან წყლებს, რადგან მინერალური წყლის უბანი, სადაც კანონით რელიეფის ხელების ხდება იკრძალება. ყველა ქვეყანაში ისტორიული უბნების სახის

შენარჩუნებაზე თავგამოდებით ზრუნავენ და თვალისწინივით უფროხილდებიან. აქ კი ვანდალიზმი მოაწყვეს. ამ კლდეშია გოგირდის წყლის ბუღდოზები, რომლებშიც წყლის მინერალიზაცია ნატურალური გზით ხდება. ამ ბარბაროსული ნგრევისას შეიძლება ამ ბუღდოზებს მიაღწენ და დააზიანონ და... მშვიდობით, თბილისის განთქმული ცხელი წყლის აბანოებო... უკეთესი შემთხვევაში კი, გოგირდიან წყლებს დაუპირისპირდება. მგრეველებს ხელთ არავითარი გეოლოგიური დასკვნა არ აქვთ. ქალაქის მესვეურთა მიერ კლდის „გადადგმა“ თავზეხელაღებულთა ქმედებაა დიდ უპასუხისმგებლობასთან და განუკითხაობასთან ერთად.

— არადა, ხელისუფლების სლოგანია — „შეუნარჩუნოთ თბილისის ისტორიული იერსახე!“ საოცარია, რომ ყველაფერ ამას კანონიერი საფუძველი არ ჰქონდეს...

— ამ კლდის ხელშეუხებლობას თავად კანონი იცავს, როგორც ისტორიული უბნის რელიეფს, მაგრამ ჩვენში ვილაციისთვის კანონი კანონობს, ვილაციისთვის — არა. ცუდი ისაა, რომ ბევრი ხელისუფალი თავს კანონზე მაღლა აყენებს. ამ შერჩევითმა სამართლიანობამ ბევრი ცუდი მოუტანა ხალხსაც და ქვეყანასაც. ეს ხომ პირველი შემთხვევა არაა. მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსი დაანგრეეს, არავინ დაუპირისპირდა... რიყზე აშენებულ რესტორანთა ქსელი მიწასთან გაასწორეს... ისტორიულ პიროვნებათა ძეგლების ქრონიკულმა ადგილმონაცვლეობამ ხალხის გამწარება სარკაზმში გადაზარდა. ყველაზე უწინ ბუღდოზურით გლდანის ეკლესიის შენობაში შეცვივდნენ. ეკლესია დანგრევას სასწაულით გადაურჩა. თავს იმით იმართლებენ, რომ ეკლესია ნაკურთხი არ იყო. მათ ჩვენი ქრისტიანული მოძღვრების ანაბანა არ იცინან. უფალი ამბობს: — „სადაც ჩემი ხატი დაივანებს, მეც იქ ვარო“.

— ბატონო ალექსანდრე, თუ მიმართოთ ვინმეს, ვინც ამ საკითხში კომპეტენტურია ან პასუხისმგებლობა აკისრია?

— ჩვენ ქალაქის მერიიდან გამოვითხოვეთ იურიდიული დოკუმენტაცია. მათ ამისთვის 10 დღის ვადა აქვთ. ეს დროც გავა,



ჩვენ არ გავჩერდებით, სანამ კლდის ნგრევას არ შეეშვაბინა. მზად ვართ, ბუღდოზურებს გადავქოქოთ.

შევისწავლით მასალებს, რის საფუძველზეც ხდება სეიდბაბაში ასეთი ვანდალური აქტი, ხოლო შემდეგ მივმართავთ სასამართლოს, თუმცა იმედი სიმართლის პოვნისა არ გვაქვს. დღეს ყველამ იცის, საქართველოში „ჯიბის სასამართლოების“ თემიდას სასწორი ხელისუფალთა განწყობის შესაბამისად რომ იხრება. გუშინ აქციაზე თავად ქალაქის მერი მოვიდა. მისი ლაპარაკი სრული თებობა იყო. ზოგადი და არაარგუმენტირებული კომენტარი გააკეთა — ეს ყველაფერი კომუნიკაციებს სჭირდება, აუცილებელი სამუშაოებია ჩასატარებელი... მართალია, ნებართვა არ გვაქვს იმის შესახებ, რასაც ვაკეთებთ, მაგრამ ნებართვას ავიღებთო... არ ვიცი, ნებართვა რას ჰქვია? — ამ შემთხვევაში კანონი ირღვევა და, გამოდის, ქალაქის მერმა კანონის დარღვევის ნებართვა უნდა აიღოს. საინტერესოა, ვინ უნდა გასცეს კანონსაწინააღმდეგო ნებართვა?! ამ კომენტარით ქალაქის მერმა აღიარა, რომ მოსამზადებელი სამუშაოები არ ჩატარებულა, იურიდიულად საკითხი მოუგვარებელია. რა არის ეს? — თუ არა ხელისუფალთა ხუშტურების პოლიტიკა, საქმისადმი ზერელე, ფუქსავატური დამოკიდებულება, კანონისადმი დაუმორჩილებლობა, „მე ვარ და ჩემი ნაბადის“ პრინციპულობა. საქმე საშური, როგორმე უნდა შევაჩეროთ „ბუღდოზურების მარში“ ამჟამად ჯერ კიდევ ამაყად მდგარ კლდესთან შეტაკებაში, თორემ ხვალ უკვე გვიან იქნება. იკარგება ისტორიული უბნის განუმეორებელი ხიბლი. ჩვენ ვიბრძობლევთ. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებთ: გიგი უპულავა მარტი მირზა შაფის ქუჩის მიმართ დანაშაულებრივი ქმედებისთვის ნაპატივისცემით. თუმცა მას ბევრი ცოდვა აქვს ჩადებული. დაანგრეეს სეიდბაბაში მდებარე აზერბაიჯანელი რევოლუციონერის ნარიმან ნარიმანოვის სახლ-მუზეუმი, რომელიც აზერბაიჯანელებისთვის მნიშვნელოვანი ღირებულებისა იყო.

ჩვენი უპირველესი მოთხოვნაა, შეაჩერონ იურიდიული დოკუმენტაციის წარმოდგენამდე ეს უსაზიზღრესი პროცესი. რელიეფის შეუსწავლელად კლდე-

ში ქუჩები გაჰყავთ. ასეთი წამოწყებანი — ნგრევის ჰეროიკა ჩვენი უგემოვნო ხელისუფალთა ხელწერაა. ღირებულს ვერაფერს ქმნიან და რაც ისტორიამ შემოგვინახა, თავსავე ვანგრევენ. მერიამ იშუაშაოვს გოგა ბერიძე, პროფესორი არქიტექტორი, რომელიც შეაყრდინა არქიტექტურული შიშოვრანი. მისი აზრით, სეიდბაბას არავითარი ისტორიული ღირებულება არ გააჩნია.

— რას აპირებთ, ბატონო ალექსანდრე, თუ ქუჩის აქციებმა შედეგი არ გამოიღო?..

— ჩვენ არ გავჩერდებით, სანამ კლდის ნგრევას არ შეეშვაბინა. მზად ვართ, ბუღდოზურებს გადავქოქოთ.

გიგი უპულავა საქაქი არს უყვარს არს აღარღვას. საიდანაც და აბანოთუხის განუყოკაბლობა მისთვის საერთოდ არააუარს ნაკომოღვენს.

ამიტომ არ გააკეთა გეოლოგიური, არქეოლოგიური და არქიტექტურული დასკვნები, ისე შეუდგა ნგრევას. მერისთვის მთავარია, რეკონსტრუქციად მონათლული მისი უგვანო სვლებით მისმა ძმაცაცებმა ფული იშოვონ.

სეიდბაბა ქალაქ თბილისის აკანია, აქედან იწყება მისი ზრდა-განვითარება და დედაქალაქად ქცევა. კალა, მეტეხი, აბანოთუხანი, ავლაბარი, ისანი და მისი ყველა ძველი უბანი ჩვენი ისტორიული მემკვიდრეობაა, ჩვენი სულის გამომძახილი და არა მცირერიცხოვან ჩინოვნიკთა სათარეშო ასპარეზი. ქალაქი უნდა განვითარდეს დიდი ფიქრისა და განსჯის შედეგად და არა სპონტანურად, ყოველგვარი გათვლის გარეშე.

ხალხის ბრალია, ბევრ რამეს ნაფუყრეთ.

ესაუბრა ლალი შაშიაშვილი



„რაც შენია – შენიას“ სარეკლამო სახეს, პროკურატურა და თავდაცვის სამინისტრო დაკანონებულ ნაკვეთს ართმევენ

პრეზიდენტის ინიციატივით წამოწყებული პროექტი, სახელწოდებით — „რაც შენია — შენიას“, როგორც აღმოჩნდა, მცირე შესწორებას საჭიროებს. მაგალითად, ამ პროექტის სარეკლამო სახეს, ავთანდილ კაკაშვილს, რომელიც კმაყოფილი გვიყვებოდა, როგორ დაიკანონა ფართი და დაიწყო მცირე ბიზნესსაქმიანობა, დღეს პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე დაკანონებულ ქონებას თავდაცვის სამინისტრო და გენერალური პროკურატურა ართმევენ.

ავთანდილ კაკაშვილი აცხადებს, რომ, როცა პრეზიდენტმა პროექტის შესახებ განაცხადა, ბევრს იგი მორიგი სატყუარა ეგონა და მერიისთვის არც მიუმართავს, თუმცა თვითონ დარწმუნებული იყო, რომ ხელისუფლება ხალხის საკეთილდღეოდ მოქმედებდა და დაუყოვნებლივ მიაშურა მერიას. მაშინ იგი ვერ წარმოიდგენდა, რომ შანტაჟის ობიექტი გახდებოდა — არც მეტი, არც ნაკლები, მის მიერ დაკანონებულ მიწის ნაკვეთში პროკურატურა 300 ათას დოლარს მოსთხოვდა:

— 2007 წლის ბოლოს „ნაციონალური მოძრაობის“ ეგიდით მერიასთან შეიქმნა ლეგალიზაციის კომისია, რომელიც დააკანონებდა სადავო მიწის ნაკვეთებს. მაშინ ხალხი ორპირივით უყურებდა ამას, არ სჯეროდა, ფიქრობდა — მორიგი სატყუარაა. მიუხედავად ამისა, მე მაინც შევიტანე განაცხადი. ჩემი სატელევიზიო კლიბი გადიოდა რეკლამის სახით, სადაც ვყვებოდი, როგორ გაამართლა ამ პროექტმა და ა.შ.

თავიდან მერიამ პრობლემები შეგექმნა, კომისიის წევრებმა მითხრეს, ეს ნაკვეთი მეზობლებთან, კერძოდ, ვინმე გიორგობიანიანს სადავო ვეყენო. მე მათ წარმოუდგინე გიორგობიანიანის სასარჩელო მოთხოვნა (რომლის კანონიერებასაც დღესაც იხილავს სასამართლო) და ნახაზი, რომლის საფუძველზეც ნათელი წარმოდგენა შეექმნათ, რომ გიორგობიანიანის სასარჩელო მოთხოვნას ჩემს ნაკვეთთან საერთო არაფერი ჰქონდა და საუბარი იყო სრულიად სხვა ფართზე. ამის შემდეგ მათ ყოველგვარი ყოყმანის გარეშე განიხილეს ჩემი საკითხი და მცნეს შესაკუთრედ. გამომიწერეს თანხა — 4320 ლარი, რომელიც გადავიხადე და აღნიშნული დოკუმენტების საფუძველზე გაუუკეთე რეგისტრაცია ჩემს საკუთრებას საჯარო რეესტრში.

ხელისუფლების კურსით მოხიბლულმა კაკაშვილმა გადაწყვიტა, პრეზიდენტის კურსს გაჰყოლოდა და მერიის მიერ დაკანონებულ ნაკვეთზე დასაქმების პროგრამა განეხორციელებინა, თუმცა ამისთვის დღემდე ვერ მოიცალა, რადგან მას ახალი მოდავეები გამოუჩნდნენ უკვე ხელისუფლების მაღალი ემელონებიდან. როცა გიორგობიანიანმა საკითხი თავის სასარგებლოდ ვერ გადაწყვიტა, კაკაშვილის განცხადებით, საქმეში თავდაცვის სამინისტრო ჩართო. მანამდე თავდაცვის სამინისტროს მის მეზობლად მდებარე ამ ნაკვეთზე პრეტენზია არასდროს გამოუთქვამს, პირიქით, უშველებელი გალავნით სწორედ სამინისტრომ გამოიწვია კაკაშვილისა და საკუთარი ეზოს საზღვარი.

ავთანდილ კაკაშვილი: — დასაქმების პროგრამის განხორციელება მინდოდა ჩემნაირი გაჭირვებული ხალხისთვის... ეს ხელისუფლება სულ დასაქმებაზე საუბრობს და მეგონა, მათი გულწრფელი სურვილი იყო. ერთი წელი გავიდა, რაც ეს ნაკვეთი დაიკანონე, მაგრამ დღემდე ვერაფერი წამოვიწყე, სასამართლოსა და პროკურატურას შორის დავდივარ. პროკურატურიდან მოსულს სასამართლო უწყება მხვდება და ა.შ. მოსამართლე ინგა კვაჭანტირაძემ გიორგობიანიანს გარიგება შემომთავაზა. გიორგობიანიანმა მაშინ მითხრა, — თუ წილში გამიყვან, მოვრიგდებით, თუ არა და, იცოდე, თავდაცვის სამინისტრომაც გაგიჩენ პრობლემებსო. ეს სერიოზულად არ აღვიქვი, რადგან, როცა ფართს ვიკანონებდი, თავდაცვის სამინისტრო გაცნო ჩემს ხელთ არსებულ საბუთებს. მათ არანაირი პრეტენზია არ ჰქონიათ, პირიქით, თვითონ გააკეთეს გალავანი სამინისტროს ეზოსა და ჩემს ნაკვეთს შორის. რას წარმოვიდგენდი, რომ რამე პრობლემა შეიძლებოდა გაჩენილიყო. ამიტომაც გიორგობიანიანს ვუთხარი, — შენთან რა გარიგებაზე უნდა წამოვიდე? სახელმწიფომ დამიკანონა ნაკვეთი პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე და ჩემს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს შენ რას მდებარეობი-მეთქი. შემდეგ, სასამართლო პროცესზე, უკვე მოსამართლემ გაახმოვანა, — თუ ვერ მორიდდებით, იძულებული ვიქნები, ამ პროცესში თავდაცვის სამინისტრო ჩავერთო. მე წერილობით მივმართე თავდაცვის სამინისტროს — სასამართლო პროცესზე ასეთი აზრი გამოითქვა და ჩემთან რაიმე პრეტენზია ხომ არ გაქვთ-მეთქი. წერილობით არ უპასუხიათ, მაგრამ შევხვდი იურიდიული სამმართველოს თანამშრომლებს, რომლებმაც მითხრეს, რომ არანაირი პრეტენზია თავდაცვის სამინისტროს ჩემ საკუთრებასთან დაკავშირებით არ ჰქონდა. დაახლოებით სუთი თვის შემდეგ კი უკვე თავდაცვის სამინისტრომ შეიტანა სარჩელი ჩემს წინააღმდეგ.

ნიშანდობლივია, რომ სარჩელში თავდაცვის სამინისტრო არ აზუსტებს ფართს, თუ რა ტერიტორია ეკუთვნის მას. ისიც საინტერესოა, რომ ეს თავდაცვის სამინისტროს ფართობი იყო. რატომ მისცეს კაკაშვილს ტერიტორიის გალავნით გამოყვანის ნება და იმთავითვე არ მოითხოვეს მისი დაბრუნება? ეს კითხვები სასამართლო სხდომაზე კაკაშვილმაც დასვა და სამინისტროს წარმომადგენლებსაგან პასუხიც მი-



ილო — მთელ ტერიტორიას ვითხოვთო.

— მე მივწერე პრეზიდენტს: ბატონო პრეზიდენტო, რომ წავსულიყავი გარიგებაზე გიორგობიანიანთან, როდესაც მან ეს შემომთავაზა, მაშინ გაუჩნდებოდა პრეტენზია თავდაცვის სამინისტროს ჩემს ნაკვეთზე? გეკითხებით: არ არის ეს გამოძალვა, წართმევა, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება? მე რომ ბოკერია, თარგამაძე ან გაბაშვილი ვიყო, ამდენს ვინმე გამიბედავდა? ქაოსამდე იმიტომ მივიდა ჩვენი ქვეყანა, რომ უსამართლობის მორევში იხრჩობა, თორემ მე რა მინდა მიტინგზე? ხელისუფლებაში მოვალ. რამე თანამდებობას ველოდები თუ... მე ჩემი საქმის კეთება მინდა, მაგრამ არ მაძლევენ ამის საშუალებას და იძულებულს მხდინა, პროტესტის ასეთ ფორმებს მივმართო. ქალაქის მერს დაუსვეს კითხვა ჩემს საქმესთან დაკავშირებით და განაცხადა, სასამართლოს მიმართოსო. მე მივმართე მას:

გიგი უგულავა, სასამართლო არსებობს თქვენთვის, ჩემისთანა უბრალო ხალხისთვის სასამართლო არ არსებობს!

ინსტანცია აღარ დარჩა, რომელსაც შეიძლება მივმართო, სასამართლოში გასაჩივრების ყოველგვარი ლიმიტი ამომეწურა. მივმართე პრეზიდენტის ადმინისტრაციას, პარლამენტის იურიდიულ კომიტეტს, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს. იუსტიციის საბჭოს მდივანს, რომელმაც მითხრა: ძია, ამ უკანონობის გამო შავ დღეს დავყავით

მოსამართლეს და შენ ამის პასუხს ველოდები, მე შეიძვერ გამასამართლეს ამ ხნის მანძილზე და მათი საკითხი დღემდე იხილება.

პრეზიდენტამდე მინდა, ხმა მივანდინო, ვუთხრა, რომ აბუჩად იგდებენ მის ბრძანებულებას. ამხელა ხელფასები და გავლენა აქვთ და უბრალო ხალხს გვართმევენ, რაც თავის სარჩევად გვაბადია. მე უმადური ადამიანი არ ვარ, არავინ თქვა — მაღლობელიც არ ხარ, რომ დაგიკანონესო. რომ დამიკანონე, კარგი ბიჭი იყავი და შენს მხეს ვფიცულობდი, მაგრამ ახლა რა ვქნა, რომ მართმევე?

კაკაშვილს არა მარტო თავდაცვის სამინისტრო სძალავს მერიის დაკანონებულ ნაკვეთს, ამ საქმეში აქტიურადაა ჩართული პროკურატურაც. გასული წლის 27 დეკემბერს კაკაშვილი პროკურატურაში დაიბარეს და 80 თეთრით მისულს, 300 ათასი დოლარი მოსთხოვეს ნაკვეთის სანაცვლოდ.

ავთანდილ კაკაშვილი: — ჩვენ გავარკვიეთ, როგორც გაქვს დაკანონებული ეს ფართი და 300 ათასი დოლარი უნდა გადაიხადო, თუ გინდა, იგი შეგჩესო, — მითხრა გამომძიებელმა. მეგონა, მეხუმრებოდა, 80 თეთრით ვიყავი მისული პროკურატურაში. რას წარმოვიდგენდი, ასეთ რამეს სერიოზულად თუ მეტყობდნენ. რომ ვუთხარი — 80 თეთრით ვარ მოსული და 300 ათასი საიდან უნდა მოვიტანო-მეთქი, მაშინ დავვისახელე თბილისის მერიის მაღალჩინოსნები, ვინც შენთან ერთად საქმეში არიანო. მე ვუთხარი, თბილისის მერიამ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე დამიკანონა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი-მეთქი. სამასი ათასის მოტანის თავი თუ არა გაქვს, მაშინ რამდენს გადახდა შეგიძლია, გვითხარი, წინააღმ-

დეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით, დაგაკავოთო. მე ვთხოვე, თუ ფიქრობთ, რომ დანაშაული მაქვს ჩადენილი, ნუ გამიშვებთ, აქ ვარ და დამაკავეთ, იმის იმედი ნუ გექნებათ, რომ ფულს ვიშოვი და მოგიტან-მეთქი, — იხსენებს კაკაშვილი და გაზეთის საშუალებით პრეზიდენტს მიმართავს: ბატონო პრეზიდენტო, ერთი წუთით მოიცალეთ ჩემთვის, დამელაპარაკეთ, იქნებ მართლა გატყუებთ, იქნებ მართლა ქვეყნის ამომგდები ვარ. თქვენი ბრძანებულების საფუძველზე საკუთრებაში დაკანონებულ მიწის ნაკვეთს ახლა თავდაცვის სამინისტრო და პროკურატურა რომ მართმევენ და ველარ გამიგია, რომელს მივცე, ეს მაინც მითხარით, რომ მერე კიდევ გასაყოფი არ ჰქონდეთ.

ადრე ხალხი რომ ამბობდა, დავიჩაგრეთ, ზენოლა და ა.შ., არ მგეგორცა, სანამ საკუთარ თავზე არ გამოვცადე. ახლა ვხვდები, რამდენი გამწარებული ადამიანია. ეს უარყოფითი მუხტი ხომ გროვდება? მიხეილ სააკაშვილო, მინდა, ისე მიყვარდე, როგორც 2003 წელს იყვარდიო ხალხს და იმედი ჰქონდათ თქვენი. ძალიან მწყინს, ქვეყნის პრეზიდენტს ხალხთან შესახვეწნად რომ გაქვთ საქმე 2013 წლამდე პრეზიდენტად დამტოვებო, რატომ მივიდა ხალხი ამ ზომამდე, ნუთუ არ გაინტერესებთ? ყაჩაღებს და ბანდიტებს არ დასდევენ და მე ყოველდღე პროკურატურაში და სასამართლოში დამარბენინებენ. ჩვენ ისიც გვეყოფა, ცხოვრებამ ასეთი გაუბედურებული ყოფა რომ გვარგუნა, კიდევ დაჩაგვრა გვინდა? სიმართლე, პრეზიდენტო, უბრალო ადამიანისგან უნდა გაიგოთ, ეს ელემენტარული ჭეშმარიტებაა, ჩემნაირი კაცი არ გილალატებთ, თუ არ გაამწარე, იცოდეთ!

სქემა, როგორც ნასრობი კანონიერ ფლოკალეს ტელეკომპანიები წაართვა

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის საქმიანობამ ქვეყანაში პოლიტიკური დატვირთვა შეიძინა. ერთი შეხედვით უპრეტენზიო ორგანო „ნაციონალური მოძრაობის“ პარტიული ინტერესებისა და იმ კერძო მესაკუთრეებზე ანგარიშსწორების იარაღად იქცა, რომლებიც შორს იდგნენ პოლიტიკური ინტერესებისა და ინტრიგებისაგან. სააკაშვილმა „ახალი საქართველოს“ შენება ტელესიხშირეების მესაკუთრეთათვის ქონების ჩამორთმევით დაიწყო. 2004 წლის დეკემბრიდან ძალაში შევიდა ფარული ომი თბილისზე მასშტაბული ტელეარხების მფლობელთა წინააღმდეგ. ტელეარხების წარმომადგენლებს „შემსრულებლის“ ფუნქცია კომუნიკაციების მარეგულირებელმა კომისიამ იტვირთა, ხოლო „დამკვეთი“ გახლდათ შინაგან საქმეთა სამინისტრო, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი და გენერალური პროკურატურა.



„ალანამ“, რომელიც უშიშროების სამსახურის ინიციატივით შეიქმნა. მარტივად ვიტყვით, რომ ევროსაბჭოს ექსპერტებთან ერთად დიდი ზარ-ზეიმით შემუშავებულ-მიღებული „მასშტაბების შესახებ კანონით“ ერთსა და იმავე პირს ეკრძალება, იყოს წილის მფლობელი ორ სხვადასხვა ტელეკომპანიაში. სტომატოლოგ დავით კაკაურიძეზე ეს აკრძალვა არ გავრცელდება, რადგან მას სააკაშვილის ხელისუფლების ძალისხმევით შტოს მალაჩინოსნები მფარველობდნენ.

ინცეს, პრეზენტაცია სასტუმრო „კოპალაში“ გაიმართა, სადაც ჰანს ალტენბურგმა და „ობიექტივის“ მფლობელმა გეგმები გააცნეს. პრეზენტაციიდან ზუსტად ორ თვეში „ტვ-33“ გაიყიდა. ის მაშინდელი თავდაცვის მინისტრის მოადგილის ძმამ კახა გიუაშვილმა შეიძინა. შესაბამისად, 33-ე დეციმეტრულ სიხშირეზე ადგილი დაიკვიდრა თავდაცვის სამინისტროს საუწყებო ტელევიზია „საქართველომ“. ამ გარიგების დეტალები „ობიექტივის“ მფლობელის თხოვნით არ ვაჩვენებთ. მისი თხოვნით მიმართა და, — არ გაგიკვირდეთ, — რატომღაც, სახელმწიფოსთვის ტელევიზიის ლიცენზიის უსასყიდლოდ ჩაბარება გადაწყვიტა. ეს მაშინ, როდესაც ტელევიზიის წილის 51%-ის რეალური ფასი 200 000-დან 500 000 დოლარამდე მერყეობდა და კვირიკაშვილს თავისუფლად შეეძლო „საკუთრება“ სარფიანად გაეყიდა.

წილის წარმომადგენელი ორი წლის შემდეგ ტელეკომპანია „ობიექტივის“ დირექტორმა სასამართლოს მიმართა. იმ პერიოდში (2005 წელი) დაშინებულმა საზოგადოებამ ასე თუ ისე გამოიღვიძა და ხმამაღლა დაიწყო საუბარი სააკაშვილის რეჟიმის კრიმინალურ ქმედებებზე. კვალის დაფარვის მიზნით ხელისუფლებამ რამდენჯერმე შეცვალა ტელეკომპანია „ობიექტივის“ 51%-ის მენილე... კაკაურიძეს ნოდარ ჭარხალაშვილმა ჩაენაცვლა, ჭარხალაშვილს — კვირიკაშვილი, რომელმაც ჯერ გადაიფორმა ტელეკომპანიის წილი, ხოლო ცოტა ხანში მარეგულირებელ კომისიას უმორჩილესი თხოვნით მიმართა და, — არ გაგიკვირდეთ, — რატომღაც, სახელმწიფოსთვის ტელევიზიის ლიცენზიის უსასყიდლოდ ჩაბარება გადაწყვიტა. ეს მაშინ, როდესაც ტელევიზიის წილის 51%-ის რეალური ფასი 200 000-დან 500 000 დოლარამდე მერყეობდა და კვირიკაშვილს თავისუფლად შეეძლო „საკუთრება“ სარფიანად გაეყიდა.

„დემოკრატიის ჯიხური“ — ტელეკომპანია „202“ შალვა რამიშვილის დაპატიმრების შემდეგ დაიხურა. ოფიციალური ვერსიის თანახმად, ტელევიზიის მფლობელმა, პარლამენტარმა ვაჟა კილაძემ კომპანია ჰანს ალტენბურგს მიჰყიდა. თუმცა, დაახლოებით ნახევარი წლის შემდეგ პირადად მე მქონდა შეხვედრები „202“-ის ყოფილ თანამშრომლებთან და ბევრი კითხვაც დამებადა კილაძე-ალტენბურგის გარიგებასთან დაკავშირებით. 2006 წლის დეკემბერში ჟურნალისტთა კავშირმა „ობიექტივის“ „ტვ-33“-ის მფლობელს ჰანს ალტენბურგისაგან სიხშირის ამოქმედებასთან დაკავშირებით შემოთავაზება მიიღო. „ობიექტივის“ მფლობელმა „საუბრის“ ტელეკომპანია „ალანას“ გადაეცა.

არსებობს ჩამონათვალი და შესაძლებელია რევიზიის ჩატარება! „ობიექტივის“ გამოძიებამ ცხადყო, რომ ტელეკომპანია „ევროპას“ მარეგულირებელმა კომისიამ ლიცენზია უკანონოდ გაუქმა. შესაძლებელი იყო სხვა სანქციების გამოყენება (წერილობითი გაფრთხილება, ჯარიმა), მაგრამ კომისიამ უკიდურეს ზომას მიმართა, რითაც უხეშად დაარღვია საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლი და „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის“ მე-10 მუხლის პირველი პუნქტი. შეგახსენებთ, რომ ეს მუხლი კრძალავს გარანტირებული თავისუფლების დაუსაბუთებელ შეზღუდვას.

2004-2008 წლებში საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისია იმ სადამსჯელო ორგანოს ფუნქციას ასრულებდა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლების ძალისხმევით ინტერესებს იცავდა. დროის ამ მონაკვეთში ტელესიხშირე 14-ზე მეტ კანონიერ მფლობელს ჩამოერთვა. დიმიტრი ქიტოშვილის კრიმინალური საქმიანობა გიორგი არველაძემ გააგრძელა, რომელიც ეკონომიკის მინისტრის (ასევე) გიორგი არველაძისა და თავდაცვის მინისტრის დავით კეზერაშვილის კადრად ითვლებოდა. სწორედ გიორგი არველაძის დახმარებით მოახერხა ვინმე კვირიკაშვილმა სახელმწიფოსთვის ტელეკომპანია „ობიექტივის“ კუთვნილი ლიცენზიის უსასყიდლოდ ჩაბარება, რაც თავისთავად სასაცილო ფაქტად რჩება. კომისიის სხდომაზე, რომელიც ზემოხსენებულ საკითხს მიეძღვნა, მარეგულირებელი კომისიის წევრებმა ხელისუფლებისათვის სასურველი გადაწყვეტილება 15 წუთში გამოიტანეს.

„მოვე დრო და თითოეული თქვენგანი კანონის წინაშე აგებს პასუხს ამ და სხვა დანაშაულებებისათვის“, — სხდომის პათოსი ასე გააპროტესტა „ობიექტივის“ წევრმა ბამუკა გობეჩიამ. ეს იყო მარშან...

ჟურნალისტთა კავშირ „ობიექტივის“ წევრები ხელისუფლების მიერ წარმომადგენელი ტელევიზიისათვის ბრძოლას არა მარტო სასაზოგადოებო აქციებზე, არამედ სასამართლო პროცესებზე განაგრძობდნენ, რომელსაც სააკაშვილის რეჟიმის 4 წელია, ბლოკავს და აჭიანურებს. იქამდეც კი, რომ სასამართლომ ღიად დაუჭირა მხარი ხელისუფლების ნებას და არ დააკამათა „ობიექტივის“ ადვოკატის წინააღმდეგობა — საქმის შესწავლის დასრულებამდე ტელეკომპანიის ლიცენზიას ყადაღა დასდებოდა!

საქართველოში მაშინაც კი ბნელა, როცა მზე ანათებს. ტელეკომპანია „ობიექტივისათვის“ სიხშირის წარმომადგენლის ირვლივ სკანდალი მნიშვნელოვანია. ჟურნალისტთა კავშირმა „ობიექტივის“ ამერიკის შეერთებული შტატების ახალ აღმინისტრაციას საგანგებო წერილი მიმართა და დახმარება სთხოვა. 2009 წლის 17 მარტს კი მორიგი სასამართლო განხილვა გაიმართება...

ჟურნალისტთა კავშირმა „ობიექტივის“ ჯერ კიდევ 2004 წლიდან დაიწყო გამოძიება კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიაში არსებული კორუფციული გარიგებებისა და დარღვევების შესახებ. 2006 წლის გაზაფხულზე მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარის დიმიტრი ქიტოშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მოვიტოვებთ. ალბათ, გაინტერესებთ, რატომ...

გულირებელი კომისიის მაშინდელ თავმჯდომარესთან დიმიტრი ქიტოშვილთან (მისი დეიდაშვილია). საინტერესო იყო ისიც, რომ ორივე ტელეკომპანიის წილის გადაფორმება მოხდა სასაზოგადოებო კანტორაში „გინტური“, რომელიც 2004-2008 წლებში ხელისუფლების მიერ მესაკუთრეთათვის წართმეულ ქონებას რამდენიმე საათში „აპრავებდა“. ტელეკომპანია „ობიექტივის“ დირექტორმა მიხეილ აგლაძემ ჩვენთან საუბრისას დაადასტურა, რომ წილის გადაფორმება მასზე უხეში ზენოლის პირობებში მოხდა. ქიტოშვილი აგლაძეს სისხლის სამართლის საქმის აღძვრით და დაჭერით ემუქრებოდა. იყო ფიზიკური ანგარიშსწორების მცდელობაც. აგლაძესა და ქიტოშვილს შორის ჭიდილი რამდენიმე თვის მანძილზე გაგრძელდა. საბოლოოდ, ტელეკომპანია „ობიექტივის“ წილის 51% გასხვისდა. ამ წილის მფლობელს პარტნიორისთვის დღემდე არ გადაუხდია ხელშეკრულებით გათვალისწინებული 19 000 ლარი. თუმცა გაცილებით საინტერესო სხვა ფაქტია. აგლაძე მებრძოლი ადამიანი აღმოჩნდა და, როგორც კი ტელეკომპანია „იმედმა“ ოპოზიციური მიმართულება აიღო, მაშინვე სატელევიზიო ინტერვიუ მისცა „დროების“ გადამღებ ჯგუფს. ამ ინტერვიუში მიხეილ აგლაძე პირდაპირ ამბობდა, რომ დიმიტრი ქიტოშვილი თავის კაბინეტში მას დაჭერით ემუქრებოდა, თუ არხს ვინმე კაკაურიძეს არ გადაუფორმებდა. აგლაძე საუბრობდა იმაზეც, თუ როგორ მიიყვანეს ის სასაზოგადოებო კანტორა „გინტურში“ და როგორ მოხდა არხის გადაფორმება. ეს ინტერვიუ ჟურნალისტმა გიორგი მოლოდინმა ჩაინერა, მაგრამ გიორგი თარგამაძემ (რომელიც მაშინ პროგრამა „დროებას“ ხელმძღვანელობდა) სიუჟეტი ეთერში არ გაუშვა. როგორც ჩანს, უკვე მაშინ ჰქონდა დაწყებული თანამშრომლობა ვანო მერაბიშვილთან და უკვე შინაგან საქმეთა სამინისტროს ინტერესებს იცავდა!

საქმე ის არის, რომ 2004 წლიდან სააკაშვილის ხელისუფლებამ პირველი იერიში თავისუფალ მედიაზე მიიტანა. დაიხურა ტელეკომპანია „იბერია“, „მეცხრე არხი“, ჟურნალისტთა კავშირ „ობიექტივის“ ჟურნალისტებს წაართვეს ტელეკომპანია „ობიექტივის“ მასშტაბების უფლება. ერთ მშვენიერ დღეს, პირადად საუბრისას, მე და ჩვენმა კოლეგამ ლუბა ელიაშვილმა აღმოვაჩინეთ, რომ

წართქვისი შედეგად „იბერია“ და ტელეკომპანია „ობიექტივის“ წილის გადაფორმებული იყო 28 წლის სტომატოლოგმა, ვინმე დავით კაკაურიძემ.

რა თქმა უნდა, გაჩნდა კითხვა: ვინ იყო დავით კაკაურიძე და რატომ გადაუფორმეს მას წილი ორ სხვადასხვა ტელეკომპანიაში? გამოძიების პროცესში გაირკვა, რომ

დავით კაკაურიძე სასტუმრო „პარაზი“ მენეჯერად მუშაობდა და ახლო ურთიერთობა ჰქონდა სააკაშვილის ხელისუფლების მაღალჩინოსნებთან, როგორც სტომატოლოგი, როგორც „პარაზის“ ბარ-რესტორანში კლავდენე დროს.

ამასთან, მოვიპოვეთ ინფორმაცია, რომ სტომატოლოგ კაკაურიძეს ნათესაური კავშირი ჰქონდა კომუნიკაციების მარე-

თამაზ გაშაკიძე:

მსირა მენარმეთა მიერ აღებული კრედიტების გადახდის ვალდებულება გადაინიშნოს

ქვეყანა, რომელშიც მოქალაქე შრომის უფლებით არ არის უზრუნველყოფილი, არ შეიძლება პიროვნების სახელმწიფო, რადგან შრომის უფლებით იწყება პიროვნების თავისუფლება. დღეს მძიმე პირობებში ვცხოვრობთ, ლუკმაპურის შოვნაზე გადაგებული ერთ ვართ. ბოლო ოცი წლის განმავლობაში ქვეყანაში განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა ადამიანები უფუნქციოდ დატოვა. ამგვარ ატმოსფეროში მოქალაქე იძულებულია, საქმოსნობა დაიწყოს, როგორც: ვაჭრობა, დაბანდება, საჯარო გარიგება, იაფი საქონლის შოვნა, სხვისთვის დასწრება, გასაღება, დანახარჯის ამოქაჩვა, გაორკეცება. სტატისტიკაც გვეუბნება, რომ დღეს საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა თავს ვაჭრობით ირჩენს.

არახალია, რომ ზოგიერთი ერთ იმთავითვე ვაჭრობით ირჩენდა თავს — ებრაელები, სომხები... ჩვენ კი ტრადიციულად მიწას ვიყავით მიჯაჭვულნი, მაგრამ ამ ტრადიციის გაგრძელება თვითმკვლელობის ტოლფასი გახდა. 90-იანი წლებიდან საზოგადოების უდიდესმა ნაწილმა ბაზრობებზე გადაინაცვლა წლების განმავლობაში მათი ქანცამწყვეტი შრომა არაადამიანურ პირობებში თავის გადარჩენისთვის ბრძოლა და სხვა არაფერი.

ამჯერად მათ გადასახადების გადიდებით „სასუნთქი გზები“ გადაუკეტეს და სასიკვდილოდ განიშრეს. აი, რას ამბობს ერთ-ერთი იმთავანი **ლეილა ქანთარია**:

— პროფესიით ინჟინერი, რადიოქარხნის გაჩერების შემდეგ უმუშევარი დავრჩი. იმ მდგომარეობაში მივდიოდი, ჩუმად ვტიროდი ხოლმე, ღამეები არ მეძინა. არ ვიცოდი, რა გზას დავდგომოდი. ქუჩაში ხელზე მოვაჭერე დასვლა მიჭირდა... ვაგზის მოედანს მივაშურე, ნასესხები ფულით ლილოში აიფადა ნაყიდი ტანსაცმლით, ხელზე გადავიკიდებული ქვედაბოლოებით და სხვა ჭინჭებით ვაჭრობა დავიწყე. სახეს შარფით ვიფარავდი. ვინმე თუ მარბახლოვებოდა და ფასს მკითხავდა, ნერვიულობისგან ხელები და მუხლები მიკანკალებდა. რამდენჯერმე თვალი მოგვარი ნაცნობს და დავიმალე. ვაჭრობისათვის გამოყოფილ ადგილში დღეში 2 ლარს ვიხდიდი. გვიან საღამოს, იაფფასიან ჩანთაში ვანყობდი ტანსაცმელს და თითქმის მძიერი, ფეხებდასიებული, საოცრად დაღლილი ჩაბნელებულ სახლში ვბრუნდებოდი, სადაც სიღატაკე და სიცივე მხედებოდა. თუ ვაგვრდებოდა, საქონელს გაყივით ჩანთაში ვტენიდი და თავის შესაფარებლად მეტროში გავრბოდი. თანდათან საოცარი მეტამორფოზა განვიცადე, კომპლექსი და მიმწარევი შეკრთობა მოვიშორე. ამგვარი განწყობით უფრო მიმართლებდა. სახლში უკვე სადგურზე ნაყიდი პურითა და პროდუქტებით ვბრუნდებოდი და ეს მიხაროდა. წლები გადიოდა, ახალ მდგომარეობას შევეჩვიე, საქონლის შერჩევაც ვისწავლე, სიტყვიერი რეკლამირებაც და ქუჩაში ჭამაც შევეძელი, რაც თავიდან ასე მიჭირდა.

„ვარდების რევოლუციამ“ გარეგანობა აკრძალა, პოლიციის ძალით გვაიძულა, ეს „მათხოვრული“ საქმე მიგვეტოვებინა. ალტერნატივა კი არ ჩანდა. მეგონა, ქარხანა-ფაბრიკები ამუშავდებოდა, სანარმოები განახლებოდა და რაღაც სამუშაოს მეც ვიპოვიდი. მაგრამ... ვინც მუშაობდა, ისი-

ნიც გამოყარეს. შადრევნების გარდა არაფერი აშენდა. ვაგზის მიმდებარე ტერიტორიაზე ახალ მაღაზიათა მწკრივები სოკოებივით ამოიზარდა. ვისაც ცოტაოდენი დანახოგი ჰქონდა, ფართი იქირავდა და შედარებით კომფორტულ პირობებში განაგრძო ვაჭრობა. ჩემმა ნათესავმა ქალმა შემომთავაზა: — „ფართი ვიქირავით, შენ ამ საქმეში გამოცდილება გაქვს, მეც მხარში ამოგიდგები“... ფართი 500 დოლარად ვიქირავეთ, ასორტიმენტი გავზარდეთ. თავს ბედნიერად ვგრძნობდი, სკამზე ვიჯექი და თავზე ჭერი მეხურა. მართალია, დილის 8 საათიდან საღამოს 8 საათამდე ვმუშაობდი, სველ ნერტილებსმოკლებული, ამჟავებული ციომის ხაჭაპურებით ვიკვებებოდი, მაგრამ სამაგიეროდ ჩემს ოჯახს არ შიოდა, ჭირსა და ლხინს პასუხს ვცემდი.

ბოლო 5 წელიწადში ფართის ქირა ყოველ 2-3 თვეში იმატებდა, ჩვენც საქონელს ვაძვირებდით, ნემსის ყუნწში ვცვებოდი, ოღონდ ლუკმაპური გვექონოდა. ოდესღაც 500-დოლარიანი ფართის ქირამ 3 ათას დოლარს მიაღწია. ომმა და ეკონომიკურმა კრიზისმა ვაჭრობა ჩააგდო. დღეები ისე გადიოდა, მაღაზიაში კლიენტები არ შემოდოდა. ქირას ვეღარ „ვექაჩავდით“. დირექციას ვთხოვეთ ქირის დაკლება, აუფხსენით მდგომარეობა. უტიფარი პასუხი მივიღეთ: — „ვეღარ ქაჩავთ, დატოვეთ ადგილები, აგერ არიან ჩინელები!“ არ ვიცი, როგორ და რა გზებით მოახერხეს ქალაქის ცენტრში ჯერ ტერიტორიების ხელში ჩაგდება, შემდეგ კი მაღაზიათა ქსელის აშენება, მაშინ, როდესაც ქვეყანა ინგრეოდა. ოღონდ ფართი ჩინელებზე ან აზერბაიჯანელებზე გააქირაონ და ჩვენ კაპიკის შეღავათსაც არ მოგვცემენ. ვიცი, ჩვენი მაღაზიის მეპატრონე სახელმწიფო ჩინოვნიკთა მხრიდანაა „დაკრიშული“, რომლებიც ხელისუფალთა მაღალ ემელონებს ხარკს უხდიან. გამოდის, ჩვენი ქანცამწყვეტილი შრომით უამრავ პარაზიტს ვკვებავთ, ჩვენ კი სისხლი გვიშრება. დავტოვე მაღაზია და კვლავაც „უპოვარი“ დავრჩი. ბოლო დღეებში ლილოს ბაზრობაზე ვიყავი. მაღაზიათა კილომეტრიან მწკრივში ზოგს ეწერა „ქირავდება“, ხოლო ზოგს — „იყიდება“...

ზემოთ მონათხრობი მხოლოდ ერთი ქალის ბანალური ისტორია რომ იყოს, საგანგებოდ არ გამოვიტანდი. მაგრამ ვაი რომ ამ გზას უამრავი მცირე მენარმე გადის და გაკოტრებული ათასობით უმუშევართა რიგებს ემატება.

ოღონდ ფართი ჩინელებზე ან აზერბაიჯანელებზე გააქირაონ და ჩვენ კაპიკის შეღავათსაც არ მოგვცემენ



სად არის გამოსავალი? — ამ კითხვით მივმართე საქართველოს თავისუფალ მცირე მენარმეთა ასოციაციის აღმასრულებელ დირექტორს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, დოქტორ თამაზ გაშაკიძეს.

— ბატონო თამაზ, მცირე მენარმეთა პრობლემების შემხედვარეს ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ნინ კი არ მივღივართ, უკან ვბრუნდებით...

— შექმნილი სიტუაცია უშუალოდ უკავშირდება რამდენიმე წლის წინათ არასწორად ჩატარებული პრივატიზაციის პროცესს, რომელსაც პროფესიონალებმა „პრივატიზაცია“ უწოდეს.

როცა ვარდოსნები ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ, ჩვენმა ასოციაციამ მათ განსახილველად წარუდგინა „მცირე მენარმეთა მხარდაჭერის დეკრეტი“, გონივრულად ჩამოყალიბებული, გამოცდილებით გათვალისწინებული, არსებული რეალიებით არგუმენტირებული და საინტერესო სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით. ზურაბ ნოღაიდელი, რომელიც დღეს ოპოზიციონერობს, მცირე მენარმეობის განვითარების პირველი მცირე იყო მაშინ, როდესაც ამ დარგის კანონზომიერი წარმართვი ქვეყანაში საშუალო ფენა წარმოიშობდა, რომლის არსებობა თავისთავად განიხილებდა უკიდურეს სოციალურ დაპირისპირებას არსებულ ფენებს შორის.

— ბატონო თამაზ, ვინ არის მცირე მენარმეთა პრობლემებზე ოფიციალური პასუხისმგებელი?

— ბატონი კახა ბენდუქიძე ეკონომიკის მინისტრად დაინიშნა თუ არა, ერთი ხელის მოსმით გააუქმა ეკონომიკური განვითარების სამინისტროში არსებული ბიზნესის მხარდაჭერისა და ანალიზის დეპარტამენტი, რასაც თან მიაყოლა ინვესტიციებისა და ნოვაციების დეპარტამენტიც. ამ ნაბიჯების წინდაუხედაობის შედეგად დღეს მცირე მენარმეთა პრობლემებზე ოფიციალური პასუხისმგებელი არავინაა. ამიტომაც გაგიჭირდათ ამ საკითხზე რესპონდენტის მოძებნა. აღნიშნულ სფეროში ერთა-

დერთი ნათელი ნერტილია მცირე სანარმეთა გადავილებული რეგისტრაცია, რომლის მიხედვით ქვეყანაში რეგისტრირებულია 85 ათასი მცირე სანარმო, აქედან საგადასახადოსთან მხოლოდ 35 ათასს აქვს ურთიერთობა. ეს ხომ თავისთავად ადასტურებს, რა დამოკიდებულებაა ამ სფეროსთან. გახსოვთ აუიოტაჟი სალარო-აპარატების შემოტანის შესახებ — იყო გამოსვლები, საპროტესტო აქციები ოპოზიციური პარტიებიც უერთდებოდნენ. დღეს კი, პოლიტიკური ტემპერატურის გამო, მცირე მენარმეთა პრობლემები არ ჩანს. რომ იტყვიან, ყველას თავისი ცხელა. დღეს უარესია, თორემ სალარო-აპარატები აუცილებელი იყო, რადგან ის ერთადერთი დამცველია როგორც მენარმის, ასევე სახელმწიფოსიც. ამას მაშინაც ვამბობდით. დიას, ჩვენთვის მართალი გზის ძიება მთავარი და არა ვინმეს ან რაიმეს განქიქება. სუბიექტურობა საქმის ვითარებაში კარგ სამსახურს ვერ გაგვიწევს.

— რა ადგილი უჭირავს და რა გზით ვითარდება მცირე ბიზნესი მსოფლიო ეკონომიკაში?

— მსოფლიო მასშტაბით ალიარეობდა, რომ მცირე სანარმომ არსებობის 3-დან 5 წლამდე თუ პროგრესულად არ გაზარდა საქონლის ბრუნვა, საშუალო კატეგორიაში არ გადავიდა, ის უქმდება. არსებობს დიდი ეკონომისტების რიგად გვარებისა და ალექსანდრ სტროუპის სახელმძღვანელო ნაშრომი „ეკონომიკის ანბანი“, რომლის მიხედვით, თუ გადასახადი თანხები სანარმოს არსებობის პირველ ხუთწლეულში მისი შემოსავლის ნახევარს აღწევს, წარმოება არარენტაბელურია, ჩრდილოვანი ეკონომიკის სუბიექტი ხდება. უმჯობესია, სანარმო დაიხუროს ან პროფილი შეცვალოს, ან მენარმე სხვა ქვეყანაში წავიდეს სამუშაოდ. საქმე ის არის, რომ ყველა ნორმალურ ქვეყანაში არსებობს ბიზნესინკუბატორი. დამწყებ მენარმეს საინკუბაციო პერიოდში ეხმარებიან ბიზნესის შესწავლით — ტრენინგებით, რჩევებითა და რეკომენდაციებით. ამასთან, აძლევენ უფასო ფართს, რომელიც სახელმწიფოს ბალანსზეა. ეს არის ერთგვარი წინაპირობა, გარანტი და ხელშეწყობა, რომ მცირე მენარმე 1-დან 3 წლამდე წელში გაიმართოს და ფეხზე მყარად დადგეს. ამავე მიზნით, მთელ მსოფლიოში აპრობირებული მეთოდია, მცირე მენარმეებს მიეცეთ დოტაციური დახმარება, ანუ იაფფასიანი კრედიტი, რომელიც გრძელვადიანია და მცირეპროცენტია. ამერიკა მცირე მენარმეებს ყოველწლიურად 4 მილიარდ დოლარს ჩუქნის, ანუ აძლევს სუბვენციის სახით. აგ-

რეთვე მოქმედებაშია საგადასახადო შეღავათები. მცირე, საშუალო და დიდი ბიზნესი ერთნაირად არ იბეგრება, რაც, სამწუხაროდ, ჩვენში არაა დანერგილი. ჩინეთში მცირე მენარმეს რომელიც უცხოეთში მიდის, საქმის დასაწყებად 15000 დოლარს ჩუქნიან. ჩვენთან კი — რა ხდება... თუ 10-15 წლის წინ მენარმეს 1000 დოლარად შეეძლო საქმის დაწყება, დღეს, სულ მცირე, 10000 დოლარია საჭირო, რომლის მაღალ პროცენტს მენარმე ვეღარ უმკლავდება. ამას დაერთო მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გავლენა და ომის შემდგომი მძიმე მდგომარეობა, პრივატიზაციის მეორე ტალღა. ყოველივე ამან კი ნალექა წილობით ნანვალები და ნაკონინები მცირე მენარმეთა ბიზნესსფერო.

— და მინც, სად არის გამოსავალი?..

— არ არსებობს ისეთი მდგომარეობა, საიდანაც გამოსავალი არ მოიძებნება, მაგრამ ამისთვის უნდა არსებობდეს ხელისუფალთა კეთილი ნება და პრობლემისადმი გონივრული, მაღალპროფესიული მიდგომა. ჩვენი ასოციაციის ხედვით, მცირე მენარმეთა კატასტროფული მდგომარეობიდან გამოყვანის სტრატეგია ასეთია: 1. მცირე მენარმეთა მიერ აღებული კრედიტების გადახდის ვადების გადწევა; 2. პირდაპირი ფულადი დახმარება, საგადასახადო ტვირთის შემცირება მოგების გადასახადის განახევრებით; 3. საბაჟო ტარიფების ანევით იმ პროდუქტების იმპორტის ნაწილობრივი შეჩერება გარკვეული პერიოდით, რაც აქ ინარჩუნებს ან შეიძლება ვანარჩუნოთ. მე-3 პუნქტზე შეიძლება ვინმე შემომედავოს — მსოფლიო საგაჭრო ორგანიზაციის წევრები ვართ და ამის გაკეთების უფლება არ გვაქვსო. ვიცი, ბატონებო! მაგრამ ფორსმაჟორი ანტიკრიზისული ზომების მიღება გამართლებულია. ამ საქმეში ჩახედვით იმეც ვიტოვებთ, რომ 6 თვეში მდგომარეობა შეიცვლება. დღევანდელი კრიზისი და მცირე მენარმეთა „ჩავარდნა“ გამოსწორებადი და დროებითია. საჭიროა, ამ დროს გაუძლოდ და სახელმწიფოს ხელმძღვანელებმა არსებული პრობლემები და გონივრული წინდახედვლებები სამართლიანად შეაფასონ, შეაჩერონ წარღვრასავით მოვარდნილი კრიზისი. ღმერთმა ნუ ქნას, მაღალი პოლიტიკური ტემპერატურა და ეკონომიკური კრიზისი ერთმანეთს გადაეჯაჭვოს. პროტესტის ტალღა ვერავითარ ჩარჩოში ვეღარ ჩაეტყვას. ისტორია გვასწავლის, როგორ ინგერევა ქვეყანა, თუ უფლებამოსილი ხალხისა და მძიერი ერის მოთმინებისა და ატანის საზღვრები ირღვევა.

ნატო უნდა გააღრმავოს რუსეთთან თანამშრომლობა

ნატოს გენერალური მდივანი იაპა დე ჰოოპ სხეფერი მიიჩნევს, რომ ნატოს პირველი რიგის ამოცანებია რუსეთთან თანამშრომლობის გაღრმავება და ალიანსის ყურადღების გამახვილება ავღანეთში, — იტყობინებია პოლონეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. გენერალური მდივანი ამჟამად ვარშავაში იმყოფება.

ნატოს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების ხელმძღვანელებმა პარიზში 5 მარტს მიიღეს გადაწყვეტილება, აღადგინონ სრულფორმატიანი თანამშრომლობა რუსეთთან. იგი ცალმხრივად იქნა შეწყვეტილი ნატოელების მიერ მას შემდეგ, რაც 2008 წლის აგვისტოში რუსეთმა სამხედრო ოპერაციით უზასუხა საქართველოს თავდასხმას სამხრეთ ოსეთის დედაქალაქ ცხინვალზე და რუს სამხედრო ძალებზე.

„ნატომ უნდა გააღრმავოს ურთიერთობა რუსეთთან... არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენ ვეძებთ ერთი მიმართულებით — ესა ბრძოლა ტერორიზმთან. ფსონი ძალიან მაღალია და მისი წაგება არ შეიძლება“, — მიაჩნია სხეფერს.

მან ასევე აღნიშნა, რომ რუსეთთან ურთიერთობა „ძალიან მნიშვნელოვანია, რათა შემოვიფარგლოთ მხოლოდ ალიანსის გაფართოების პრობლემით“ და მოსკოვისა და ნატოსათვის სადავო საკითხებით, როგორცაა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა, სიტუაცია კოსოვოს გარშემო და ამერიკის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის განთავსება აღმოსავლეთ ევროპაში.

რია-ნოვოსტი

უსახკაროთა დამხმარებელი პარიაში ლიბერალურ სპირიტს

პარიზის ცენტრში აქტივისტებმა საქველმოქმედო ორგანიზაციის ლიბერალურ სპირიტს დააფინანსა. აქცია მოწყობდა პარიზის ნატიონალური ინსტიტუტი, რომელიც არ შეუძლიათ, გადაიხადონ საცხოვრებელი ბინის საფასური.

პროტესტის მონაწილეებმა თავიანთი აქციის მოწყობის ადგილად გამოაცხადეს რესპუბლიკის მოედანი. მათი თქმით, ფრანგების ნახევარი მილიონამდე ოჯახი ცხოვრობს კრიზისის პირობებში და არ გააჩნია სახსრები, დაფაროს არენდით ალბულის ბინის საფასური. დაახლოებით 220 ათასმა უახლოეს დღეებში უნდა დატოვოს თავისი საცხოვრებელი ადგილი, ვინაიდან ორდერები მათ გამოსახლებაზე უკვე გაცემულია.

საფრანგეთის კანონების თანახმად, ნოემბრიდან მარტის შუა რიცხვებამდე საცხოვრებელი ბინებიდან გამოსახლება ვალების გამო შეუძლებელია. ამრიგად, ზამთრის აღკვეთის პერიოდი გამოსახლებაზე დამთავრდა 15 მარტს. „ჩვენ მოვიტხოვთ მორატორიუმის შემოღებას გამოსახლებაზე, სულ ცოტა, 2009 წლის ბოლომდე“, — განუცხადა ჟურნალისტებს „ემაუსის“ პრეზიდენტმა კრისტოფ დელტომბამ.

გლობალურ ეკონომიკურ კრიზისთან დაკავშირებით ყველაზე მეტად დაზარადა მშენებლობა და უძრავი ქონება. თანაც, ნეგატიურმა მოქმედებებმა მოიცვა არა მხოლოდ ამ კრიზისის სამშობლო — ამერიკის შეერთებული შტატები, არამედ ბევრი სხვა ქვეყანაც. ვინაიდან ეკონომიკური აქტიურობის შემცირებამ გამოიწვია ბევრი კომპანიის დახურვა და უმუშევრობის ზრდა, სულ უფრო მეტი ხალხი აღმოჩნდა საცხოვრებელი ადგილისათვის საარენდო გადასახადის გადახდისა და არსებულ დონეზე მისი შენარჩუნების უნარსმოკლებული.

მკვლელის პრემია შინ და გარეთ

ამერიკა შოკში ჩააგდო ცნობამ, რომ ხუთი ამერიკელი ჯარისკაცი, რომლებმაც სამსახური გაიარეს ერაყში, ეჭვმიტანილი კოლორადოში მომხდარ მკვლელობათა სერიაში. საქმე ეხება ხუთ მკვლელს, რომელთაც ადგილი ჰქონდა შტატის ტერიტორიაზე 14 თვის მანძილზე. ერთ ვეტერანს ბრალდება ემუქრება მკვლელობის მცდელობისთვის. ყველა ეჭვმიტანილი მსახურობს სამხედრო ნაწილში, რომელიც განთავსებულია კოლორადოს „ფორტ კარსონის“ ბაზაზე. ყველა მათგანი იყო ერაყში მივლინებული. აღნიშნავენ, რომ ამჟამად არ არის საბუთი, რომ ეს მკვლევლები ერთმანეთს უკავშირდება. მიუხედავად ამისა, ეჭვმიტანილებთან დაკავშირებით, ნაწილის ხელმძღვანელობას განზრახული აქვს, რიგგარეშე ფსიქიატრიულ გამოკვლევაზე 1200-მდე სამხედრო მოსამსახურე გაგზავნოს, რომლებიც იბრძოდნენ ერაყის ომში.

ზუსტდება, რომ ხელისუფლებამ გაიგო „ფორტ კარსონის“ ჯარისკაცების მიმართ კვლევების მოწყობის შესახებ მას შემდეგ, რაც ერთმა მათგანმა აღიარა 19 წლის გოგონას მკვლელობა, რომელიც მან ინტერნეტში გაიყვანა. 21 წლის სამხედრო მოსამსახურემ აღიარა, რომ გაუპატიურა თავისი ცოლი, შემდეგ კი მას ყელი გამოსჭრა.

გაზეთი „ლოს ანჯელეს ტაიმსი“ აღნიშნავს, რომ თემა იმ დანაშაულებებისა, რომლებიც ჩაიდინეს ომგამოვლილმა ადამიანებმა, ფართოდ განიხილება შეერთებული შტატებში მას შემდეგ, რაც გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ მიმდინარე წლის იანვარში გამოქვეყნდა სტატია. მასში იყო მონაცემები, რის მიხედვითაც მკვლელის ბრალდებები მაუყენეს 121-მდე ამერიკელ ჯარისკაცს, რომლებმაც სამსახური გაიარეს ერაყსა და ავღანეთში.

გულახდილად რომ ითქვას, დიდად არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ გაითვალისწინებთ, რომ ასეთ ჩვევებს ამერიკელი სამხედროები იძენდნენ ერაყში. უცნაური ის იქნებოდა, ამის გამოყენება რომ არ ეცადათ თავიანთ სამშობლოში. შესხენებისათვის მოვიყვანთ ზოგიერთ დამონებებს ამერიკის შეერთებული შტატების არმიის სამხედრო მოსამსახურეთა მოქმედებათა შესახებ ოკუპირებული ქვეყნის ტერიტორიაზე, რომლებიც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოქვეყნდა.

მაგალითად, ამერიკის არმიის შესახებ მოხსენებაში, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „ნიუ იორკერში“, ნათქვამია, რომ მისი ჯარისკაცები ერაყელი პატიმრების მიმართ იქცეოდნენ „აღმაფოთებლად, სადისტიურად და ყოვლად გაუმართლებლად, კანონის დარღვევით“.

სცემდნენ და ძალადობას იყენებდნენ მათ მიმართ. მოხსენების 53 გვერდზე აღწერილია მხეცობა ერაყელი პატიმრების მიმართ „აბუ გრეების“ ციხეში ბაღდადის მახლობლად. მასალები შეგროვდა ერაყში ამერიკის შეერთებული შტატების ჯარების სარდლის დავალებით ჯერ კიდევ თებერვალში. მოხსენებაში ჩამოთვლილია ერაყელების სხვადასხვაგვარი დამცირება და მასხრად აგდება, მათ შორის, „ქიმიური ფარების ფორფორის სითხის შესხმა, პატიმრების ცემა ციხეების ჯოხებითა და სკამებით, მამაკაცების დაშინება გაუპატიურებით; პატიმრის გაუპატიურება ჰალოგენური ფარნით და ა.შ.“ მოხსენებაში აღნიშნულია, რომ სამხილები მოიცავს „მონეტა დაწვრილებით ჩვენებებს და უკიდურესად საგანგებო ფოტომასალებს“.

პენტაგონის წარმომადგენელმა ბრაიან უიტმანმა უარს განაცხადა ცნობის კომენტარზე, თუმცა შენიშნა: „ჩვენ ძალიან სერიოზულად ვეკიდებით ჩვენს მოხსენებებს პატიმრებისადმი დაუნდობელი დამოკიდებულებების შესახებ და გულდასმით ვსწავლობთ ყველა ბრალდებას“.

ამერიკელი და ბრიტანელი სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც ბოროტად ეპყრობოდნენ ტყვე ერაყელებს, სწავლობდნენ დაკითხვების წარმოების შესაბამის ხერხებს. როგორც ბრიტანული გამოცემა „გარდიანი“ იტყობინება, ბრიტანეთის სპეცსამსახურების ერთ-ერთმა გადამდგარმა ოფიცერმა და რამდენიმე სამხედრო მოსამსახურემ ერაყში გაიარეს სპეციალური კურსი, სადაც სწავლობდნენ დაკავებულებსა და სამხედრო ტყვეებზე სხვადასხვა ზემოქმედების სისტემას, რომელიც ცნობი-

ლია, როგორც R21. კურსს უნდა მოემზადებინა ისინი მეთოდებისათვის, რომლებიც შეიძლებოდა გამოეყენებინათ მათ მიმართ ტყვედ ჩაქარდნის შემთხვევაში. ასეთ მეთოდებში შედიოდა ძილის უფლების, ტანსაცმლის, საკვებისა და წყლის ჩამორთმევა, სხვადასხვა ფსიქიკური და ფიზიკური ზემოქმედება, რასაც ტყვე მიჰყავდა შოკის მდგომარეობამდე.

ერთ-ერთი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე ქალი, რომელსაც ბრალი ედება ბოროტმოქმედებებში ერაყელი სამხედრო მოსამსახურეების მიმართ, აცხადებს, რომ იგი მოქმედებდა ზემდგომი სარდლობის პირდაპირი მითითებით. მისი სიტყვებით, არმიელ უფროსებს უნდოდათ, რომ ერაყელი სამხედრო ტყვეები მომავალი დაკითხვების წინ ყოფილიყვნენ მორალურად და ფიზიკურად დათრგუნულები. სამხედრო პოლიციას ევალებოდა, ტყვეთა ყოფა ყოფილიყო აუტანელი. თუ დაკავებული ერაყელი თანამშრომლობდა კოალიციურ ხელისუფლებასთან, მას ნება ეძლეოდა, ჰქონოდა ტანსაცმელი, საკუთარი ლეიბი. აძლევდნენ თბილ საკვებსაც.

ქარიმ რაშიდი ერაყში მრავალრიცხოვანი და ავტორიტეტული ტომის ალ-ჯანაბის შეიხია. სამი თვის წინათ ის გაათავისუფლეს „აბუ გრეების“ ცნობილი ციხიდან. აი, რას გვიამბობს იგი იქ გაბატონებულ ზენიფეულეებთან შესახებ.

შეიხ ქარიმი ამერიკელებმა აგვისტოში დააპატიმრეს. სოფლის თავზე ღამით გაისმა მოახლოებული სამხედრო შევილმფრენის ხმა. შემდეგ მისი სახლის გარშემო გამოჩნდნენ ჯარისკაცები. ისინი არ დაელოდნენ სახლის პატრონების მიერ ჭიშკრის გაღებას, ააფეთქეს იგი და სახლში შეიჭრნენ. სამხედროები ძალის გამოყენებით ყრიდნენ საწოლებიდან ყველას, მათ შორის, სტუმრებსაც მასწინდლის ტომიდან, რომლებსაც შეიხი ხშირად აძლევდა თავშესაფარს თავის სახლში. ტყვეები მიიყვანეს უახლოეს სამხედრო ბაზაზე, თავზე ტომრები ჩამოაკვეს, ხელები ზურგსუკან გაუკრეს და აიძულეს, რამდენიმე საათის განმავლობაში ყრილიყვნენ იატაკზე. რამდენიმე ხნის შემდეგ ჯარისკაცებმა შენობაში შემოიყვანეს ნილბიანი კაცი.

მან შეიხზე მიუთითა. დანარჩენები გაუშვეს. მეორე დილით ამერიკელებმა დატყვევების მიზნის აუხსენლად ქარიმი ბაღდადში სამხედრო-საჰაერო ბაზის ტერიტორიაზე მიიყვანეს. შეიხის სიტყვებით, მან ორი დღე-ღამე გაატარა ქვის ორმოში, რომლის ფართობი მეტრი-მეტრზე იყო. დღეში მას აძლევდნენ პურის ნაჭერს და ერთ ბოთლ წყალს.

როგორც იქნა, დაკითხვისას გაიგო შეიხმა, რომ მას ბრალი ედება მამინ დამალვაში მყოფ სადამ ჰუსეინთან კავშირში, და რომ, უფრო მეტიც, ეს უკანასკნელი იმყოფება მის სახლში. საბოლოოდ, შეიხი გადაიყვანეს „აბუ გრეების“ ციხეში, სადაც ჰყავდათ განსაკუთრებით საშიში დამნაშავეების ბლოკ „ეი“-ში.

შეიხ ქარიმის სიტყვებით, მისი პირადი გამოცდილებისა და სხვა პატიმრებთან ურთიერთობის თანახმად, ამერიკელები მიმართავდნენ ციხეში სულ სხვადასხვა სახის წამებასა და წვალებას, თითოეული ადამიანის დათრგუნვის მიზნით იყენებდნენ ყველაზე დამაშინებელ საშუალებებს. მაგალითად, შეიხის დამონებებით, სამხედროები დაკითხვისას ხშირად ხმარობდნენ ჯოხებს, ავტომატის კონდახებს, რომლებსაც ურტყამდნენ სხეულის ყველაზე მგრძობიარე ადგილებზე. არცთუ იშვიათად პატიმრებს კედელზე არტყემივნებდნენ თავებს. ამერიკელებს ართობდათ იმის ცქერაც, სპეციალურად განვითარებული ძალეები როგორ გლეჯდნენ იატაკზე დაყრილ შიშისაგან გონართმეულ პატიმრებს. შეიხმა გაიხსენა შემთხვევებიც, როცა საჭირო ჩვენების მიღების მიზნით ადგილობრივი ექიმები საბრალო ტყვეებს პირდაპირ დაკითხვის კაბინეტში ძაფით უნარკოზოდ უკერავდნენ სპეციალურად მიყენებულ ჭრილობებს, ანდა ასხამდნენ კანზე რაღაც სითხეს, რომელიც იწვევდა ძლიერ წვას. თავად შეიხმა, რომელსაც ტყვედ ყოფნის რამდენიმე თვის განმავლობაში ჯანმრთელობა შეერყა, ერთხელ რამდენიმე დღე გაატარა სპეციალურ გალიაში, სადაც ადამიანს განძრევის საშუალება არ აქვს.

„აბუ გრეების“ მეორე ყოფილმა პატიმარმა — ერაყის უშიშროების ძალების ექს-ოფი-

მიხეილ გორბაჩოვი ამერიკას

„პერესტროიკის“ დაწყებას უჩივს

საბჭოთა კავშირის პრეზიდენტი მიხეილ გორბაჩოვი ამერიკის შეერთებულ შტატებს საკუთარი „პერესტროიკის“ მოწყობას უჩივს. „საჭიროა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაუყოვნებლივ დაიწყოს თავისი „პერესტროიკა“, — განაცხადა გორბაჩოვმა ლონდონში ვიზიტის დროს.

საბჭოთა კავშირის პირველი და უკანასკნელი პრეზიდენტის თქმით, ამერიკაში მისი სტუმრობის დროს გაკეთებულ განცხადებას „პერესტროიკის“ განხორციელებასთან დაკავშირებით, იქ მყოფი აუდიტორია ათწუთიანი ოვაციით შეხვდა.

რუსეთის საგარეო ურთიერთობების

2,5 წელი უყოფა

რუსეთის ფინანსთა მინისტრის ალექსეი კუდრინის ინფორმაციით, დღეს არსებული საერთაშორისო ეკონომიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე, რუსეთს სარეზერვო ფონდი 2,5 წელი უყოფა.

როგორც კუდრინმა სააგენტო „იტარ-ტასს“ განუცხადა, რუსეთს სარეზერვო ფონდი ეყოფა 2009-2010 წლებში და 2001 წლის პირველ ექვს თვეს. კუდრინს არ დაუკონკრეტებია, თუ რა მოხდება სარეზერვო ფონდის ამოწურვის შემდეგ.



ცერმა, რომელმაც არ გაამხილა ვინაობა, ამ ციხეში „ყველაზე მარტივ და გავრცელებულ“ ნამებად დაასახელა მათრახით ცემა და თითების მტვრევა. უფრო „ძლიერ“ პატიმრებს, მისი სიტყვებით, იყენებდნენ, როგორც „მსხალს“ — ჭერზე ჩამოკიდებულელებზე ხვეწდნენ ილეთებს. ამას გარდა, ხშირად ჭრილობებზე ასხამდნენ მარილიან ხსნარს. „აბუ გრეების“ ტუსალების მიმართ ხშირი იყო სექსუალური ძალადობაც.

ფიზიკური ზემოქმედების გარდა პატიმრებს მუდმივად ამცირებდნენ. მაგალითად, აიძულებდნენ, მთელი ღამის განმავლობაში არ დაეძინა, რამდენჯერმე დაესუფთავებინა დერეფნები და ტუალეტები, შემდეგ კი გამთენიისას გამოიშვლებულეს აწვევდნენ უწმინდურობით დასვრილ იატაკზე. „არ შემოიძლია, ნორმალურად გავიხსენო ყველაფერი, რასაც ისინი გვიკეთებდნენ მთელი ამ ხნის განმავლობაში. თავიანთი მოქმედებით ოკუპანტები თავადვე აფართოებენ მუდმივად ერაყის წინააღმდეგობის მოძრაობას. არავინ, ვინც ამერიკელთა ციხეები იგემა, არასოდეს აპატიებს მათ ყველა დამცირებასა და შებღალვას. ისინი, ისევე, როგორც მე, შურის იძიებენ ყოველი დღისა და ღამისათვის მათზე, ვინც ჯერ კიდევ დარჩება ერაყის მიწაზე, თუნდაც ის იყოს ერთი ამერიკელი ან ბრიტანელი ჯარისკაცი“, — აღნიშნა ერთმა ყოფილმა პატიმარმა, რომელმაც „აბუ გრეებში“ რვა თვე გაატარა.

დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს აგენტები ცდილობდნენ, დაემაღლათ ერაყელი პატიმრის მკვლელობა, რომელიც ნამებთ დაიღუპა ციხეში. ის დააპატიმრეს 2003 წლის ნოემბერში ბაღდადში მომხდარ ტერორისტულ აქტში მონაწილეობის ბრალდებით. გარდაიცვალა ჭრილობებისა და დაზარალების შედეგად საათნახვერთან დაკავშირების შემდეგ. ერაყელი არ ყოფილა ოფიციალურად აღრიცხული ციხეში.

იმ დამცირებების ამსახველმა ფოტოებმა, რასაც ერაყელი პატიმრები განიცდიდნენ ამერიკელი ჯარისკაცებისაგან, შეძრა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესი. „მე ვიხილე მკაცრი, სადისტური ნამებანი“, — განაცხადა წარმომადგენელთა პალატის წევრმა, რესპუბლიკელმა ჯეინ ჰერმანმა კაპიტოლიუმში, სპეციალურ საიდუმლო ოთახში ათას ხუთასზე მეტი გასაიდუმლოებული სურათის სამსაათიანი დათვალიერების შემდეგ.

ფოტოებზე დაფუძნებულია ძალადობისა და დამცირების მკაცრი სცენები: გაუპატიურებები, მათ შორის, ჰომოსექსუალური; ძალელების მისე-

ვა, ერაყელი ტყვეების ძალადობრივი მასტურბაცია და თვითგვემა. ერთ-ერთი ერაყელი ტყვე ქალი აიძულეს, საჯაროდ გაემიშვებინა მკერდი. „ფოტოებზე მოხვდა ოკუპანტების დანაშაულთა მხოლოდ მათასადი ნაწილი“.

ნამების სპეციალისტებს არც ეუცხოვებათ დანერვილებითი საუბრები იმის შესახებ, რაც ხდება ერაყის ამერიკულ ციხეებში, პრესაში რომ ხშირად გამოჩნდება ხოლმე. რაც მეტი ასეთი ფაქტი გამოიშვლება, მით უფრო ნათელია, რომ ეს მხოლოდ სადისტებისა და გარყვნილების პატარა ჯგუფის საქმე როდია — ესაა სამუშაო, რომელსაც აწარმოებენ ნამებთა თანამედროვე დახვეწილ მეთოდებთან სრულ შესატყვისობაში.

შერმან კეროლი, ლონდონის ნამების მსხვერპლთა დახმარების სამედიცინო ფონდის თანამშრომელი, რომელიც უკანასკნელი ოცდაათი წლის განმავლობაში გაეცნო ათეულობით ათას შემთხვევას, აღნიშნავს: „ეს ხალხი უკვე აღარ არის ქეციანი ცხვრები. ეს სულ უფრო და უფრო გამოიყურება, როგორც სისტემატური პროცესი. აშკარად ცდილობდნენ, ნამების მეთოდები ფსიქოლოგების დახმარებით მოერგოთ მუსლიმანი მოსახლეობის მენტალიტეტისათვის“, — აღნიშნა მან, როდესაც კომენტარებს უკეთებდა პატიმართა მასობრივ გაშიშვლებას, მათთან ორალური სექსის იმიტაციას, ძალადობრივ მასტურბაციასა და მთლად შიშველი ხალხისაგან პირამიდების აგებას, რაც, როგორც ეტყობა, მიზნად ისახავდა მუსლიმანებზე ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას.

შეგახსენებთ, რომ ჯერ კიდევ 1997 წელს საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს ორი სახელმძღვანელო მითითება დაკითხვების წარმოებასთან დაკავშირებით. მათში მოცემულია ასეთი კონცეფცია: დაკავებულის დათრგუნული მდგომარეობა უნდა გაგრძელდეს იმ ფაქტორთა განზრახული რღვევის დახმარებით, რაზეც დამოკიდებულია დაპატიმრებულის თვითგამორკვევის გრძნობა: ადგილმდებარეობის განსაზღვრა, თვისებები, გარეგნული იერი, სხეებთან ურთიერთობა. ერთ-ერთ სახელმძღვანელოში ნათქვამია: „პატიმრობაში ყოფნა ისე უნდა დაიგეგმოს, რომ დაირღვეს პატიმრის აზრობრივი კავშირი ყველაფერთან, რაც მისთვისაა ცნობილი და რაც უნერგავს მას რწმენის ფაქტორებს“.

სახელმძღვანელოს თანახმად, ფსიქოლოგიური დათრგუნვა უფრო ეფექტიანია, ვიდრე ფიზიკური ტკივილის მიყე-

ნება: „ძალადობრივი ზემოქმედების საფრთხე, ჩვეულებრივად, უფრო ეფექტიანად ასუსტებს ან სრულად ანგრევს წინააღმდეგობას, ვიდრე თავად ძალადობრივი ზემოქმედება“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დაშინებით მეტი ტკივილის მიყენება შეიძლება, ვიდრე თვით ტკივილით. ფიზიკური ტკივილისაგან დაკითხულმა შეიძლება აღიაროს ის, რაც არასოდეს გაუკეთებია, მაგრამ მხოლოდ ფსიქოლოგიური ტკივილი ამსხვრევს პატიმრის „წინააღმდეგობის შინაგან მოტივაციას“.

როგორც ცნობილია, პრეზიდენტმა ბუშმა უარყო ბრალდება, რომ შეერთებულმა შტატებმა გამოიყენეს ნამების მეთოდები ავღანეთში, გუანტანამოსა და ერაყში, მაგრამ თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა დონალდ რამსფელდმა აღიარა ის ფაქტი, რომ პატიმრებს არ აღეგნენ ძილის საშუალებას, ცვლიდნენ მათ კვებას და მიმართავდნენ ზემოქმედების სხვადასხვა სახეობას.

ამერიკის სამართალდამცავი ორგანიზაციის „ჰუმან რაით ვოტჩის“ ცნობით, პენტაგონის იურისტებმა შეიმუშავეს 72 პუნქტისგან შემდგარი დასაშვები ზემოქმედების „მატრიცა“, რომელიც შეიცავს პატიმართა მთლიან გაშიშვლებას, მკაცრ სხიურ და ხმაურით ზემოქმედებას, თავზე ყრუ სარკველის ჩამოცმას, ტემპერატურულ ცვლილებას (ცელსიუსით +43-დან -12 გრადუსამდე) და სხეულის დაბმას მოუხერხებელ მდგომარეობაში.

ზემოქმედების უფრო მკაცრი ზომების გამოყენება შეთანხმებული უნდა იყოს უმაღლეს სარდლობასთან. იურისტების რეკომენდაციები და „ზემოქმედების დონეთა გრადაციის“ მატრიცა გასაიდუმლოებულია. იყო ნამებთა გამართლების მცდელობაც იმით, რომ პატიმრები ფორმალურად იმყოფებოდნენ სხვადასხვა ქვეყნების დაცვის ქვეშ.

ამას გარდა, ერაყში შერმან შეიმუშავეს „ძალისმიერი ზემოქმედების მეთოდის“ ორმოცდაათზე მეტი სისტემა, როდესაც სამხედრო ციხეების სარდლობა იკისრა გენერალ-მაიორმა ჯერონი მილერმა, რომელიც გუანტანამოდან ჩამოვიდა. რეჟიმის გამკაცრების მომხრეები საუბრობენ იმის შესახებ, რომ ძალისმიერი ზემოქმედება არ მიღის ნამებამდე, მაგრამ ადამიანის უფლებათა დამცველები უარყოფენ ასეთი გამოხატვების შესახებ კონვენციის ნათქვამია, რომ ნამებად ითვლება ძლიერი ფიზიკური და გონებრივი ტკივილის მიყენება.

ნამებას აკრიტიკებენ იმის გამოც, რომ მეთოდები, უბრალოდ, არ მოქმედებს. კეროლი ამბობს, რომ ნამების შედეგად იწყება ჰალუცინაცია და ნამებით გამოწვეული აღიარება შეიძლება აღმოჩნდეს მცდარი. ასევე, არავინაა დარწმუნებული იმაში, რომ დაკითხვის მწარმოებლებს შეუძლიათ ზღვარი გაავლონ ზემოქმედების დონეთა გრადაციებს შორის. თავის დროზე ისრაელში კანონიერად ითვლებოდა „ფიზიკური ზემოქმედების საშუალო ხარისხის“ გამოყენება. შედეგად კი, იმ მომენტისათვის, როდესაც 1999 წელს ისრაელის უმაღლესმა სასამართლომ აკრძალა სხეულის რყევა, ხუფების დახურ-

ვა, „ბაყაყის“ ნამება (ადამიანის სხეულის შეჩერება მდგომარეობაში, რომელიც ბაყაყის პოზას გვაგონებს), ნამება ერთსა და იმავე მდგომარეობაში ჯდომით და ძილის წართმევა, მთლიანად ნამება გაიარა პალესტინელ პატიმართა 85%-მა — ეს კი ათასობით ადამიანი იყო.

მიუხედავად ამისა, შერმან ამ პრაქტიკას, როგორც ჩანს, სულ უფრო ფართოდ იყენებდნენ. უფრო მეტიც, ხდება „გამოცდილების გაზიარება“. ამ დროს ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ნამება მაინც იძლევა შედეგს.

ყოველივე ზემოაღნიშნული მხოლოდ მცირე ნაწილია იმისა, თუ რა ხდება ყოველდღიურად ამერიკელების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე. რუსეთის არაბეთის დამოუკიდებელი კულტურული ცენტრის დირექტორმა დოქტორ მეჟიდ ად-დეირავიმ განაცხადა, რომ თავის დროზე ამერიკელებმა ერაყში შეჭრის მთავარ მიზნად ფარი-სეველურად გამოაცხადეს ბრძოლა სადამ ჰუსეინის დიქტატურის წინააღმდეგ. „მაგრამ ამ ომმა ერაყში საბოლოო ჯამში საშინელ ჰუმანიტარულ კატასტროფამდე მიგვიყვანა. ჯერ ერთი, მხოლოდ ოფიციალური მონაცემებით, მისი შედეგი იყო შვიდი მილიონი ლტოლვილი, რომლებმაც დატოვეს გააჩნაგებული ქვეყანა და აშუამდ იმყოფებოდნენ ირანში, იორდანიაში, სირიაში, თურქეთსა და ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში. ერაყი დატოვეს ინტელიგენციის წარმომადგენლებმა — მეცნიერებმა, ექიმებმა, ინჟინრებმა და ბევრმა ბიზნესმენმაც კი. მეორე, დაიხრცა ერაყის ასეულობით ათასი მცხოვრები, გაცილებით მეტი კი დაიჭრა. მესამე, ამერიკელებმა თითქმის მთლიანად გაანადგურეს ქვეყნის მთლიანი ინფრასტრუქტურა. და თუ ერაყის ბლოკადის დროს ერაყელ ბავშვთა მნიშვნელოვანი ნაწილი მაინც დადიოდა სკოლებში, ახლა ბავშვების 85% საერთოდ წერა-კითხვის უცოდინარია. ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ ერაყში აშუამდ მიმდინარეობს არა მხოლოდ ეკონომიკის, არამედ მეცნიერების, კულტურის, განათლების განადგურებაც. ყველასათვის ცნობილია, აგრეთვე, ქვეყნის კულტურულ ფაქტობრივად განადგურების ფაქტებიც.“

ომი ერაყში საერთაშორისო დანაშაულია. მისმა იდეოლოგიებმა პასუხი უნდა აგონ — მორალურიც, ფიზიკურიც, სამართლებრივიც. ამერიკელებმა, ფაქტობრივად, გაანადგურეს მთელი სახელმწიფო, საერთაშორისო სამართლის ობიექტი. შედეგად კი ხალხმა ვერაფერი მიიღო. პირიქით, მას წაართვეს ის, რაც ჰქონდა მრავალი საუკუნის განმავლობაში. ასე რომ, საერთაშორისო სასამართლომ უნდა გაასამართლოს დამნაშავეები, რომლებმაც გააჩაღეს ეს არაადამიანური ომი“, — ასევე ნი დოქტორი ნაზიმი. ჯერჯერობით კი სასამართლოში, თანაც, არა საერთაშორისო სასამართლოში, არამედ ეროვნულში, ხვდებიან არა ორგანიზატორები, არამედ შემსრულებლები, რომლებმაც თავიანთი ახალი ხელობა — მკვლელობა ომიდან საკუთარ სახლებში მიიტანეს.

პოლიტიკური თავისუფლების ცენტრი

პოლოკოსტი ფრანგულად



სარკოზის ადმინისტრაციის პრო-ისრაელურ პოლიტიკაზე არაერთი ანალიტიკოსი ლაპარაკობდა და, სავარაუდოდ, ამგვარ მსჯელობას საფუძველიც ჰქონდა. თუმცა დღეს უკვე თვალსაჩინოა, რომ სარკოზის სიყვარული ებრაული სახელმწიფოსადმი ზიანს აყენებს საფრანგეთის ეროვნულ ინტერესებს და სახელმწიფო ლაღატის სუნი ასდის.

ამერიკული გამოცემა „ვაშინგტონ პოსტი“ იუნყება, რომ საფრანგეთის ადმინისტრაციულმა სასამართლომ ვიშის რეჟიმს პასუხისმგებლობა დააკისრა მეორე მსოფლიო ომის დროს ათასობით ებრაელის დეპორტაციაზე გერმანულ საკონცენტრაციო ბანაკებში. ექსპერტთა აზრით, ასეთი გადაწყვეტილება ქვეყნის უმაღლესი პირების მიერ იყო სანქცირებული. გამოტანილი ვერდიქტი ხომ მეორე მსოფლიო ომის დროს პოლოკოსტი საფრანგეთის მთავრობის მონაწილეობის აღიარებად იქცა. სასამართლოს მონაცემებით, ვიშის რეჟიმის მმართველობისას, 1942-დან 1944 წლამდე, საკონცენტრაციო ბანაკებში 76 ათასი ებრაელი იქნა დეპორტირებული.

ვიშის რეჟიმი ოფიციალურად ნეიტრალიტეტს უჭერდა მხარს, თუმცა, ფაქტობრივად, ჰიტლერების მარიონეტი იყო. ვიშისტების პოლიციური ფორმირებები წინააღმდეგობის მოძრაობას ებრძოდნენ, რეჟიმის ხელდასმით ფრანგებს ვერმანტსა და ეს-ესის ნაწილებში გადაიბრუნდნენ. ვიშისტები ჩრდილოეთ აფრიკაში მოკავშირეების ძალეებთან საომარ შეტაკებებში მონაწილეობდნენ.

მოკლედ, საკვებით ნათელია, რომ ვიშის რეჟიმი კოლაბორაციონისტული სტრუქტურა და ჰიტლერული ოკუპაციური ხელისუფლების საფარველი იყო. მას ვერასვლით უწოდებდნენ საფრანგეთის ნაციონალურ ხელისუფლებას, რომელიც ფრანგი ხალხის ინტერესებს წარმოადგენდა. მითუფრო, ვერ მივიჩნევთ აშუამდინდელ ხელისუფლებას მის მემკვიდრედ.

1995 წელს მამინდელმა პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა პირველად დაადანაშაულა საჯაროდ საფრანგეთი ათასობით ებრაელის დევნასა და დეპორტაციაში, რაც პროისრაელური ლობის დიდ გამარჯვებად შეფასდა. საქმე ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანა საფრანგეთის ამჟამინდელმა მეთაურმა. ახლა საფრანგეთი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის წლებში თავად შეიქნა ჰიტლერიზმის მსხვერპლი, თელავივს „პოლოკოსტის“ რეპარაციებს გადაუხდის. რამ უბიძგა სარკოზის ამგვარი გამცემლობისკენ — ებრაულმა წარმომომბამ, რომელზეც გაზეთები წერენ, თუ რაიმე სტიმულმა, რომელიც ებრაელებმა მისცეს?

აღსანიშნავია კიდევ ერთი ასპექტი. საფრანგეთში შეიქმნა საშიში პრეკედენტი. ახლა „პოლოკოსტი“ პრეტენზიების ობიექტებად შეიძლება იქცეს ის ქვეყნები, ვისი ტერიტორიებიც ან მათი ნაწილი ნაცისტების მიერ იყო ოკუპირებული.

აპირიკის საბარკო სამხარო პოლიტიკა ალექსანდრ ვერპოუს ჩააბარეს

საბჭოთა კავშირის და რუსეთში წლების განმავლობაში მომუშავე ამერიკელი საკადრო დიპლომატი ალექსანდრ ვერპოუს აშშ-ის საგარეო სამხედრო პოლიტიკას განსაზღვრავს.




პენტაგონში საკადრო ცვლილებები გრძელდება. აშშ-ის თავდაცვის მინისტრის მოადგილე საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებში ალექსანდრ ვერპოუს დანიშნა, რომელიც მრავალი წელი საბჭოთა კავშირსა და რუსეთში დოპლომატიის რანგში მუშაობდა, იყო ელჩი რუსეთში 2001-2005 წლებში.

როგორც „რია ნოვოსტის“ მიმოხილვაში აღნიშნული, სენატის მიერ ვერპოუს კანდიდატურის დამტკიცების შემდეგ იგი პასუხისმგებელი იქნება ქვეყნის სამხედრო პოლიტიკაზე, ასევე პენტაგონის თანამშრომლობაზე ნატოს ფარგლებში აშშ-ის მოკავშირეებსა და სხვა სახელმწიფოებთან.

ვერპოუს რუსეთის საკითხებში ითვლება ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ და მცოდნე სპეციალისტად ამერიკულ ადმინისტრაციაში. იგი თავისუფლად ფლობს რუსულს.

სააგენტოს სტატიაში აღნიშნულია, რომ ვერპოუს დანიშნვა მიუთითებს, თუ რამდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს აშშ-ის ახალი ადმინისტრაცია რუსეთის მიმართულს.

„ქიმიურ ალის“ 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიხსაჯა




ერაყის ყოფილი დიქტატორის სადამ ჰუსეინის უახლოეს თანამოაზრეს ტარიკ აზიზს სასამართლომ 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუხაჯა. ასეთივე ვადის სასჯელი შეეფარდა კიდევ ერთ თანამოაზრეს ჰასან ალ-მაჯიდს („ქიმიური ალი“). ორივე დამნაშავეს ბრალი ედება კაცობრიობის წინაშე მთელი რიგი დანაშაულების ჩადენაში. როგორც სასამართლომ დაადასტურა, ისინი მონაწილეობდნენ 42 ბაღდადელი ვაჭრის მკვლელობაში. ისინი ერაყის მაშინდელმა მთავრობამ პროდუქტებზე ფასების მომატებაში დაადასაშაულა.

ცნობილია, რომ „ქიმიურ ალის“, ადრე, 90-იან წლებში ერაყის შიიტური მოსახლეობის განყვეტაში თანამონაწილეობის გამო სამჯერ ჰქონდა მისჯილი სიკვდილი, თუმცა მას ეს სასჯელი მალევე მოუხსნეს. ზედმეტი სახელი „ქიმიური ალი“ კი ჰასან ალ-მაჯიდს მას შემდეგ შეარქვეს, რაც მისი ბრძანებით აჯანყებული ერაყელების წინააღმდეგ ქიმიური იარაღი გამოიყენეს.

ნაზარბაევი მსოფლიო ვალუტის შექმნის ინიციატივით გაოცდის

„ყაზახ ინფოს“ ინფორმაციით, ყაზახეთის პრეზიდენტი ნურსულთან ნაზარბაევი მსოფლიო ვალუტის შექმნის იდეით გამოდის. მისი ინიციატივით უნდა შეიქმნას ზენაციონალური სავალუტო-საანგარიშო ერთეული, რომელიც მსოფლიო ეკონომიკის კრიზისის დაძლევის პირველი ეტაპი იქნება. ამ სისტემას ნაზარბაევი ტრანზიტალიზმს უწოდებს.



იხმარს, რომელიც არადეფექტურ მსოფლიო ვალუტაზე იქნება დაფუძნებული“.

მოგვიანებით, ყაზახეთის პრეზიდენტის მტკიცებით, მსოფლიო „აკმეტალიზმს“ მიაღწევს – სტადიას, როდესაც კაცობრიობა „მსოფლიოს თვითზრდად სიმდიდრეს მო-

მსოფლიოში დღეს არსებულ სიტუაციას ნაზარბაევი „დეფექტალიზმს“ უწოდებს (დე ფაქტო მსოფლიო ვალუტიდან, ანუ დოლარიდან გამომდინარე).

მანამდე კი, ნაზარბაევის აზრით, „ევრაზიისისთვის“, რომელშიც ყაზახეთი, რუსეთი, ბელორუსია, ყირგიზეთი და ტაჯიკეთი არიან განეგრებულნი, ერთიანი ვალუტა უნდა შეიქმნას, რომელსაც „ევრაზია“ ან „ევრაზი“ ეწოდება.

ყაზახეთის პრეზიდენტის იდეას მსოფლიო ვალუტის შექმნის შესახებ მხარი დაუჭირა ევროს „მამამ“, ეკონომიკის

დარგში ნობელის პრემიის ლაურეატმა რობერტ მანდელმა. აღსანიშნავია, რომ მანდელი ყოველთვის ამტკიცებდა, რომ ერთიანი ვალუტა მხოლოდ იმ ქვეყნებს გამოადგებოდათ, რომელთაც დაახლოებით ერთნაირი ეკონომიკური მაჩვენებლები აქვთ.

„ფრანს პრესის“ ცნობით, 2 აპრილს ლონდონში დაგეგმილ „დიდი ოცეულის“ სამიტზე ნაზარბაევი და მანდელი გამოვლენ ინიციატივით სამუშაო ჯგუფების დაკომპლექტების თაობაზე, რომლებიც ერთიანი მსოფლიო ვალუტის შექმნაზე იმუშავებენ.

პეტრე დიდი, სააკაშვილი და ფელგენბაუერი

რომელ ისტორიულ მოღვაწესთან ასოცირდება მიხეილ სააკაშვილი? ზოგიერთის აზრით, ჰალსტუხის დიეტის ენთუზიასტი იმ ცნობილ პერსონას მოგვაგონებს, ნიტილი არმიის ყოველი იერიშის შეტყობისას ხალიჩებს რომ ცოხნიდა. თუმცა, 1945 წლის გაზაფხულზე აღსრულებულ გერმანულ შეპყრობილთან შედარება ცოტა გადაჭარბებულია, ბოროტმოქმედებისა და სისხლის ღვრის მასშტაბებში სხვაობის გამო. უბრალოდ, ჰალსტუხია ხალიჩის ფონზე... იუმორისტული ვიდეოკლიპის „ნაშა ამერიკაშას“ შექმნელებმა სააკაშვილი შუააზიელ გასტარბაიტერად წარმოაჩინეს. ეს შედარება ამ უკანასკნელისთვის შეურაცხყოფელიც კია.

საქართველოს თავდაცვის ექს-მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი, ვისთან ერთადაც სააკაშვილი ოდესღაც სამხრეთ ოსეთის დაშოშინებას აპირებდა, ახლა თავის ექს-მთავარსარდალს პოლიტიკური მკვლევარობის ორგანიზებაში ადანაშაულებს. ისიც არ რჩება ვალში და დაწვრილებით განმარტავს, როგორი საზიზღარი პიროვნება ხელმძღვანელობდა ქართულ არმიას. საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი პოსტიდან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გადადგა. არაოფიციალური ინფორმაციით, ჯანმრთელობის შერყევის მიზეზი უშუალოდ პრეზიდენტისგან მიღებული ალიყულები გახლდათ. ამასთანავე ნოღაიდელმა პრეზიდენტის ამასწინანდელი ტელეხილის კომენტარებისას განაცხადა, რომ სააკაშვილის არც ერთი სიტყვის არ სჯერა და მთელი მისი გამოხსენა „სიცრუის კასკადი“ მონათლა.



ხედრო რეფორმის აუცილებლობაზე, შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციაზე, არმიის „ინოვაციაზე“ საქართველოში ნულიდან შექმნეს ახალი სახის შეიარაღებული ძალები. სააკაშვილი „როგორც თავის დროზე პეტრე დიდი,“ — განაყველა ლიბერალს ძალუქს ამის დაწერა. თვითონ პეტრე პირველი ასეთი სამარცხვინო შედარების ავტორს, ალბათ, კვერთხით აუჭრებდა ზურგს.

ყველაზე სახალისო მსგავსება მაინც ყველაზე მხიარულმა რუსმა ლიბერალმა პაველ ფელგენგაუერმა მოიფიქრა, როცა სააკაშვილი... პეტრე დიდს შეადარა! ფელგენგაუერის ხიბლი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მკითხველს მონყენის საშუალებას არ აძლევს, თავად გაუცინარ ხელმწიფის ასულსაც კი გააცინებს. არაფრად უღირს ქართული არმიისთვის ხოტბის აღვლენა აგვისტოში მისი განუმეორებელი „მოკურცხვლის“ წინააღმდეგ ან 1905 წელს რუსეთ-იაპონიის ომის დაწყება.

წიგნში „საქართველოსთან ომის პირველი ნაწილი“ (ფურნალი „კონტინენტი“) ფელგენგაუერმა შავით თეთრზე დანერგა: „სინამდვილეში სააკაშვილი ძლიერი, ჭკვიანი, მიზანსწრაფული და ძალიან ენერგიული ეროვნული ლიდერია. მართალია, მოთმინება ღალატობს, ლამობს საქართველოსა და ქართველების სწრაფად გადაკეთებას, რადგან პეტრე პირველივით დარწმუნებულია, რომ ყველაზე უკეთ იცის, რასჭირდება მის ხალხსა და ქვეყანას. სააკაშვილის გუნდი უმეტესწილად ახალგაზრდა, დასავლეთში განათლებამიღებული, ენერგიული და საქმიანი ადამიანებისგან შედგება. მათ 4 წელიწადში შეძლეს საქართველოს გადაკეთება. სააკაშვილი კორუფციას სხვების დასახავად კი არ ებრძოდა, როგორც ამას რუსეთში ლაქლაქით აკეთებენ, არამედ ყველას გასაკვირად, პრაქტიკულად მოსპო იგი! სანამ ჩვენთან ნება-ნება მუსაიფობდნენ სამ-

პარლამენტის ყოფილმა სპიკერმა ნინო ბურჯანაძემ განაცხადა: „სანამ მისი გულწრფელობისა მჯეროდ, მხარში ვიდექი, მაგრამ მას ვამიღებ, რაც ეს რწმენა შემიძრება, იმ ვარ, სადაც ახლა ვარ.“ ახლა კი მიმნდობი ნინო ოპოზიციაშია და პირნიმნად დავინყებია სააკაშვილთან ერთობლივი პოლიტიკური მოღვაწეობის წლები. მართალია, რწმენა დაკარგა, მაგრამ კორუფციის პრაქტიკულად მოსპობის წლებში ერთობლივად დაგროვილ ქონებაზე კრინტსაც არ ძრავს.

„საკაშვილის გუნდი“ — არაჩვეულებრივი ნათქვამია. მეფის გარემოცვა მისი ანარეკლია. გარემოცვა კი დანერვილებით მოჰყვა, რას წარმოადგენს სააკაშვილი. რაც შეეხება 4 წელიწადში გადაკეთებულ საქართველოს, „მოუთმენლად“ გადაკეთებული ქარველები რატომღაც კისრისტეხით გარბიან არაკორუმპირებული სამშობლოდან... საქმეს პეტრე დიდთან მსგავსებაც არ შეეკის.

იუმრენოს გაგა ჩავარდა

უკრაინის პრეზიდენტის ვიქტორ იუმრენოს ვარაუდი იმასთან დაკავშირებით, რომ ქვეყნის თანამშრომლობა საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეიძლება დაემყაროს საერთაშორისო კონსენსუსს, როგორც ეტყობა, ვერ გამართლდა. უკრაინის უდიდესი ოპოზიციური ძალის — რეგიონების პარტიის ლიდერმა ვიქტორ იანუკოვიჩმა აღნიშნა, რომ ხელს არ მოაწერს საერთაშორისო სავალუტო ფონდში გასაგზავნ წერილს, ვინაიდან არასოდეს დათანხმდება, რომ უცხოური ფულის გამო დაფუძვთ უკრაინის მოქალაქეთა ცხოვრების მკვეთრი გაუარესება.

იანუკოვიჩი ამტკიცებს, რომ ფონდისადმი გასაგზავნ წერილში უკრაინის ხელისუფლება თანახმაა, გაზარდოს საპენსიო ასაკი მუშაკებისთვის, ბუნებრივი აირის ტარიფი მოსახლეობისთვის, გააუქმოს მცირე და საშუალო ბიზნესის დაბეგვრის გამარტივებული სისტემა, რის წინააღმდეგაც გამოდის რეგიონების პარტია. „ხელისუფლება მიზნად ისახავს, მიიღოს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მორიგი კრედიტი, რისთვისაც მზადაა, ხელი მოაწეროს უკრაინის მოქალაქეთა ცხოვრების გაუარესების გარანტიებს. კერძოდ, ხელისუფლება თანახმაა იმაზე, რომ ყოველწლიურად ექვსი თვით გაზარდოს უკრაინელთა საპენსიო ასაკი. ეს ნიშნავს, რომ უკრაინაში სიცოცხლის იმ საშუალო ხანგრძლივობის დროს, რომელიც არსებობს, ბევრი ჩვენი თანამემამულე საერთოდ ვერ ეღირსება პენსიას“, — აღნიშნავს იგი.

„ოპოზიციას ასევე არ შეუძლია, მხარი დაუჭიროს ხელისუფლების განზრახვას, გაზარდოს მსოფლიოს დონეზე გაზის ფასი მოსახლეობისათვის. სწორედ ასეთი გარანტიის მიცემას აპირებს ხელისუფლება წერილში ფონდისადმი“, — ამტკიცებს იანუკოვიჩი. „ოპოზიცია მოითხოვს უკრაინის ბიუჯეტის დაუყოვნებლივ გადასინჯვას და მასში სოციალური დაცვის შენარჩუნებას თითოეული ადამიანისათვის, ვინც გასაჭირშია კრიზისის გამო“, — ნათქვამია იანუკოვიჩის განცხადებაში.

მედიკალიზაციის საფუძვლიანი ობიექტი „საიდუმლო“ ნეკროლის შესახებ

მსოფლიოს საინფორმაციო სააგენტოები იტყობინებოდნენ ამერიკის პრეზიდენტის ბარაკ ობამას „საიდუმლო“ ნეკროლის შესახებ რუსი კოლეგის დიმიტრი მედვედევისადმი. როგორც აღმოჩნდა, არავითარი სენსაციური წინადადებები მასში არ ყოფილა, მეთვალყურეებმა კი სხაური დოკუმენტის შესახებ შეაფასეს, როგორც საშუალება, მიიპყრონ მეტი ყურადღება რუსეთ-ამერიკის პირველ ოფიციალურ კონტაქტებთან დაკავშირებით.



როგორც „ნიუ-იორკ ტაიმსი“ იტყობინება, ეს ნეკროლი მედვედევს ამერიკის ადმინისტრაციის მაღალი რანგის წარმომადგენელმა გადასცა. „მასში საუბარი იყო იმის შესახებ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები აღარ გააგრძელებს მუშაობას გადაბრუნებული რაკეტებზე, რომელთა წინააღმდეგაც გადაჭრით გამოდიოდა რუსეთი იმ დროიდან, რაც პროექტი წარმოადგინა ბუშის ადმინისტრაციამ იმ პირობით, რომ ირანი შეწყვეტდა ყველა ძალისხმევას ბირთვული ქობინებისა და ბალისტიკური რაკეტების დამუშავებისათვის“, — წერს გაზეთი.

რასაც ჩვენ ვიღებთ ვერჯერობით ჩვენი ამერიკელი პარტნიორებისაგან, დასტურია, სულ ცოტა, ერთი რამისა: ჩვენი ამერიკელი პარტნიორები მზად არიან, განიხილონ სერიოზული პრობლემები ჩვენთან ერთად. ეს უკვე კარგია! რადგან ვერ კიდევ რამდენიმე თვის წინათ ჩვენ სხვა პასუხებს ვიღებდით“.

ამერიკის ადმინისტრაციის წარმომადგენლის სიტყვებით, რუსეთს პირდაპირ არ სთავაზობდნენ ამგვარ „გაცვლას“. უფრო მეტიც, საქმე შეეხება „სტიმულს, რომ რუსეთმა ჩამოაყალიბოს აშშ-სთან ერთად ერთიანი ფრონტი ირანის წინააღმდეგ“.

ეს დადასტურდა კიდევ ბრიუსელის მინისტრიალზეც. ამერიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოქვეყნებულ ცნობას გამოეხმაურა ბარაკ ობამაც. როგორც „რია-ნოვოსტი“ იტყობინება, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრთან გორდონ ბრაუნთან ერთობლივ მინი-პრესკონფერენციაზე მან აღნიშნა, რომ გაზეთშია „ზუსტად არ გადმოსცა“ მისი ნეკროლის შინაარსი, რომ მასში არავითარი წინადადება „მომსახურებათა გაცვლის შესახებ“ არ ყოფილა. „ჩვენ გავაზრავთ საკმაოდ გრძელი წერილი, რომელიც შეიცავდა საკითხთა ფართო წრეს, დაწყებული ბირთვული იარაღის გავრცელებიდან იქამდე, თუ როგორ უნდა გვექონდეს საქმე უშიშროების საკითხებთან დაკავშირებით ავღანეთის საზღვართან და ტერორისტებთან ბრძოლის საკითხებში“.

უნდა აღინიშნოს, რომ ობამას ნეკროლის შესახებ ინფორმაციის გამორჩენის შემდეგ ორივე პრეზიდენტმა უარყო პრესის მტკიცება ვაშინგტონის ზოგიერთი წინადადების შესახებ. როგორც რუსეთის სახელმწიფოს მეთაურის პრეს-დივანმა ნატალია ტიმაკოვამ განაცხადა, დიმიტრი მედვედევმა მართლაც მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ნეკროლი, რომელიც იყო რუსეთის ლიდერის ამერიკის პრეზიდენტისადმი გაგზავნილი წერილის პასუხი... მედვედევმა შეაფასა პასუხის ოპერატიულობა და პოზიტიური განწყობა, რომელსაც წერილი შეიცავს“.

გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ცნობით, რუსეთი შეეცდებოდა, მიაღწია ხელშეკრულებათა დადგენას, რომლებიც დაწესდება „არა მხოლოდ ქობინების შეზღუდვაზე, არა მხოლოდ სანქციების შეზღუდვაზე, არა მხოლოდ სანქციების შეზღუდვაზე, არა მხოლოდ სანქციების შეზღუდვაზე...“.

როგორც რუსეთის პრეზიდენტმა ერთ-ერთ თავის გამოსვლაში აღნიშნა, ამერიკის შეერთებულ შტატებთან მოლაპარაკებებისთვის შეიქმნა ყველაზე ხელსაყრელი პირობები. „ის,

საინტერესო რუსეთისათვის ქობინების შემცირების დაკავშირება მათ შემცველებთან და რა პრეტენზიები აქვს რუსეთს ამერიკის შეერთებულ შტატებთან ბირთვულ პროგრამებთან დაკავშირებით, უპასუხებს რუსეთის გეოპოლიტიკური პრობლემების აკადემიის პრეზიდენტის პირველი მოადგილე, სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი კონსტანტინ სივკოვი.

ამერიკა კუბასთან შეზღუდვები გააუქმა

აშშ-სა და კუბაში ლიდერების ცვლამ ქვეყნებს შორის ურთიერთობების გაუმჯობესების საფუძველი შექმნა, — იუწყება „ბი-ბი-სი“. აშშ-ის სენატმა კუბასთან ურთიერთობებზე ის შეზღუდვები გააუქმა, რომლებიც ფორჯ ბუშის ადმინისტრაციამ 2004 წელს შემოიღო. ამერიკიდან კუბური წარმოშობის ამერიკელებს წელიწადში ერთხელ კუნძულზე ჩასვლა, აგრეთვე იქ მცხოვრები ნათე-

საგებისთვის მეტი ფულის გაგზავნა შეეძლებათ. გაუქმდა მედიკამენტებსა და პროდუქტების გაგზავნაზე დაწესებული ზოგიერთი შეზღუდვა. კუბური წარმოშობის ორი ამერიკელი სენატორი თავიდან ამ ცვლილებების წინააღმდეგი იყო, თუმცა პოზიცია მას შემდეგ შეცვალეს, რაც პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ისინი დაარწმუნა, რომ ცვლილებები კუბისთვის ეკონომიკური ბლოკადის მოხსნას არ ნიშნავს.

საზღვრავდა არა მხოლოდ ქობინების რაოდენობას — თითოეული მხრიდან 6000-მდე, არამედ ბირთვული საბრძოლო მუხტის მინიმუმის საშუალებათა ოდენობასაც — 1600-მდე. ლოგიკური იქნებოდა ამ ტენდენციის განმტკიცება ახალ ხელშეკრულებაშიც. ჩვენი ინტერესი კი ისაა, რომ თუ საბრძოლო მუხტების მიხედვით ჩვენ გვაქვს შედარებითი პარიტეტი, შემცველები ამერიკას აქვს გაცილებით მეტი.



ამერიკა გაიგზავნა სიამოვნების ბუშის შავი ნიღბი

გუანტანამოში ამერიკის ბაზაზე ციხის გაჩენის მომენტიდან 2002 წელს, ეს ციხე გაიარა 800-ზე მეტმა პატიმარმა, 533 მათგანი ვაშინგტონმა გადასცა იმ ქვეყნებს, ვისი მოქალაქეებიც იყვნენ. ახლა იქ 200-ზე მეტი კაცია.

შეთანხმების შესაბამისად, ჩვენი ქვეყანა პატიოსნად ამცირებდა ბირთვულ ქობინებს, ამერიკის შეერთებული შტატები კი მეორე საფეხურებსა და ბირთვულ ქობინებს ინახავდა და ალაგებდა. ამის ნაცვლით, მათ შეექმნათ დაბრუნების ბირთვული პოტენციალი რამდენიმე ათასი ქობინის ოდენობით, რომელთა საბრძოლო მოქმედებაში მოყვანა ძნელი არაა. ამისგან უნდა განვთავისუფლდეთ წინსვლამდე შეიარაღების შემცირების გზაზე.

ამერიკაში სხაურიანი სკანდალი ატყდა: გამოვლინდა ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის მიერ ტერორიზმთან ბრძოლის საბაბით სამოქალაქო უფლებებისა და თავისუფლების უხეში დარღვევის ფაქტები. უკვე გამოქვეყნდა ბუშის ადმინისტრაციის მითითებანი, რომლებიც თეთრი სახლიდან გაიგზავნა იუსტიციის სამინისტროში 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტიდან მოკლე პერიოდში. ამავე დროს, ცნობილი გახდა, რომ დაზვერვის ცენტრალურმა სამმართველომ (ცრუ) მოასწრო დაკითხვების 100-მდე ვიდეორჩანაწერის განადგურება. თუმცა მათი რიცხვი შეიძლება მეტიც იყოს.

ამერიკის შეერთებული შტატები თავის ბირთვული შეიარაღების მნიშვნელოვან ნაწილს, განსაკუთრებით, სიშორისას, განათავსებს საკუთარი ქვეყნის ფარგლებს გარეთ. მთელი ევროპა, მხედველობაში გვაქვს ნატოს სახელმწიფოები, გადატვირთულია ამ შეიარაღებით. ამ პრობლემის გადაწყვეტა ხელს შეუწყობს დაძაბულობის მკვეთრ შემცირებას, ნდობის ამაღლებას რუსეთისა და შეერთებული შტატების ურთიერთობაში. არანაკლებ მნიშვნელოვანია მეორე საკითხიც. მათ ტერიტორიებზე იარაღის განთავსებით ამერიკამ ეს ქვეყნები პოლიტიკური თამაშების მძევლებად აქცია, რაც ყველაზე საშიშია მომავალ სამხედრო კონფლიქტებში. ახალ ხელშეკრულებაში პუნქტის შეტანა ბირთვული იარაღის განთავსების აკრძალვის შესახებ ეროვნული ტერიტორიების ფარგლებს გარეთ გამოიყვანს ევროპის ქვეყნებს შეიარაღების მიზნით ბირთვული იარაღით დარტყმის საშიშროებიდან.

გამოკვლევები კი უშუალოდ ბუშის ადმინისტრაციასთან დაკავშირებით მხოლოდ ახლა იწყება. შეერთებული შტატების სენატის იურიდიული კომიტეტის ხელმძღვანელმა, დემოკრატმა პატრიკ ლიხიმ, რომელიც აწარმოებს კამპანიას ბუშის ადმინისტრაციის საქმიანობის გამოკვლევისათვის, მოუწოდოდა, შეიქმნას ორპარტიული სისტემა, რომელიც შეისწავლის სახელმწიფო პირთა მოქმედებას „ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის“ პერიოდში. უკვე გამოქვეყნდა ბუშის ადმინისტრაციის 9 საიდუმლო მემორანდუმი. შეგახსენებთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ახალი პრეზიდენტის ბარაკ ობამას ადმინისტრაცია გეგმობდა, რომ უარს იტყვის ნაშინების გამოყენებაზე, აგრეთვე დაკეტავს ციხეს ტერორიზმში ეჭმიტანილთათვის, რაც დღემდე გრძელდებოდა კუბაში, გუანტანამოს ამერიკის სამხედრო ბაზაზე.

— დავინყებ იმით, — აღნიშნა კ. სივკოვმა, — რომ მოქმედ ხელშეკრულებას სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შესახებ ვადა გასდის მიმდინარე წლის 5 დეკემბერს. იგი გან-

კიევის მერს, შესაქლოა, ფსიქიატრიული ქესპერტიზა ჩაუტაროს

უკრაინის უმაღლესი რადას კიევის ხელისუფლების საქმიანობის შემსწავლელმა დროებითმა კომისიამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, რომ კიევის მერს ლეონიდ ჩერნოვეცკოს ჩაუტარდეს ფსიქიატრიული ექსპერტიზა.



ალსანიშნავია, რომ დროებითი კომისია შექმნილია კიევის საქალაქო უწყებებსა და მერიაში უსამართლო გადაწყვეტილებებისა და კანონდარღვევების შესასწავლად. კიევის მერის პირველი მოადგილის ირენა ჩილკიცკაიას განცხადებით, ვერცერთი კომისია ქალაქის ადმინისტრაციაში ვერ აღმოაჩენს დარღვევებს. რუსული სააგენტო „ლენტარუს“ ცნობით, კიევის მერი ლეონიდ ჩერნოვეცკოვი ცნობილია თავისი ექსცენტრული ქმედებით, რაც მის ოპონენტებს საბაბს აძლევს, იფიქრონ მერის დარღვეული ფსიქიკური მდგომარეობის თაობაზე.

თხელ შეეძლოთ. კუბის ეკონომიკურ ბლოკადას კი ამერიკის შეერთებული შტატები 47 წელია, ახორციელებს.

გეზულული სუპერნიტების პოლიტიკა

ანუ როგორ ზემოქმედებს ნატო გაშინგტონისთვის არასასურველ მთავრობებზე



„თქვენ უარი უნდა თქვათ თქვენს პოლიტიკურ თანამშრომლობაზე ყველა პოლიტიკურ ძალასთან თქვენს ქვეყანაში. ან უარს იტყვიან ასეთ პოლიტიკაზე, ან მოგინვეთ ძვირი საფასურის გადახდა ამისთვის“.

1976 წლის საყოველთაო არჩევნებზე კომუნისტებმა გაუსწრეს ქრისტიან-დემოკრატიულ პარტიას, მიიღეს ხმების 34,4%. აღდგომით, როგორც ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე, ეს აღიარა. მან გადამწყვიტა, იტალიის პარლამენტისათვის მთავრობაში კომუნისტების მონაწილეობის გეგმა წარედგინა. მან შეკრიბა შესაბამისი დოკუმენტები და თავის მძლავრ მისცა მითითება, ნაელო ისინი პარლამენტში. გზაზე მისი თეთრი „ფიატი“ გააჩერეს და ალდო მორო გაიტაცეს...

2008 წლის დასაწყისიდან, როგორც იქნა, უკვე შეიძლება გავცინოთ გერმანულ ენაზე ისტორიკოს დანიელ განსერის საგამოკვეთო სამუშაოს „ნატოს საიდუმლო არმიები ევროპაში — ორგანიზებული ტერორი და ფარული ომი“. შესანიშნავად დაწერილ ნიგნში განსერი მეტად გასაგებად გადმოგვცემს სხვადასხვა ვითარებას მათთვისაც კი, ვინც ვერ ერკვევა ისტორიაში. ფაქტები, რომლებსაც ააშკარავებს განსერი, ძირითადად ცვლის „ცივი ომის“ პერიოდის ისტორიოგრაფიას. ნიგნს ერთხელ რომ აიღებ, გვერდზე ვეღარ გადადებ. განსერი გვიჩვენებს, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და 1990 წლამდე ნატოს ნევრ ქვეყნებში ალიანსის რეგულარულ არმიებთან პარალელურად არსებობდნენ ნატოს საიდუმლო არმიები (აგრეთვე დამოუკიდებელი „უკანდარჩენილები“ ან „გლადიო“ (მახვილი)), რომლებიც შექმნეს ამერიკის ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ და ბრიტანულმა დაზვერვამ MI-6. ნატოს ამ საიდუმლო არმიებს ხელმძღვანელობდა და მის მოქმედებებს კოორდინაციას უწევდა უშიშროების კომიტეტი ნატოს შტაბბინაში, ბრიუსელში. ამერიკის პრეზიდენტის ნიქსონის სიტყვებით, ნატო, თავის მხრივ, ექვემდებარებოდა პენტაგონს ვაშინგტონში.

ოთხი ბომბი, ამ დროს დაიღუპა 16 კაცი. ამ სისხლიან ბოროტებაში ბრალი დასდეს კომუნისტებს. 1972 წელს იტალიის სოფელ ტეკანოს მახლობლად აფეთქდა დანაღმული ავტომობილი, რის შედეგადაც დაიღუპა სამი კარაბინერი. ორი დღის შემდეგ პოლიციამ მიიღო ანონიმური მითითება, რომ დამნაშავეები არიან „ნითელი ბრიგადები“. 1974 წელს ანტიფაშისტური დემონსტრაციის შუაგულში აფეთქდა ბომბი. შედეგად — რვა მოკლული და 102 დაჭრილი. 1974 წლის აგვისტოში მატარებელში „იტალიის ექსპრესი“, რომელიც რომიდან მიუწვდნენ მიდილი, აფეთქდა კიდევ ერთი ბომბი. დაიღუპა 12 კაცი, 48 დაიჭრა. ბოლონის სადგურში 1980 წლის 2 აგვისტოს მოხდა ტერორისტული აქტი, დაიღუპა 85 კაცი და 200 დაიჭრა. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და პოლიტიკოსები ტერორისტული აქტის ორგანიზატორებად აცხადებდნენ „ნითელ ბრიგადებს“.

და ჯონ ჯ. კანელიც?

განსერის გამოკვლევაში შეიძლება მოინახოს ზოგიერთი საინტერესო გამოხატულება ჯონ ფ. კენედისა საგარეო პოლიტიკაში იტალიასთან დაკავშირებით. პრეზიდენტების — ტრუმენისა და ეიზენჰაუერისაგან განსხვავებით, კენედი მოთმინებით ეპყრობოდა იტალიის მთავრობაში იტალიელი სპეციალისტების მონაწილეობას არჩევნების შედეგების შესაბამისად. 1963 წლის ივლისში კენედი ეწვია იტალიას და მიიწვია პიეტრო ნენი, იტალიელი სოციალისტების ხელმძღვანელი ამერიკის შეერთებულ შტატებში. 1963 წლის ნოემბერში დალასში მოკვს კენედი. ხუთი თვის შემდეგ დაზვერვის ცენტრალურმა სამმართველომ და „გლადიოს“ საიდუმლო არმიამ იზრუნეს, იტალიელ სოციალისტებს კვლავ რომ დაეტოვებინათ პოსტები მთავრობაში.

საიდუმლო არმიების წარმომადგენლები ყოველწლიურად იკრიბებოდნენ. „უკანდარჩენილთა“ კონფერენციებს ყოველთვის ესწრებოდნენ დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს წარმომადგენლები, — აღნიშნავს გენერალი სარა ვალე, რომელიც ხელმძღვანელობდა „უკანდარჩენილთა“ იტალიის ქსელს.

თებულ შტატებში, იტალიაში, ესპანეთში, პორტუგალიაში, ბელგიაში, ნიდერლანდში, ლუქსემბურგში, დანიაში, ნორვეგიაში, გერმანიაში, საბერძნეთსა და თურქეთში. ამ ქვეყნებში საიდუმლო არმიების არსებობის შესახებ გარკვეულ მომენტში იცოდა მხოლოდ ზოგიერთმა პოლიტიკოსმა. ხალხის მიერ არჩეულმა პარლამენტარებმა, როგორც წესი, მათზე არაფერი იცოდნენ. ამით ნატოს საიდუმლო არმიები რჩებოდნენ ნებისმიერი დემოკრატიული კონტროლის გარეშე.

ლო არმია მონაწილეობდა 1960 წლის სამხედრო გადატრიალებაში, 1971 წლის სამხედრო პუტჩსა და 1980 წელს გენერალ ევრონის სამხედრო გადატრიალებაში.

ოკეანისა „ყალბი დროის ქვეშ“

დოკუმენტში აღწერილია, აგრეთვე, „ოკეანისა ყალბი დროებით“. საუბარი შეეხებოდა ტერორისტულ აქტებს, რომელთა შესახებაც ბრძანებებს გასცემდნენ სპეცსამსახურები ან თავადვე ახორციელებდნენ მათ, შემდეგ კი ამაში ბრალს სდებდნენ კომუნისტებს ან სოციალისტებს. ნატოს ზოგიერთ ნევრ ქვეყანაში, განსერის თანახმად, გამოიყენებოდა ასეთი საიდუმლო სტრატეგია: „ესაა ბრძოლა შინაგანი მტრების წინააღმდეგ ზოგიერთ ქვეყანაში, რაც სტრატეგიის ნაწილი წარმოადგენდა. იგი იყო ეგრეთ წოდებული „სტრატეგიული დესტაბილიზაციის“ ნაწილი ტერორიზმზე აგებული. ეს თითქმის ჯოჯოხეთური სტრატეგია საკმაოდ წარმატებით იქნა რეალიზებული იტალიასა და თურქეთში — ბომბების აფეთქება და საკუთარი მოსახლეობის მასობრივი მკვლელობანი, რაზეც შემდეგ ბრალს სდებდნენ პოლიტიკურ მტრებს — „მემარცხენეებს“.

ალდო მორო — „გლადიოს“ მსხვილი?

1978 წლის 16 მარტს ალდო მორო (იტალიის ორგზის პრემიერ-მინისტრი, ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელი — მთარგმნელის შენიშვნა) მოიტაცეს, როცა ის პარლამენტში მიემგზავრებოდა. 55 დღის შემდეგ მისი ცხედარი რომში აღმოაჩინეს, ავტომანქანის საბარგულში. აღშფოთება ამ ბოროტი სისხლიანი დანაშაულის გამო, რომელშიც ბრალი დასდეს კვლავ „ნითელ ბრიგადებს“, უზარმაზარი იყო. „იტალიელი მემარცხენეები“ დიდი ზემოქმედების ქვეშ აღმოჩნდნენ და დაკარგეს თავიანთი პოპულარობის უმეტესი ნაწილი დასავლეთ სამყაროში. ალდო მოროს საქმესთან დაკავშირებით განსერმა შეკრიბა მრავალი სამხილი, რომლებიც მიუთითებს „ოკეანისაზე ფარული დროებით“ „გლადიოს“ მხრიდან. 1972 წლიდან ალდო მორო მუდმივად ცდილობდა, შეეყვანა იტალიელი „მემარცხენეები“ მთავრობაში არჩევნებში მათ მიერ მოგროვილი ხმების რაოდენობის შესაბამისად. 1974 წელს, მორო უკვე იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის რანგში, პრემიერ-მინისტრ ჯოვანი ლეონესთან ერთად ვაშინგტონში გაემგზავრა. ისინი ცდილობდნენ, შეექმნათ მთავრობა იტალიის კომუნისტურ პარტიასა და სოციალისტებთან ერთად. მათ სურდათ, ამის შესახებ მოლაპარაკებოდნენ ამერიკელებს.

ტერორის დასაპუთება

1984 წელს „მემარჯვენეთა“ შეხედულებების მომხრე ვინჩიგერამ, რომელიც ახორციელებდა ტერორისტულ აქტს პეტენაში, მისცა მონისა ჩვენება. მან ფარდა ახადა „გლადიოს“ არსებობას, ნატოს იტალიურ საიდუმლო არმიას. ვინჩიგერამ აღნიშნა, რომ „გლადიო“ მონაწილეობდა ტერაქტებში, რომელთა შესახებაც ბრალი დასდეს „ნითელ ბრიგადებს“. „გლადიოს“ ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესების სასარგებლოდ ხელი უნდა შეეშალა იტალიელი „მემარცხენეებისათვის“, რათა არ მოსულიყვნენ ხელისუფლებაში. ამასთან, „გლადიო“ ოფიციალური სპეციალური სამსახურების მხარდაჭერას იღებდა პოლიტიკოსებისა და სამხედროების მხრიდან.

2000 წელს იტალიის საპარლამენტო კომისიამ, რომელიც აწარმოებდა გამოკვლევას გლადიოსა და იტალიაში ტერაქტებთან დაკავშირებით, დაადასტურა ვინჩიგერას ჩვენებანი: „ეს ტერაქტები, ეს ბომბები, ეს სამხედრო აქციები მონაწილე იყო იტალიის სახელმწიფო აპარატის შიგნით მომუშავე ადამიანების მიერ, მათ ახალისებდნენ და მხარს უჭერდნენ და, როგორც ამასწინათ გაირკვა, მათში მონაწილეობდნენ ადამიანები, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ ამერიკის შეერთებული შტატების სპეცსამსახურებთან“.

(დასასრული შიგნით ნომერი)

...ამერიკის არმიის გენერალური შტაბის საიდუმლო დოკუმენტის თანახმად, ნატოს საიდუმლო არმიის ამოცანაში შედიოდა იმ მთავრობათა დისკრედიტაცია და ნეიტრალიზაცია, რომლებიც არასასურველი იყო ამერიკის შეერთებული შტატებისათვის. 1961 წელს ნატოს საიდუმლო არმიამ დაგეგმა, თუმცა წარუმატებლად, გადატრიალება და გოლის მთავრობის წინააღმდეგ. საბერძნეთში ნატოს საიდუმლო არმიამ 1967 წელს ჩამოაგდო კანადელ რუს მთავრობა და დაამკვიდრა მკაცრი სამხედრო ხუნტა. თურქეთში ნატოს საიდუმლო არმიის დაწერილი ნიგნით აღწერს, ამერიკის შეერთებული შტატები მნიშვნელოვან გავლენას ახორციელებენ იტალიის პოლიტიკაზე 1945-დან 1993 წლამდე. დაზვერვის ცენტრალური სამმართველო, იტალიის სპეცსამსახურები, ნატოს იტალიის საიდუმლო არმია, აგრეთვე, მემარჯვენე რადიკალი-ტერორისტები აწარმოებდნენ საიდუმლო ომს იტალიელი კომუნისტებისა და სოციალისტების წინააღმდეგ. ერთის მხრივ, ამერიკის შეერთებული შტატები მილიონობით დოლარით მხარს უჭერდა ქრისტიანი დემოკრატიების წინასაარჩევნო კამპანიას იტალიელი „მემარცხენეების“ წინააღმდეგ. მეორე მხრივ, აწარმოებდნენ სისხლიან ტერორისტულ აქტებს. მაგალითად, 1969 წელს, შობამდე რამდენიმე ხნით ადრე, რომისა და მილანის გამოცოცხლებულ მოედნებზე აფეთქდა

საიდუმლო ომი იტალიაში

როგორც განსერი დაწერილი ნიგნით აღწერს, ამერიკის შეერთებული შტატები მნიშვნელოვან გავლენას ახორციელებენ იტალიის პოლიტიკაზე 1945-დან 1993 წლამდე. დაზვერვის ცენტრალური სამმართველო, იტალიის სპეცსამსახურები, ნატოს იტალიის საიდუმლო არმია, აგრეთვე, მემარჯვენე რადიკალი-ტერორისტები აწარმოებდნენ საიდუმლო ომს იტალიელი კომუნისტებისა და სოციალისტების წინააღმდეგ. ერთის მხრივ, ამერიკის შეერთებული შტატები მილიონობით დოლარით მხარს უჭერდა ქრისტიანი დემოკრატიების წინასაარჩევნო კამპანიას იტალიელი „მემარცხენეების“ წინააღმდეგ. მეორე მხრივ, აწარმოებდნენ სისხლიან ტერორისტულ აქტებს. მაგალითად, 1969 წელს, შობამდე რამდენიმე ხნით ადრე, რომისა და მილანის გამოცოცხლებულ მოედნებზე აფეთქდა

კვლავ ნეიტრალიტეტის შესახებ

მკითხველთა მრავალი ცხოვრებით გამოხმაურება ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებულ პუბლიკაციაზე „ნეიტრალიტეტი — საქართველოს სხვა ალტერნატივა არ გააჩნია!“ („საქართველო და მსოფლიო“, № 3) ნათლად მეტყველებს, რომ ეს თემა ქართული საზოგადოების ცხოველი ინტერესის საგანია. ნეიტრალიტეტის დასაკანონებლად უკვე ხელმოწერებიც გროვდება, ამ თემაზე ხშირად საუბრობენ პოლიტიკოსებიც, თუმცა საქმე საუბარს დღემდე არ გაცდენია. ვითვალისწინებთ რა მაღალ ინტერესს ხსენებული თემისადმი, მკითხველს ვთავაზობთ ამონარიდებს „საქართველო და მსოფლიოს“ მუდმივი ავტორის, პოლიტოლოგ არნო ხიდირბეგიშვილის სხვადასხვა პუბლიკაციიდან ნეიტრალიტეტის თემაზე.

ფრაგმენტები საგაზეთო და ინტერნეტ-პუბლიკაციებიდან, აგრეთვე, სატელევიზიო გამოსვლებიდან წარმოდგენილია ქრონოლოგიის მკაცრი დაცვით 2005 წლიდან დღემდე. მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ იმ მეტამორფოზას, რომელიც საზოგადოების ნაწილმა ნეიტრალიტეტის იდეასთან დაკავშირებით განიცადა, მაგრამ აქვე ხაზს ვუსვამთ, რომ 2005 წელს საზოგადოების ამავე ნაწილს მართლმადიდებლურ ჯვარშიც კი ნატოს ოთხქიმიანი ემბლემა ელანდებოდა და ნეიტრალიტეტის თემაზე მოსაზრებებს ხან „შულავერის კომიტეტის წევრად“, ხანაც კრემლის აგენტებად მოიხსენიებდა.



„საპარტიველოს არ უნდა ნეიტრალიტეტი პარტი გაბაზმით, მიიღებს მას ცუდი გაბაზმით, მაგრამ უკვე — მუსხეზა და ჩოქოილი!“

საქართველო ნეიტრალური ქვეყანა რომ გამხდარიყო — რუსეთის ფედერაციის, გაეროს, ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების გარანტიებით — მიიღებდა სასაბურთე პირობებს თავისი ეკონომიკური განვითარებისათვის, ვინაიდან ამერიკა, რუსეთი და ევროპა ერთმანეთს შეეცდებოდნენ, პირველებს ჩაეღოთ საქართველოს ეკონომიკაში რაც შეიძლება მეტი ინვესტიციები! ამის შემდეგ საქართველოს მორალური უფლებაც ექნებოდა, რუსეთისათვის მოეთხოვა თავისი ტერიტორიული მთლიანობის საკითხის კარდინალური გადაწყვეტა.

რომ ჩნდებოდა მათი წინასწარგანჭვრეტა! და, როგორც ყოველთვის, „მატარებლის წინ მორბენალმა“ ქართველებმა შესანიშნავი შესაძლებლობა მისცეს რუსეთს, უთხრას ამერიკას და ევროპას — „Who is who“ („ვინ ვინ არის“), თითოეულს — ცალ-ცალკე!

ერთადერთი, რაც შეიძლება ახლა საქართველომ გააკეთოს — ესაა სამხედრო და სახელმწიფო ნეიტრალიტეტის გამოცხადება, აგრეთვე — ფედერალური მოწყობა, აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან. ყველა მიმდინარე მსჯელობა — რომ რაკი აღარაა საუბარი სადავო ტერიტორიებზე — აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე, საქართველოს მიიღებენ ნატოში — სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად, ვინაიდან ქართულ საზოგადოებაში არავინ აღიქვამს თავისი ქვეყნის შესვლას თუნდაც ყველაზე საუკეთესო ბლოკში ტერიტორიის ნაწილის დაკარგვის ფასად!

2008 წლის 28 აგვისტო.

„მხოლოდ რუსეთს ქალქს, გახსნას კავკასიის მტკიცე ნიშნად“.

რუსეთი არასოდეს დაუთმობს ამერიკის შეერთებულ შტატებს კავკასიასა და საქართველოს — იგი საქართველოში 1783 წლიდანაა! თავი რომ დავანებოთ 200-წლიან სიტორიას, 1921 წლიდან ხომ მაინც: საბჭოთა კავშირის არსებობის 70 წლის განმავლობაში რუსეთი აქ აბანდებდა თავის ფინანსებს, ამერიკის სწრაფვა საქართველოსადმი კი მხოლოდ ხუთი წელია, რაც გამოიკვეთა (მის მიერვე 2003 წელს მოწყობილი „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ). „რუსეთს შრომისგან ხელემა აქვს დაკოორილი!“ — განაცხადა ვლადიმერ პუტინმა 2008 წლის 3 ოქტომბერს ი. ტიმოშენკოსთან ერთობლივ პრესკონფერენციაზე. ეს იყო მესამე საბჭოთა კავშირის ყველა ყოფილი რესპუბლიკისათვის.

„ერთგულების ქამარი“, რაც შუა საუკუნეებში სახლიდან დიდი ხნით წასვლის ეჭვიანი ქმრები არტყამდნენ თავიანთ ცოლებს — აღმოსავლელ მზეთუნახავებს, მაგონებს იმ „უსაფრთხოების ქამარს“, რომელსაც ირგებს დღეს მუსხეზამართული რუსეთი. და ყველაზე „ინტენსიური ადგილი“, რომლის დაცვაც ამ „ქამრის“ დანიშნულებაა, რუსეთის „მუცელსქვემო“ მდებარეობს, ანუ - საქართველო! რუსეთი არ დაუშვებს, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დანაკარგის საქართველო, რომელმაც მოინდომა უფრო მიმზიდველი „ზღვისგალმელი კავალერი“ ამერიკის შეერთებული შტატების სახით.

მოსკოვი ოთხი წელი მოთმინებით ადევნებდა თვალს შეერთებული შტატების მიერ ამ „ერთგულების ქამრის“ „გასაღების“ მომზადების პროცესს, მაგრამ დადგა

დრო, როცა აშშ-მ დააპირა ამ „გასაღების“ მორგება „კლიტზე“, სამხრეთ ოსეთის სახით რომ წარმოგვიდგა. „ქართული გასაღებით“ ამგვარად გახსნილი „ერთგულების ქამრით“ და „შიგ შეღწევით“ — სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიაში, ამერიკის შეერთებული შტატები და მისი მოკავშირეები მოიპოვებდნენ „რუს მზეთუნახავს“ — რუსეთს!

რუსეთი ამ ოთხი წლის განმავლობაში ამოღ იმედოვნებდა საქართველოსთან პარტნიორული ურთიერთობის დამყარებას, სულ ცოტა — მის მიერ სახელმწიფო ნეიტრალიტეტის პოლიტიკის განხორციელებას მაინც, რაც არ მოხდა — სამწუხაროდ, საქართველო არ გახდა ნეიტრალური სახელმწიფო, როგორც ფინეთი და შვედეთი..

2008 წლის 8 ოქტომბერი.

„ნეიტრალიტეტი — საპარტიველოს სხვა ალტერნატივა არ გააჩნია!“

თუ ინტერნეტში გაეცნობით პუბლიკაციის „ოქროსთავიანთა შეხვედრები მოსკოვში“ (ესაა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე კარა-სინთან, რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროს ბალუევსკისთან, თავდაცვის და უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე კარაგანოვთან და სხვ. 2007 წლის აპრილში ჩემი საუბრების ჩანაწერები), დარწმუნდებით, რომ საქართველოს სურვილს - დადგეს ნეიტრალიტეტის გზაზე - რუსეთის ოფიციალური სიხარულით აღიქვამდა და მაშინ კრემლთან შეიძლება შეთანხმდეს აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით! ოღონდ ამაზე უნდა შეთანხმებულიყო არა პოლიტოლოგი და პუბლიცისტი ხიდირბეგიშვილი, არამედ — საქართველოს პრეზიდენტი სააკაშვილი!

ხოლო ნეიტრალური საქართველოს იდეის „პრივატიზებას“ დღეს ახდენენ ამხანაგები, რომლებსაც ვფიქრობ, სახელმწიფო ნეიტრალიტეტი წარმოუდგენიათ ნეიტრალური სინქრედ ავტომობილის ტრანსმისიაში — ადგილიდან რომ ვერ დაძრავ! საინტერესოა, სად იყვნენ ეს ბატონები, როდესაც საქართველოს ნეიტრალიტეტის მომხრეები ითვლებოდნენ არა ქართველებად, არამედ „შულავერის კომიტეტის“ წევრებად?

აი, ასე ცხოვრობენ შემოქმედებითი იმპოტენციით დაავადებული ბატონი პოლიტიკანები - „პოლიტიკოლოგები“, „ექსპერტები“ და „საზოგადო მოღვაწეები“ - კითხულობენ სხვათა პუბლიკაციებს და, მცირე პაუზის (უსაფრთხოებისათვის!) შემდეგ საქართველოს საზოგადოებას საკუთრად წარუდგენენ მოზარულ იდეებს, რაშიც მათ ეხმარებათ ჩვენი „ჯიბის“ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები.

ამასაც ვნახავთ: როცა ჩვენი ფსევდო-ოპოზიციონერებისათვის ეს ხელსაყრელი გახდება, უმაღლეს დონეზე ნეიტრალიტეტზე „სიმღერას“, მაგრამ დღევანდელი ხელისუფლების შემთხვევაში ეს იდეა, უეჭველია, არ იქნება პოპულარული. ამის შესახებ მათაც შესაძლებელია იცნან ისევე, როგორც ის, რომ საქართველოს ახალ წამდვილ ეროვნულ ხელისუფლებაში მათთვის ადგილი არ იქნება!

2009 წლის 4 მარტი.

„სახელმწიფო და სამხედრო ნეიტრალიტეტი — სხვა გზა საქართველოს არა აქვს!“

პირველი და მთავარი — სამხედრო და სახელმწიფო ნეიტრალიტეტის გამოცხადება (ესე იგი: არც რუსეთი, არც — ამერიკა) ამერიკის შეერთებული შტატების, რუსეთის ფედერაციის, ევროკავშირისა და გაეროს გარანტიებით.

მეორე — ორმაგი მოქალაქეობის საყოველთაო მინიჭება ყველას, ვისაც აქვს რუსეთის ან სხვა ქვეყნის მოქალაქეობა: აფხაზეთს, ოსებს, რუსებს, ქართველებს და სხვ.

მესამე — აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში თავისუფალი ეკონომიკური ზონის მოწყობა: მოხდეს იქ ლარის, რუბლისა და დოლარის თავისუფალი მიმოქცევა, აგრეთვე გათავისუფლდეს ნებისმიერი ბიზნესი გადასახადებისაგან 5 წლით.

2005 წლის 24 ივლისი.

„სამიტი, რომლითაც ყველა კავაყოვილია“

ბუქარესტში საქართველოსთვის ყველაზე მომგებიანი გახდა ის, რომ ნატოს წევრებმა (პირველად — ყველამ ერთად) ირიბად დადასტურეს მისი ტერიტორიული მთლიანობა: საქართველოს MAP-ი (Membership Action Plan) იმიტომ ვერ მიანიჭეს, რომ იგი ვერ აკონტროლებს თავისი ტერიტორიების ნაწილს, ეს კი ნიშნავს იმას, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი — მისი ნაწილია, თუნდაც - ჯერჯერობით პრობლემებით!

ტერიტორიული პრობლემების მიუხედავად, ნატოს წევრობისადმი მიზიდების მოქმედებათა გეგმაზე საქართველოს მაინც უარს ეტყობდნენ სხვა მიზეზის გამოც: ჩვენს ქვეყანაში (როგორც უკრაინაში) მოსახლეობას შორის არ არის კონსენსუსი — შეთანხმებული აზრი ქვეყნის ნატოში შესვლასთან დაკავშირებით. საქართველოს ხელისუფლებამ ამ საკითხზე უნდა მოაწყო რეფერენდუმი მთელ ტერიტორიაზე — აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ჩართვით, რისი განხორციელებაც ჯერჯერობით არარეალურად მესახება.

2008 წლის 4 აპრილი.

„Я ТЕБЕ ОДИН УМНЫЙ ВЕЩЬ СКАЖУ, ТОЛЬКО ТЫ НЕ ОБИЖАЙСЯ!“

„რუსეთი ჩვენითვის ახლობელია როგორც ისტორიულად, ისე კულტურით, ადამიანურად!“ — ეუბნება სააკაშვილი მედვედევის პეტერბურგში. სინამდვილეში კი საქართვე-

ლოს ახალგაზრდა თაობა ირჩევს „პეპსის“, ანუ — ამერიკის შეერთებულ შტატებს. სამაგიეროდ ჩვენ მათ ვთავაზობთ მხოლოდ წარსულს და შემართებით „გმღერით“ „ძველ სიმღერებს მთავარზე“: რუსეთ-საქართველოს კულტურულ და ისტორიულ ტრადიციებზე, ორსაუკუნოვან მეგობრობაზე და მილიონიან ქართულ დიასპორაზე რუსეთში...

ეს ყველაფერი სწორია, მაგრამ მრავალჯერ წარმოთქმული „პალკით“ პირს ვერ ჩაიტკბარუნებ: ახალგაზრდა თაობას (როგორც ქართველს, ისე რუსს!) ნაკლებად აინტერესებს „განვიღო დღეთა საქმენი“, მას უნდა მიაწოდოს „სუფთა ფურცელი“ — დღევანდელი ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა და არა „მოგონებანი გარდასულ დღეთა“!

რატომ გვეჩვენება ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც ქართველთა 90%-ს თვალთაც არ უნახავს, უფრო საიმედო პარტნიორად, ვიდრე რუსეთი, ვისთან ერთადაც „მილიონი ფუთი მარილი გვიჭამია“?! იქნებ იმიტომ ვამჯობინებთ, „აღმოვაჩინოთ“ ჩვენთვის შორეული ოკეანისიქითა ამერიკა (როგორც კოლუმბმა!) და არა რეალურად გავარკვიოთ ურთიერთობა დიდი ხნის მეზობელთან, ვისთანაც 900 კმ საერთო საზღვარი გვაქვს?! აქ საკითხი შეეხება არა ავტომობილის ყიდვას ამერიკის აუქციონზე ინტერნეტით, არამედ — კულტურული კოდის ცვალებადობას — ქართველი ერის საბაზისო ზნეობრივ ღირებულებას!

მხოლოდ პატიოსნად და ყველას გასაგონად თუ ვუპასუხებთ ამ შეკითხვებს, და არ გავიგონებთ სენტენციას — „გააკეთე ასე, რადგან ასე იქცეოდნენ შენი მამა-პაპანი!“ შეიძლება მივალნიოთ დადებით შედეგს. იქნებ, ეს აღიარება ორივე მხარისთვის ძელია, მაგრამ სწორედ აქედან უნდა დაიწყოს ურთიერთობა მოსკოვსა და თბილისს შორის და, როგორც შედეგი — თბილისსა და სოხუმს შორის, თბილისსა და ცხინვალს შორის. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება დაიწყო პოზიტიური „შენება“ — სუფთა გულით და „სუფთა ფურცლით“, ოღონდ რეალურად — სუფთად, ყოველგვარი არწივებისა და გრიფების გარეშე!

და აქ ჩვენი მთავარი რესურსი - ხალხია, ისინი, ვისაც გულით უყვარს საქართველოც და რუსეთიც, მათი ისტორიული დიდება ხომ განუყოფელია...

2008 წლის 21 ივნისი.

გიორგი ჩუგოშვილი:

შინ დაბრუნება მიწა! ემიგრანტისთვის ამერიკაში არც ერთი კარი ღია არ არის, მე კი საკუთარი ოჯახის კარიც გამოიკეტეს

მაშინ, როდესაც ახლად ფეხადგმულ დამოუკიდებელ საქართველოში უნესრიგობამ ფრთები შეისხა, უსამსახუროდ და უფუნქციოდ დარჩენილმა მოქალაქეებმა თავიანთი დროების მძიმე ტვირთი კისრად იდეს და ათასობით მშვიდმა ქართველმა იწყეს სვლა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში საკუთარი თავისა და თავისიანების გადასარჩენად. თითოეული მათგანი ფიქრობდა, რომ სულ რაღაც 2-3 წელიწადში მათ ქვეყანაში ყველაფერი დალაგდებოდა და სამშობლოში მალე დაბრუნდებოდა. დღეს კი, თვით მგზნებარე ოპტიმისტებიც აღარ ფიქრობენ, რომ ისინი დაბრუნდებიან ან მათ განახლებული და რწმენით აღსავსე ქვეყანა დახვდებათ. უკვე ათეულწლიანი წელია, ემიგრანტთა უმრავლესობას დაბრუნება სწადია, მაგრამ... უცხოეთს ჩარჩენილ დაღლილ-დაქანცულებს იობის მოთმინება ელევათ და ერთი ნაბიჯიღა რჩებათ სასონარკვეთამდე. რუბრიკის დღევანდელი სტუმრის, ამერიკაში მყოფი ჩვენი თანამემამულის გიორგი ჩუგოშვილის ხმაში აშკარად გაისმის რწმენის დაკარგვის საგანგაშო ზარი.



ბა... მაგრამ უმუშევრობა უფრო

— გიორგი, თქვენ პირველი ემიგრანტი მამაკაცი ხართ, ვინც ჩვენთან საუბარი მოიხურვა. ალბათ, ბევრი რამ გაქვთ სათქმელი...

სება იმის შემჩნევას არ მიკრძალავს, რაც მათგან გადმოსალეზი და დასანერგია. მათ ყოფასა და ხასიათში იმდენი უზადრუკი თვისებაა, რაც ქართული მენტალობისთვის სავსებით მიუღებელია. ამერიკელები ვითომდა „ჯანსაღ“ კონკურენციაში მორიგელებივით ჭამენ ერთმანეთს.

ჩვენ ამერიკაში როგორც იაფ მუშახელს, ისე გვიყურებენ. იმდენჯერ გავლერილვარ სიმწრის ოფლში, იმდენჯერ შემკუმშვია გული ბოსის გულგრილობითა და უსამართლობით... ანგარიშიან, ცივ, შეზღუდულ უცხოტომელებთან სხვადასხვა დროს დონ-კიხობური ფათერაკების მთელი სერია გადამხდა თავს. თუ წინ მიმავალი კაცი ნაიქცა (ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით), ხელს არ შეაშველებენ, გარდაცვალილიც რომ იყოს, ვაივიმს არ ატყვენ, გადააბიჯებენ და გაივლიან. ბევრ ქარის ნისქელს შევალეი წლები. ჩვენი სითბო, გულშემატკივრობა მათთვის გაუგებარი სისუსტეებია. ამერიკა დიდი ავენიუებია, სადაც თავდაუზოგავად მიზნადადამიანები, საკუთარი „მეს“ პრობლემებში ჩაძირულნი, სამუშაოზე დაგვიანების შიშით დაოთხილნი. ამერიკელ კაცს ყველაფერი აქვს: ბინა, ავარაკი, მანქანები, ჰყავს ცოლ-შვილი, მაგრამ სულიერი სიმშვიდე არ გააჩნია. მისი გაღიმებული სახეც კი თავაზიანობის ნიღაბია. უმრავლესობას დაძაბული გრიმასა აქვს, რაც ისტერიის ნინაპირობაა. აქ დიდია განსხვავება ადამიანთა შორის აღზრდის, კულტურის, განათლებისა და სოციალური წარმოშობის მიხედვით.

ამერიკაში ყოფნისას დღე დავეკარგე. არ ვიცი, როგორია დილა, მზის ამოსვლა. ბენზინგასამართ სადგურზე ვმუშაობ ღამის ცვლაში, რადგან ჩემნაირი გაჭირვებულის გარდა, იქ მუშაობას ყველა ერიდება. თვალის მოხუჭვის საშუალება არ მაქვს. საჭიროა ცივი, ოფიციალური გამომეტყველება, თავაზიანი და ლაკონური პასუხი, თითქმის გასამხედროებული მანერები. სკამზე სწორად, გაჭიმულად ჯდობა... მხრების ჩამოყრდა და ფეხის მოხრა არ შეიძლება. ამასთან, მკვირცხლი მიმოხვრა და ნამებში გათვლილი მომსახურე-

ბა... მაგრამ უმუშევრობა უფრო ძნელია. ამ ადგილზე მუშაობა გაძლებათ. კვირაში 700 დოლარს ვიღებ. დილით ვბრუნდები ნაქირავებ ბინაში... საწოლზე ვწევარ და მიძინავს. ნიუ-იორკში ემიგრანტი ქალები ჩვენზე უკეთეს პირობებში არიან. მათ ოჯახებში უხდებათ ყოფნა და უზრუნველყოფილნი არიან ბინით, კვებით და ტანსაცმლითაც. ფული ეზოგებათ. მამაკაცები კი მძიმე სამუშაოთი წელმონყვეტილნი ვართ და თანაც — ხარჯიანები. ერთი მთელი ბიჭი იყო ჩვენთან, ბოსტნეულის სუპერ-მარკეტში ღამის ცვლაში მუშაობდა კონვეიერის სისტემით. სამუშაოს სიმძიმე ძალიან გატეხა. ღამე ლოგინში ტიროდა ხოლმე. ეს მთასავით ვეებერთელა კაცი მუშტისხელა გახდა და დაავადდა. ემიგრანტთა უმრავლესობა ნიუ-იორკის ჭაობიან ჰავას ვერ ეგუება.

ძნელია, როდესაც კაპიკებს ითვლი... და შენს წინ ღამის უზარმაზარი ნიუ-იორკი ჩახჩახებს ათასგვარი გასართობი სახლებით, კაზინოებით, ღამის ბარებითა და რესტორნებით. შუალამისას სანავს ვუსხამ ბედნიერ და უზრუნველ მამაკაცებსა და ქალბატონებს, თავაზიანად ვემშვიდობები, გულში კი ახლოობების მონატრების ბაღამი მიტრიალებს. ერთხელ ასეთ სიტუაციაში მგელივით წრიალი დავინყე, ისე მომინდა ჩემს ბუნავში დაბრუნება. ვიდუოთვალმა ჩემი ეს მოუსვენრობა დააფიქსირა და ხელფასიც დამაკლეს... მაგრამ ჩემს ცხოვრებაში კიდევ არის ისეთი რამ, რამაც სამუდამოდ თავგზა დამიკარგა.

— მაინც, რა მოხდა, არ გავვიხებლეთ?

— საქართველოში დედა დავტოვე, რომელიც უკანასკნელ გზაზე ვერ გავაცილე. მისი გარდაცვალება რომ შემატყობინეს, სამორიგო სკამზე ვიჯექი და მთელი ღამე მექანიკურად ვმუშაობდი. გული გამუდმებით მიტიროდა სისხლის ცრემლებით.

აქედან გაგზავნილი ფულით ბიჭებს კომპიუტერი ვუყიდე. მიწოდდა, მათი სახე მონიტორის ეკრანზე მენახა და როდესაც ბოხი ხმით წვერმოშვებულმა ახალგაზრდამ შემომცინა: — „მამა!“ უხერხული დუმილი ჩამოვარდა, ყელში უზარმაზარი სპაზმური ბურთი გამეჩხირა. 15 წლის მანძილზე არ მენახა, მისმა ბავშვობამ ისე გაიარა. იქნებ რამდენჯერ დავეჭირდი?!

პირად ცხოვრებაზე საუბარი ძნელია. ცოლი სიყვარულით შევირთე 20 წლის ასაკში, ის კი 17 წლის იყო. სულ ახალგაზრდა ქალი დავტოვე დიაბეტით დაავადებულ დედამთილსა და ორ უსუსურ ბავშვთან ერთად. სიყვარულს მოვლა და შენარჩუნება უნდა. მართალია, ფულს ყოველთვიურად ვუგზავნიდი, მაგრამ 15 წლის განმავლობაში არ ვიციოდი, რას განიცდიდა, რა აწუხებდა, რა სტკიოდა, როგორ, რა გზით უმკლავდებოდა პრობლემებს. სიმორემ გრძნობა გაუცივა, ლოდინმა დალაღა, უიმედობამ შეიპყრო... აქედან კი მორალურ სისუსტემდე ერთი ნაბიჯია.

ბოლოს ძალიან ეკლესიური გახდა. უნდოდა, რაღაცას მოელოდა. მის თვალეში შეძრწუნების ლანდს ვამჩნევდი, ვიქეფიანე... და არც უსაფუძვლოდ. მასთან სხვა კაცის სიყვარული მივიდა. დიდი სულიერი ტკივილის გადატანა მომიხდა. დავკარგე ქალი, რომლის კეთილდღეობისათვის ვიბრძოდი, რომლის არსებობა სტიმულს მძლევდა, ვისაც უხვად ვაძლევდი მონური შრომით მოპოვებულს, რაც გამაჩნდა. მე დღეს მარტო სამშობლოწართმეული კი არა, ოჯახდანგრეული კაცი ვარ. ცხრა მთას იქით გადაკარგული მამა და მუფლავი, ერთდროულად მტყუანიც და მართალიც. მართალი იმიტომ, რომ ეს ყველაფერი მათთვის გავაკეთე; მტყუანი იმიტომ, რომ მივატოვე. ადამიანისთვის ფიზიკური ტვირთი უფრო ასატანია, ვიდრე სულიერი ტკივილი. ემიგრანტი ყველასათვის უცხოა, მისთვის არც ერთი კარი ღია არ არის, მე კი საკუთარი ოჯახის კარიც გამოიკეტეს. ათასი ურო მირტყამს საფეთქელბოძო... შუახნის მამაკაცს ოჯახი სჭირდება, ეს ცხოვრების დიდი კანონია და უფრო ძლიერი, ვიდრე სხვა ყველაფერი. თქვენამდეც ამ ტკივილმა მომიყვანა. მსურს, შევძლო, ამ ტკივილს მოვკვრიო. მე, თანამედროვე ქართველი კაცი, 15 წლის წინათ პოლიტიკური მოვლენების გამო დილემის წინ აღმოვჩნდი: ან უნდა წავსულიყავი, ან დავრჩენილიყავი „კაცი ჯაბანი“. ცხოვრებამ უმუღავათო არჩევანი მომთხოვა. ჩემმა არჩევანმა ტრაგიზმი მომიტანა. ბოდიშს გიხდით ჩემი სულიერი ტკივილის მწვავედ გამოვლენისათვის. გამუდმებით ვიმეორებ მიხილ ქვლივიდის სტრიქონებს: — „მინას სამშობლო შექვია, თუ მისთვის გული გიცემს, თვალისწინივით უვლი და მიგაჩნია წმინდად, მაგრამ ყველაზე მეტად ეს მინა მაშინ გიღიროს, როცა გიჟივით ყვირი: — შინ დაბრუნება მინდა!“

ესაუბრა
ლალი შაშიაშვილი

P.S. ძვირფასო მკითხველო, სტატია უკვე გამოაქვეყნებული იყო დასაბეჭდად, როდესაც შევიტყვეთ, რომ დიდი ეკონომიკური კრიზისის გამო გიორგიმ აღნიშნული სამუშაო დაკარგა. ვიმედოვნებთ, რომ გიორგი იპოვის იმ სულიერ სიმტკიცეს, ამ გასაჭირსაც რომ გაუძღვლოს... და, ბოლოს და ბოლოს, შობილი-ურ მინაზე დაბრუნდეს.

ამერიკაში თარბი ტრილიონი დოლარით გალარდნა

ამერიკის შეერთებული შტატების მცხოვრებლები 2008 წელს გალარდნენ 11 ტრილიონი დოლარით, დაკარგეს თავიანთი ქონების 18 პროცენტი, — იტყობინება ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსთა სამინისტრო ყველა საოჯახო მეურნეობის მონაცემთა საფუძველზე.

ეს იყო რეცესიის პირველი წელი და ამერიკელთა ოჯახების ერთობლივმა დანაკარგებმა შეადგინა ყველაზე დიდი მარცხენებელი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. უმეტეს შემთხვევაში, ერთობლივი კაპიტალი შემცირდა საცხოვრებელი კრიზისისა და უძრავ ქონებაზე ფასების ვარდნის, აგრეთვე, საფონდო ბაზრის დაცემის გამო.

მიუხედავად ამისა, ამ დღეებში ყურნალმა „ფორბსმა“ გამოაქვეყნა რეიტინგი, რომლის თანახმადაც, პლანეტის ყველაზე მდიდარი ადამიანების 45 პროცენტს შეადგენენ ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეები, რომლებიც ფლობენ მილიარდერთა კლუბის ქონების 40 პროცენტს, რაც შეფასებულია 2,4 ტრილიონ დოლარად.

რია-ნოვოსტი

მადონა კატაგორიაში კონცერტს გააპარტავს

ამერიკელი პოპმოდერალი მადონა 2 აგვისტოს რუსეთში ჩატარებს კონცერტს. მისი გამოსვლა, რომელიც ვარსკვლავის მსოფლიო ტურნეს ფარგლებში იმართება, პეტერბურგში, სასახლის მოედანზე დაგეგმილი. კონცერტის ორგანიზატორი კორპორაცია „პიემასი“ ხელმძღვანელების ევგენი მაქსიმუმ 50 ათასამდე ადამიანს დაიტევს. მადონას კონცერტზე ბილეთების ღირებულება ორი ათასი რუბლიდან 10 ათას რუბლამდე შეადგება. ეგრეთ წოდებული ვერცხლისა და ოქროს ფან-ზონაში მოსახვედრად განკუთვნილი ბილეთები 3 500-დან 5 ათას რუბლამდე ეღირება, ხოლო „VIP“ ზონაში ბილეთების ფასი 30 ათასი რუბლი იქნება. ბილეთები 16 მარტიდან გაიყიდება.

მსურველებს მათი დაჯავშნა ინტერნეტის საშუალებებითაც შეეძლება. ორგანიზატორების განცხადებით, მადონა პეტერბურგში ჩატარებული კონცერტიდან ძალიან დაბალ ჰონორარს მიიღებს. მათივე თქმით, რუსეთში კონცერტის გამართვა, პირველ რიგში, მომღერლის ინიციატივა იყო. ფილკენშტეინის განცხადებით, მიუხედავად ქვეყანაში არსებული კრიზისისა, ორგანიზატორებს იმედი აქვთ, რომ მადონას კონცერტისათვის ყველა ბილეთი რამდენიმე დღეში გაიყიდება და კორპორაცია დიდ მოგებასაც ნახავს.

„ფიატა“ „ბარბის“ მესკლუზიური მოდელი აჩუქა

კომპანია „ფიატა“ თოჯინა „ბარბის“ „ფიატ 500“-ის ექსკლუზიური მოდელი აჩუქა, რომლითაც „ბარბი“ და „კენი“ 9 მარტს მილანში დაგეგმილ საიმიბილეო ღონისძიებაზე მივიდნენ. „ბარბის“ „ფიატი“ ვარდისფრად შეღებილი და ვარდისფერივე პანელი და სავარძელი აქვს. მისი ძარა, საჭე, გადამცემთა კოლოფი და სავენტილაციო სისტემის დეფლექტორები კრისტალებითაა მორთული.

ჯერჯერობით უცნობია, დაინყება თუ არა „ბარბის“ „ფიატის“ სერიული წარმოება. თუმცა, „ფიატის“ ყიდვისას, მომხმარებელს ისედაც შეუძლია აირჩიოს ინტერიერის გაფორმების 15, ფერის 12, საბურავების დისკოების ცხრა და ძარის გაფორმების 19 ვარიანტი.

რჩევები ხელისუფლებას

რეალიზაცია

ჩემო ძვირფასო, სულზე უტკბესო და „მამაც ძვირფასო“ პრეზიდენტო, მარჩენალო და დემოკრატო, მე თქვენი გულშემატკივარი ვარ, მაგრამ, მომიტევეთ, უავგუსტესო, ზოგჯერ „კავკასიას“ ვუყურებ და გული მტკივა, რომ ასე ურცხვად გესვრიან ლაფს ოპოზიცია და მედია. მტარვალსა და დიქტატორს რომ გეძახიან, არც ის მომწონს, მაგრამ რას იზამთ, უნდა გაუძლოთ, თქვენ ხომ ხალხის რჩეული ხართ? მაინც დიქტატორს გეძახიან და მინდა, რამდენიმე რჩევა მოგცეთ — ბარემ მართლა გახდით დიქტატორი, ჰა?! ეს ადვილია. საჭიროა:

1. გააკონტროლოთ ძირითადი სატელევიზიო არხები, „რუსთავი 2“, „მზე“, „იმედი“, „პირველი არხი“;
2. ბეჭდვურ მედიასაც უნდა მოუხერხოთ რამე, მაგალითად, ახალი ოპოზიციური გაზეთის რედაქცია დაარბიეთ და პროცესორები მოჰპარეთ. ძველ და პოპულარულ გაზეთებთან ეს მეთოდი არ გამოგადგებათ, ამიტომაც მიიღეთ კანონი პრესის გავრცელების შესახებ, გამოაცხადეთ ტენდერი, გაამარჯვებინეთ თქვენთვის სასურ-

- ველ კომპანიას და არასასურველი გაზეთიც „ვერ“ მივა საზოგადოებამდე;
3. გააძლიერეთ შსს-ს სპეცრაზმი, დაურიგეთ პრემიები და დაიჭიროთ არასასურველი პირები;
4. დაუმალეთ ხალხს სიმართლე და ტელევიზიით მხოლოდ თქვენთვის სასურველი „სიმართლე“ თქვიეთ;
5. არ არის საჭირო თავისუფალი სასამართლო, დაიმორჩილეთ იგი, დააშინეთ ხალხი, მობილურის ქურდობისთვის დაჭე-

- რილს 70 ათასი ლარი დააკისრეთ ჯარიმა, ხოლო ნოლიადელი მოპარული მილიონებითურთ ოპოზიციამი გადაუშვით;
6. დაატერორეთ ბიზნესი და ყველა იმ ბიზნესმენს, რომელიც უარს იტყვის თავისი ქონების სახელმწიფოსთვის ჩუქებაზე, აუკრძალეთ საქართველოში ცხოვრებაც კი. ყველა ბიზნესში თქვენი ძმა ჩართეთ, რა იცი, რაში დაგჭირდეთ;
7. მიეცით ფული უცხოელ ელჩებს (მათ რა ენაღვლებათ) და ათქმევინეთ, რომ ლეგიტიმური არჩევნები ჩატარდა;
8. მოუსმინეთ ყველას ტელეფონს და თუ ვინმე გაბედავს და ზედმეტს „გაახურებს“, დაამონტაჟეთ მისი საუბარი, მაგალითად, „მეასტრო“ ბინ ლადენტან და გამოაცხადეთ ტერორისტად;
9. თუ ამ ყველაფრის განხორციელებაში 200 ათასმა ადამიანმა ხელი შეგიშალათ და გაიძულათ „რალაცების“ დათ-



ისკანდარ ბულაჰა

მობა, დაიწყეთ ომი, შეიძლება კიდევ დაკარგოთ „რამდენიმე რაიონი“, მაგრამ არა უშავს, მთავარია, თანამდებობა შეინარჩუნოთ;

10. ჩემს ამაგს ხომ არ დავინწყებთ, ბატონო პრეზიდენტო? ბევრი კი არ მინდა, ერთი შაშკინის თანამდებობაც მეყოფა.

რჩევები ოპოზიციას

მოგესალმებით, ბატონებო, მე თქვენი მხურვალე გულშემატკივარი ვარ, არც ერთი მიტინგი თუ აქცია არ გამომიტოვებია, პრეზიდენტის ლანძღვა-გინებას ჭიშკრიდან რომ ვიწყებ, ლოგინთან ვამთავრებ, ერთი „მომიხუნიო“ მეზობელი მყავდა და იმდენი ვქენი, ვაიძულე, სახლი გაეყიდა, სამაგიეროდ, ახალი მეზობელი მალევე მოვიყვანე ჩემს ჭკუაზე. ისე მძულს ეს მთავრობა, მინდა, მალე დაემხოს და ამისათვის რამდენიმე რჩევა მაქვს თქვენთვის. იმედია, გაითვალისწინებთ:

1. რალაც გაერთიანება რომ გაქვთ, დაშალეთ და ცალ-ცალკე იბრძოლეთ, ხომ გაგიგიათ ანდაზა — „ძალა ცალ-ცალკეობაშიაო“;
2. ნახევარმა ოპოზიციამ სპარლამენტო მანდატები დახიეთ, ნახევარი სპარლამენტში შე-

- დით და „ოპოზიცია“ დაირქვიეთ, ნახევარი კიდევ არ შეხვიდეთ, მაგრამ ხელფასი მაინც აიღეთ. აბა, მაგათ ხომ არ დაუტოვებთ?
3. ჩუმ-ჩუმად შეხვდით ხელისუფლების წარმომადგენლებს, იქნებ რას გთავაზობენ?
4. ხშირად იარეთ ერთადერთ

- ოპოზიციურ ტელევიზიაში და რაც შეიძლება მეტი დრო დაჰყავით იქ, აქუს რეიტინგის გაზრდისა და ხალხზე ზემოქმედების მოხდენის მიზნით;
5. როცა ზემოქმედებას მოახდენთ და ხალხს ქუჩაში გამოიყვანთ, წაიყვანეთ იპოდრომზე და ქართველ პოეტთა მიერ სამშობლოსადმი მიძღვნილი ახალი ლექსები წაუკითხეთ შეკრებილთ;
6. შეხვდით თქვენს პარტნიორს და არ დაუთმოთ პირველობა, შესაბამისად, არც ის დაგიტოვებთ. ამაზე ცალ-ცალკე ჩაატარეთ პრესკონფერენცია და ყველა არხზე გაჩვენებენ;

7. ითანამშრომლეთ სპეცსამსახურებთან, რა იცით, რა მოხდება არჩევნების შემდეგ...
8. თუ რომელიმე ხელისუფლების მაღალჩინოსანი პრეზიდენტმა მოხსნა, დაუყოვნებლივ მიიღეთ თქვენს რიგებში, ფული ექნება ბევრი და რა მნიშვნელობა აქვს მის წარსულს.
9. ყველა არჩევნების წინ ლანძღეთ და აგინეთ ერთმანეთი, რატომ უნდა გაუყოთ თანამდებობა „ვიღაცას“ — თქვენ ხომ დაბერდით ოპოზიციისაში?!
10. თუ ამას გაითვალისწინებთ, არ დამივინყოთ. ბევრი კი არ მინდა, მოხსნილი შაშკინის თანამდებობაზე დამინიშნეთ.

პრეზიდენტმა დაიბარა განათლების მინისტრი. შემოდის გილაური.
— მე ვარ განათლების მინისტრი?
— ნიკა, რამდენჯერ გითხარი, შენ ხარ პრემიერ-მინისტრი, — გაუწყრა პრეზიდენტი.
☺ ☺ ☺
მეთუ ბრაიზა ურეკავს მიშას:
— მიშიკო, ნუ ურტყამ მინისტრებს, თორემ გაოფლიანდები და გაცივდები.

პრეზიდენტის ცოლი და სპარლამენტის თავმჯდომარის ქმარი ხვდებიან ერთმანეთს. სპარლამენტის თავმჯდომარის ცოლი ეუბნება:
- რას გვიშვება, გოგო, ეს მთავრობა!
- აბა, აბა... — პასუხობს პრეზიდენტის ცოლი.
☺ ☺ ☺
პან გი მუნი გაეროს დამკვირვებლებს უტარებს თათბირს:
— დაიმასხოვრეთ ყველამ, ძილშიც რომ გკითხონ, უნდა თქვათ: ვგობ რუსეთის ქმედებებს საქართველოს მიმართ. გასაგებია?!



რეკლამისათვის დარეკეთ:
92 37 58

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით გამოცემული ტარიელ ბაგანიძე
თბილისი, ტაბიძის ქ. 23, ტელ.: 92 37 58
მკითხველთა კორესპონდენცია მიიღება ელექტრონულ მისამართებზე:
info@geworld.net; geworld@mail.ru